საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№23 (210)
26 ივნისი – 2 ივლისი, 2013
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ვირთხების დოლი და სისტემური ამნეზია
3

4


## რატომ მიდის ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან?




## «სახალხო სიძულვილი უნდა გამოიხატოს ე.წ. ინტელიგენციის ყველა იმ წარმომადგენლის მიმართ, რომლებმაც გუნდრუკი უკმიეს სააკაშვილს»
8

### აშშ-მა თალიბებს შემოსარიგებლად ყატარში საელჩო გაუხსნა, საქართველო კი მათ სამიზნედ დარჩა
5

### «ეს რომ ტელევიზიით გავუშვათ, კაცმა არ იცის, რა უბედურება დატრიალდება»
7

### დიდი სამამულო ომის პერიოდის წითელი არმიის კრიტიკა დანაშაულად ჩაითვლება
11

12


## «ეჭვი მაქვს, რომ მითითება ტოტალური მოსმენებისა და ვიდეოჩანაწერების შესახებ ვაშინგტონიდან მოდიოდა»



## «მერაბიშვილმა მიპასუხა: სანამ ასეთ 200 კაცს არ ჩავაწვენ მიწაში და თქვენც არ მიგაყოლებთ, არ მოვისვენებო»
10

### იმ ჯარისკაცის მეუღლეს, რომელსაც სააკაშვილმა საჯაროდ ჰკითხა, თუ რამდენი ავღანელი ჰყავდა მოკლული, სადაზღვევო თანხას არ უხდიან
11

## ქვეყანას ისტორიული ამოცანების შესაფერისი პრეზიდენტი სჭირდება
5

## «სასულიერო პირებზეც ბევრი შემზარავი მასალა გააჩნდა შსს-ს»
6

## როგორ გააცურა დეპუტატმა ხიდაშელმა თავისი გომბორელი ამომრჩევლები
13

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოლიტიკა

**თუ ვინმეს კიდევ ეპარება ეჭვი, არის თუ არა წამება და არაადამიანური მოპყრობა „ნაცმოძრაობის“ სისტემური დანაშაული, ყურადღებით გადაიკითხოს სააკაშვილის 1999 წლის წინასაარჩევნო გამოსვლა. მისი მთავარი შეცდომა ხალხის უგულებელყოფა იყო, არანაკლები — იმის წარმოდგენა, რომ შეუძლია შეცვალოს ხალხი, მისი ისტორია და მომავალი.**

# შეხვედრა წარსულთან

**მიხეილ სააკაშვილი: „ჩვენ შევაჩერეთ ნგრევა, ჩვენ შევქმენით ახალი სახელმწიფო ინსტიტუტები, ჩვენ შევქმენით ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი და თანამედროვე კანონმდებლობა და ჩვენ მივეცით ჩვენს ხალხს ის ინსტრუმენტი, რომლითაც უნდა დაიწყოს თავისი უფლებები ამ კანონმდებლობის მიხედვით, ახალი სასამართლო სისტემა“.**



არ გადაფურცლო, მკითხველო! ეს მიხეილ სააკაშვილის დღევანდელი ან თუნდაც შარშანდელი გამოსვლა არ გეგონოს, ამას იგი 1999 წელს, „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთის პარტიულ თავყრილობაზე ამბობდა, საპარლამენტო არჩევნების წინ!

„ახლა, ჩვენ ყველამ უნდა გავაკეთოთ ჩვენი არჩევანი, რაც ხდება დღეს საქართველოში. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი არჩევნები. ეს არის ბოლო არჩევნები, რომელიც გვაძლევს საშუალებას, საბოლოოდ ამოვირჩიოთ წარსულსა და მომავალს შორის, თავისუფლებას, ესე იგი ისეთ სისტემას, როცა ყველა ჩვენგანს შეეძლება ყოველდღიურად გააკეთოს არჩევანი იმაზე, მაგრამ ბევრი რამ ვერ შესრულდა სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ბოლომდე ვერ შევაფასეთ ის წინააღმდეგობა, რომელიც ჩვენ შეგვხვდა. და მაინც, ჩვენ ასევე კარგად ვიცით, რომ ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ. ჩვენ ჩავიბარეთ წაგებული, დამცირებული, ფეხქვეშგათელილი საქართველო, რომლის არსებობა ცოტა ვინმემ თუ იცოდა გარესამყაროში და, ვინც იცოდა, მათი დიდი ნაწილიც ეჭვის თვალით უყურებდა.

ჩვენ შევაჩერეთ ნგრევა, ჩვენ შევქმენით ახალი სახელმწიფო ინსტიტუტები, ჩვენ შევქმენით ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი და თანამედროვე კანონმდებლობა და ჩვენ მივეცით ჩვენ ხალხს ის ინსტრუმენტი, რომლითაც უნდა დაიწყოს თავისი უფლებები ამ კანონმდებლობის მიხედვით, ახალი სასამართლო სისტემა“.

**ერთი სიტყვით, რასაც სააკაშვილი 2003 წლის გადატრიალების შემდეგ გვაყვედრის, 1999 წელს უკვე გაკეთებული ყოფილა!**

სააკაშვილს მაშინაც მტრებად და თავისიანებად ჰყავდა დახარისხებული საქართველო და მაშინაც ზუსტად იმას იძახდა, რასაც ოთხი, ათი და 14 წლის შემდეგ:

„ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ სულ ცოტა ხნის წინ ჩვენი ოპონენტები გვაძახებდნენ, რომ საქართველოში ვერასოდეს ვერ მივიყვანდით ბოლომდე სასამართლო რეფორმას. ყველა ხრიკზე წავიდნენ იმისთვის, რომ იმედი ჰქონდათ საზოგადოების ინერტულობის. ჩვენ ჩავატარეთ გამოცდები, ავამუშავეთ ახალი სისტემა. ჩვენ ისიც კარგად გვახსოვს, რომ გვაძახებდნენ, რომ ვერ შევინარჩუნებდით ლარის სტაბილურობას, რომ მოხდებოდა ათასპროცენტიანი ვარდნა ეროვნული ვალუტის. დღეს ქართული ლარი არის აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ვალუტა.

ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ გვმოძღვრავდა ჩვენი ახლანდელი მთავარი ოპონენტი იმის თაობაზე, რომ საქართველო ვერასოდეს შეძლებდა საკუთარი საზღვრების დაცვას და ამიტომ ჩვენ უარი არ უნდა გვეთქვა რუსეთის სასაზღვრო ჯარებზე. დღეს უცხო ქვეყნის მოსაზღვრეები ტოვებენ საქართველოს სტრატეგიულ საზღვრებს და მათ ადგილს იკავებს დამოუკიდებელი საქართველოს სასაზღვრო ჯარები“.

**ნუ იტყვით და „ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური“ ქვეყანა უკვე 1999 წელს ყოფილა, ხოლო ქვეყნის „დეოკუპაცია“ ოკუპაციამდე 9 წლით ადრე მომხდარა! ხომ ვერ გვეტყოდით, ჯერ კიდევ პრეზიდენტად წოდებულო ბატონო მიხეილ, 9 წლის შემდეგ ვინ შემოიტყუა უკან „ოკუპანტი“?**

მტრები — მტრებად, მაგრამ მეგობრები მიხეილს დღესაც იგივე ჰყავს, რაც შორეულ 1999 წელს! უფრო სწორად, ერთი ცოცხალია, მეორე კი... „ერთი საათის წინ ჩვენთან საბოლოოდ დაბრუნდნენ ამერიკიდან ზურაბ ჟვანია და გია ბარამიძე, მინდა მივესალმოთ. სწორედ ოთხი წლის წინათ გიას დახმარებით, ზურაბის დახმარებით და პრეზიდენტის ხელშეწყობით მე ჩემი არჩევანი გავაკეთე ამ დარბაზში, ამ ტრიბუნიდან“.

**ეჰ, მიხეილ, ზურაბ ჟვანიას მაშინ რომ სცოდნოდა, რა არჩევანი გააკეთე, იქნებ დღესაც ცოცხალი ყოფილიყო, ხოლო გია ბარამიძე იმის შემდეგ იმდენჯერ დაგეხმარა, რომ ახლა თავადაც აღარ იცის, „საბოლოოდ“ სად ამოყოფს თავს!**

**შევარდნაძეს** (სწორედ მის ხელშეწყობაზე ლაპარაკობდა მაშინ სააკაშვილი) **მაშინ ქებადიდების გარეშე არ იხსენიებდა მის უბეში გამოზრდილი მიხეილი:**

„ჩვენ კარგად გვახსოვს და თქვენც კარგად გახსოვთ, ყველას კარგად გვახსოვს, როგორ გვეუბნებოდნენ, რომ საქართველოს არასოდეს შეასუნინებდნენ ევროპაში, რომ უნდა შევგუებოდით ჩვენ ბედს.

მე მქონდა ბედნიერება, პრეზიდენტის გვერდით ვმდგარიყავი სტრასბურგში საქართველოს დროშის აღმართვის ცერემონიალის დროს. ჩემს თვალწინ იმ წუთში ბევრმა რამ გაირბინა და გაიარა. მე მახსენდებოდა იმ წუთში დავით აღმაშენებელი, მახსენდებოდა თამარ მეფე, მახსენდებოდა სულხან-საბა ორბელიანი და მართალი გითხრათ, მაინცდამაინც არ მახსენდებოდა პატიაშვილი, არ მახსენდებოდა რაზმაძე, არ მახსენდებოდა გოგუაძე.

ამ მომენტის გახსენებისას მომავალი თაობები უკვე ნამდვილად ვეღარ გაიხსენებენ ამ სახელებს, ისინი დიდი ხნის დავიწყებას იქნებიან მიცემული, მაგრამ ისინი გაიხსენებენ შევარდნაძეს და ისინი გაიხსენებენ მოქალაქეთა კავშირს“.

**დღეს „მოქალაქეთა კავშირს“ თუ ვინმე ახსენებს, მხოლოდ იმის ხაზგასასმელად, რომ მის წიაღში გამოზარდეს ქვეყნის წურბელები ამჟამინდელი „ნაციონალების“ სახით.**

მათაც, ერთ დროს „მოქალაქეთა კავშირის“ მსგავსად, ვერასოდეს წარმოედგინათ, რომ არჩევნებს ოდესმე წააგებდნენ:

„საბოლოოდ ეს ოპონენტები წინასწარმეტყველებას ჩაუჯდნენ ძალზე დიდი გულმოდგინებით, რომ ჩვენ, „მოქალაქეთა კავშირი“, ჩვენი ახალი პოლიტიკური ძალა, საქართველოს მომავლის პოლიტიკური ძალა, წავაგებთ მომავალ საპარლამენტო არჩევნებს. თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე პოსტებიც კი არის დანაწილებული. მე ახლახან დავბრუნდი ბათუმიდან, ჩემი ბავშვობის უსაყვარლესი ქალაქის ქუჩებში, შემიძლია გითხრათ, მქონდა სიამოვნება, მეხილა საქართველოს პარლამენტის მომავალი ახალი თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მომავალი ახალი თავმჯდომარე. ბატონი ჭაჭია როგორ გულმოდგინედ ამუშავებს ჩვენი საგარეო უწყების ახალ სტრატეგიულ მიმართულებებს და, ალბათ, მას უნდა ჩაუდგეს სათავეში. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი შემცვლელიც გავიცანი. ძალიან სიმპათიური ადამიანი აღმოჩნდა პირად ურთიერთობაში სუფრაზე“.

**ზემოთ ჩამოთვლილი „სიმპატიურ“ ადამიანებს მიხეილმა სულ რაღაც 4-5 წელიწადში ან საქართველო დაატოვებინა, ან სულაც ამქვეყნიური ცხოვრება. არც მას დაუსახელებია და ნურც ჩვენ შევაწუხებთ წასულებს.**

ახლა კი ისევ შევარდნაძის თავგამოდებულ დაცვას მივუბრუნდეთ და ვნახოთ, როგორ არ უნდა გაგონებაც კი სააკაშვილს, რომ შევარდნაძე ოდესმე შეიძლება ვინმემ შეცვალოს:

„როგორც ამბობენ, საქართველოს ახალი პრეზიდენტიც ჰყავთ სადღაც დამალული. ოღონდ მათი ადგილის სანახავად კიდევ ერთხელ მომიწევს ჩასვლა. ერთი სიტყვით, ყველა ამ ადამიანს დასჭირდება სერიოზული პოსტარჩევნული სტრესის მკურნალობა. რადგან ჯანმრთელობას შევეხე, ისიც მინდა გითხრათ, რომ ზაფხულია ახლა და მაინც კარგად უნდა შევხედოთ, რას ვჭამთ და რას ვსვამთ. ოცდაათ წლამდე ახალგაზრდებს არ ესმევათ პატიაშვილის, ჭაჭიას და გოგუაძის ნაზავი კამპოტი, ძალიან სერიოზულ გართულებასთან არის დაკავშირებული ჯანმრთელობისთვის, ისეთ სერიოზულ გართულებასთან, რომ შეიძლება ამის შემდეგ, დღეში რამდენიმე ვიაგრაც რომ დავლიოთ, უკვე ვეღარ აღვიდგინოთ ფორმა. მაინც ექიმების ოჯახიდან ვარ და რჩევას მოგცემთ“.

**ის ხან ექიმების ოჯახიდან არის, ხან ისტორიკოსებისა, ხანაც „დიდი ქართველებისა“, გააჩნია, სიტუაციას რა მოუხდება. თუმცა, თუ მისი წარმომავლობა რაიმეს ცოდნას გულისხმობს, ეს არც ერთია, არც მეორე და, მით უფრო, არც მესამე! არაფერი ქართულით იგი არასოდეს არ იყო დაავადებული, ხოლო „ვიაგრა“ ტყუილად რომ არ უხსენებია სააკაშვილს, ეს ბათუმის სასტუმროში გადაღებულ იმ ვიდეოჩანაწერზე ჩანს, რომელზეც მიშას მერი, გიგი უგულავა, მწყაზარი სახით იტყოდა: „გეყო ჩუკენობა“! ბათუმშიც ის ამით იყო დაკავებული და არა ახალი პრეზიდენტის ძიებით.**

მართლაც რომ, ყველაფრის ჭამა არ შეიძლება, მიხეილ! არც ყველაფრის თქმა, თუმცა ეს ყველაფერი სააკაშვილს 1999 წელსაც გაუდიოდა და 2003-ის მერეც განაგრძო.

იპოვეთ 10 განსხვავება მის იმჟამინდელ გამოსვლასა და 9 წლის განმავლობაში მანტრასავით გამეორებულ საკუთარ მიღწევათა ჩამონათვალში:

„ამ არჩევნებს, მე მინდა ვუთხრა ყველა ოპონენტს, ამ არჩევნებს ჩვენ ვერ მოვიგებთ ზუსტად ისევე, როგორც ვერ ჩავატარეთ სასამართლო რეფორმა, როგორც ვერ გავიყვანეთ ნავთობსადენი, როგორც ვერ მივაღწიეთ ლარის სტაბილურობის შენარჩუნებას, როგორც ვერ შევედით ევროპის საბჭოში.

ერთი სიტყვით, ჩვენ ამ არჩევნებს მოვიგებთ, მოვიგებთ საქართველოს მომავლის საკეთილდღეოდ. რა უნდა ვაკეთოთ იმისათვის, რომ ეს მართლაც რეალობად იქცეს? პირველ რიგში, ფინანსური წესრიგის დამყარებაა.

ჩვენ ამ დღეებში უკვე დავიწყეთ სერიოზული ნაბიჯების გადადგმა საქართველოს საზღვრებთან მიმართებაში და თუ ჩვენმა ოპონენტებმა ეს მონათლეს, როგორც ეკონომიკური ბლოკადა, ეს მართლაც არის ბლოკადა, მაგრამ ეს არის ბლოკადა მათი ჯიბეების, იმ ადამიანების ჯიბეების, ვინც ძარცვავს საქართველოს და ეს ბლოკადა გაგრძელდება, გაძლიერდება და იქნება აბსოლუტურად წყალგაუმტარი ჯებირებით შექმნილი, მაგრამ ეს ასევე გახსნის გზას ჩვენი მოქალაქეებისთვის, რათა მათ მიიღონ შემოსავალი“.

**აქ კი ენამორღვეულმა სააკაშვილმა დაუკრეფავში გადააბოტა და საკუთარი სამომავლო გეგმებიც გააცნო ახალგაზრდა „მოქკავშირელებს“, რომლებიც იმ პრეზიდენტისა და მისი მიღწევების წინააღმდეგ უნდოდა გამოეყენებინა, რომელთაც გამოსვლის დასაწყისში ასხამდა ხოტბას:**

„მცირე ბიზნესის მთავარი შემაფერხებელი დღეს საქართველოში არის კლანების ბატონობა, ოლიგარქიების შექმნა, კლანების მიერ ეკონომიკაში მმართველი პოზიციების შენარჩუნება, ეს განპირობებულია იმითაც, რაც ხდება ჩვენს საზღვრებზე, რაც ხდება საქართველოს ცალკეულ რეგიონებში, მაგრამ ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ასევე, სამწუხაროდ, ჩვენი ცენტრალური ხელისუფლების სერიოზულ რგოლებს, ამ კლანების დამარცხების გარეშე ყველა თქვენგანს არ აქვს მომავალი. საქართველოში მცირე ბიზნესს და ისევე, როგორც ბიზნესს პოლიტიკური „კრიშების“ სისტემის გარეშე არანაირი მომავალი არა აქვს. ესეც ჩვენი შემდგომი 4-წლიანი ვადის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს“.

**მთელი საქართველოს პოლიტიკური „კრიშობისთვის“ მზადებაში გართულმა სააკაშვილმა უკვე მაშინ ჩამოწერა გასაკუტლაკებლების, მოსაშორებლების, დასაჭერებისა და საწამებლების სია, მაგრამ დარბაზში მყოფი ახალგაზრდა „მოქკავშირელები“ დაამშვიდა, რომ მათ ეს არ შეეხებოდათ.**

ბევრმა დაიჯერა კიდეც:

„განათლება, უცხო ენების სწავლა, ჩვენი უზარმაზარი პოტენციალის მსოფლიო ბაზრის ენაზე გადმოთარგმნა და ჩვენ ეს პოტენციალი გვყავს, ეს პოტენციალი იმყოფება ამ დარბაზში, ეს პოტენციალი არის საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხე-კუნჭულში, ამ პოტენციალის ამოქმედება, ესეც ჩვენი ოთხწლიანი ვადის უმთავრესი ამოცანაა. ერთი სიტყვით, ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პოზიციები, მაგრამ ახლა მთელი სახით, მთლიანად უნდა მოვტრიალდეთ საქართველოს შიდა პრობლემებისადმი“.

**ის ახლაც „მთელი სახით“ არის მოტრიალებული საქართველოს „შიდა პრობლემებისადმი“; ვერა და ვერ ეგუება, რომ წააგო და უნდა წავიდეს; დადის და მთელ მსოფლიოს აშინებს „საბჭოთა კავშირის აღდგენით“ და საქართველოში „ბნელი ხელისუფლების მოსვლით“. ხან ავღანეთში მყოფ სამხედროებს აწიოკებს, ხანაც „ნაციონალურ მოძრაობაში“ შეპარულ „თითო-ოროლა“ ავაზაკზე იხოკავს ლოყებს.**

**თუ ვინმეს კიდევ ეპარება ეჭვი, არის თუ არა წამება და არაადამიანური მოპყრობა „ნაცმოძრაობის“ სისტემური დანაშაული, ყურადღებით გადაიკითხოს სააკაშვილის 1999 წლის წინასაარჩევნო გამოსვლა.**

მისი მთავარი შეცდომა ხალხის უგულებელყოფა იყო, არანაკლები — იმის წარმოდგენა, რომ შეუძლია შეცვალოს ხალხი, მისი ისტორია და მომავალი. და, რაც მთავარია, ამას უმარტივეს ამოცანად მიიჩნევდა:

„თქვენც კარგად იცით, არის ძალიან წარმატებული და მშვენიერი ქვეყანა — ჰოლანდია. ისინი ამბობენ, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო და, ვინაიდან მათ ქვეყნის ერთი მესამედი ზღვას მოსტაცეს, ისინი ამბობენ, რომ ჩვენ შევქმენით ჩვენი ხელით ჰოლანდია. საქართველო ღმერთმა შექმნა. ამგვარად, ჩვენი ამოცანა ბევრად უფრო ადვილია, ბევრად უფრო მარტივია და, მეორე მხრივ, უფრო რთულიცაა.

შევქმნათ ძლიერი, მდიდარი და თავისუფალი საქართველო, ის საქართველო, რომლითაც იამაყებენ მომავალი თაობები, ამიტომ მე თეთრი შურით მშურს მათი, მაგრამ მე ისევე მიჩნდება უპირატესობის განცდა, ვინაიდან ის საქართველო, რომლითაც ისინი იამაყებენ და ცხოვრებაში ისიამოვნებენ, ის იქნება მხოლოდ ჩვენი თაობის მხრებით, ჩვენი ხელით შექმნილი. აი, ჩვენი ხელით შექმნილი“.

**მკითხველო, კარგად დაიხსომე: ყველაფერი, რაც შენ გარშემო ხდება, მათი ხელებით, მიშასა და მისი ბანდის ხელებით არის „შექმნილი“, ოღონდ სიამოვნებას ამისგან მხოლოდ ისინი იღებდნენ და, თუ მათგან განსხვავებით, ვერ ამაყობ იმით, რომ ეს „ბედნიერი“ საქართველო ცოცხებითა და სკამის ფეხებით გაუპატიურებული ადამიანების გოდებაზე დგას, მოსთხოვე პასუხი სააკაშვილს და მის ბანდას!**

არა ლინჩით, არამედ სასამართლოს ძალით!

ხოლო ვისაც ამ დანაშაულთა დანახვა არ სურს, გვერდით მიუჯინე განსასჯელის სკამზე!

**თამარ დავითულიანი**

**ცხრა წლის განმავლობაში უფლებადამცველები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, კიოდნენ იმაზე, რაც სააკაშვილის მხარდამჭერებმა თურმე მხოლოდ ახლა გაიგეს. ამის შესახებ წერდა დამოუკიდებელი მედია, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო სოციალურ ქსელებში და მთელ რიგ შემთხვევებში მისი გადამოწმება ძალზე იოლი იყო. არგუმენტი „ჩვენ არ ვიცოდით“ ძალზე უსუსურად გამოიყურება და კრიტიკას ვერ უძლებს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვირთხების დოლი და სისტემური ამნეზია

**ყმაწვილკაცობაში, რომელიც, საყოველთაო აღიარებით, ჯერ არ დასრულებულა, მიხეილ სააკაშვილს უნდოდა, რეჟისორი გამხდარიყო, თუმცა ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რა უცნაურ და ტრაგიკულ ნაყოფს გამოიღებდა საბოლოოდ ეს დაუკმაყოფილებელი ამბიცია. მისი მმართველობის წლებში შსს-მ უკანონოდ 12888 ფარული ჩანაწერი მოიპოვა. სააკაშვილის პოლიციელებმა გადაიღეს მეტი, ვიდრე ინდურმა ,,ბოლივუდმა“ ამავე პერიოდში. პოლიტიკოსების, დიპლომატების, ჟურნალისტების პირადი და საქმიანი ცხოვრების ამსახველი სცენები, როგორც ჩანს, წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს, რომლის გამოყენებით არშემდგარი რეჟისორი და დიქტატორი საქართველოზე კონტროლის შენარჩუნებას ლამობდა.**



**ალბათ, ხვალ მიხეილ სააკაშვილი გამოვა და გვამცნობს, რომ ესეც ცალკეული მანიაკების თვითშემოქმედება იყო, რომლებიც სისტემაში შეიპარნენ, ან იტყვის, რომ არაფერი იცის, არავის იცნობს, არაფერი ახსოვს და ასე შემდეგ, ჩვეულ ამნეზიურ სტილში**

ფირებზე, რომლებიც საგანგებოდ შერჩეულ აუდიტორიას უჩვენეს, ასახულია მამაკაცების გაუპატიურება პოლიციელების მიერ და ეს, სამწუხაროდ, არ არის გამონაკლისი შემთხვევა. თუ ჩვენ თავს მოვუყრით ყველა ინფორმაციას მსგავსი ფაქტების შესახებ, ძალიან დიდი ალბათობით, მივალთ დასკვნამდე, რომ რეჟიმმა ჰომოსექსუალური გაუპატიურება დათრგუნვის ერთ-ერთ საშუალებად გადააქცია, რომელსაც არცთუ იშვიათად იყენებდა. **კაცობრიობის ისტორიაში ფაშიზმზე დიდი ბოროტება არ არსებობს, მაგრამ ფაშისტები ამას არ აკეთებდნენ. მამაკაცების აბსოლუტურ უმრავლესობას ურჩევნია, შუბლში ტყვია დაახალონ, ვიდრე დამართონ ის, რაც ამ ფირებზეა ასახული.**

**პირადად მე, წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ეს ჩანაწერები ტელევიზიით აჩვენონ, რადგან ამის შემდეგ უამრავი მოქალაქე, სავარაუდოდ, ქუჩაში გავა და დაიწყებს „ნაციონალების“ ლინჩის წესით გასამართლებას, სადაც კი დაიჭერს; დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, ამის დაშვება არ შეიძლება. თუმცა იმ უცხოელებმა, რომლებიც წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლების რეფორმებს (მათი მოკლე აღწერა ამიერიდან, ალბათ, შემდეგ სახეს მიიღებს: „პოლიციამ ქრთამის აღება შეწყვიტა და თანამოქალაქეების გაუპატიურება და სადისტური წამება დაიწყო“) და მთელ ამ „ვარდისფერ ჭირს“ ხოტბას ასხამდნენ, ეს ჩანაწერები აუცილებლად უნდა ნახონ.**

მთავარი ფიგურანტი, ძველად რომ იტყოდნენ, „ნესოზნანკას აწვება“ და შერჩევითი ამნეზიის დემონსტრირებას ახდენს. ის ირწმუნება, რომ არაფერი იცოდა, არ იცნობდა ამ საქმეში გარეულ მაღალჩინოსან პოლიციელებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მაღალ ჯილდოებს გადასცემდა, გვიმტკიცებს, რომ ეს ცალკეული შემთხვევებია, თითქოსდა საქმე სამოყვარულო პორნოს გადაღების მსგავს თვითშემოქმედებასთან გვქონდეს. ალბათ, იგულისხმება, რომ 13000-მდე უკანონო ჩანაწერი შსს-ში შეპარულმა მანიაკმა კინომოყვარულებმა საკუთარი ინიციატივით შექმნეს. ის, აგრეთვე, ამბობს, რომ სამალავები, რომლებშიც, იარაღთან ერთად, ეს ჩანაწერები აღმოაჩინეს, მისი მითითებით, რუსების შემოჭრის შემთხვევაში პარტიზანული ბრძოლის წარმოებისთვის შეიქმნა. **კაცმა რომ თქვას, გენიალური იდეაა — რუსული ტანკების შეჩერება კომპრომატით; იდიოტმა ფიურერმა თავისი გენშტაბით, თავის დროზე, ამდენი ვერ მოიფიქრა. მიხეილ სააკაშვილი თურმე პარტიზანული ომის გამოჩენილი თეორეტიკოსია, ტიტანი, პოტენციური სიდორ კოვპაკი და ერნესტო ჩე გევარა ერთ ფლაკონში, დაღეჭილი ჰალსტუხით.**

ნამდვილად არ მშურს იმ გამომძიებლის, რომელსაც ახლო მომავალში, 99%-იანი ალბათობით, სააკაშვილის დაკითხვა მოუწევს. რა ნერვების პატრონი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ყოველივე ამის მოსმენა და ოქმში შეტანა მოუწევს? არაფერი იცოდა, არავის იცნობდა და გმირულად ემზადებოდა სამამულო ომისთვის ხანმოკლე შუალედებში საბიუჯეტო თანხების ფლანგვასა და ადამიანების უფლებების ტოტალურ დარღვევას შორის; რას ვერჩით ამ პატრიოტ კაცს, მიგვეშვა, ბრძოლით სტალინგრადამდე ჩავიდოდა.

სააკაშვილზე საუბრის გაგრძელებას აზრი არ აქვს, ალბათ, უნდა ვაღიაროთ, რომ ის უიმედოა, თუმცა ჩვენ გვერდით ცხოვრობს არაერთი ადამიანი, რომელიც მხარს აქტიურად უჭერდა, ეკავა მაღალი თანამდებობა სახელისუფლო სტრუქტურებში ან პროპაგანდისტული პირამიდის მწვერვალზე და დღეს ყურაწეული ბავშვის ტონალობაში გვიმტკიცებს: „არაფერი ვიცოდით... ამას როგორ წარმოვიდგენდით?“. **„როგორც ირკვევა, ეს მანიაკები იწერდნენ ყველას... პოლიტიკურ კონკურენტებს, საკუთარ თანაგუნდელებს, ცნობილ ადამიანებს, ჟურნალისტებს, სასულიერო პირებს... გასრისოს კანონმა ყველა, ვინც ამ სიბინძურეში რაიმე სახით მონაწილეობდა!.. გადაბუგოს მართლმსაჯულებამ ყველა დამნაშავე!.. ნებისმიერი!“** — წერს „ფეისბუქზე“ სააკაშვილის მთავრობის ყოფილი მინისტრი, დეპუტატი „ნაცმოძრაობიდან“ გოგა ხაჩიძე. განცხადებას ავრცელებს საპატიმროში მყოფი ვანო მერაბიშვილიც: **„ჩემი მინისტრობის დროს მსგავსი რამ არ უნდა მომხდარიყო. მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანი, რომლებიც ამ ფაქტში მონაწილეობას იღებდა, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს. მინდა ბოდიში მოვუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემი მინისტრობის დროს პოლიციელების მხრიდან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა“.**

არაერთი, შედარებით დაბალი რანგის მათი თანამოაზრე დღეს მსგავსი შინაარსის განცხადებებს ავრცელებს, ზოგიერთი კი ფრიად გაუბედავად ბოდიშის მოხდასაც ცდილობს, ცხადია, არა მონაწილეობისთვის რეჟიმის დანაშაულებრივ საქმეებში და მითუმეტეს მათი ორგანიზებისთვის, არამედ იმისთვის, რომ „არ იცოდნენ“ და თავის დროზე „ვერ გაარკვიეს“.

**ყოველივე ამან შეიძლება ერთი ძველი ისტორია გაგვახსენოს. 1945 წლის აპრილში, ბოლო ოპერატიულ თათბირზე თავის უწყებაში, იოზეფ ჰებელსმა, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ხელქვეითების კამათში არ ერეოდა, უცებ თავი აწია და თქვა: „ბატონებო, რატომ თანამშრომლობდით ჩვენთან? ახლა თქვენ ამისთვის დაგსჯიან“, — ადგა და ოთახიდან ისე გავიდა, რომ პროპაგანდის სამინისტროს პირდაღებულ ჩინოვნიკებს ზედაც არ შეხედა.**

არის შემთხვევები, როდესაც დიქტატორული რეჟიმის მსახური აცნობიერებს, რომ დანაშაულის თანამონაწილე იყო, გულწრფელად ინანიებს და ჩვენ ვალდებულნი ვართ, შევუნდოთ მას და დახმარება აღმოვუჩინოთ. არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც ის ამბობს: „კი, ეს ყველაფერი გავაკეთეთ, შეგიძლიათ დამხვრიტოთ, მაგრამ სწორედ ასე უნდა მოვქცეულიყავით, ნაციონალ-სოციალიზმის (ან მიშიზმ-ვანოიზმის) საბოლოო მიზანი ამ მეთოდებს ამართლებს“; ასეთ ადამიანს გულში, რა თქმა უნდა, ვერ ჩაიკრავ, თუმცა მას შეიძლება ესაუბრო, რათა დაუმტკიცო, რომ არსებობს გაცილებით მაღალი ღირებულებები, ვიდრე ესა თუ ის კაცთმოძულე იდეოლოგია სთავაზობს. და ბოლოს, არის შემთხვევები, როდესაც ის იქცევა, როგორც შეშინებული ვირთხა, რომელიც ცდილობს, თავი დაიძვრინოს და მზადაა, გააკეთოს ყველაფერი, რათა მის პირად კეთილდღეობას საფრთხე არ დაემუქროს; მას საერთოდ არ აინტერესებს, სწორად იქცეოდა თუ არასწორად, არ აღელვებს ზნეობრივი კატეგორიები და იდეები და მხოლოდ ის უნდა, ძველებურად, უდარდელად ცხოვრობდეს. ჩვენ ალბათ, უპირველესად, უნდა დავადგინოთ, რომელ ვარიანტთან გვაქვს საქმე (ალბათ, ძირითადად მესამესთან, თუმცა ეს სუბიექტური მოსაზრებაა).

საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც ყველამ ყველაფერი იცის. **ცხრა წლის განმავლობაში უფლებადამცველები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, კიოდნენ იმაზე, რაც სააკაშვილის მხარდამჭერებმა თურმე მხოლოდ ახლა გაიგეს. ამის შესახებ წერდა დამოუკიდებელი მედია, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო სოციალურ ქსელებში და მთელ რიგ შემთხვევებში მისი გადამოწმება ძალზე იოლი იყო. არგუმენტი „ჩვენ არ ვიცოდით“ ძალზე უსუსურად გამოიყურება და კრიტიკას ვერ უძლებს.**

მთავარი პრობლემა, სავარაუდოდ, ისაა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ყველაზე მასშტაბურ ზნეობრივ (უფრო სწორად, უზნეო) კომპრომისთან საქართველოს უახლეს ისტორიაში, ბედნიერი ცხოვრების მოწყობასთან სხვისი უბედურების ხარჯზე და ეს გარემოება არა ცალკეული ადამიანების ან ჯგუფების, არამედ მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს, რადგან ორმაგი მორალი სწორედ მისი წიაღიდან აღმოცენდა. **ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ ეს იყო რაღაც პერიფერიული ეფექტი, უცნაური პათოლოგია, თუმცა მწარე სიმართლე, სავარაუდოდ, იმაში მდგომარეობს, რომ ძალიან ბევრი ადამიანი საქართველოში მზადაა, ფარდობითი სოციალური კეთილდღეობისთვის თანამოქალაქეებს ყელი გამოღრღნას; ახლა მათ ნაწილს, გებელსის თქმის არ იყოს, „ამისთვის დასჯიან“, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა მოხსნილია.**

სიღარიბე, გაუნათლებლობა, ზნეობრივი ღირებულებების დევალვაცია, სიზარმაცე, ფსიქოლოგიური კომპლექსების მთელი ბუკეტი — ამ ფუნდამენტის გარეშე სააკაშვილის რეჟიმის ფორმირება წარმოუდგენელი იქნებოდა. **არც სააკაშვილი, არც ის ზონდერები, რომლებიც კლავდნენ, აწამებდნენ და აუპატიურებდნენ თანამოქალაქეებს და არც ისინი, ვინც ამას ტელეეკრანებიდან ამართლებდნენ, მარსიდან არ ჩამოფრენილან. და ვიდრე ჩვენ გავასამართლებთ მათ, როგორც ფაშისტებს, კარგი იქნება, თუ შევეცდებით, აღმოვაჩინოთ, ხომ არ იმალება სადღაც, ჩვენი ქვეცნობიერის სიღრმეში პატარა, შეშინებული „შინაგანი ფაშისტი“, რომელიც ახალ შესაძლებლობას ელოდება, რადგან ამჯერად არ გაუმართლა. დანაშაულებრივი რეჟიმის გასამართლება სწორი და აუცილებელია, თუმცა არ მოიტანს სასურველ შედეგს იმის გააზრების გარეშე, თუ რამ გახადა შესაძლებელი მისი აღმოცენება.**

12888 უკანონო ჩანაწერის არსებობა ცალსახად სისტემურ დანაშაულზე მიუთითებს და მათი წარმოჩენა ცალკეული მანიაკების თვითშემოქმედებად ლოგიკის, საღი აზრის და ზოგადად, ინტელექტის შეურაცხყოფაა. საინტერესოა, რა ტიპის დანაშაულზე მიუთითებს მონაკვეთი პროკურატურის ორშაბათის განცხადებიდან, რომლიდანაც ირკვევა, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელები თურმე **„შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების სისტემის მაღალი თანამდებობის პირების დანაშაულებრივი ხელშეწყობითა და ორგანიზებით, პერიოდულად ტოვებდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ საკუთარ საცხოვრებელ სახლებში და, რაც ყველაზე საგულისხმოა, სტუმრობდნენ ძველ სამუშაო ადგილს, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს“** (ციტატა განცხადებიდან, რომელიც ვანო მერაბიშვილისთვის ბრალის დამძიმების შემდეგ გავრცელდა).

საუბარია იმ პოლიციელებზე, რომლებმაც **„ს. გირგვლიანი და მისი მეგობარი გააშიშვლეს ძლიერ ყინვაში და სასტიკად სცემეს. ს. გირგვლიანს წამების მიზნით სხეულის სხვადასხვა არეში დანით მიაყენეს აურაცხელი ჭრილობა, მათ შორის 12 ჭრილობა ყელის არეში. გარდა ამისა, მას დაზიანებები აღენიშნებოდა მარცხენა მხარზე, მარცხენა წინამხარზე, მარჯვენა მხარზე, თითებზე, მუცელზე, ორივე მუხლზე, წვივებზე, თეძოებზე, შუბლზე, ცხვირზე და თვალების ირგვლივ და ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი, გვიან ღამით მიატოვეს უკაცრიელ ადგილას. 2006 წლის 28 იანვარს, დაახლოებით 15:00 საათზე, სანდრო გირგვლიანის გვამი მისმა მეგობრებმა იპოვეს ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე“.**

**ალბათ, ხვალ მიხეილ სააკაშვილი გამოვა და გვამცნობს, რომ ესეც ცალკეული მანიაკების თვითშემოქმედება იყო, რომლებიც სისტემაში შეიპარნენ, ან იტყვის, რომ არაფერი იცის, არავის იცნობს, არაფერი ახსოვს და ასე შემდეგ, ჩვეულ ამნეზიურ სტილში. ვერაფერს ვიზამთ, ვერავინ მოსთხოვს ადამიანს, ღირსებით შეხვდეს კარიერის დასასრულს და პიროვნულ კრახს მაშინ, როდესაც მას ღირსება არ აქვს.**

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიძინა ივანიშვილი, ნებისმიერ შემთხვევაში, დარჩება ქვეყნის პირველ პირად, ერთგვარ „მთავარ არბიტრად“, რომელიც სხვადასხვა ჯგუფის ტაქტიკურ დაპირისპირებებზე მაღლა დგას, ოღონდაც პოსტისა და ოფიციალური სტატუსის გარეშე, რაც გულისხმობს გათავისუფლებას დამღლელი წარმომადგენლობითი ფუნქციებისგან და ყოველდღიური რუტინული საქმეებისგან, რაც, იდეაში, სტრატეგიულ საკითხებზე კონცენტრაციას აიოლებს.**

# რატომ მიდის ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან?

**„ვაპირებ, პოლიტიკა მალე დავტოვო. როგორც კი სააკაშვილი წავა და 2013 წლის ოქტომბერში ახალი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, მე მხოლოდ რამდენიმე დღით დავრჩები. ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავს, ჩვენგან ძალიან საინტერესო პრეზიდენტს ავირჩევთ, პარლამენტს ძალიან კარგი სპიკერი ჰყავს და მე მაქვს იდეა იმის თაობაზე, თუ ვინ შეძლებს ჩემი ადგილის დაკავებას. მე არ მსურს, რომ ფსონი მუდამ ერთ კაცზე კეთდებოდეს, ეს ცუდი იქნება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანია სამი ჩამოთვლილი პოსტი და მჯერა, რომ სამივე სუფთა ადამიანებს, დემოკრატებს ერგება“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ესტონური გამოცემა Postimees-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. რატომ მიდის ბიძინა ივანიშვილი და რა შედეგს მოუტანს მისი გადაწყვეტილება საქართველოს?**



## წასვლა? არწასვლა? – საკითხავი, აი, ეს არის!

**განხილულ განცხადებაში ახალი თითქოს არაფერია, ბიძინა ივანიშვილს ადრეც არაერთგზის უთქვამს, რომ პოლიტიკაში დიდხანს დარჩენას არ აპირებს, თუმცა ეს ნაწყვეტი ინტერვიუდან მაინც მნიშვნელოვანია, რადგან პრემიერ-მინისტრმა ადრე გამოთქმული აზრი ძალზე მკაფიოდ დააფიქსირა, იმ ფორმით, რომელიც მრავალფეროვანი ინტერპრეტირების შესაძლებლობას არ ტოვებს, თანაც ამჯერად მიანიშნა უფრო ახლო ვადაზე, ვიდრე ადრე, როდესაც კომენტატორები მის რეპლიკებზე დაყრდნობით ასკვნიდნენ, რომ ივანიშვილი თანამდებობას 2014-15 წლებში დატოვებს.**

საუბარი ამ თემაზე ივანიშვილმა ჯერ კიდევ 2011 წლის 7 ოქტომბრის განცხადებაში დაიწყო, როდესაც საზოგადოებას არამხოლოდ პოლიტიკაში მოსვლის, არამედ პოლიტიკიდან შემდგომი წასვლის შესახებ აუწყა, მაგრამ საყოველთაო აჟიოტაჟის გამო, პირველმა თემამ მეორე მთლიანად გადაფარა. **„დავრწმუნდი, რომ პირადი მონაწილეობის გარეშე ძალიან გაჭირდებოდა საჭირო შედეგის მიღება, ამიტომაც გადავწყვიტე, გარკვეული დროის განმავლობაში, დაახლოებით 2-3 წელი, პირადად გავუწიო კოორდინაცია შემდეგ პოლიტიკურ პროცესებს“**, — წერდა მაშინ ივანიშვილი; შემდეგ მოდიოდა დასახული მიზნების ჩამონათვალი, რომელთა შორის იყო: საპარლამენტო არჩევნების აბსოლუტური უმრავლესობით მოგება, ქვეყნის მართვის ოპტიმალური მოდელის შემუშავება და დემოკრატიისთვის აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება, ახალი მთავრობის ჩამოყალიბება, მისი ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ელიტარული კორუფციის აღმოფხვრა, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნის დაწყება, წინაპირობების შექმნა სეპარატისტულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენისთვის, ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს შექმნა და ბიზნესის აღორძინება, სოფლის მეურნეობის აღორძინების პროექტის ბოლომდე მიყვანა, ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებისა და მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების შექმნის პროექტის **„რეალობასთან დაახლოება“**, რუსეთთან ურთიერთობების დალაგების დაწყება, აშშ-თან და ევროკავშირთან მეგობრობისა და ინტეგრაციის გაღრმავება. ამ ჩამონათვალის შემდეგ ივანიშვილი წერდა: **„ჩემი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებას დაახლოებით ორიდან სამ წლამდე დასჭირდება. ამის შემდეგ მე ვაპირებ, წავიდე პოლიტიკიდან, რათა აქტიური მონაწილეობა მივიღო ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის განვითარებაში“**, და იქვე მიუთითებდა მთავარ მიზეზზე, რომელიც ამისკენ უბიძგებდა: **„პრობლემა პრეზიდენტებში კი არა, საზოგადოებაშია. უნდა ვაღიაროთ, რომ უძველესი კულტურის საზოგადოება დღეს პოლიტიკური კულტურის ნაკლებობას განიცდის. ჩვენ, საზოგადოებამ უნდა ვისწავლოთ, როგორ უნდა ავირჩიოთ და უფრო მნიშვნელოვანი — როგორ ვაკონტროლოთ სახელმწიფოს მეთაური და მისი მთავრობა... უახლოეს მომავალში ჩვენ უნდა შევძლოთ და ჩამოვაყალიბოთ სამოქალაქო საზოგადოების ის კრიტიკული მასა (რომლის განვითარებასაც შემდგომში წლები და ათწლეულები დასჭირდება), რომელსაც ნებისმიერმა მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს“.**

მთავარი, ზეპრიორიტეტული ამოცანა, სააკაშვილის რეჟიმის დასამარება, შესრულებულია. რაც შეეხება სხვა საკითხებს, თუ თვალს გადავავლებთ 2011 წლის ოქტომბერში დასახული მიზნების ჩამონათვალს, ვნახავთ, რომ იქ საუბარი, როგორც წესი (მცირე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით), არა პროცესების ბოლომდე მიყვანას, არამედ მხოლოდ მათ დაწყებას, იმპულსის მიცემას ეხება. **ჩვენ შეგვიძლია ვიდავოთ იმაზე, თუ რამდენად სერიოზული იყო იმპულსი ამა თუ იმ სფეროში და გახადა თუ არა მან შესაბამისი პროცესი შეუქცევადი, თუმცა, ფორმალური თვალსაზრისით, მოკლებულნი ვიქნებით შესაძლებლობას, მოვედავოთ ივანიშვილს დაპირების შეუსრულებლობის გამო, რადგან ის მხოლოდ პროცესების დაწყებაზე საუბრობდა.** ამ ნიუანსს საზოგადოებამ მაშინ ყურადღება არ მიაქცია, მეტიც, ის არ ეკიდებოდა სრული სერიოზულობით ივანიშვილის განცხადებას თანამდებობიდან წასვლის შესახებ, რადგან „ნაციონალების“ მმართველობის წლებში საყოველთაოდ დამკვიდრდა მიდგომა, რომლის ფარგლებში ხელისუფლებაში ყოფნა განიხილებოდა, როგორც უმაღლესი ჯილდო, მიზანი, რომელიც ყველა, მათ შორის ყოვლად უსინდისო, საშუალებას ამართლებს; მიჩნეული იყო, რომ პოლიტიკური ოლიმპოს მწვერვალზე მოხვედრილი ადამიანი, მას ცოცხალი თავით არ დატოვებს. **ივანიშვილის წასვლა თანამდებობიდან, სხვა ყველაფერთან ერთად, ღირებულებათა ამ (უკიდურესად მანკიერ) სისტემას სერიოზულ დარტყმას მიაყენებს.**

**ცხადია, ივანიშვილი არ აპირებს სრულად გაემიჯნოს პროცესებს და კომბოსტოს მოყვანით დაკავდეს, როგორც ეს, თავის დროზე, დიოკლეტიანემ გააკეთა** (იქამდე კი, ნახევრადლეგენდარულმა ცინცინატუსმა). **ის, დაპირების თანახმად, კოორდინაციას გაუწევს არასამთავრობო სექტორს, გააძლიერებს მას და მისი მეშვეობით ხელისუფლებას გააკონტროლებს.** ის, ძალიან დიდი ალბათობით, არ იქნება ივანიშვილის ერთადერთი ბერკეტი, კვლავაც ექნება არაფორმალური გავლენა ხელისუფლებაში დარჩენილ პოლიტიკოსებზე, ხოლო იმ საკვანძო პოზიციებს სისტემაში, რომლებიც მის მდგრადობას უზრუნველყოფს, სავარაუდოდ, უშუალოდ ივანიშვილზე დამოკიდებული თანამდებობის პირები შეინარჩუნებენ (ირაკლი ღარიბაშვილი და სხვები). **ბიძინა ივანიშვილი, ნებისმიერ შემთხვევაში, დარჩება ქვეყნის პირველ პირად, ერთგვარ „მთავარ არბიტრად“, რომელიც სხვადასხვა ჯგუფის ტაქტიკურ დაპირისპირებებზე მაღლა დგას, ოღონდაც პოსტისა და ოფიციალური სტატუსის გარეშე, რაც გულისხმობს გათავისუფლებას დამღლელი წარმომადგენლობითი ფუნქციებისგან და ყოველდღიური რუტინული საქმეებისგან, რაც, იდეაში, სტრატეგიულ საკითხებზე კონცენტრაციას აიოლებს.** მსგავსი მაგალითის მოძებნა სხვა ქვეყნების ისტორიაში არც ისე მარტივია, პარალელი დენ სიაოპინთან, რომელიც, ერთის შეხედვით, ზედაპირზე დევს, ალბათ, მაინც არამართებულია, ჩინეთისა და მისი პოლიტიკური სისტემის სპეციფიკა მკვეთრად განსხვავებულია.

## ბელადომანიის ხაფანგი

**„ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა დიდ ნაწილს ივანიშვილის ეს გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, არ მოეწონება, მეტიც, ზოგიერთი მათგანი, კერძოდ ის, ვინც შინაგანად ორიენტირებულია „ბელადისტურ მოდელზე“, შეიძლება დაუპირისპირდეს ივანიშვილს და პასუხისმგებლობისგან გაქცევაში დაადანაშაულოს.**

თუმცა ამ კონტექსტში საინტერესო იქნება ერთი კითხვის დასმა: **სად არის სარდლის ადგილი ბრძოლის დროს?** კრიტიკულ მომენტში (ქართულ პოლიტიკაში — 2012 წლის არჩევნები) ის შეიძლება სათავეში ჩაუდგეს თავგანწირულ შეტევას, თუმცა შედარებით მშვიდ სიტუაციაში მან ზურგში, შტაბში უნდა გადაინაცვლოს, საიდანაც გაცილებით ეფექტურად მართავს ჯარს და დაცული იქნება მოწინააღმდეგის ტყვიებისგან (სააკაშვილის ლობისტების კრიტიკისგან, უკმაყოფილებისგან ლოკალურ ეპიზოდებთან დაკავშირებით და ა. შ.); რაც უფრო ეფექტური მოქმედების შესაძლებლობა აქვს სარდალს, მით უფრო დაცულია თითოეული ჯარისკაცი და ქვეყანა, რომელსაც ისინი იცავენ. შეიძლება სხვა, შედარებით „მშვიდობიანი“ მაგალითის მოყვანაც, მშენებლობის ხელმძღვანელი, რომელიც მთელი დღე თუნდაც სტახანოვური ტემპით მუშებთან ერთად აგურებს დებს, გაცილებით ნაკლებს მიაღწევს, ვიდრე მისი კოლეგა, რომელიც ლოჯისტიკურ საკითხებს აგვარებს და ხედავს არა ცალკეულ მონაკვეთებს, არამედ მშენებლობას მთლიანობაში.

**სახელმწიფოს მართვის ხელოვნება ხანდახან არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს. თავად სახელმწიფო კი გაცილებით დიდი რამ არის, ვიდრე მმართველი პარტია ან აღმასრულებელი ხელისუფლება; „ნაციონალები“ ცდილობდნენ მათ შორის საზღვრების წაშლას ან არ ესმოდათ, რომ ეს საზღვრები საერთოდ არსებობს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ რეალობა შეცვალეს.**

დემოკრატიული სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოების გარეშე სხვა არაფერია, თუ არა ქიმერა — **პოლიტიკური, ფინანსური და ძალოვანი ელიტები, იმ შემთხვევაში, თუ უკონტროლონი დარჩებიან, ადრე თუ გვიან მიაღწევენ გარიგებას მოსახლეობისა და მისი უფლებების ხარჯზე, რაც მორიგი მახინჯი დიქტატურის ფორმირებით დასრულდება.** ყოველივე თქმული არ ნიშნავს, რომ ივანიშვილმა კარგი ან ცუდი გადაწყვეტილება მიიღო (საერთოდ, მსჯელობა პოლიტიკაზე ამ კატეგორიებით არ შეიძლება), თუმცა ის უდავოდ რაციონალურია, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების რეალური გაძლიერების შემთხვევაში პერსპექტივაში კარგ შედეგებსაც მოიტანს.

საინტერესოა, რომ საქართველოში ხშირად პოლიტიკად აღიქმება მხოლოდ მისი საჯარო ნაწილი, თავისი პერსონაჟებით, ტელეკამერებითა და თეატრალიზებული ისტერიკებით. ეს იმიტაცია ვერანაირად ვერ ჩაანაცვლებს ნამდვილ პოლიტიკას, რომელსაც აისბერგივით ხილულზე გაცილებით დიდი უხილავი ნაწილი აქვს, და მისი ფორმირების მექანიზმებს. **ალბათ, გავა წლები, ვიდრე საზოგადოება დარწმუნდება, რომ სახელმწიფოს მართვა ავანსცენაზე მუდმივ ყოფნას არ მოითხოვს და ის გაცილებით მრავალფეროვანი, საინტერესო და საპასუხისმგებლოა. საერთოდ კი, როდესაც პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, სასურველია, დავადგინოთ, თუ რა შინაარსით ავსებს ამ სიტყვას თითოეული ჩვენგანი; საქართველოში მიდგომა მის მიმართ, ხშირ შემთხვევაში, დიამეტრალურად განსხვავებულია.**

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის გადაწყვეტილების სასარგებლოდ არაერთი არგუმენტის მოყვანა შეიძლება, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა უმრავლესობა მას, დიდი ალბათობით, არ მოიწონებს. პრემიერ-მინისტრს დიდი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება დასჭირდება იმისთვის, რათა ისინი ამ აზრს შეეგუონ, დამშვიდდნენ და დარწმუნდნენ, რომ არანაირი ტრაგედია არ ხდება და გადადგომას ემოციური ამოფრქვევის გარეშე შეხვდნენ, რომელმაც პოლიტიკურ სიტუაციაზე შეიძლება დესტრუქციული ზემოქმედება მოახდინოს.

## ვინ დარჩება „მარტო სახლში“?

**როდესაც ბიძინა ივანიშვილი თანამდებობას დატოვებს, დაბალი რეიტინგის მქონე რესპუბლიკელე-** ▶

**2012 წლის არჩევნების შემდეგ შექმნილი გარდამავალი სისტემა ბუნებრივ და საკმაოდ სერიოზულ ტრანსფორმაციას განიცდის და არამხოლოდ ბიძინა ივანიშვილზე, არამედ საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მიგვაახლოებს ეს პროცესი დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს შექმნასთან.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ბი და ალასანიას ჯგუფი თავისი ოპონენტების პირისპირ დარჩებიან, რომელთაც დღეს მხოლოდ ხელისუფლების სათავეში ივანიშვილის ყოფნა აკავებს. 99%-იანი ალბათობით, მაქსიმუმ ერთ წელიწადში მათ წინააღმდეგ წავა კონსერვატორების, ტრადიციონალების, ნაციონალების (აქ იგულისხმება იდეები და არა შესაბამისი სახელწოდებების მქონე პარტიები), აგრეთვე, დასავლეთთან უკანმოუხედავი დაახლოების მოწინააღმდეგეთა საკმაოდ მოცულობითი მასა და მისი ლიდერები ჩაჩოჩებას მოსთხოვენ ალასანია-რესპუბლიკელებს, რომელთა შანსები ამ დაპირისპირებაში საკმაოდ არადამაჯერებლად გამოიყურება.**

ზოგიერთმა „მიშისტმა" კონსპიროლოგმა („ნაცმოძრაობას" ამ მომენტისთვის, სავარაუდოდ, არანაირი წონა აღარ ექნება და, თუ იარსებებს, სადღაც პროცესების პერიფერიაზე იტივტივებს) ამ პერსპექტივაზე საუბრისას შეიძლება თქვას: „სწორედ ამაში მდგომარეობს ივანიშვილის მზაკვრული გეგმა", თუმცა, ალბათ, უნდა შევთანხმდეთ, რომ ეს არა რაღაც შეთქმულება, არამედ პროცესების სავსებით ბუნებრივი განვითარება იქნება. ის ჯგუფები, რომელთაც სააკაშვილი ხელოვნურად ზღუდავდა, დემოკრატიის (ალბათ მაინც, განვითარებადი დემოკრატიის) პირობებში, ხელისუფლებაში თავისი მხარდამჭერების რაოდენობის პროპორციულ ადგილს მოითხოვენ და არაბუნებრივი ამაში არაფერია. **ქვეყნის ლიდერს ამ სიტუაციაში შეუძლია აირჩიოს, გახდება თუ არა ის მხარე დაპირისპირებული თუ არბიტრის მანტიას მოირგებს. თუ ივანიშვილი თანამდებობაზე დარჩება, ის ადრე თუ გვიან ნამდვილად გახდებოდა მხარე, მას კი ეს პერსპექტივა, როგორც ჩანს, არ ხიბლავს და, სავარაუდოდ, ურჩევნია დარჩეს მთელი ერის ლიდერად, თავის ლიბერალ-კონსერვატორებიანად და მართოს სახელმწიფო მთლიანობაში, იმის ნაცვლად, რომ თავისი რესურსი და რეიტინგი განსხვავებული ორიენტაციის მქონე ჯგუფების** (არსებითად ლოკალურ) **დაპირისპირებაში დახარჯოს. ცხადია, ეს მხოლოდ ერთი** (თუმცა საკმაოდ საინტერესო) **ასპექტია იმ სიტუაციისა, რომელიც თანამდებობიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ შეიქმნება.**

რეალურად, პოსტის დატოვების მიუხედავად, ივანიშვილი არსად მიდის — ივანიშვილი რჩება. მაგრამ ის ცვლის პოლიტიკაში მონაწილეობის ფორმას და ირჩევს პოზიციას, საიდანაც ქვეყნის უფრო ეფექტური მართვა შეეძლება. ამის შედეგად **2012 წლის არჩევნების შემდეგ შექმნილი გარდამავალი სისტემა ბუნებრივ და საკმაოდ სერიოზულ ტრანსფორმაციას განიცდის და არამხოლოდ ბიძინა ივანიშვილზე, არამედ საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მიგვაახლოებს ეს პროცესი დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს შექმნასთან.**

**დიმიტრი მონიავა**

# ქვეყანას ისტორიული ამოცანების შესაფერისი პრეზიდენტი სჭირდება

**პრობლემებით დატვირთული საქართველო ახალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება. როგორც წესი, კანდიდატთა სიმცირე არც ამჯერად შეინიშნება. ამ მხრივ წინ მრავალი სიურპრიზი გველოდება, მაგრამ მთავარი ამჯერად სხვა რამაა: საქმე ის არის, რომ მმართველი კოალიციის კანდიდატმა, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა საჯარო თვითუარყოფის ისეთი მაგალითი გვიჩვენა, რომლის მსგავსიც, ალბათ, აქამდე არსად არავის უნახავს: „მე პლასტილინივით კაცი ვარ", „ტყუილს ვერ გეტყვით და პრემიერის გაკრიტიკებას ვერასოდეს შევძლებ, იმიტომ, რომ მისგან დავალებული ვარ"...**



როგორ უნდა შევაფასოთ ბატონ გიორგი მარგველაშვილის ეს განცხადებები? რას გვეუბნება ასე ფართოდ „გახსნილი" და შესაშური გულწრფელობით აღსავსე კანდიდატი? პასუხს აქვე მოგახსენებთ: ბატონი მარგველაშვილი პირდაპირ და შეუფარავად გვიმხელს, რომ ის პრეზიდენტობისთვის მზად არ არის, მეტიც: **კანდიდატი გულახდილად ამბობს, რომ მოკლებულია ელემენტარულ პიროვნულ ღირსებას და „პლასტილინივით" დამყოლი და ელასტიური არსებაა. ასეთი, უკაცრავად, „მოღვაწე", შეუძლებელია, ქვეყნის პრეზიდენტი იყოს. ის უფრო სიბრალულისა და თანაგრძნობის ღირსია, ვიდრე პრეზიდენტად არჩევისა...**

საქართველოს ახლანდელი მდგომარეობა ნამდვილად არ არის სახარბიელო. ეს ფაქტი არავისთვისაა დაფარული. ქვეყანა სიღატაკის ზღვარზე იმყოფება, ის მოკლებულია როგორც ტერიტორიულ, ისე ეთნოფსიქოლოგიურ ერთიანობას, მიწასთანაა გასწორებული ეკონომიკა, მოუწესრიგებელია საგარეო ურთიერთკავშირები, დარღვეულია კომუნიკაცია ხალხსა და სახელმწიფოს შორის, სუსტია ცალკეული სახელისუფლო უწყებები, მმართველობის ყველა დონეზე გაბატონებულია არაკომპეტენტურობა, ზერელობა, მოქალაქეებისადმი გულგრილი და ხშირად ცინიკური დამოკიდებულება. მოკლედ, გალაკტიონის თქმისა არ იყოს, „ყველაფერი ძლიერ ცუდად არის"...

ასეთ ვითარებაში ქვეყანას სჭირდება ისტორიული ამოცანების შესაფერისი პრეზიდენტი, წინამძღოლი, რომელიც უნდა განასახიერებდეს ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიულ ცნობიერებას. **პრეზიდენტი აუცილებლად უნდა იყოს აღჭურვილი საერთო ეროვნული ნდობის მანდატით და წარმოადგენდეს ექვმიუტანელ მორალურ ავტორიტეტს. მას უნდა ესმოდეს ხალხისა და ხალხს უნდა ესმოდეს მისი... პრეზიდენტი უნდა იყოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის რეალური გარანტი, ის ყოველდღიურად უნდა ზრუნავდეს მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე და ამასთან ერთად, მუხლჩაუხრელად ილვწოდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. თქმა არ უნდა, რომ პრეზიდენტი უნდა იყოს ღრმად განსწავლული პიროვნება, ერთგვარი კულტურტრეგერი, ჰუმანისტი და პატივისცემის აღმძვრელი ისეთი თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი, რომელიც შინ და გარეთ ანგარიშგასაწევ ფიგურად იქნება აღიარებული. საქართველოს პრეზიდენტი მაღლა უნდა იდგეს სიხარბეზე, პატივმოყვარეობასა და სხვა ისეთ სისტუსტეებზე, რომელსაც ასე უხვად ავლენენ ჩვენში კატასტროფულად მომრავლებული ფსევდოპოლიტიკოსები.**

ამ თვალსაზრისით, **ჩემთვის და ჩემი თანამოაზრეებისთვის ყველაზე შესაფერის კანდიდატურას წარმოადგენს ალექსანდრე ჭაჭია, პიროვნება, რომლის პატრიოტული ცნობიერება და პოლიტიკური აზროვნების მასშტაბები ზედმიწევნით შეესაბამება საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ბატონი ალექსანდრე აფხაზეთის მკვიდრია და ღრმად აქვს განცდილი იმ კონფლიქტების სიმწვავე, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის რღვევა გამოიწვია. ბატონი ალექსანდრე ცნობილია თავისი კეთილისმყოფელი კავშირებით როგორც შიდა რეგიონების, ისე პოსტსაბჭოთა სივრცის მასშტაბით. უმთავრესი კი ის არის, რომ მას ძალუძს, რეალური ნაბიჯები გადადგას ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების გზაზე.**

ალექსანდრე ჭაჭიამ თავისი განვლილი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ პოლიტიკურ კარიერაზე ზრუნვა უცხოა მისი პრინციპებისთვის. ამჯერად ჩვენ დაბეჯითებით მივმართავთ მას: **ბატონო ალექსანდრე, თქვენ საქართველოს სჭირდებით, თქვენი პრეზიდენტობა თქვენი მამულიშვილობის კიდევ ერთი დასტური იქნება!**

**გივი ბერძენიშვილი**
აკადემიკოსი, მწერალი

# აშშ-მა თალიბებს შემოსარიგებლად ყატარში საელჩო გაუხსნა, საქართველო კი მათ სამიზნედ დარჩა

**დაუჯერებელი ამბები ხდება აღმოსავლეთში: ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, დაიწყოს მოლაპარაკება უშუალოდ მოძრაობა „თალიბანის" წარმომადგენლებთან. ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ყატარში წარგზავნის თავისი ქვეყნის წარმომადგენლებს თალიბანთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გასამართად.**

მოლაპარაკებისთვის მზადყოფნა, რომელიც სამმა მხარემ: აშშ-მა, თალიბანმა და ავღანეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ გამოთქვა, უკვე ბევრის მთქმელია. სანამ პერსპექტივას შევეხებით, გავარკვიოთ, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ხმალამოღებით მებრძოლმა აშშ-მა რატომ გადაწყვიტა თალიბანთან მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყება, იმ ძალასთან, რომლის ბატონობის პერიოდში სწორედ ამერიკამ შეიყვანა თავისი შეიარაღებული ძალები ამ ქვეყანაში მისი „დემოკრატიული მორჯულების" მიზნით.

**პირველი და უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ ამერიკამ, როგორც დაჟინებით ამტკიცებენ ექსპერტები, აღიარა, რომ წააგო ომი ავღანეთში.**

და აქვე იბადება პირველი და მთავარი შეკითხვა: **ქართული შეიარაღებული ძალების კონტინგენტი წაგებულ სხვის ომში რატომ იბრძვის? დამარცხებული მხარის პრესტიჟის დაცვას უნდა შეაკლას ქართველი ჯარისკაცები?**

უადგილო და ბრიყვულია ასეთ ვითარებაში იმის თქმა, რომ ავღანეთში ჩვენი ბიჭები საქართველოსთვის იბრძვიან.

აი, აშშ კი უკან იხევს იმის სრული შეგნებით, რომ ომი წაგებულია და ეძებს იმ ძაფებს, რომლებიც მისი კონტინგენტის ავღანეთიდან გამოსვლის შემდეგ დაეხმარება ამ ქვეყნის შემორიგებაში.

**ჩვენ — საქართველო რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებით? მტრისას!** რადგან სააკაშვილის თავგამოდება, რაც შეიძლება მეტი ჯარისკაცის გაგზავნით თავისი ერთგულება და პროამერიკელობა დაემტკიცებინა ჯერ ჯორჯ ბუშისთვის, ახლა ობამასთვის (რომელსაც მიშა სულაც არ აინტერესებს), ერთადერთ პერსპექტივას გვისახავს: **მოჯაჰედების სამიზნე ქვეყნად დარჩენის პერსპექტივას.**

აშშ ეძებს თალიბანის შემორიგების გზებს, მაგრამ, როგორც ექსპერტები მიიჩნევენ და მათ მხარს უბამენ ამერიკის ოფიციალური პირები, ამ ეტაპზე ვერც პირველ ნაბიჯებზე ვილაპარაკებთ, მით უფრო, მოსალოდნელ წარმატებაზე, რადგან **„წარმატების არავითარი გარანტია არ არსებობს".**

ისიც გასათვალისწინებელია, რომ თალიბებმა შეიძლება თავისებურად გაიგონ მოსალოდნელი კონტაქტების აზრი, განსხვავებით ამერიკელებისგან და ავღანელებისგანაც კი.

ამერიკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, თალიბებთან მოლაპარაკების ერთ-ერთი თემა იქნება ტყვეების გაცვლის საკითხიო. მაგრამ ჯერ არავინ იცის, დათანხმდებიან თუ არა ამას მოჯაჰედები, რადგან **მათი მოთხოვნები მაქსიმალისტურია: „ავღანეთის ისლამურ ემირატს თავის რელიგიურ და ეროვნულ მოვალეობად მიაჩნია, გაათავისუფლოს საკუთარი ქვეყანა ოკუპაციისგან და ყველა კანონიერი უფლება გამოიყენოს ამ მიზნის მისაღწევად... რადგან ყველა ხალხი ღირსია იმისა, რომ დაიცვას საკუთარი თავისუფლება იმპერიალიზმისგან და მოიპოვოს თავისი უფლებები".**

ესე იგი, — ჯერ ამერიკელების ოკუპაციისგან ავღანეთის ტერიტორიის გათავისუფლება, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთო.

**ძნელი წარმოსადგენია, რომ თალიბები დათანხმდნენ „ალ ქაიდასთან" ურთიერთობის გაწყვეტაზე, „უარი თქვან ძალადობაზე" და მიიღონ ამერიკელების კონსტიტუცია.**

ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას" წყარო იტყობინება, რომ **ყარზაი გრძნობს, როგორ გაწირავს მას აშშ-ის ადმინისტრაცია, რომელიც მზად არის, მსხვერპლად შესწიროს საკუთარი მარიონეტი თავის ამოცანას — რაც შეიძლება მალე გამოვიდეს 12-წლიანი ავღანური კოშმარიდან.**

ნატოს გენერალური მდივანი **ანდრეს ფონ რასმუსენი** თანახმაა, გამართოს მოლაპარაკება მოჯაჰედებთან, მაგრამ თალიბებმა უნდა გაწყვიტონ კავშირი „ალ ქაიდასთან" და პატივი სცენ აშშ კონსტიტუციას.

მაგრამ **„ასნარ ად-დინის" ამირმა იად ალ ჰალაიმ** განაცხადა, რომ მოჯაჰედები არავის მისცემენ უფლებას, უკარნახონ მათ დაზავების პირობები.

აშშ-ის ეროვნული ინტერესების ცენტრის სპეციალისტი რაიან ევანსი დარწმუნებულია, რომ თალიბები არასოდეს იტყვიან უარს „ალ ქაიდასთან" თანამშრომლობაზე. ამას ისტორია ადასტურებს და ჩვენც უნდა დავეთანხმოთ.

ძნელია აღმოსავლეთში კომპრომისების მიღწევა...

**ჩვენი კომპრომისი კი ავღანეთიდან ქართული ჯარის ნაწილების გამოყვანაა.**

**რატომ უჭირს ახალ ხელისუფლებას ამის გაკეთება, ადვილი მისახვედრია, ძნელი გასაკეთებელიც არ არის.**

**გარისკეთ, ბატონებო!**

**არმაზ სანებლიძე**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95










# რა ახალი სამალავი აღმოაჩინა კახა მიქაიამ?

# ვის დაკავებას ითხოვს ბექან გუნავა?

**გასულ ზაფხულს, არჩევნების წინ ყველას გვახსოვს რამდენიმე პრესკონფერენცია და ფართოდ გახმაურებული ინფორმაცია სამეგრელოში ზონდერჯგუფებისა და ნახევრადგასამხედროებული ბაზების არსებობის შესახებ. მაშინ ეს წინასაარჩევნო პროპაგანდად მოინათლა, თუმცა, როგორც ამბობენ, სამეგრელო დღესაც იმ ხალხის გავლენის ქვეშ იმყოფება, რომლებმაც არჩევნები მოიგეს არც ისე დიდი ხნის წინ...**

**„საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრა „დაიცავი საქართველოს" წევრი კახა მიქაია.**



## კახა მიქაია: სააკაშვილი ამ კადრებს თავის კაბინეტში უყურებდა

— რამდენიმე დღის წინ ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელში საკმაოდ მიუვალ, სამხედრო თვალსაზრისით სტრატეგიული მნიშვნელობის არმქონე ადგილას სამხედრო ტომრებით შემორაგული სახლი აღმოვაჩინე. ამ კონსპირაციული სახლის ირგვლივ ტყე იყო. სახლში ჯემპრები, ქურთუკები, შარვლები და საცვლები აღმოვაჩინეთ. **ერთ-ერთი შარვალი პიკანტურ ადგილას იყო გახვრეტილი... კედელზე გარკვევით ეწერა რამდენიმე სახელი: ბალუ, ლაშა, ზაზა... ვფიქრობ, ეს არის კონსპირაციული სახლი, რომელშიც ნებაყოფლობითი რეზერვის საფარქვეშ მყოფი ადამიანები იკრიბებოდნენ.** ეს გუნავას, ახალაიებისა და ქარდავას მიერ მიხეილ სააკაშვილის დავალებით შექმნილი ჯგუფი იყო, რომელსაც როლანდ ახალაია ხელმძღვანელობდა. ჩვენ ამ სახლის ადგილმდებარეობა არ გავამხილეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ტერიტორია საჭიროებს დამუშავებას, იქ შეიძლება იარაღიც იყოს. გადაღებული ვიდეომასალა შსს-ს გადავეცით. ვფიქრობ, ზონდერჯგუფებმა ეს სახლი არჩევნების შემდეგ დატოვეს.

**— ბალუ ვინ არის, თუ იცით?**

— რა თქმა უნდა, ვიცი. **ისინი არიან ის ცნობილი ადამიანები, რომლებიც ზონდერ ჯგუფებში იყვნენ, მაგრამ მეტს არაფერს ვიტყვი – გამოძიებას არ დავასწრებ, გამოიძიოს, ვინ არიან, როგორ არიან და რანაირად არიან. იცით, ლევან ქარდავა ვინ არის? — მეგის ქარდავას ძმაა. ახლა ლევან ქარდავას რომ აბრალებს პრეზიდენტი, მან ჩაუშვა ესენიო, ძმა ჩაუშვა ძმამ?** ფაქტია, პრეზიდენტი ტყუის. ქარდავები, გუნავები და ახალაიები არაფერს წარმოადგენდნენ. ისინი ხალხად, თუ შეიძლება მათ ხალხი ეწოდოს, სააკაშვილმა აქცია. მანამდე მათ საზოგადოება არც იცნობდა. როლანდ ახალაია ერთი უბრალო გამომძიებელი იყო, რაც შეეხება მეგის ქარდავას, ის საბურავის ქურდი იყო. დიახ, საბურავის ქურდი, ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. მეგის ქარდავა სერგო ჩაჩიბაიას დაჭერილი ჰყავს საბურავის ქურდობაზე. ლევან ქარდავა კი, გითხარით, ვინც არის, მეგის ქარდავას ძმაა, ისიც ისეთივე ნაძირალაა. სააკაშვილმა, აი, ეს ნაძირალები მოიყვანა ხელისუფლებაში. **ვინც დასვამს კითხვას, — არის ეს სისტემური დანაშაული თუ არა, ის ან პროვოკატორია, ან ბრიყვი. რა თქმა უნდა, ეს სისტემური დანაშაულია, ეს მიხეილ სააკაშვილის მიერ შექმნილი სისტემაა, რომელიც ძალადობაზე, ადამიანის წამებაზე, გაუპატიურებასა და გატაცებაზეა დაყრდნობილი. ამის თავი და თავი მიხეილ სააკაშვილია.**

**— „ნაციონალები" კი აცხადებენ, რომ არაფერი იცოდნენ, თურმე მერაბიშვილიც არ ყოფილა საქმის კურსში...**



— რომელი საუკუნეა, რა არ იცოდნენ?! სააკაშვილმაც, მერაბიშვილმაც, ახალაიებმაც და მეგის ქარდავამაც ყველაფერი კარგად იცოდნენ. ერთი რამ მინდა იცოდეს ყველამ: დაბალი რანგის პოლიციელები სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ახალაიების სანქციის გარეშე ვერაფერს გაბედავდნენ. ვიმეორებ, ეს მიხეილ სააკაშვილის მიერ შექმნილი ძალადობრივი სისტემაა. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ და ვფიქრობ, უსამართლობაა მხოლოდ შემსრულებლების დაჭერა, მაშინ, როცა სააკაშვილი პრეზიდენტია, გუნავა — გუბერნატორი, ახალაია — დეპუტატი და ვანო მერაბიშვილი კი თითქმის პოლიტპატიმრადაა გამოცხადებული; **პირველ რიგში, სისტემის შემქმნელი მიხეილ სააკაშვილი და მისი ე. წ. ვერხუშკა: მერაბიშვილი, ახალაიები, ადეიშვილი, გუნავა და ბოკერია უნდა დაისაჯონ.**

**— რისთვის სჭირდებოდათ ეს ჩანაწერები და იარაღის ის არსენალი, რომელიც ვნახეთ?**

— ჩანაწერები — შანტაჟისთვის. **ჩვენ გვქონდა საქმე არამხოლოდ მოძალადეებთან, არამედ ავადმყოფებთანაც, ადამიანებთან, რომლებიც ხალხის წამებას იღებენ და შემდეგ უყურებენ, დიახ, სააკაშვილი ამ კადრებს თავის კაბინეტში უყურებდა.**

**— კიდევ ხომ არ არის ასეთი სამალავები, თქვენც ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას ინფორმაცია ახალაიამ მიაწოდა?**



— დარწმუნებული ვარ, ბევრი სამალავი იქნება და არამხოლოდ სამეგრელოში. ამ ზონდერჯგუფებს ახალაია მარტო სამეგრელოში არ ქმნიდა. იყო ასეთი ვარიანტი – თუ „ნაცები" გაყალბებით მოიგებდნენ არჩევნებს, ხალხი გამოვიდოდა ქუჩაში და ამ ზონდერჯგუფებს დაუპირისპირებდა. ეს მხოლოდ ერთი მიზნისთვის იქმნებოდა — ძალადობრივი მეთოდებით ხელისუფლების შენარჩუნებისთვის. აი, ეს არის მთავარი მოტივი ამ ზონდერჯგუფების შექმნისა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელისუფლებას დათა ახალაიამ მიაწოდა სამალავის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია. მე ამას გამოვრიცხავ.

**„საქართველო და მსოფლიო" „ქართული ოცნების" წევრს — ბექან გუნავასაც ესაუბრა.**

## ბექან გუნავა: სასულიერო პირებზეც ბევრი შემზარავი მასალა გააჩნდა შსს-ს

— „ნაციონალურ მოძრაობას" უნდა, დაამტკიცოს, რომ ეს არ იყო სისტემური დანაშაული. არადა, სისტემურ დანაშაულთან გვაქვს საქმე. სისტემა თავიდან ბოლომდე ასეთ ქმედებებზე იდგა. **სააკაშვილის რეჟიმი უნდა გასამართლდეს. რაც შეეხება იარაღის არსენალს, დიდი ფანტაზიის უნარი აქვს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, მან საქართველოში 9 წლის განმავლობაში უამრავი პროვოკაცია მოაწყო და ეს იარაღის არსენალიც, ალბათ, მორიგი პროვოკაციისთვის სჭირდებოდა.**

**როგორც ვიცი, არამარტო ოპონენტებზე ჰქონდათ ჩანაწერები, არამედ თავიანთ თანაგუნდელებსა და სასულიერო პირებზეც. ბევრი შემზარავი მასალა გააჩნია შსს-ს.**

ვფიქრობ, ეს არის სრული ლუსტრაცია იმისა, თუ ვისთან ჰქონდა ქართველ ერს საქმე. რაც შეეხება იმას, თუ ვინ მიაწოდა ხელისუფლებას ინფორმაცია ამ სამალავის თაობაზე, არა მგონია, რომ ეს ინფორმაცია ახალაიას მიეწოდებინა, ის იმ ტოტს არ მოჭრიდა, რომელზეც ზის. ახალაიას გარეშე, ბუნებრივია, ასეთი ქმედებები ვერ განხორციელდებოდა.

**— როგორ ფიქრობთ, ვინ გასცა ინფორმაცია?**

— ჩემი აზრით, ლევან ქარდავამ — მეგის ქარდავას ძმამ. დიახ, ეს ინფორმაციები, ალბათ, უფრო აქედან მოდის. ქარდავა საკუთარი თავის გადასარჩენად ამას ნამდვილად გააკეთებდა, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შსს-მ საკმაოდ კარგად იმუშავა. დარწმუნებული ვარ, ის თითო-ოროლა ადამიანი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" მომხრე იყო (ილუზიებში იმყოფებოდნენ), განუდგება მათ. „ნაციონალური მოძრაობის" სრული ლუსტრაცია მოხდა. ვფიქრობ, ეს არის ისეთი სკანდალი, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში იქნება. **ამ ადამიანებმა, რომლებიც წლების განმავლობაში ატყუებდნენ ერს, შექმნეს ისეთი რეჟიმი, როგორიც უახლეს ისტორიაში, ალბათ, არ ყოფილა, რაღაც ქართული, ასე ვიტყოდი, ფაშისტურ-პროვინციული რეჟიმი, რომელმაც ბევრი ადამიანი გაამწარა და ძალიან კარგია, რომ ეს ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ გამოაშკარავდა. აქვე გეტყვით, რომ მე პირადად, წინააღმდეგი ვარ ამ ფირების განადგურების, მანამ, სანამ ყველა ის ადამიანი, რომელმაც ამ ფირების შექმნაში მიიღო მონაწილეობა, არ აგებს პასუხს კანონის წინაშე მთელი სიმკაცრით.**

აი, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განადგურდეს ეს ფირები. როგორც ჰიტლერი და მისი ნაცბანდა გასამართლდა, ზუსტად ისე უნდა გასამართლდეს სააკაშვილი და მისი ნაცბანდა.

**— ის ადამიანები, რომლებმაც 2007 წელს სამეგრელოში სასტიკად გცემეს, თუ დაისაჯნენ? არ ითხოვთ მათ პასუხისგებაში მიცემას?**

— რა თქმა უნდა, ვითხოვ... არა იმიტომ, რომ მე ვიღაცის დასჯის სურვილი მაქვს, არამედ იმიტომ, რომ სამართლიანობა აღდგეს, რათა მომავალში მსგავსი რამ არავინ გაბედოს. და თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ მივმართავ პროკურატურას – გამოიძიონ ეს საქმე და დასაჯონ დამნაშავეები. **მაშინ აშკარად მოხდა პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა და ამ კვალიფიკაციით ეს საქმე არ წასულა, რაც, ბუნებრივია, არ მიკვირს. ყველა ის ადამიანი, რომლებიც ამ თავდასხმაში მონაწილეობდნენ, დააწინაურეს, ზოგი საპარლამენტო სიაში მოხვდა, ზოგი კი გამგებლად დაინიშნა. იმედია, სამართლიანობა ახლა მაინც აღდგება.**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

„ბიძინა ივანიშვილი თუ მაინც და მაინც წასვლას აპირებს, მართალი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჩაატარებს ხელახალ საპარლამენტო არჩევნებს, რაშიც ხალხის ნება საბოლოოდ გამოიხატება. ვიყოთ გულწრფელები და ვთქვათ სიმართლე: ვერ „გაქაჩა“ დღეს ამ გუნდმა...“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გია კორკოტაშვილი: ეს რომ ტელევიზიით გავუშვათ, კაცმა არ იცის, რა უბედურება დატრიალდება

**გასულ კვირას მედიის წარმომადგენლებმა შინაგან საქმეთა სამინისტროში ის უმძიმესი კადრები იხილეს, რომელთა მეშვეობით სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი ცხრა წლის მანძილზე ათასობით პატიმარს მუდმივ შიშსა და ტერორში ამყოფებდა. როგორც შენობიდან გამოსულმა ჟურნალისტებმა განაცხადეს, კადრები იმდენად მძიმე იყო, რომ ვერ გაუძლეს და რამდენიმე წუთის შემდეგ მისი გამორთვა მოითხოვეს. თავად ღარიბაშვილის განცხადებით, აღნიშნული მასალის გასაჯაროება ყოვლად დაუშვებელია, რადგან ამას შეიძლება საზოგადოებაში აფეთქება მოჰყვეს. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვეს უფლებადამცველებმაც, თუმცა რა ბედი უნდა ეწიოს საბოლოოდ ამ ჩანაწერებს, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია... „საქართველო და მსოფლიო“ გადაცემა „კორკოტას დილის“ წამყვანს გია კორკოტაშვილს ესტუმრა და ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე ესაუბრა.**

**— ბატონო გია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამეგრელოში აღმოჩენილი ჩანაწერების ხილვის საშუალება მხოლოდ ჟურნალისტებსა და უფლებადამცველებს მისცა. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურებოდა ეს ყველაფერი და რეალურად რა შეიცვალა ამით?**

— პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ადამიანები მუშაობენ და მათ მარტო ისე არ უნდა ვუყუროთ, როგორც პოლიციელებს. მეორეც, „ნაციონალური მოძრაობისგან“ ყოველდღე ერთი და იგივე ქარიშხალი მოდის, — სხვებს ადანაშაულებენ იმაში, რაშიც თვითონ გაწაფულები არიან. **თუ ვინმე დღეს იტყვის „ნაცმოძრაობიდან“, — არ ვიცოდი, რა ხდებოდაო, ეს არის მტკნარი სიცრუე, იმიტომ, რომ, თუ არ იცოდა, ესეც დანაშაულია, ხოლო თუ იცოდა და არაფერს აკეთებდა, მით უარესი.** რაც შეეხება თვითონ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამ კადრების ჩვენება მოხდა ელემენტარული მიზეზის გამო, — რომ საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაეგო, რა უბედურებასთან გვქონდა საქმე ცხრა წლის მანძილზე. ხალხი ნოკაუტშია დღესაც იმის გამო, რასაც წინა ხელისუფლების დროს უკეთებდნენ, ამიტომ ბოლობოლო გადაწყვიტა ამ შინაგან საქმეთა სამინისტრომაც, რომ მარტო ქმედება არაფერს შველის. აბსოლუტურად სწორად იყო, ჩემი აზრით, ყველაფერი გათვლილი.

**— მიუხედავად ამისა, საპარლამენტო უმცირესობა ისევ პოლიტიკურ დევნაზე საუბრობს.**

— „ნაციონალური მოძრაობისგან“ ნურაფერი გვიკვირს. ამ შემთხვევაში მთავარია, ხელისუფლება რას აკეთებს. ჩემი აზრით, ირაკლი ღარიბაშვილი არის ადამიანი, რომელიც ცდილობს, მისი და მისი გუნდის დისკრედიტება არ მოხდეს. ამიტომ დაიწყო იმ გამოძიებული საქმეების ხელახლა გამოძიებაც და ამიტომ დააკავეს წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც. ცხადია, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ აქ მეორე მომენტიცაა, — ამ ყველაფერს ხმამაღალი პიარი რომ არ უკეთდებოდა, დასავლეთმა დაგვიწყო წაკბენა. მეტიც, ერთ-ერთმა კონგრესმენმა ისიც კი თქვა, ვანო მერაბიშვილი უნდა გამოუშვათო. ანუ ესენი ისე გვიყურებენ, თითქოს რაღაც მესამეხარისხოვანი ქვეყანა ვიყოთ. შეიძლება მაგათ სჯერათ, რომ მესამე ქვეყანა ვართ, მაგრამ ჩვენ ისტორია გვაქვს, ჩვენი ღირსება გვაქვს.

ახლა რატომ გვაჩვენა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩვენ და მედიის წარმომადგენლებს ის კადრები? გვაჩვენა იმიტომ, რომ **მეც და სხვებსაც, ვინც შეხვედრას ვესწრებოდით, შეგვიძლია პიროვნულად მოვუყვეთ სხვებს, რაც ვნახეთ; მაგრამ ეს რომ გავუშვათ ტელევიზიით, კაცმა არ იცის, რა უბედურება დატრიალდება.** რას ვგულისხმობ: ყველა ერთნაირი არ არის, ვიღაცამ შეიძლება ფსიქოლოგიურად ვერ გაუძლოს ამას, ვიღაც შეიძლება თავის ნაციონალ მეზობელს შეუვარდეს, ქუჩაში დახვდეს და ა.შ. აი, ზუსტად ამიტომაა შინაგან საქმეთა მინისტრის პოზიცია ის, რომ ამ კადრების გაშვება საჯაროდ არ შეიძლება და ჩვენ ყველანი დავეთანხმეთ მას ამაში.

**— თუმცა მსგავსი კადრები ერთხელ უკვე იხილა ქართველმა ხალხმა 1 ოქტომბრის არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე და შემდეგ იყო „ნაცმოძრაობის“ კრახი.**

— **მე პირადად იმის მსგავსი, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიხილეთ, ცხოვრებაში არაფერი მინახავს. პორნოფილმები რომაა, დაახლოებით იმგვარი რამაა. ადამიანებს თუ ადამიანის ასე დამცირება შეეძლოთ, ვერ წარმომედგინა. ამ კადრების სიტყვებით გადმოცემა, ალბათ, შეუძლებელია ბოლომდე.**

## «მე რომ ციხეში მოვხვედრილიყავი, დარწმუნებული ვარ, სამაგალითოდ დაასჯევინებდა მიშა ჩემს თავს»

**— როგორ ფიქრობთ, უნდა განადგურდეს ეს კადრები თუ უნდა დაიდოს, როგორც მტკიცებულება?**

— სიმართლე გითხრათ, ეგ კითხვა ვერ გავიგე, თქვენგან კი არა, საერთოდ. რატომ უნდა განადგურდეს? უნდა დაიდოს ისეთ ადგილას, სადაც ამის განმხილველი იქნება არა ერთი კაცი, არამედ მთლიანად საზოგადოება და ცხადია, სპეციალისტებიც. ეს არის მტკიცებულება, რომ კონკრეტულმა ადამიანმა ჩაიდინა ასეთი საშინელი დანაშაული, ამიტომ, განადგურდეს კი არა, საგულდაგულოდ უნდა იქნეს შენახული და დაცული.

**— ყველაფრის მიუხედავად, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ის, რაც გასულ ვიდეოჩანაწერებში ვიხილეთ, იყო არა სისტემური დანაშაული, არამედ კანონდარღვევის ცალკეული გამოვლინებები. ამასთან დაკავშირებით დასავლეთიდანაც ხშირად ისმის ხოლმე რიტორიკული კითხვები. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ეს საკითხი საბოლოოდ გადაიჭრას? რა უნდა გააკეთოს მმართველმა გუნდმა?**

— უნდა დასხდნენ სპეციალისტები და იურისპრუდენციამ უნდა წაიყვანოს ეს საკითხი, მაგრამ პროცესები არ უნდა გაიწელოს მეტისმეტად. გითხარით და კიდევ ვიმეორებ: საზოგადოება ჯერ კიდევ შოკშია, ამიტომ უკვე დროა, ამ ყველაფერს შესაბამისი კვალიფიკაცია მივანიჭოთ. **ვინც რა უნდა ილაპარაკოს, ჩვენ ხომ ვიცით, რომ იმ კადრებში ასახული ფაქტები ერთეული შემთხვევა არაა. თვალთვალი, მოსმენები, წამება, ძალადობა — ეს ხომ ყოველდღიური მოვლენა იყო?! და ადამიანის უფლებებზე რომ მელაპარაკებიან დღეს ზოგიერთები, ჩაიხედონ ისტორიაში, ფაშიზმს ამაზე უარესი გაუკეთებია რამე?!** მე პირდაპირ მინდა განვაცხადო, რომ „ოცნებაც“ კეკლუცობს დღეს გარკვეულწილად...

**— რას გულისხმობთ?**

— მე კარგად მახსოვს, დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის სახე ოქტომბრის დასაწყისში რანაირი იყო: გათეთრებულები დადიოდნენ და რას სცემოდნენ, არ იცოდნენ. აბა, ახლა ნახეთ — მოსუქდნენ და ხელებს პარჭყავენ, თან ისე გელაპარაკებთან, თითქოს შენ არავინ არ ხარ. რაც შეეხება „ნაციონალებს“, მოგმართავთ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საშუალებით: **გეყოთ სინდისი, გამოდით და რაღაცაზე მაინც ბოდიში მოიხადეთ! თუნდაც იმის გამო, რომ არ იცოდით. თქვენ იმ გუნდის წევრები ხართ, რომელიც 9 წელი ხალხს ცოცხებითაც კი აუპატიურებდა, ქონებასაც ართმევდა, კლავდა, აწამებდა და კაცმა არ იცის, კიდევ რა სისაძაგლეებს შვებოდა.** ეს ყველაფერი საბოლოოდ სანამდე შეიძლება მივიდეს, იცით? **თუ სწრაფად არ მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ ლოკალიზება, საზოგადოებაში დაიწყება სერიოზული მღელვარება. მერე ამას უკვე ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს.**

**— და რა უნდა გაკეთდეს ლოკალიზებისთვის?**

— ერთადერთი საშუალებაა ის, რომ „ოცნებამ“ უფრო სწრაფად გამოიძიოს საქმეები და დასაჯოს კონკრეტული პირები — დამნაშავეები. ამომრჩევლის მთავარი დაკვეთა სწორედ ეს იყო. ასე რომ, ვიმეორებ: ხალხი უკვე გამოფხიზლდა, აღარ არის ადრინდელივით ჩლუნგი და „დაჩმორებული“...

**— ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლას აპირებს. რა აზრის ხართ ამაზე?**

— არანაირად არ იქნება სწორი. ეს არის საქმის შუა გზაში მიტოვება და მერე აქ შეიძლება ისეთი ქაოსი დაიწყოს, რომ ნებისმიერ ადამიანს, გარე ძალებისგან მართულს თუ შიდა ასპარეზზე მყოფს, რომელთაც დიდი ფული აქვთ, შეეძლებათ გადატრიალების მოხდენა. მარტივად რომ ვთქვათ, ხალხის როლი ძალიან შესუსტდება და საზოგადოება კონტროლის ფუნქციას დაკარგავს. ასე რომ, **ბიძინა ივანიშვილი თუ მაინც და მაინც წასვლას აპირებს, მართალი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჩაატარებს ხელახალ საპარლამენტო არჩევნებს, რაშიც ხალხის ნება საბოლოოდ გამოიხატება. ვიყოთ გულწრფელები და ვთქვათ სიმართლე: ვერ „გაქაჩა“ დღეს ამ გუნდმა...**

**— რაც შეეხება ისევ მიმდინარე სამართლებრივ პროცესს, იმის მიუხედავად, რომ აღმოჩენილია უმძიმესი ვიდეოჩანაწერები, წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე ჯერჯერობით საუბარიც არ არის. დაიჭირეს მხოლოდ შემსრულებლები და ბრალი უმძიმდება ვანო მერაბიშვილს. როგორ ფიქრობთ, რა აფერხებს პროკურატურას?**

— ვანო მერაბიშვილს შეუძლია დღეს თქვას, მე ვიცი ეს ყველაფერი და მე ვაკეთებდი ამასო, ან შეუძლია ისიც თქვას, რომ ეს იყო დანაშაულებრივი სისტემა, რომელიც სათავეს მიშასგან იღებდაო. რამდენიმე ვარიანტია. მაგრამ არ გვინდა ამ პროცესების წელვა და გაუთავებელი ალიაქოთი. ვინც დასასჯელია, დასაჯონ და ჩვენ მოგვცენ საშუალება, რომ ნორმალურად ვიცხოვროთ.

**— ბევრი იმასაც ამბობს, რომ ხელისუფლებას საგამოძიებო პროცესის გაწელვა სხვა პრობლემების გადასაფარად სჭირდება.**

— ეს ჩვეულებრივი ხრიკია და გასაგებია, რატომ დასჭირდა ხელისუფლებას ამის გამოყენება, მაგრამ საზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს ყველაფერს? არ გაუვათ ასეთები დიდხანს, ხალხს უკვე უამრავი კითხვა აქვს ამ ხელისუფლებასთანაც...

**— ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის ღარიბაშვილმაც, რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ პრეზიდენტმა, დიდი ალბათობით, იცოდა, რა მდგომარეობა იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. როგორ ფიქრობთ, დღესდღეობით რამდენად არსებობს იმის შანსი, რომ სააკაშვილი სასამართლოში ვიხილოთ მოწმის ან სულაც ბრალდებულის სტატუსით?**

— მიშა მარტო იმიტომ უნდა დაიკითხოს, რომ ნახოს, რა ხდებოდა, მართლმსაჯულების სისტემაში, მაგის დაკვეთით რომ ადამიანებს აკავებდნენ. რა თქმა უნდა, სააკაშვილმა ყველაფერი იცოდა, მის გარეშე ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა ვერც ერთ უწყებაში. უბრალოდ, იურიდიულად ცოტა სხვა მიდგომაა საჭირო, ანუ უნდა დამტკიცდეს, რომ სისტემური იყო ეს ყველაფერი.

**— გასაგებია, მაგრამ სააკაშვილმა ხელი, ფაქტობრივად, კუდის ორ თანამშრომელს — ქარდავასა და ჩხატარაშვილს შეახოცა.**

— ჰოდა, მე არაფერი ვიცოდიო. მაგას ვინ ჭამს! ჯერ მარტო ჩემი ამბავი რომ ავიღო, არაფერს წარმოვადგენდი, რადიო „ნაცნობში“ ვიყავი წამყვანი და იუსტიციის სახლი რომ გახსნეს, 18-წუთიან გამოსვლაში ოთხი წუთი ჩემზე ისაუბრა, თურმე როგორი ცუდი წარსულის და განსხვავებული მენტალობის მქონე ადამიანი ვარ. დღე არ გავიდოდა, რომ კუდისა და სოდის მანქანები უბანში არ შემოვარდნილიყო... მადლობა ღმერთს, გამოვძვერი, თორემ, მე რომ ციხეში მოვხვედრილიყავი, დარწმუნებული ვარ, სამაგალითოდ დაასჯევინებდა მიშა ჩემს თავს.

**— რამდენიმე დღეში ფარული ვიდეოჩანაწერები საელჩოებსა და დიპლომატიურ კორპუსს გადაეგზავნება. როგორ ფიქრობთ, შეცვლის ეს მათ რიტორიკას?**

— აუცილებლად. მე აქ ერთ ცუდ მაგალითს მოვიყვან, ლეკვი რომ უადგილო ადგილას მოშარდავს, მიიყვანენ, ცხვირს ჩააყოფინებენ და წამოარტყამენ, რომ მეორედ აღარ ქნას. აქაც ზუსტად იგივეა საჭირო, უნდა ანახო იმ ევროპელებსა და ამერიკელებს ეს საშინელი კადრები, რომ მერე აღარ იძახონ, პოლიტიკური დევნა არისო. საერთოდ, საქმე ისაა, რომ **ჩვენთან მოხდა ცუდი ექსპერიმენტი და ახლა ამის ყველაფრის მიჩქმალვა უნდათ. ამ ე.წ. ფერადმა რევოლუციებმა ვერსად ვერ ჰპოვა განვითარება, მათი იდეა ყველგან დამარცხდა... ამერიკას ჰგონია, რომ არც ერთ ქვეყანას არ აქვს, მაგის გარდა, ისტორია და, რაც მათთვისაა კარგი ტონი, ჩვენთვისაც კარგი ტონი უნდა იყოს.** არ არის, ბატონო, ასე, ამიტომ, თუ მეგობრობა უნდათ, როგორც იწყება მეგობრობა, ისე ვიყოთ; თუ არა და, ერთი მეგობარი თუ ჰყავთ — მიშა, საქართველოს არ ჰყავს მიშა მეგობრად. სააკაშვილი არის ჩვენი მტერი და ეს უკვე გამოჩნდა ყველანაირად...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შერცხვეთ იმ ევროპელებსა და ამერიკელებს, რომლებიც გამოდიოდნენ და ამბობდნენ, რომ აღშფოთებულები იყვნენ. აღშფოთებულები კი არა, სრულიად საქართველო განრისხებულია. გარკვეული წილი პასუხისმგებლობა მათაც უნდა აიღონ, რადგან ისინი ლობირებდნენ იმ ჯალათს, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია.“**

# «ნაციონალური მოძრაობა» აუცილებლად უნდა გასამართლდეს!

# დაინიშნება თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

**ოსვენციმის მომწყობი ადამიანები მარტო მოკავშირეებმა კი არა, თავად გერმანელმა ხალხმაც გაასამართლა... საქმე ისაა, რომ არსებობს დანაშაულები, რომლებზეც ნამდვილად არ არის საკმარისი იმის თქმა, რომ ასეთი საქციელი არის ცუდი, რომელთა დასაგმობადაც არ არის საკმარისი ათიოდე დამნაშავის გასამართლება. დღეს საქართველოში პრობლემა დგას — ან უნდა ავირჩიოთ გზა წარსულის შეფასებისა და სიმართლის თქმის, ან სიცრუეში ვიცხოვროთ. ცხადია, საუბარი არ გვაქვს ნიურნბერგის პროცესზე, მაგრამ მორალურად მაინც ყველამ უნდა აგოს პასუხი, ვისაც ევალებოდა ხელის შეშლა იმ საშინელებისთვის, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ 9 წლის განმავლობაში სჩადიოდა.... სამეგრელოს სამალავში აღმოჩენილ ფირებს — წამებისა და გაუპატიურების ამსახველ კადრებს აუცილებლად სჭირდება სამართლებრივი შეფასება. ცხადია, ეს გაუთავებელ გარჩევასა და ურთიერთბრალდებებში არ უნდა გადაიზარდოს, მაგრამ, როცა დღევანდელ სიტუაციაში ადამიანი მიდის, ვთქვათ, რომელიმე სამინისტროში და იქ ხედავს მკვლელს, მოძალადესა და ა.შ., დაიჯერებს, რომ ქვეყანაში რაიმე შეიცვალა? რა ბედი უნდა ეწიოს „ნაციონალურ მოძრაობას“, მიზანშეწონილი ხომ არ იქნება, გამოცხადდეს დანაშაულებრივ ორგანიზაციად, შესაბამისად, გასამართლდეს, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს არჩევით, ასევე დანიშვნად თანამდებობებზე საქმიანობა აეკრძალოთ? ამ საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიომ“ საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს მიმართა.**



მიზანი ეს იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა წავიდეს პოლიტიკიდან. იცით, რატომ არ უნდა წავიდეს? დღეს მისი ხათრით, რიდითა და შიშით ხელისუფლება ბევრი რამის გაკეთებისგან თავს იკავებს. **ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა იქნება საფუძველი იმისა, რომ მივიღოთ მეორე „ნაციონალური მოძრაობა“. კარგად ვიცით, ვინ არიან დღეს პარლამენტში, თითოეულ მათგანს კარგად ვიცნობთ. ამიტომ ჩემი აზრით, ვინაიდან აიღო მან ეს პასუხისმგებლობა, თუ არ უნდა, რომ მიიღოს მეორე „ნაციონალური მოძრაობა“, არ უნდა გადადგას ეს ნაბიჯი.**

### ქეთი ბექაური:
## «ნაციონალური მოძრაობა» იყო დანაშაულებრივი სინდიკატი

**ქეთი ბექაური, უფლებადამცველი:**

— ასე ხელაღებით ყველას ვერ დავსჯით. მაგალითად, ჩიორა თაქთაქიშვილს, თინა ბოკუჩავასა და მარიამ საჯაიას სისხლისსამართლის დანაშაული არ ჩაუდენიათ. ესენი რომ გამოვაცხადოთ დამნაშავეებად და კრიმინალებად, მაშინ უარი უნდა ვთქვათ სამართლიანი სახელმწიფოს აშენებაზე, მაგრამ **ის, ვინც 9 წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში იყო, უნდა დაისაჯოს.** კი, ბატონო, ვინც მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე იყო, საბრალდებო სკამზე ზის, ბევრი მათგანი გაქცეულია ქვეყნიდან, მაგრამ ბევრი ძველებურად შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოებშია მოკალათებული. იგივე ჩოჩელი კი გარეთ არის გირაოს სანაცვლოდ. აი, ეს არ არის დასჯა. მათ უფრო დიდი დანაშაულები აქვთ ჩადენილი... ამიტომ მომხრე ვარ, რომ **ის პირები, რომლებიც 9 წლის განმავლობაში მოიაზრებოდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე, თუნდაც ქვედა რგოლებში, მაგრამ ასრულებდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების დანაშაულებრივ ბრძანებებს, მიუხედავად მათი ჩინისა, უნდა გასამართლდნენ.**

რაც შეეხება სამეგრელოში აღმოჩენილ კადრებს, კიდევ ერთხელ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყო დანაშაულებრივი სინდიკატი, ჩვენ ასეთი სინდიკატების შესახებ ვიცით, იგივე იტალია, სადაც ისჯებიან, არავის ინდობენ, აი, ეს დანაშაულებრივი სინდიკატი, მათი ხელმძღვანელები — ყველანი დასახელებულნი უნდა იყვნენ, **საზოგადოებამ უნდა გაიგოს მათი სახელები, ყველას უნდა მიეზღოს იმ ფარგლებში, რაც ჩაიდინა.**

**— აცხადებთ, ბევრი მათგანი პროკურატურაშია მოკალათებულიო, რატომ არ ათავისუფლებს მათ კბილაშვილი, აქვთ კი ამ ადამიანებს თუნდაც მორალური უფლება იქ მუშაობისა?**

— არ აქვთ, ამიტომაც ვაპროტესტებ ამას. შსს-შიც ბევრი კუდისა და სოდის თანამშრომელია მოკალათებული, მათ შორის ისინი, ვინც მეც დამდევდნენ, მანქანა ორჯერ დამიმტვრიეს, მისმენდნენ კიდეც, შეიძლება ახლაც ისმენენ ჩემს ტელეფონს, არ გამოვრიცხავ... და ვხვდები, ეს რასაც ნიშნავს. ესენი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ სამსახურებიდან. მათი სახელი და გვარი კარგად იციან უწყების დღევანდელმა ხელმძღვანელებმა. კარგია, რომ ამდენი დანაშაული იხსნება, მაგრამ ვერ მოხდება სრულად გაწმენდა, თუ ის ხალხი, რომელიც ამას ხელს უწყობდა, არ გათავისუფლდა. როგორ შეიძლება ისინი საჯარო სამსახურში იყვნენ და ხელფასს იღებდნენ? უნდა დაიწყოს წმენდა, არ უნდა იყოს აქ დანდობა. მე არ ვამბობ იმას, რომ ყველანი გაუშვან ციხეში. **რაოდენ დასანანია, რომ კონსტანტინე კუბლაშვილი ისევ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეა, არ დადგა ამ ადამიანის იმპიჩმენტის საკითხი. ახლა ამ ადამიანმა კვლავ შემოიკრიბა გარშემო თავისი მორჩილი მოსამართლეები და ცალკე სინდიკატი შექმნა. ეს ადამიანი გვეუბნება, მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და სამართლიანობა აღსდგებაო, ხალხის დაცინვაა ეს. ჩვენ ამისთვის ხმა არ მიგვიცია, ჩემი ოცნება ეს არ იყო.**

**— არადა, სამართლიანი სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი დაპირება იყო...**

— სასამართლო კვლავ სააკაშვილის ხელშია, არ გათავისუფლებულა, ისევე, როგორც შსს და პროკურატურა და ამას უნდა მიხედვა. ბესელიასა და კობახიძისგან მოვისმინე, რომ პარლამენტში აუცილებლად მიიღებენ რეზოლუციას და დადგენილებას – გასამართლდეს, სამართლებრივი შეფასება მიეცეს სააკაშვილის 9-წლიან მმართველობას. აქვე გეტყვით, როგორც ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრი, ჩვენმა უხუცესმა ექსპერტმა, ოთარ გამყრელიძემ, დააყენა საკითხი კომიტეტის სხდომაზე და კომიტეტმა ერთხმად დაუჭირა მხარი, რომ **წინა ხელისუფლების 9-წლიან მმართველობას აუცილებლად უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება და ეს საკანონმდებლო ინიციატივის დონეზე პარლამენტში უნდა იქნას გატანილი.** მადლობა ღმერთს, რომ ეს საკითხი დადგა, პარლამენტი ამაზე მუშაობს და ბიუროზეც გაიტანენ.

**ლალი აფციაური, ადვოკატი:**

— „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გასამართლდეს, როგორც დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი. ქართველი ხალხის სირცხვილია, რომ ესენი დღემდე ხელისუფლებაში არიან. ეს არის ხელისუფლებაში მოსული კრიმინალური ბანდა, რომელსაც აქვს ჩადენილი არაერთი სისხლის სამართლის დანაშაული და ამ კატეგორიის ხალხზე ვკითხულობთ, უნდა გასამართლდეს თუ არა? **უპირობოდ უნდა გასამართლდეს! ის ადამიანები, რომლებიც ამბობენ, ჩვენ არ ვიცოდით, რაც ხდებოდაო, ტყუიან. ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა. ყრუ და ბრმები არიან? რას ჰქვია არ იცოდნენ?! მათ შორის ყველაზე მეტად პასუხი უნდა მოეთხოვოს იმას, ვინც ამბობს — უი, არ ვიცოდიო.**



**— „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს უნდა აეკრძალოთ თუ არა საჯარო სამსახურებში საქმიანობა?**

— რა თქმა უნდა, ისინი იქ არ უნდა მუშაობდნენ და, რომ მუშაობენ, ეს ჩვენი დანაშაულია. ვიმეორებ, ყველას პასუხი უნდა მოეთხოვოს, ვისაც შეხება აქვს ამ დანაშაულთან, ამ კრიმინალებთან, მათ შორის არიან პოლიციის უფროსები, პროკურორები და მოსამართლეები. თითოეულ დანაშაულზე არ უნდა მოეხდინა პროკურატურას რეაგირება? თითოეული კონკრეტული ფაქტის შესახებ არაერთი საჩივარი შეგვიტანია პროკურატურაში, თუმცა... დაკავებულ ადამიანებს რომ აუპატიურებდნენ და ტერაქტების საკუთარ თავზე აღებას აიძულებდნენ, პირველად გაიგეს?

**— რატომ არ არიან ეს ადამიანები პასუხისგებაში მიცემულნი?**

— არ ვიცი, ვერ გეტყვით, მაგრამ მათი დასჯა უპირობოდ რომ უნდა მოხდეს, ფაქტია. მხოლოდ 9 კაცი არ არის დამნაშავე, აბსოლუტურად ყველა დასაკავებელია, პირველ რიგში, სააკაშვილი. მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა ნახეს ეს კადრები, როგორ არ უნდა მოვითხოვოთ მისი დასჯა?!

**— რაც შეეხება ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას, მისი მიზანი მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხება იყო?**

— კარგი მიზანი ჰქონია ივანიშვილს, თუ მისი ერთ-ერთი

### ლალი აფციაური:
## ყველას პასუხი უნდა მოეთხოვოს, მათ შორის პოლიციის უფროსებს, პროკურორებსა და მოსამართლეებს...

**ირმა ჭკადუა, ადვოკატი:**

— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პასუხი რომ უნდა აგოს თავის 9-წლიან საქმიანობაზე, მე მგონი, ამაზე ვთანხმდებით. ის, რაც ახლა გამომჟღავნდა, არ არის ყველაფერი — უამრავი ადამიანი იტანჯება, ბევრ ადამიანს ერიდება, ვერ ყვება თავის ისტორიას, **გაუგონარი მასშტაბებითა და სისასტიკით ჩაგრავდნენ და აწამებდნენ ადამიანებს, ალბათ, ამათ გერმანელ ფაშისტებსაც ვერ შევადარებ. საკუთარ ერს სახელმწიფოს სახე-** ▶

**„მთავარია, საპრეზიდენტო არჩევნების გარდა, დაინიშნოს საპარლამენტო არჩევნები. ეს პარლამენტი არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას და ინტერესს. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში, გარწმუნებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობიდან“ ერთი კაციც ველარ შევა ახალ პარლამენტში.“**

საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ლით მოექცე ასე, არც კი ვიცი, რა ვუწოდო ამას.** ბუნებრივია, მათი საქმიანობა უნდა შეფასდეს. რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, შეიძლება ეს ერთმნიშვნელოვნად ყველაზე არ ითქვას, თუმცა გარკვეული პასუხისმგებლობის წილი ყველამ უნდა აიღოს, მით უფრო იმ რგოლმა, რომელიც სახელმწიფოს მართავდა. საუბარი იმაზე, რომ არ იცოდნენ, რა ხდებოდა, საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრა და შეურაცხყოფაა, რადგან ძალიან კარგად იცოდნენ ყველაფერი. შეგიძლიათ მოიძიოთ, ნახოთ, თუ რა საჩივრები შედიოდა მთავარ პროკურატურაში. აქედან გამომდინარე, მათი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ეს რა ფორმით უნდა გაკეთდეს, არ ვიცი, ამაზე სახელმწიფომ უნდა იფიქროს (ადვოკატებმა, რაც არ უნდა ვთქვათ, ჩვენს მოთხოვნას მაინც არ გაითვალისწინებენ), მაგრამ ეს ერთმნიშვნელოვნად ასე უნდა მოხდეს. **აუცილებლად უნდა აგოს პასუხი პრეზიდენტმა. ის ახლა რომ ამბობს, ქარდავასა და ჩხატარაშვილს არ ვიცნობდიო, სირცხვილია.** ჩხატარაშვილს ყველა იცნობდა. ჩხატარაშვილი იყო ადამიანი, რომელიც ციხეებში შედიოდა პროკურორებთან ერთად და აიძულებდა ბიზნესმენებს დაეთმოთ ქონება. ამ ადამიანის გარეშე არც ერთი საპროცესო შეთანხმება არ წყდებოდა, განსაკუთრებით, როცა ფინანსურ დანაშაულს ან ბიზნესსექტორს ეხებოდა საქმე. **მათ მთელ საქართველოს ჩააფურთხეს სულში, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ერი გაენადგურებინათ. საქართველო ძალიან კარგია ქართველების გარეშე, ვფიქრობ, ეს იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ლოზუნგი. დიახაც, მათ უნდოდათ საქართველო ქართველების გარეშე.** სააკაშვილი როგორი „დემოკრატიის შუქურაც“ იყო, აღბეჭდილია ფირებზე და ეს ფირები უნდა ნახოს მსოფლიომ. რა თქმა უნდა, იმ ადამიანების იდენტიფიცირება არ უნდა მოხდეს, ისინი არ უნდა ამოიცნონ, მაგრამ ეს ყველამ უნდა ნახოს. **შერცხვეთ იმ ევროპელებსა და ამერიკელებს, რომლებიც გამოდიოდნენ და ამბობდნენ, რომ აღშფოთებულები იყვნენ. აღშფოთებულები კი არა, სრულიად საქართველო განრისხებულია. გარკვეული წილი პასუხისმგებლობა მათაც უნდა აიღონ, რადგან ისინი ლობირებდნენ იმ ჯალათს, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია.**



**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:**

— „ნაციონალური მოძრაობის“ გასამართლება არათუ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელია, სხვა მხრივ, საქართველოს პოლიტიკური მომავალი არ ექნება. ამ ბილწმა ადამიანებმა, რომლებმაც უამრავი დანაშაული და, უპირველეს ყოვლისა, სექსუალური



უკარებია, მაშინ, როცა მე და ჩემი მეგობრები ტყვიას ვუშვერდით შუბლს იმისთვის, რომ საქართველოდან ეს მამათმავლების რეჟიმი მოგვეშორებინა. **შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია, „ნაციონალური მოძრაობის“ გამოცხადება დამნაშავე პარტიად, მისი წევრების იზოლირება საზოგადოებისგან და პოლი-**

მართა წამების ფაქტებს, სამწუხაროდ, არ იყო რეაგირება. ბევრ უფლებადამცველს კი არ სჯეროდა, რომ ციხეებში სადისტურად აწამებდნენ ადამიანებს. გავიხსენოთ მალხაზ არქანიას საქმე, რომელმაც წერილი გამოაგზავნა და საჯაროდ თქვა, როგორ აწამეს. დავაკვირდეთ იმასაც, რომ წამების ფაქტებს ილებდნენ ე. წ. ჯალათი-ოპერატორები, ეს ბოროტება კარგად იყო ორგა-

უახლოეს ხანში დაიკითხება, აუცილებლად დაიკითხება. ერთ-ერთი თემა იქნება წამების ფაქტები, ჟვანიას მკვლელობა, აგვისტოს ომი. ჩემი ინფორმაციით, სააკაშვილი ვერ გადაურჩება პასუხისმგებლობას ვერც ოქტომბრამდე და ვერც ოქტომბრის მერე.

რაც შეეხება ივანიშვილის განცხადებას, ივანიშვილი ყოველთვის ამბობდა, რომ ის სამუდამოდ არ მოდის პოლიტიკაში... რომ მისი მიზანია, ქვეყანა ჩიხიდან გამოიყვანოს და შეასრულოს ლოკომოტივის ფუნქცია, რაც შეასრულა კიდეც. დარწმუნებული ვარ, თუ ივანიშვილი წავა პოლიტიკიდან, ეს არ იქნება წასვლა და გაქცევა პრობლემებიდან. გამორიცხული არაა, ბატონმა ბიძინამ საზოგადოებრივ სეგმენტში დაიკავოს ადგილი. **მთავარია, საპრეზიდენტო არჩევნების გარდა, დაინიშნოს საპარლამენტო არჩევნები. ეს პარლამენტი არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას და ინტერესს. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში, გარწმუნებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობიდან“ ერთი კაციც ველარ შევა ახალ პარლამენტში.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, ექსპერტი:**

— „ნაციონალური მოძრაობა“ აუცილებლად უნდა იყოს კანონგარეშე გამოცხადებული. ეს ორგანიზაცია საერთოდ ამოღებული უნდა იქნას პარტიების სიიდან, საერთოდ არ უნდა არსებობდეს, ეს ერთი. და მეორე — **ყველა ის ადამიანი, რომლებიც მათი წევრები იყვნენ, თავიანთი ნათესავ-ახლობლებიანად უნდა გასამართლდნენ.** ამ ორგანიზაციამ საქართველოს დაშლა მოახერხა და **ასეთი ჯალათური ორგანიზაცია უნდა გასამართლდეს. დაწყებული პრეზიდენტიდან, კარისკაცით დამთავრებული — ყველამ უნდა აგოს პასუხი.** გარდა ამისა, **სახალხო სიძულვილი უნდა გამოიხატოს ე.წ. ინტელიგენციის ყველა იმ**

## დიტო ჩუბინიძე:

## თემურ ლენგს, ალა მაჰმად ხანსა და შაჰ აბასს არ უკადრებია ის, რაც მიხეილ სააკაშვილმა და მისმა სექსუალურმა უმცირესობამ, ამ ხროვამ აკადრა ქართველ ერს



**სექსუალურმა უმცირესობამ, ამ ხროვამ აკადრა ქართველ ერს.** ის, ვინც იძახის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ უნდა შევუნარჩუნო სახეო, არის იმავე სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელიც სააკაშვილმა დაასვა თავზე ქართველ ხალხს და ეს ადამიანებიც აუცილებლად აგებენ პასუხს მთელი სიმკაცრით.

— **შსს და პროკურატურა**

**ტიკურ პროცესებში აკრძალვის დაწესება 10 ან 30 წლით, რადგან ამასობაში აძაღლდებიან და, მე მგონი, აღარ იქნებიან ამ ქვეყანაზე.**

**ირმა ინაშვილი, ჟურნალისტი:**

— „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა გამოცხადდეს ლიკვიდირებულად.

ნიზებული და დაფარული. ამიტომ ჩემი პოზიცია მარტივია: **ყველა, ვინც ამ ბოროტებას და დანაშაულს სჩადიოდა, იყო დაკავშირებული ხელისუფლების უმაღლეს პირებთან. მე მყავს არაერთი მოწმე, რომელიც ადასტურებს, რომ ვიდეომასალა მიდიოდა ზემოთ — სააკაშვილთან. შემდეგ ისინი, ანუ მიშა, ვანო, ზურა და სხვები უყურებდნენ ამ კადრებს და დასცინოდნენ ადამიანებს.**

გამოძიება დროულად უნდა წარიმართოს და დაისაჯოს ყველა — რიგითი ჯალათიდან დაწყებული, სააკაშვილით დამთავრებული. **ყველა დამნაშავე, რომლებიც მონაწილეობდნენ წამების პროცესში, სამუდამოდ უნდა ჩამოშორდნენ სახელმწიფო სამსახურს და მითუმეტეს, თანამდებობას. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს კანონის საფუძველზე უნდა აეკრძალოთ თანამდებობების დაკავება სახელმწიფო სტრუქტურებში.**

რატომ ჭიანურდება დამკვეთების დასჯა? არ ჭიანურდება... გამოძიების დასრულების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც მაშინდელი მმართველი პოლიტიკური ძა-

## ირმა ჭკადუა:

## აუცილებლად უნდა აგოს პასუხი პრეზიდენტმა, მათ მთელ საქართველოს ჩააფურთხეს სულში

სახის დანაშაული ჩაიდინეს, გაუკულმართებული ცხოვრებით აცხოვრეს ათასობით ადამიანი, გააუბედურეს და დაანგრიეს ოჯახები, აუცილებლად უნდა იქნან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი. **მათ უნდა აეკრძალოთ, როგორც პოლიტიკური საქმიანობა, ასევე ქუჩაში თავისუფლად გადაადგილება, ისინი უნდა იყვნენ სპეციალიზებულ საპატიმრო დაწესებულებებში და ტელევიზორები და სტრიპტიზშოუები კი არ უნდა ჰქონდეთ კამერებში მოწყობილი, არამედ უნდა ცხოვრობდნენ უმკაცრესი რეჟიმის პირობებში, როგორც სახელმწიფო დამნაშავეები.**

როგორც პროფესიონალი ისტორიკოსი და სპეციალისტი კატეგორიულად ვაცხადებ: **თემურ ლენგს, ალა მაჰმად ხანსა და შაჰ აბასს არ უკადრებია ის, რაც მიხეილ სააკაშვილმა და მისმა**

**რომ სავსეა ნაცკადრებით, ამაზე რას იტყვით?**

— ეს არის იმ ბინძური რეცეპტის შედეგი, რომელიც ევროპამ და ამერიკამ გამოუწერა საქართველოს ახალ ხელისუფლებას და მას ჰქვია ძალიან მოკლე და კონკრეტული ფრანგული სახელი — კოაბიტაცია. და **სანამ ეს კოაბიტაცია და მარაზმი არ დამთავრდება, საქართველოს მომავალი არ უწერია. ამ სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავლად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მესახება.**

**— დაინიშნება კი?**

— თუ ხალხი მოინდომებს, აუცილებლად დაინიშნება, მაგრამ დღეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ხელს არ აძლევს არც „ნაციონალურ მოძრაობას“ და არც „ქართულ ოცნებას“, რადგან „ქართული ოცნებიდან“ პარლამენტში შესულია ისეთი ხალხი (ყველას არ ვგულისხმობ), რომელიც ძ-სა და ხ-ს ვერ არჩევს ერთმანეთისგან და თითი თითზე არ და-



## ჰამლეტ ჭიპაშვილი:

## სახალხო სიძულვილი უნდა გამოიხატოს ე.წ. ინტელიგენციის ყველა იმ წარმომადგენლის მიმართ, რომლებმაც გუნდრუკი უკმიეს სააკაშვილს

დღეს კამათის საგანი ხდება, — ჰქონდა თუ არა ადგილი სისტემურ დანაშაულს. ესაა გაქცევა მთავარი თემიდან. რა თქმა უნდა, ადამიანთა წამებისა და გაუპატიურების შესახებ ყველა ინფორმირებული იყო — სააკაშვილიც, მერაბიშვილის, ადეიშვილიც, ახალაიაც. **მათ ეს სისტემა შექმნეს საზოგადოების დაშინების მიზნით. ახლა იმაზე საუბარი, რომ ამ დანაშაულს ერთი-ორი ციხის ჯალათი ან პოლიციელი სჩადიოდა, ჩვენი დაცინვაა.** ჩვენ წლების მანძილზე ვახმაურებდით პატი-

ლა, უნდა გამოცხადდეს ლიკვიდირებულად. ამას სათანადო პროცედურები სჭირდება, მაგრამ ეს ტექნიკური საკითხია. მთავარია, რომ საზოგადოება შეთანხმდეს ამ საკითხზე. ვიმეორებ, დამკვეთების დასჯა არ ჭიანურდება, მიდის სერიოზული ძიება. ზუსტად ვიცი, რომ ბრალი დაუმძიმდება ვანო მერაბიშვილს, ახალაიას და მიხეილ სააკაშვილიც მალე დაიკითხება.

**— თქვენი ინფორმაციით, როდის დაიკითხება სააკაშვილი?**

— მიდის გამოძიება. ჩემი წყაროების ინფორმაციით, ის

**წარმომადგენლის მიმართ, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რა ხდებოდა საქართველოში, თვალებს იბრმავებდნენ და სააკაშვილის ხელიდან ორდენებსა და მედლებს იღებდნენ.** როგორც სააკაშვილმა დალუპა სახელმწიფო, ისე იმ ე.წ. ცნობადმა სახეებმაც დალუპეს. ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გუნდრუკი უკმიეს სააკაშვილს და იცეკვეს მის დაკრულზე. ასე რომ, ისინიც გარიყული უნდა იქნან საზოგადოებიდან.

მოამზადა
**ქეთი ხომერიკმა**

## ირმა ინაშვილი:

## «ნაციონალური მოძრაობის» წევრებს კანონის საფუძველზე უნდა აეკრძალოთ თანამდებობების დაკავება სახელმწიფო სტრუქტურებში

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თორმეტი წელი ვიყავი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ქვეყანაში 7 ათასზე მეტი პატიმარი არ გვყოლია, ამ ახალგაზრდების მოსვლის შემდეგ კი პატიმართა რაოდენობა კატასტროფულად იზრდებოდა. ერთხელ ბოკერიასთან შევედი და ვუთხარი: რა ხდება? რატომ იზრდება ასე დაკავებულთა რიცხვი-მეთქი? გიგა ბოკერიას პასუხი ასეთი იყო: ჩვენ პატიმართა რიცხვი 24 ათასამდე უნდა გავზარდოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში მოგვცემენ ფულს, რათა ციხეები ავაშენოთ."



# ელენე თევდორაძე: მერაბიშვილმა მიპასუხა: სანამ ასეთ 200 კაცს არ ჩავაწვენ მიწაში და თქვენც არ მიგაყოლებთ, არ მოვისვენებო

**რამდენიმე დღეა, მთელი საქართველო კიდევ ერთხელ მოიცვა შემზარავმა ინფორმაციამ. სამეგრელოში სამალავებიდან ამოღებულ იარაღთან დაკავშირებით საქართველოში ადამიანებს მეტყველების უნარი აქვთ დაკარგული, კომენტარებს ველარ აკეთებენ თავად „ნაცების" მხადამჭერებიც კი, მხოლოდ გუშინდელი ღლაპები, სააკაშვილის ხასები ბედავენ საუბარს, რადგან ჯერ კიდევ გარეთ დადის მათი კურო და აღფრთოვანებულები არიან. იმ ყველაფრის მიუხედავად, რაც გავიგეთ „ნაცების" შესახებ, თითქოს საკმარისზე მეტი არ იყოს, კვლავ დგას საკითხი: უნდა გასამართლდეს თუ არა რეჟიმი. არ დაუპატიმრებიათ ბარამიძე, ბოკერია და სააკაშვილის დაპატიმრების საკითხიც კი არ დამდგარა. დღემდე მიუსჯელად სხედან ციხეში ახალაია და მერაბიშვილი, რომელთა მეუღლეებიც ტელევიზიით გვეკეკლუცებიან, რომ დუმილის დარღვევას იწყებენ... დუმილის დარღვევა კი იმას ჰქვია, რაც ელენე თევდორაძემ „საქართველო და მსოფლიოსთან" საუბარში განაცხადა.**



**— ქალბატონო ელენე, სრულიად საქართველო შოკში ჩააგდო ინფორმაციამ, რომელიც რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სააშკარაოზე გამოიტანა. თქვენ წლების განმავლობაში ადამიანის უფლებების დამცველი იყავით, ნუთუ არაფერი იცოდით ამის თაობაზე თუ დუმდით?**

— 1995 წლიდან, რაც მე ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ვიყავი, რეგლამენტის თანახმად, უპირობოდ, ნებისმიერ დროს პრეზიდენტს ან მის მიერ დანიშნულ უფლებამოსილ პირს (ეს იყო პარლამენტის თავმჯდომარე, მაშინ ზურაბ ჟვანიას უფლებები მე გადმომეცა და შემდეგში უკვე ნინო ბურჯანაძის ნაცვლად ვსარგებლობდი ამ უპირატესობით) შეეძლო პატიმართან შესვლა. რადგან ასეთი უფლება მქონდა, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას შევდიოდი, თანაც გაუფრთხილებლად და არასოდეს არც არავინ გამიფრთხილებია, რომ ციხეში შევდიოდი. ალბათ, ეს არ აძლევდა ციხის ხელმძღვანელობას იმის უფლებას, რაც ახლა, ამ დღეებში მოვისმინე. ვერ ვიტყვი, რომ ციხეებში ასეთი რამ არ ხდებოდა, მაგრამ ამას მაშინ პატიმრები თავად აკეთებდნენ. **ადამიანს, რომელიც გაუპატიურების მუხლით სამართლდებოდა, თავად პატიმრები უსწორდებოდნენ ასეთი ფორმით. შემიძლია დავიფიცო, რომ ციხის თანამშრომლების მხრიდან მსგავს საქციელს ადგილი არ ჰქონდა. იმ პერიოდში იყო ფაქტები, როდესაც ფანჯრებიდან ყრიდნენ დაკავებულებს, დანაშაულის აღიარების მოტივით, ემუქრებოდნენ — ბოთლზე დაგსვამთ და ა.შ. საშინელებებს ეუბნებოდნენ, მაგრამ არასოდეს უთქვამთ პატიმრებს, რომ ეს ვინმემ გააკეთა.** რა თქმა უნდა, ეს დარღვევა იყო, მაგრამ, რაც ახლა მესმის, ასეთი რამ არ მსმენია.

## «ნინო ბურჯანაძე სულ მაფრთხილებდა და მეუბნებოდა, ფრთხილად იყავით, თქვენ შვილი გყავთ, შვილიშვილები გყავთო...»



დავით ბაქრაძის თავმჯდომარეობის დროს შეიცვალა რეგლამენტი და ციხეებში პატიმრებთან ურთიერთობა განუსაზღვრელი დროითა და უპირობოდ აღარ შეიძლებოდა. უფრო მეტიც, მათ საერთოდ არ დანიშნეს ადამიანი, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ითანამშრომლებდა, გააკეთეს ისე, რომ სამი თვე ვიღაც მუშაობდა, მეორე სამი თვე კიდევ ვიღაც და ა.შ. თუმცა ის სამი ადამიანიც, რომელთაც ევალებოდათ საპატიმროში შესვლა, არც დადიოდნენ. **სექტემბერში, ციხის კადრები რომ ვნახე, ორი ღამე არ მეძინა. თუ გახსოვთ, მაშინვე ითქვა, რომ ის კადრები გადაღებული იყო ბოლო ოთხი წლის განმავლობაში.** ვიდრე მე ვიყავი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში, არასოდეს წამიყრუებია, ყველას ვაგებინებდი, თუკი რამე დარღვევა იყო, არასოდეს მოვრიდებივარ მერაბიშვილს, ახალაიას... ისინი მერიდებოდნენ, იცოდნენ, რომ მე არაფერს დავმალავდი.

**— და მაინც, ქალბატონო ელენე, თქვენს დროს იყო გირგვლიანის საქმე, იყო ჟვანიას საქმე, აფრასიძეების საქმე, ციხის ბუნტი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი გაუხსნელი და მიჩქმალული დანაშაული.**

— დიახ, ეს საქმეები ჩემს დროს იყო, მაგრამ მე არც მაშინ ვდუმდი; საკომიტეტო მოსმენაზე დავპატიჟე რობაქიძეც, გირგვლიანიც და კიდევ ერთი ქალბატონი, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა უგზო-უკვლოდ დაკარგული. ამის შემდეგ, ერთი წლის თავზე განვაცხადე, რომ აღარ მინდოდა თანამდებობაზე ყოფნა და რომ ვამთავრებდი ჩემს პოლიტიკურ მოღვაწეობას, რადგან მიმაჩნდა, რომ ჩემს იქ ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა. ეს კი იმან გამოიწვია, რომ ყველა ჩემი განცხადების იგნორირება ხდებოდა.

**თორმეტი წელი ვიყავი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ქვეყანაში 7 ათასზე მეტი პატიმარი არ გვყოლია, ამ ახალგაზრდების მოსვლის შემდეგ კი პატიმართა რაოდენობა კატასტროფულად იზრდებოდა.**

**ერთხელ ბოკერიასთან შევედი და ვუთხარი: რა ხდება? რატომ იზრდება ასე დაკავებულთა რიცხვი-მეთქი?** თან, არ დაგავიწყდეთ, ეს ხდება მანამდე, სანამ პრეზიდენტმა ნულოვანი ტოლერანტობისკენ მოუწოდა მთავრობას. **გიგა ბოკერიას პასუხი ასეთი იყო: ჩვენ პატიმართა რიცხვი 24 ათასამდე უნდა გავზარდოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში მოგვცემენ ფულს, რათა ციხეები ავაშენოთ.** მისმა ნათქვამმა შოკში ჩამაგდო.

მინდა მოგიყვეთ ერთი შემთხვევა: პირველი სამი ახალგაზრდა დიღომში რომ დახვრიტეს, ალბათ, გახსოვთ ეს ამბავი. ჩემთან მოვიდნენ თვითმხილველები და მათ მითხრეს, რომ სამივე ახალგაზრდა დაჩოქილი ეხვეწებოდა პოლიციას, არ გვესროლოთ, დაგვაპატიმრეთო, მაგრამ მათ მაინც დახვრიტეს. მე, რა თქმა უნდა, წუთითაც არ დავფიქრებულვარ, **მერაბიშვილთან მაშინვე მივედი და ყველაფერი მოვუყევი, ვუთხარი, რომ ეს ამბავი არ დაიმალებოდა, მერაბიშვილმა მიპასუხა: სანამ ასეთ 200 კაცს არ ჩავაწვენ მიწაში და თქვენც არ მიგაყოლებთ, არ მოვისვენებო.** ეს იყო 2005 წელი, მას შემდეგ მოხდა გირგვლიანის ამბავი და კიდევ ბევრი დანაშაული. **ნინო ბურჯანაძე სულ მაფრთხილებდა და მეუბნებოდა, ფრთხილად იყავით, თქვენ შვილი გყავთ, შვილიშვილები გყავთო...**

**— მთელი ამ წლების მანძილზე უცხოელები მიშას „დემოკრატიის შუქურას" უწოდებდნენ, თქვენც მათთან ერთად დადიოდით სტრასბურგში.**

— ძირითადად ჟვანიას დროს დავდიოდი, მერეც დავდიოდი. ევროპარლამენტარ მათიას იორშს პირად საუბრებში სულ ვეუბნებოდი, რომ თქვენი ასეთი მფარველობით საშინელ შედეგს მივიღებთ საქართველოში, ნუ აფარებთ ხელს-მეთქი.

**— ქალბატონო ელენე, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ეს სისტემური დანაშაული? სააკაშვილი ამბობს, რომ სადისტები შეიპარნენ მის ხელისუფლებაში.**

— რა პასუხს ელოდებით ჩემგან? **რა თქმა უნდა, ეს არის სისტემური დანაშაული.**

**— ფიქრობთ, რომ ყველა უნდა დაისაჯოს? წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ ადამიანები თავად დაიწყებენ ანგარიშსწორებას?**

— ყველა უნდა დაისაჯოს, მაგრამ ახლა მე იმას ვფიქრობ, სად შევცდი: პოლიტიკა რომ დავტოვე თუ დროზე რომ არ დავტოვე?

**— როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა „ნაცმოძრაობას" მორალური, ზნეობრივი და მოქალაქეობრივი უფლება, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს?**

— არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას თუ არა, ეს მათ სინდისზე იყოს. ის, რომ პარტიას აუკრძალო არჩევნებში მონაწილეობა, არადემოკრატიული იქნება. ვერ გეტყვით, რამდენად შესაძლებელია პარტიის გასამართლება, მაგრამ პოლიტიკური შეფასების გაკეთება პარლამენტის პრეროგატივაა.

**— ზურაბ ჟვანიას საქმეზე აქტიურობდით? მაშინ საოცარი დუმილი იყო ამ საქმის გარშემო.**

— მე ერთ-ერთმა პირველმა მაშინვე გამოვთქვი ეჭვი, რომ ის მოკლული იყო. დღესაც დაინტერესებული ვარ ამ საქმით, ვესაუბრები ზურას მეუღლეს და ის ამბობს, რომ პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს.

**— ქალბატონო ელენე, ესე იგი თქვენ მაინც გგონიათ, რომ პატიმრების წამება 2008 წლიდან დაიწყო და მანამდე მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონია?**

— რატომღაც ასე მგონია, შეიძლება ვცდები კიდეც, მაგრამ შეგიძლიათ დაელაპარაკოთ შალვა რამიშვილს. მე მასთან ხშირად დავდიოდი, ის აუცილებლად მეტყოდა, ის ყოველთვის მიყვებოდა, თუ რომელიმე პატიმარს პრობლემა ჰქონდა და მთხოვდა, დავხმარებოდი, ამიტომ ვფიქრობ, რომ მსგავსი რამ რომ მომხდარიყო, აუცილებლად მეტყოდა. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ციხეში გაუფრთხილებლად შევდიოდი და მსგავსი ფაქტის მომსწრე არ ვარ. **პატიმრები ყვებოდნენ მუქარის შესახებ, მაგრამ არასოდეს უთქვამთ მსგავს რამეზე. მერაბიშვილსაც და ახალაიასაც ვაფრთხილებდი, რომ ეს დრო დადგებოდა.** ახლა ძალიან კარგია, რომ მერაბიშვილი ამბობს, საკუთარ თავზე ვიღებ პასუხისმგებლობასო. ეს განცხადება ამას წინათ „ფეისბუქზე" წავიკითხე. ჰოდა, ძალიან კარგი, თუ თავის თავზე იღებს პასუხიმგებლობას. **ბაჩოსაც რამდენს ვეხვეწებოდი ციხის ბუნტის დროს, არ ესროლოთ პატიმრებს-თქო, მაგრამ არ მომისმინეს.**

**— ვინ გასცა სროლის ბრძანება, ახალაიამ?**

— არა.

**— ბოკერიამ?**

**ელენე თევდორაძემ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და ჩაილაპარაკა:**

— არ ვიცი, ის მოვიდა და სროლა მერე დაიწყო.



**— ვინ გასცა სროლის ბრძანება, ახალაიამ?**
**— არა.**
**— ბოკერიამ?**
**ელენე თევდორაძემ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და ჩაილაპარაკა:**
**— არ ვიცი, ის მოვიდა და სროლა მერე დაიწყო.**



ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მაგრამ „ჯიპიაი ჰოლდინგს“ არანაირი თანხა არ გადმოურიცხავს. საბოლოოდ, დედამ ისესხა ფული, რადგან სამშობიაროდან თანხის გადაუხდელობის გამო ვერ მოვდიოდი... ჩემი მეუღლისგან ვიცი, რომ მსგავსი პრობლემა სხვა ჯარისკაცების ცოლებსაც შეექმნათ. სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ თანხა არც მათ გადაურიცხა.“**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დიდი სამამულო ომის პერიოდის წითელი არმიის კრიტიკა დანაშაულად ჩაითვლება

**რუსეთის მასმედიის საშუალებათა ცნობით, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ირინა იაროვაიამ „სახალხო ფრონტელ“ კოლეგებთან ერთად განსახილველად შეიტანა კანონპროექტი, რომლის ძალითაც შემოღებული იქნება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ანტიჰიტლერული კოალიციის ჯარების საქმიანობის კრიტიკის გამო.**

დეპუტატის ჩანაფიქრით, შეთავაზებული შესწორებები შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის კარს „მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ დანაშაულის წინააღმდეგ“. ახალი მუხლი ჩაეწერება 354.1 ნომრით და დაერქმევა **„ნაციზმის რეაბილიტაცია“.**

„საბჭოთა კავშირი ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა წევრებთან ერთად ებრძოდა ფაშიზმს და ნებისმიერი მცდელობა სხვაგვარად იქნას შეფასებული. წითელი არმიის როლი და მნიშვნელობა მეორე მსოფლიო ომის წლებში ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ისტორიულად ობიექტურ მონაცემებს, არამედ თვით საერთაშორისო სამართლებრივ აქტს“, — განაცხადა იაროვაიამ.

**კანონპროექტი ითვალისწინებს მათ დასჯას, ვინც უარყოფს ნიურნბერგის ტრიბუნალის განაჩენს, ანტიჰიტლერული კოალიციის არმიების საქმიანობას „მსოფლიო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად“, ავრცელებს ცრუ ცნობებს ამ საქმიანობის შესახებ, ბრალს სდებს სამხედროებს დანაშაულის ჩადენაში, „მათ შორის, ბრალდების ხელოვნურად შეთითხვნის გზით“.**

„ნაციზმის რეაბილიტაციაში“ მხილებულ პირებს **დაეკისრებათ ჯარიმა 300 ათასამდე რუბლის ოდენობით ან 3 წლამდე პატიმრობა; სამსახურებრივი მდგომარეობის ან მასმედიის საშუალებათა გამოყენების შემთხვევაში ჯარიმა გაიზრდება 500 ათას რუბლამდე, პატიმრობის ვადა — ხუთ წლამდე.** ამგვარი საქმეების გამოძიება დაეკისრება რუსეთის საგამოძიებო კომიტეტს.



# იმ ჯარისკაცის მეუღლეს, რომელსაც სააკაშვილმა საჯაროდ ჰკითხა, თუ რამდენი ავღანელი ჰყავდა მოკლული, სადაზღვევო თანხას არ უხდიან

**ბოლო წლებია, სახელმწიფო ქართულ ჯარზე ზრუნვას პრიორიტეტულად აცხადებს. სწორედ ამ მიზნით, ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალი კონცეფციის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისთვის სპეციალური სადაზღვევო პაკეტი და რეფერალური ფონდი შეიქმნა. უკვე ამა წლის მარტიდან თავდაცვის სამინისტრომ სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი“ ღია ტენდერით შეარჩია. მაშინ მკაფიოდ ითქვა, რომ სტანდარტული სადაზღვევო პაკეტი სამხედრო პირების ოჯახებისთვის, გეგმიური და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების, პროფილაქტიკური კვლევის დაფინანსების, გადაუდებელი სტაციონალური მკურნალობისა თუ სხვა ტიპის მომსახურების გარდა, მშობიარობის თანხის ანაზღაურებასაც ითვალისწინებდა. თუმცა, როგორც „საქართველო და მსოფლიოს“ ავღანეთში მყოფი ქართველი ჯარისკაცის მეუღლემ, მარიამ მუხათგვერდელმა, განუცხადა, სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი“ მას კუთვნილ სადაზღვევო თანხას არ უხდის.**




**ზურაბ მუხათგვერდელის დედამ, ირლანდიაში მცხოვრებმა ქალბატონმა ნათელა მოდებაძემ, გაავრცელა განცხადება, რომ ფირზე აღბეჭდილი ქართველი სამხედროების სიცოცხლის სანაცვლოდ ფულადი ჯილდო იყო დაწესებული და მათი ავღანეთიდან საქართველოში დაბრუნება მოითხოვა**

**აღსანიშნავია, რომ მარიამი იმ ჯარისკაცის მეუღლეა, რომელსაც ცოტა ხნის წინ ავღანეთში სტუმრობისას საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ტელეკამერების წინ საჯაროდ ჰკითხა, თუ რამდენი კაცი ჰყავდა მოკლული. რის შემდეგაც ზურაბ მუხათგვერდელის დედამ, ირლანდიაში მცხოვრებმა ქალბატონმა ნათელა მოდებაძემ, გაავრცელა განცხადება, რომ ფირზე აღბეჭდილი ქართველი სამხედროების სიცოცხლის სანაცვლოდ ფულადი ჯილდო იყო დაწესებული და მათი ავღანეთიდან საქართველოში დაბრუნება მოითხოვა.**

**შეგახსენებთ, რომ ნათელა მოდებაძე ის ქალბატონი გახლავთ, რომელიც გამთენიისას შემთხვევით შეესწრო, როგორ შეასვენეს ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრები საბურთალოს ქუჩა №53-ში მდებარე ბინაში და აღნიშნული შემთხვევის შემდეგ მას საქართველოს დატოვება მოუხდა.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ მარიამ მუხათგვერდელი ესაუბრა.**

**— რა თანხა უნდა გადაეხადა თქვენთვის სადაზღვევო კომპანიას?**

— ვინაიდან ჩემი მეუღლე თავდაცვის სამინისტროში მსახურობს, 800 ლარის დაზღვევა მეკუთვნოდა. კანონით, თანხა სადაზღვევო კომპანიას სრულად უნდა აენაზღაურებინა. მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე, დავრეკე სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგში“ და მითხრეს, რომ სრულად დამაფინანსებდნენ და არანაირი პრობლემა არ არსებობდა. მაგრამ ჩვენი საუბრის შემდეგ, ცოტა ხანში დამირეკეს და მითხრეს, თქვენ მეორე დაზღვევაც გქონიათ, ამიტომ მხოლოდ თანხის ნახევარს, ანუ 400 ლარს აგინაზღაურებთო.

მართლაც, ვინაიდან სოციალურად დაუცველთა სიაში ვართ, სადაზღვევო კომპანია „ალფასგანაც“ გვეკუთვნოდა თანხა. სწორედ ამას გულისხმობდნენ. ასეთ შემთხვევაშიც თანხის ნახევარი მაინც „ჯიპიაი ჰოლდინგს“ უნდა გადაეხადა.

**რამდენიმე დღეში ვიმშობიარე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მაგრამ „ჯიპიაი ჰოლდინგს“ არანაირი თანხა არ გადმოურიცხავს. საბოლოოდ, დედამ ისესხა ფული, რადგან სამშობიაროდან თანხის გადაუხდელობის გამო ვერ მოვდიოდი.**

როდესაც მიზეზის გასარკვევად „ჯიპიაი ჰოლდინგში“ დავრეკეთ, გვიპასუხეს, მარიამ მუხათგვერდელი ჩვენს მონაცემთა ბაზაში საერთოდ არ არისო. ვიფიქრე, გვარი შეეშალათ და ვითარებაში გარკვევას შევეცადე. მეორედ რომ დავრეკე, გადაამოწმეს და მითხრეს, კი ხართ მონაცემთა ბაზაში, მაგრამ თანხა არ გეკუთვნით და, **თუ გინდათ, 53 ლარს გადმოგირიცხავთო. ეს ხომ დაცინვაა? წარმოიდგინეთ, 800 ლარი მეკუთვნის და 53 ლარს მთავაზობენ... ისიც, თუ გინდათო, მეუბნებიან. საბოლოოდ, რამდენიმე დღის წინ მხოლოდ 53 ლარი გადმომირიცხეს.**

— **რა გახდა სადაზღვევო კომპანიის მხრიდან უარის თქმის მიზეზი?**

— ჯერ მოიმიზეზეს, მონაცემთა ბაზაში არ ხარო. შემდეგ განაცხადეს, ლუქსში იმშობიარა და პირადი ექიმი ჰყავდა, ჩვენ თანხა რატომ უნდა გადავურიცხოთო, რაც სიცრუეა. ლუქსის ნომერი ათასი ლარი ღირს, პირველ კატეგორიის ნომერი კი, სადაც მე დავწექი, 785 ლარი ჯდება. ამას გარდა, ყოფილი პირველი სამშობიაროდან, დღეს შარაშიძის კერძო კლინიკიდან, მაქვს დამადასტურებელი ჩეკი და ამონაწერი. აღნიშნული სამშობიარო სახლი „ჯიპიაი ჰოლდინგის“ პროვაიდერია. მაგრამ მაინც ვერაფერი გავაწყეთ. როდესაც გაიგეს, რომ „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მხრიდან ასეთი პრობლემა შეიქმნა, „ალფამ“ 400-ის ნაცვლად ხუთასი ლარი გადმომირიცხა, „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ კი დარჩენილი 285 ლარის მაგივრად — მხოლოდ 53 ლარი.

**— თავდაცვის სამინისტრო თუ ჩააყენეთ საქმის კურსში?**

— ჩემი მეუღლის უფროსს შევატყობინე. მართალია, მან ყურადღება გამოიჩინა, თავად დარეკა სადაზღვევო კომპანიაში, პირველად მასაც იგივე პასუხი გასცეს, მონაცემთა ბაზაში არ არისო. საყურადღებოა, რომ ასეთი მხოლოდ მე არ ვარ. **ჩემი მეუღლისგან ვიცი, რომ მსგავსი პრობლემა სხვა ჯარისკაცების ცოლებსაც შეექმნათ. სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ თანხა არც მათ გადაურიცხა.**

— **ავღანეთში 7 ქართველი ჯარისკაცის დაღუპვის შემდეგ, ქალბატონი ნათელა მისი შვილის, ანუ თქვენი მეუღლის საქართველოში დაბრუნებას ითხოვს. ვინაიდან სწორედ თქვენს მეუღლეს, ზურაბ მუხათგვერდელს, ჰკითხა მიხეილ სააკაშვილმა, რამდენი კაცი ჰყავდა მოკლული... რას ამბობს თავად თქვენი მეუღლე, ის თუ საუბრობს სამშობლოში დაბრუნებაზე?**

— როცა ახერხებს, დამიკავშირდეს, მეუღლე სამსახურზე არ საუბრობს. მით უმეტეს, ამხელა ტრაგედიის შემდეგ ყველანი ძალიან განერვიულებულები და ფსიქოლოგიურად დათრგუნულები არიან. კონტრაქტის თანახმად, ოქტომბრამდე ავღანეთში უნდა იყოს, ამიტომ იმედიც არ აქვთ, რომ ვინმე ახლა დააბრუნებთ და ამ საკითხზე აღარც საუბრობენ.

**საკითხში გასარკვევად, ჩვენ სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგსაც“ დავუკავშირდით. თავდაპირველად მონაცემთა ბაზაში მარიამ მუხათგვერდელი არც ამჯერად აღმოჩნდა, თუმცა შემდგომ გვაცნობეს:**

„მარიამ მუხათგვერდელის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მისთვის მშობიარობის სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებას, მოგახსენებთ, რომ დაზღვეული სარგებლობს ორმაგი დაზღვევით, ის ასევე დაზღვეულია სადაზღვევო კომპანია „ალფაში“. სახელმწიფო დაზღვევით მას აღნიშნული მომსახურება დაუფინანსდა 500 ლარის ოდენობით.

ჩვენთან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოთხოვნილი თანხა შეადგენს 285 ლარს (500 ლარის ზემოთ თანხა). აღნიშნულიდან არ ანაზღაურდა 230 ლარი, რადგან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, ანაზღაურებას ექვემდებარება სტანდარტული პალატის ღირებულება, შესაბამისად, მოხდა თანხის დაკორექტირება და არ ანაზღაურდა არასტანდარტული პალატის ხარჯი (200 ლარი), ასევე ამავე ხელშეკრულებით ანაზღაურებას არ დაექვემდებარა კვების (30 ლარი) ღირებულებაც. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანაზღაურებულმა თანხამ 55 ლარი შეადგინა.

აქვე დამატებით მოგახსენებთ, რომ დაზღვეული კლინიკაში მოთავსდა 2013 წლის 30 მაისს; სამედიცინო დოკუმენტაცია კლინიკის მიერ გადმოგზავნილი იქნა 2 ივნისს, შაბათს; ჩვენი მხრიდან კი საგარანტიო წერილი გაიცა 3 ივნისს, ორშაბათს.

ჩვენ მზად ვართ, შევასრულოთ დაზღვევით გათვალისწინებული ყველა პირობა“, — **განაცხადა კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თინათინ სტამბოლიშვილმა.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რაგინდ განვითარდეს ტექნიკური საშუალებები, ადამიანის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, თვით ადამიანს ვერაფერი შეცვლის. ინფორმაცია სამალავების შესახებ სწორედ ადამიანებისგან არის მიღებული. გათქვა მან, ვინც იცოდა. მართლაც, არაფერი არს დაფარული ამქვეყნად.“**



**ანზორ მაისურაძე:**

# ეჭვი მაქვს, რომ მითითება ტოტალური მოსმენებისა და ვიდეოჩანაწერების შესახებ ვაშინგტონიდან მოდიოდა

**სახელმწიფო უშიშროების გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძესთან ბოლო პერიოდის სკანდალურ სიტუაციებზე ვსაუბრობთ:**

**— რა აზრის ხართ ფარული ვიდეოჩანაწერების გასაჯაროებაზე? დიპკორპუსს აჩვენეს, ჟურნალისტებს აჩვენეს, პარლამენტარები სანახავად ემზადებიან. საქართველოს მოქალაქეებისთვის ტაბუდადებულია.**

**რატომ? ხელისუფლებას არ სჯერა თავისი ხალხის — ეშინია შურისძიების ინსტიქტებს არ აჰყვეს და ქვეყანაში უმართავი სიტუაცია არ შეიქმნას, თუ კეთროვანები ვართ დანარჩენები?**

— ყველა ეს შეკითხვა, რომლებიც გარკვეული დოზით ხელისუფლების კრიტიკის მუხტის მატარებელია, ერთბაშად მოიხსნება, თუ ტელევიზიებით ამ კადრების რაღაც ნაწილს მაინც, სათანადოდ დაშტრიხულს და ღია ეთერისთვის სათანადოდ გამზადებულს, ჩვენს მოსახლეობას აჩვენებენ.

არ დაგიმალავთ, **ჩემი ღრმა აღშფოთება გამოიწვია ზოგიერთი ხელმძღვანელის განცხადებამ, რომ ახლადაღმოჩენილ სამალავებში ნაპოვნი ვიდეოჩანაწერები არ უნდა იხილოს ფართო საზოგადოებამ.**

**გასაოცარი და გასაკვირია ასეთი პოზიცია, რადგან ეს არის პირდაპირი მინიშნება იმაზე, რომ ხალხი არაფერს წარმოადგენს და, მაშასადამე, არც არაფერი უნდა იცოდეს იმ ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის ამორალობის შესახებ, რომელსაც სააკაშვილის გუნდი ახორციელებდა.**

**რატომ არ უნდა ვნახო მე, ანზორ მაისურაძემ ეს კადრები, პროფესიონალმა, რომელმაც ჩემი ცხოვრების 44 წელიწადი შევწირე სახელმწიფო უშიშროებას და, ასე თუ ისე, მესმის ეს საქმე?**

**რატომ მიზღუდავენ საკუთარი შეხედულების შექმნის შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება დაეხმაროს კიდეც ჭეშმარიტების დადგენას?**

**ჰოლოკოსტის რეალური სახე დეტალურად დაანახეს ებრაელ ერს.**

**ოსვენციმში, დახაუში და სხვა ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკების მუზეუმებში ჰიტლერიზმის რეალური დანაშაულია წარმოდგენილი.**

**ნიურნბერგის პროცესმა ყველაფერი თქვა ფაშიზმის დანაშაულობათა შესახებ, რაც კი მან ჩაიდინა კაცობრიობის წინააღმდეგ.**

**რაღა მაინც და მაინც საქართველოს მოსახლეობას უნდა დაუმალონ ერის წინააღმდეგ ყოფილების მიერ ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელი — შეურაცხყოფის, წამების, ღირსების გათელვის, არაადამიანური მოპყრობის ფაქტები?**

**— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ცრუმორალისტების მოძალება, საზოგადოებრივი აზრი მომართონ ამ ვიდეოკადრების გასაჯაროების წინააღმდეგ, არის უბადრუკი მცდელობა დანაშაულის დაფარვის?**

— ამაო მცდელობაა. განა შეიძლება სხვა დასკვნის გაკეთება? ახლა იწყებენ კამათს, სისტემური იყო ეს დანაშაული თუ ცალკეული პირების მიერ ორგანიზებული? ამით სურთ, გადაფარონ ყოფილი რეჟიმის დანაშაულებრივი პოლიტიკა. საქმე კი უმარტივესად არის: ეს იყო სისტემური დანაშაული, რომელსაც ცალკეული ადამიანები ახორციელებდნენ.

სააკაშვილის პრიმიტიული „არგუმენტები“, თითქოს მან არაფერი იცოდა ამის შესახებ, თითქოს წარმოდგენაც არ ჰქონდა, ვინ იყვნენ ამის ჩამდენი ადამიანები, რომლებიც მას ჰყავდა სახელმწიფო ორდენებით დაჯილდოებული, გონებაშეზღუდულთათვის თუ გამოდგება და ამ აბდაუბდას მისი ფანატიკურად განწყობილი მომხრეები თუ დაიჯერებენ.

თუმცა ესეც საეჭვოა...

**— ბატონო ანზორ, მოდით გულახდილად ვილაპარაკოთ: უშიშროების სახელმწიფო სისტემაში, რომელსაც თქვენ ემსახურებოდით, განა არ იყენებდით ამგვარ მეთოდებს?**

— გამორიცხულია! ასეთი მასშტაბები და ასეთი სიბინძურე? არა, ბატონო. პირდაპირ გეტყვით: საერთო ჯამში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, ერთდროულად მხოლოდ 40 ობიექტისთვის მოგვესმინა, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა მოპოვებული გვქონდა სახელმწიფო მნიშვნელობის ინფორმაცია, როცა არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის შესახებ. მხოლოდ მაშინ მოგვცემდნენ უფლებას, როცა შევათანხმებდით პროკურატურასთან და როცა მოსამართლე გადაწყვეტდა.

**თუ ფაქტი რომელიმე ხელმძღვანელ პირს შეეხებოდა, მაშინ ფარული მოსმენის საკითხი ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან წყდებოდა.**



**ესენი კი ათასობით ადამიანს უსმენდნენ. რატომ? ყველაზე არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი? არა, რა თქმა უნდა.**

მაშასადამე, ხალხს სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და სხვები აღიქვამდნენ, როგორც მათი რეჟიმის პოტენციურ მოწინააღმდეგეებს, მათ პირად მტერს და მისი დათრგუნვა-დამონებისთვის მიმართავდნენ ყოველგვარ უკანონობას — მოსმენებს, ვიდეოთვალთვალს, ქონების წართმევას, საქმეების „შეკერვას“ და ა.შ.

**როცა ასეთ უკანონობას პირადი მიზნების მისაღწევად აკეთებ, ეს დანაშაულია, რომელიც ისჯება. ისჯებოდა ჩვენს დროსაც, ამიტომაც ვერავინ ბედავდა ამგვარ გადაცდომას. რაც მახსოვს, არავის გაუბედავს უკანონო მოსმენები. მეტსაც გეტყვით, ვისაც შეამჩნევდნენ აქეთკენ მიდრეკილებას, იმასაც სასტიკად სჯიდნენ.**

**— კანონს თუ გადააბიჯებ, სასჯელი გარდუვალია. მაგრამ, როცა ჰიტლერი ებრაელების, სლავების და ა.შ. მასობრივი განადგურების დირექტივას იძლეოდა, იგი პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებდა. ეს წერილობითაა, მოგეხსენებათ, დადასტურებული.**

**ჩვენი ყოფილების „გალაღებას“ რითი ახსნით?**

— თუ უწინ მოსკოვიდან მოდიოდა დირექტივები და მითითებები, ახლა ამ ფუნქციას ვაშინგტონი ასრულებს. ეჭვი მაქვს, რომ მითითება ტოტალური მოსმენებისა და ვიდეოჩანაწერების შესახებ ვაშინგტონიდან მოდიოდა.

უპასუხეთ კითხვას — ვინ აფინანსებდა სპეცაპარატურის ასეთ მასშტაბურ შეძენას და თქვენც გაგიჩნდებათ ასეთი ეჭვი.

**ვეჭვობ, რომ საცდელი კურდღლების როლში ვიყავით, ჩვენზე ატარებდნენ ცდას — აბა, რა მოხდება, როგორი რეაქცია ექნება, ან ექნება თუ არა საერთოდ რეაქცია საზოგადოებას, როცა ძალოვანი სტრუქტურები ადამიანების ცხოვრებაში ასე ტოტალურად ჩაერევიან?**

**— ჩვენ კარგა ხანს ხმას ვერ ვიღებდით...**

**— ასეთმა გაყუჩებამ, როგორც ჩანს, დაარწმუნა ცდის ჩამტარებლები, რომ მათი მეთოდი ძალაუფლების შენარჩუნების ეფექტიანი საშუალებაა და, ალბათ, შეეცადნენ, შტატებშიც დაენერგათ. ხაზს ვუსვამ — ალბათ, რადგან ამ დღეებში ერთი ამბავია ატეხილი სწორედ შტატებში ასეთი თვალთვალის წინააღმდეგ, რაც ბადებს ეჭვს.**

**— ის სამალავები, იარაღითა და ვიდეოკასეტებით, რომლებიც ამ დღეებში აღმოაჩინა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ხომ არ ბადებს ეჭვს, რომ ყოფილები ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადებოდნენ და მასობრივ პროვოკაციებს გეგმავდნენ?**

— რა თქმა უნდა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ, თუ შარშანდელ ოქტომბრის არჩევნებში „ნაცები“ გაიმარჯვებდნენ, ანგარიშს გაუსწორებდნენ ყველას, ვინც მათი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდა, ყველას, ვისაც ოდესმე მათ წინააღმდეგ რამე უთქვამს, ვინც არ ეთანხმებოდა მათ უზნეო პოლიტიკას, ვინც ბუნებით მორჩილი ადამიანი არ იყო.

გაუსწორდებოდნენ უმკაცრესად.

თუ წააგებდნენ, რაც მოსალოდნელი იყო, დამალულ იარაღს, ასაფეთქებელ საშუალებებს, ნარკოტიკებს, ვიდეოჩანაწერებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციებისთვის გამოიყენებდნენ.

**— შეიძლება ვთქვათ, რომ ეს იყო ყოფილი ხელისუფლების პოლიტიკური ხელმძღვანელობის „გეგმა №2“?**

— აბა, ვინ იყო ამ ყველაფრის ორგანიზატორი? თვალები უნდა დაგვსებოდა, რომ ვერ დაგვენახა, რომ სააკაშვილის გარეშე არაფერი არ წყდებოდა ქვეყანაში, და ასეთი სამალავების მოწყობას ვინ გაბედავდა უმისოდ? მიშა, ხომ გახსოვთ, ათეულობით წლების მანძილზე აპირებდა ხელისუფლების სათავეში დარჩენას.

**— აბა, სამხედრო მიზნებისთვის იყო შექმნილიო, სააკაშვილმა რომ თქვა? გარეშე მტერთან ეფექტიანად საბრძოლველადო და 2008 წლის ომი რომ დაიმოწმა?**

— ქალაქურად გიპასუხებთ: ვინ ჭამს მაგას?! „შავი დღისთვის“ ინახავდნენ, მაგრამ არ დასცალდათ: შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოპერატიულად იმუშავა. სააკაშვილმა კი, თუ ეს სამალავები მართლა სამხედრო მიზნებისთვის იყო გამიზნული, ღია ეთერში იმის განცხადებით, რომ სამალავები მისი განკარგულებით გაკეთდა, სახელმწიფო საიდუმლოება გასცა.

**— ერთ-ერთ ტელეარხზე გამოსვლისას შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ჰკითხეს, რას იტყვით პარლამენტის უმცირესობის მზადყოფნაზე — ითანამშრომლოს სამალავების საკითხის გამოძიებაშიო...**

— და მინისტრმა უპასუხა, რომ მათი თანამშრომლობა მას არ სჭირდება. მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება დადგეს თანამშრომლობის საკითხი, როცა ვინმეს წინააღმდეგ საქმე აღიძვრებაო.

მე მომეწონა ასეთი არაორაზროვანი პოზიცია.

მათ იმდენი დანაშაული ჩაიდინეს, ისე მოაბეზრეს ხალხს თავი, მათთან თანამშრომლობის გაგონებაც არ უნდა ხალხს. გაჩერდნენ მაინც, სირცხვილია. მათ ის მოახერხეს, რომ თავიც შეირცხვინეს, ოჯახებიც და ქვეყანაც.

სამალავების შესახებ.

**რაგინდ განვითარდეს ტექნიკური საშუალებები, ადამიანის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, თვით ადამიანს ვერაფერი შეცვლის. ინფორმაცია სამალავების შესახებ სწორედ ადამიანებისგან არის მიღებული. გათქვა მან, ვინც იცოდა. მართლაც, არაფერი არს დაფარული ამქვეყნად.**

**— თქვენ წლების მანძილზე უცხოეთში, საბჭოთა დაზვერვაში მუშაობდით. გქონდათ მაშინ შესაძლებლობა მსგავსი ჩანაწერების გაკეთების?**

— რა თქმა უნდა.

**— და ეს იყო საშუალება გადმობირების?**

— დიახ.

**— და ინფორმაციის მიღების?**

— დიახ.

**— და იარაღის საიდუმლო სამალავებიც გქონდათ?**

— დიახ. ოღონდ სხვა ქვეყნებში.

**— და ეს პრაქტიკა, საზღვარგარეთ ნორმალურად მიჩნეული, სახელმწიფოს შიგნით რატომ არ ვარგა?**

— იმიტომ, რომ ის, რასაც ჩვენ საზღვარგარეთ ვაკეთებდით, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა, ხოლო ის, რაც სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება, გამართლებულია. **იმას, რაც საქართველოში სააკაშვილის ინტერესების სამსახურში იყო ჩაყენებული, მის პოლიტიკას, რომელიც ვაშინგტონს იყო მიბმული, გამართლება არ აქვს, თანაც ადამიანების წამების, ღირსების ფეხქვეშ გათელვისა და შანტაჟის საშუალებით.** ძნელი სათქმელია, რატომ მიდიოდნენ ამაზე, მაგრამ რახან წავიდნენ, უნდა აგონ კიდეც პასუხი, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, კანონის მთელი სიმკაცრით.

**— პირადად სააკაშვილმაც?**

— დიახ. ასეთ სიტუაციაში პრეზიდენტები ჩვეულებრივ გადადგებიან ხოლმე, მაგრამ სააკაშვილი თავისი ნებით წამსვლელი არ არის.

**— აბა, იმპიჩმენტი?**

— მე მგონი, უკვე დაგვიანებულია. ეს პროცედურა გაცილებით ადრე უნდა დაგვეწყო. თუ გახსოვთ, ელცინმა ახალ წელს ბოდიში მოუხადა ხალხს, თუ ყველაფერი ისე ვერ გავაკეთე, როგორც საჭირო იყოო, და გადადგა. სააკაშვილს ბოდიშის მოხდა თავში არ მოსდის, ამიტომ კანონი უნდა ამოქმედდეს. არ აპატიებს ხალხი ამდენ დანაშაულს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**„წვიმა რომ მოდის, რაც აქ ხშირი ამბავია, ვერც ხევის ხალხი გადმოდის ჩვენკენ და ვერც ჩვენ ვერ გადმოვდივართ აქეთ. არადა, ზემოთ, ამ მთაზე სასაფლაოა. ერთი სასაფლაო გვაქვს ქართველებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს — ყველანი ერთნი ვართ და ერთმანეთს მხარში ვუდგავართ. წვიმის მერე წყლის დონის დაწევას ერთი კვირა უნდა! გეკითხებით, მიცვალებული ერთ კვირას მოიცდის?“**

სიტუაცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# როგორ გააცურა დეპუტატმა ხიდაშელმა თავისი გომბორელი ამომრჩევლები

**2010 წლის შემოდგომაზე ზარზეიმით, ჩვეული ტაშფანდურით და „მიშა, მიშა“-ს შეძახილებით „ნაციონალებმა“ აღნიშნეს მორიგი „საუკუნის მშენებლობის“ — თბილისი-გომბორი-თელავის საავტომობილო ტრასის დასრულება. თელაველებისა და გომბორელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან საგრძნობლად შემოკლდა მანძილი დედაქალაქამდე.**

თუმცა, კახეთის მკვიდრთა სიხარულს დიდი დღე არ ეწერა. და აი, რატომ — „ნაციონალურ“ ხელისუფლებას ყოველთვის ეჩქარებოდა და ხანდახან ისე ძალიან, რომ მშენებლობების უსაფრთხოების საკითხებს არაფრად აგდებდა. კახეთის (თბილისი-გომბორი-თელავის) გზის დაგების სირთულე განპირობებული იყო რთული რელიეფითა და ეროზიული პროცესებით, რომელიც დამახასიათებელია ამ რეგიონისთვის.

ის მძღოლები, რომლებსაც ტრასის მშენებლობამდე სოფელი გომბორი გაუვლიათ, უთუოდ შენიშნავდნენ ეკლესიასთან მანიშნებელს, გამვლელ-გამომვლელს რომ აფრთხილებდა ამ უბნის მეწყერსაშიშროებაზე.

მიუხედავად ამისა, პროექტის ავტორების უპასუხისმგებლობის გამო (კონკრეტულად საუბარია გომბორის ეკლესიის ქვეშ გამავალ გზაზე და მიმდებარე ხევის დამეწყრილ უბანზე) ვითარება ძალზე სახიფათო გახდა.

**ტრასის ამ მონაკვეთის რეაბილიტაციის შემდეგ მშენებლებმა მოსალოდნელი ინტენსიური დამეწყვრის ასაცილებლად ხევში სახიფათო ადგილის გასამაგრებელი სამუშაოები დაიწყეს, თუმცა პირიქით უნდა ყოფილიყო — ჯერ ფერდი გაემაგრებინათ და მერე მოეხდინათ გზის რეაბილიტაცია. ასეა თუ ისე, დიდი რაოდენობით შემოიტანეს მიწა და ქვა, დაფარეს კალაპოტი ინერტული მასალით (დაახლოებით 400 მეტრის სიგრძეზე) და გააკეთეს ხელოვნური მიწაყრილი, რომლის დონე გაცილებით აღემატებოდა რიყის დონეს. მდინარეს შეუცვალეს კალაპოტი და წყალი მიუგდეს მარჯვენა ნაპირს, სადაც მოსახლეობაა. პროექტის მიხედვით, დამეწყრილ ფერდობს დამცველი კონსტრუქცია აუგეს, სამწუხაროდ, დამპალი სალიანდაგე შპალებისგან. საინჟინერო თვალსაზრისით ამ უაზრო ნაგებობამ აღაშფოთა ხევის ქუჩის მოსახლეობა, რომელმაც 2011 წლის 14 ივნისს საგანგებო წერილით მიმართა საგარეჯოს გამგეობას, რომელშიც აფრთხილებდა ამ უკანასკნელს, რომ ყოვლადგაუგებარმა კონსტრუქციამ მდინარის კალაპოტი 5 მეტრით შეავიწროვა, რაც ძლიერი წვიმების დროს აუცილებლად გამოიწვევდა მოსახლეობის დატბორვას.**

2012 წლის 19 ივლისის წყალდიდობამ თვალნათლივ დაადასტურა მოსახლეობის ვარაუდი. უხარისხოდ და არაკომპეტენტურად აგებულმა კონსტრუქციამ ვერ გაუძლო სტიქიის პირველივე შემოტევას. მოვარდნილმა წყლის ნაკადმა ე.წ. გაბიონიდან გამორეცხა ქვის ლოდები, რომლებიც წალეკა ხიდისკენ. ლოდებს დაემატა მოგლეჯილი ხეები. ხიდი გადაიქცა ხელოვნურ კაშხლად; დაიწყო მიმდებარე ტერიტორიის დატბორვა.

**აი, როგორ იხსენებს იმ კოშმარულ ღამეს ხიდთან ახლოს მცხოვრები ტარიელ სიხარულიძე:**

— იმ ღამეს მძლავრმა გრუხუნმა გამაღვიძა. ასე მეგონა, სოფელს ბომბავდნენ. როგორც შემდგომ გაირკვა, ამ გრუხუნის მიზეზი იყო გაბიონიდან გამორეცხილი ლოდები, რომლებიც ხიდს ასკდებოდა. წყლის დონე ძალზე სწრაფად მატულობდა და წყალი ჩემს კარ-მიდამოშიც შემოვარდა. სახლში, მეუღლის გარდა, იმყოფებოდა ჩემი ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი. გავაღვიძე მეუღლე და ვუთხარი: სწრაფად ადექი და, სანამ გვიან არაა, ბავშვებთან ერთად სახლი დავტოვოთ-მეთქი. როცა აივანზე გავედით, წყალი უკვე სახლს მომდგარიყო. ეს კარგს არაფერს გვიქადდა, რადგან საცხოვრებლის ახლოს არის დენის ტრანსფორმატორი, რომელიც უეჭველად დატბორილი იქნებოდა. წყლით დაფარულ ეზოში ჩასვლა უაზრობად ჩავთვალე. დავურეკე საგანგებო სიტუაციების სამსახურს. უნდა ვთქვა, რომ მისმა თანამშრომლებმა გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი გასაჭირი და საშველად ვერტმფრენის გამოგზავნა გადაწყვიტეს. ამ დროს საშინელი გრუხუნის ხმა გაისმა, რომლის შემდეგ წყლის დონემ სწრაფად დაიწყო კლება. აღმოჩნდა, რომ უზარმაზარი ლოდი ხიდს შეეჯახა და მოწყვიტა ის, რითაც გაარღვია ხელოვნურად შექმნილი კაშხალი. რომ არა ის მართლაც დალოცვილი ლოდი, ვერ გეტყვით, გადავრჩებოდით თუ არა!

**2012 წლის 19 ივლისის წყალდიდობამ ააოხრა და წალეკა მდინარე გომბორულას პირას მცხოვრები ზალიევებისა და სიხარულიძეების ოჯახების ნაკვეთები. ნაწილობრივ წყალი შევარდა რეზო ქოჩაშვილისა და გივი წივილაშვილის ნაკვეთებშიც, წყალმა ხიდის მიმდებარე სოფლის გზაც დატბორა.**

თუ მორალურად ყველაზე დიდი ზარალი სიხარულიძეების ოჯახმა მიიღო (თუმცა მატერიალური ზარალიც არც თუ ისე მცირეა — 1500 ლარს უდრის), მატერიალურად ყველაზე დიდი ზიანი ზალიევების ოჯახმა იწვნია. ცხრა კაკლის ხიდან წყალმა ფესვიანად მოგლიჯა ექვსი ხე, დატბორა საქათმე, რომელშიც 30 ქათამი და 80 წიწილა იყო. განადგურდა ბოსტანი, ბაღი თავისი მოსავლით. ეზოში იდგა დიდი რკინის ჯიხური. მასში ელაგა ყველაფერი, რაც აუცილებელია სოფელში საცხოვრებლად: ცხენის საზიდარი, ორი უნაგირი, ორი გაზით დატუმბული ბალონი, ორი დიდი ყუთი მატყლით, სამი ფიწალი, ოთხი ცელი... ზალიევებმა ხუთი ათას ლარზე მეტი იზარალეს!..

**ახლოვდებოდა საპარლამენტო არჩევნები და „ნაციონალები“ დაფაცურდნენ. აგვისტოში აღადგინეს მარცხენა ნაპირზე ნახევრადდაშლილი გაბიონი იმავე უხარისხო სალიანდაგო შპალებით, ხოლო სექტემბრის დასაწყისში მარჯვენა ნაპირის გასწვრივ დაიწყო 120-მეტრიანი დამცავი ბეტონის კედლის აგება. გაუგებარი იყო ერთი რამ: ასეთივე კედელი რატომ არ ააშენეს თბილისი-გომბორი-თელავის ტრასის დამეწყრილი ფერდობის გასამაგრებლად და მის მაგივრად საკმაოდ შთამბეჭდავი სახსრები დახარჯეს დამპალი სალიანდაგო შპალებისგან აწყობილ კონსტრუქციაზე, რომელმაც თავისი სრული უვარგისობა „დაადასტურა“ 19 ივლისის წყალდიდობისას?!**

2012 წლის ოქტომბრის დასაწყისში რედაქციის დავალებით ჩავედი გომბორში და შევხვდი ხევის ქუჩის მრავალტანჯულ მოსახლეობას. ბეტონის კედლის მშენებლობა სრული სვლით მიმდინარეობდა. ადგილობრივებს დავპირდი, რომ მათ გასაჭირზე გაზეთის მეშვეობით აუცილებლად ვაცნობებდი ფართო საზოგადოებას; და, უპირველეს ყოვლისა, მოვთხოვდი შესაბამის სამსახურებს ხიდის აღდგენას და დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გაცემას, მაგრამ **საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებისგან სიხარულის ეიფორიაში მყოფმა ხალხმა მთხოვა: არჩევნებამდე ჩვენთან მოვიდა თინათინ ხიდაშელი და სიტყვა მოგვცა, რომ ამ და სხვა პრობლემებსაც მოგიგვარებთო, ოღონდ არ დაიზაროთ, მიდით საარჩევნო უბანში და ხმა „ქართულ ოცნებას“ მიეცითო. ახალი ხელისუფლება მოვიდა, ვაცალოთ, მითუმეტეს ასეთი ყოჩაღი გოგო — თინიკო გვყავს დეპუტატიო.**

**რა გაეწყობოდა, წერილი არ დავწერე და გომბორის ამბავიც დავივიწყე. გომბორელები ახლახან გამახსენდა, როდესაც დააპატიმრეს საგარეჯოს გამგებელი. ნეტავ, როგორ აქვთ საქმე? შეუსრულა მათ თავისი დანაპირები „ყოჩაღმა გოგომ — თინიკომ“?**

რვა თვის შემდეგ ხევის ქუჩის მცხოვრებლების ალყაში ვარ მოქცეული.

— ძალიან ვნანობთ, რომ ჩვენი თხოვნით თქვენს გაზეთში წერილი არ გამოაქვეყნეთ, — **მეუბნება დაზარალებული დილბარ ზალიევა.** — ხიდაშელმა უსინდისოდ გაგვაცურა. კარგად მახსოვს, ატირებულს რა მითხრა: დეიდა, ნუ ნერვიულობ, ნუ ტირიხარ, ყველაფერს აგინაზღაურებთ, თუ არჩევნების დღეს საარჩევნო პუნქტში 41-ს შემოხაზავთო. რვა თვე გავიდა, მაგრამ... კომპენსაცია მომცეს ჯერ 200 ლარი, მერე — 1400. ეს მხოლოდ მოსავლისა მომცეს...

**— არჩევნების შემდეგ თუ იყო აქ დეპუტატი ხიდაშელი?**

— არა, არ ყოფილა. ერთხელ ვნახე საგარეჯოში. შევახსენე დანაპირები. გაიცინა და მითხრა, თქვენ მოსავლის კომპენსაცია მიიღეთო, რაც შეეხება ბარებს, ცხენის „ტაჩკას“, ნამგლებს და უროებს, ამაში თანხას ვერ მოგცემთო; თუმცა ხიდის აშენებას დამპირდა. წელს, მარტის დასაწყისში სოფელში ჩატარდა კრება, რომელზეც სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა: ჩვენი ხიდი მზადაა და ამ თვის ბოლოს ექსპლუატაციაში ჩაბარდებაო. უკვე ივნისი იწურება. სადაა ხიდი?!

**აქ გავიცანი მორის თუთლაშვილი, რომელიც სოფლის გადაღმა ნაწილში ცხოვრობს.**

— ეს ხიდი, რაც მოწყდა, ლამის ერთი წელია გასული. შარშან, შემოდგომაზე უნდა აღედგინათ. წინა ხელისუფლება გვპირდებოდა, მაგრამ „ნაციონალებზე“ მეტად არჩევნების წინ თინა ხიდაშელი გვპირდებოდა! აი, დილბარას სახლთან იდგა და ყველაფერს მობილურ ტელეფონზე იღებდა. **წვიმა რომ მოდის, რაც აქ ხშირი ამბავია, ვერც ხევის ხალხი გადმოდის ჩვენკენ და ვერც ჩვენ ვერ გადმოვდივართ აქეთ. არადა, ზემოთ, ამ მთაზე სასაფლაოა. ერთი სასაფლაო გვაქვს ქართველებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს — ყველანი ერთნი ვართ და ერთმანეთს მხარში ვუდგავართ. წვიმის მერე წყლის დონის დაწევას ერთი კვირა უნდა! გეკითხებით, მიცვალებული ერთ კვირას მოიცდის?** აქეთ, ზემოთ, საძოვრები და სათიბები გვაქვს. ძალიან გვიჭირს. იძულებულნი ვართ ტრაქტორი დავიქირავოთ, გზა რომ გაგვისწოროს. ზედმეტი ხარჯები გვინდა კიდევ ამ გაჭირვებულ ხალხს?!

**ხიდის უქონლობით გაწამებულია ქეთევან შიოლაშვილი-ღუდუშაურიც.**

— რა ვქნა, ბებო! ახალგაზრდა რომ ვიყო, გომბორულას გადავახტებოდა, მაგრამ ოცხმოცდამეათე წელში ვარ. პური რომ ვიყიდო, გადაღმა უნდა გადავიდე. მაღაზიამდე სულ 50 მეტრია, მაგრამ მიწევს შემოვლითი გზით წასვლა. ხომ ხედავ აი, იმ ტყეს? ჰოდა, ის უნდა გავიარო. სამი კილომეტრით მიგრძელებს გზას უხიდობა.

**ხევის ქუჩაზე მცხოვრები მახრამ ხანკიშევი სახლში ჩაის დასალევად მპატიჟებს. ვსხედვართ აივანზე, ჩაის აზერბაიჯანულად მივირთმევთ — „პრიკუსკით“ და ბატონ მახრამის აუჩქარებელ, დინჯ, მშვენიერ ქართულ საუბარს ვუსმენ.**

— ოთხმოც წელს მიტანებული კაცი ვარ. ავად რომ გავხდე, ექიმს ვერ გამოვუძახებ, ექიმთანაც ვერ წამიყვანენ. სასწრაფო ვერ მოვა, რადგან მანქანის გზა ჩაკეტილია. ვართ აი, ეგრე, როგორც პატიმრები ციხეში. მთის ზონაა და აქ წვიმები არაა იშვიათი ამბავი. მრავალჯერ ხდება წყალდიდობა. ახლა, მაგალითად, ადგილზე რომ შევამოწმოთ, აღმოჩნდება: **ხიდი არაა, გზა არაა, არაფერი არაა და, რა ვიცი... ვისაც მივმართეთ, მივედით, ვუთხარით, გვეუბნებიან: თქვენ გეგმაში არ ხართო. მა, ჩვენ იაპონიიდან ხომ არ ვართ ჩამოსულები? ადგილობრივი ხალხი ვართ!.. არა, ყურადღებას არც კი გვაქცევენ, გლეხებს გასავალი არ გვაქვს.**

**— თქვენი დეპუტატი თინათინ ხიდაშელია, რომელიც დაგპირდათ ხიდის აღდგენას.**

— რა ვიცი, კი დაგვპირდა... სულ იმედითა ვცხოვრობთ, მაგრამ შედეგი რომ არ ჩანს? გვაჩვენონ შედეგი, რომ რაღაც კეთდება. სოფელი იცლება. სოფელი მიდის. **ჩვენი გომბორი ქალაქივით სოფელი იყო; ერთ-ერთი ყველაზე განთქმული საქართველოში თავისი ბუნებით, ჰაერით, წყლებით, მაგრამ იცლება ახლა, მიდის ხალხი, რადგან პირობები არ არის.** პირობებს დიდს არაფერს ვთხოვთ, ჩვენც ვწვალობთ, ლუკმაპურს ვშოულობთ. სულ მთავრობაზე დამოკიდებულები არ ვართ, მაგრამ ხიდი მაინც გაგვიკეთონ, რომ გავიდეთ! რატომ უნდა ვიაროთ შემოვლითი გზებით, რატომ უნდა დავბორიალობდეთ მთებსა და კლდეებს შუა?!

**მარჯვენა ნაპირის გასწვრივ 120-მეტრიანმა ბეტონის კედელმა კიდევ უფრო შეავიწროვა კალაპოტი, უკვე აღარაფერს ვამბობ იმ დამპალი სალიანდაგო შპალებით აღდგენილ გაბიონზე, მანამდე მარცხენა მხრიდან ხუთი მეტრით რომ შეავიწროვა გომბორულა. უეჭველად, მომავალი ნიაღვარი წყლის დონის სიმაღლეს სარეკორდო მაჩვენებელზე ასწევს და ამიტომ კაპიტალური 15-მეტრიანი ხიდის აგება, თავისი დამცავი ფრთებით, აუცილებელია! დღეს კი ხევის ქუჩის მცხოვრებლები გულის ფანცქალით ელოდებიან მოახლოებულ ივლისს — „წვიმების სეზონის“ პიკს.**

**გიორგი კორძაძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სულში ფურთხება კვლავ გააგრძელეს ოკეანისგაღმელმა აქლემებმა, როდესაც ჯერ სააკაშვილი „გადააყენეს“, შემდეგ გადაყენებული ისევ პრეზიდენტად წამოგვიყენეს, მიუხედავად იმისა, რომ გაყალბებული არჩევნების „გადაყენება-აყენებას“ ნახევარი მილიონი კაცი აპროტესტებდა იპოდრომზე!**

# რესპი და ნაციონალი დასავლეთის ტყავს არ დაგლეჯსო

**ამერიკის სენატში მიღებული რეზოლუცია თუ განცხადება, განსხვავებული ინტერპრეტაციების მიუხედავად, ჩვენმა პოლიტიკურმა სპექტრმა მთლიანობაში მაინც ერთნაირად აღიქვა — ეს აღარ იყო არც ვაშინგტონ პოსტის თუ ზოგადად სხვა „ტაიმს-პოსტების“ ლაილაი, რომელსაც შეიძლება იგნორირება გაუკეთო; არც ევროსაბჭოს სახალხო პარტიის მკაცრი, მაგრამ მაინც უილაჯო ლუღლუღი, რომელსაც შეიძლება ეპისტოლარულად უპასუხო, არც უკვე ანეგდოტურად ყბადაღებული კოაბიტაციისკენ მორიგი მოწოდება, არამედ ეს იყო ამერიკელ სენატორთა ღია, უპრეცედენტოდ ცალსახა, ყოველგვარი დიპლომატიური რევერანსის გარეშე გამოხატული მხარდაჭერა პირადად ვანო მერაბიშვილის მიმართ.**



ეს იყო მხარდაჭერა უპირველესად, სააკაშვილის, როგორც დემოკრატიის „ვარსკვლავბიჭუნას“ და ზოგადად „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართაც, რაც, ერთის მხრივ, ქართველი ხალხისთვის სულში მორიგი ჩაფურთხება იყო და, მეორე მხრივ, სიგნალი ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. აკი, საქართველოს პრემიერმა აღარ გააგრძელა სამეგრელოში იმ სამალავების „დროულად პოვნა“, შემზარავი კადრების გამომზეურება, ჩემის აზრით (და არამარტო ჩემი), პირდაპირი რეაქცია იყო ბიძინა ივანიშვილისა, რომელიც ამ ნაბიჯით ვაბანკზე წავიდა!

ანუ ამის იქეთ, როგორც რუსები იტყვიან, „ობრატნოი დოროგი ნეტ“ და ძალიანაც კარგი, თუ „ნეტ“. ახლა კოაბიტაციაზე ლაილაი კი არა, ვინც დასაჭერია და რაც გამოსამზეურებელია, უნდა დაიჭირო და გაასაჯაროო; რაც მეტს და სწრაფად, მით უკეთესი ქვეყნისთვისაც და პირადად პრემიერისთვისაც. ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილს ქართველი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა გარანტირებული აქვს და ეგებ ფაქტების წინაშე აღმოჩენილმა ამერიკელებმაც, რომლებიც ტრადიციულად შფოთავდნენ და „ახლა შოკში ვართო“, გაიძახიან, იქნება მოეშვნენ ყასიდად შფოთვაშოკვას და ერთხელ და სამუდამოდ მოკეტონ?!

მაგრამ მოდით — ყველაფერზე შეძლებისდაგვარად გამოწვილვით...

დიახ, ამერიკელი სენატორების პირით, სულში კიდევ ერთხელ ჩაგვაფურთხეს ჩვენმა ამერიკელმა „მეგობრებმა“! **ბუტა რობაქიძის მკვლელობა პირველი ნიშანი იყო იმისა, რომ „დანიის სამეფოში ყველაფერი რიგზე ვერ არის“; შემდეგ ე. წ. ციხის ბუნტის სასტიკი ჩახშობა, სანდრო გირგვლიანი, „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში“, ივანე მერაბიშვილის „ხელი არ აგიკანკალდეთ“ და ზურა ვაზაგაშვილი და ასობით ჩაცხრილული ახალგაზრდა იხილეს, მაგრამ ვერ დაინახეს, არ უნდოდათ დანახვა, რომ „დემოკრატიის შუქურა“, ავისმომასწავებლად აციმციმდა და ბჟუტვა-ბჟუტურის რეჟიმში ჩაირთო!**

2007 წლის 7 ნოემბერი კი ის თარიღია, როდესაც მთელმა მსოფლიომ იხილა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას თურმე უკვე რეჟიმის კონტურები შეუძენია — 7 ნოემბრის დარბევა რა იყო, თუ არა ე. წ. სისტემური დანაშაული?

რუსთაველზე პოლიციის მიერ სასტიკად დარბეული მშვიდობიანი აქცია, შემდეგ რიყეზე სხვაგვარად მოაზროვნე თანამოქალაქეებზე ნადირობა, ტელევიზიის დარბევა, „განთავისუფლებულ“ რუსთაველზე ჯერ „სულს ამოგხდით“ და შემდეგ „მიშა, მიშას“ და „ბადრის რაა?“ მორიგეობით სკანდირება „გამარჯვებულთა კოლონისა“, რომელსაც წინ ამ ყველაფრის მთავარი „შემოქმედი“ — ვანო მერაბიშვილი მიუძღოდა, საქართველოში ყველასთვის ცხადი გახდა, რომ „ვარდების რევოლუცია“ საშინელი ფარსი ყოფილა და მისი „დემოკრატიის შუქურა“ მყრალი ჭრაქივით ახრჩოლდა!

**მიუხედავად ამისა, სულში ფურთხება კვლავ გააგრძელეს ოკეანისგაღმელმა აქლემებმა, როდესაც ჯერ სააკაშვილი „გადააყენეს“, შემდეგ გადაყენებული ისევ პრეზიდენტად წამოგვიყენეს, მიუხედავად იმისა, რომ გაყალბებული არჩევნების „გადაყენება-აყენებას“ ნახევარი მილიონი კაცი აპროტესტებდა იპოდრომზე!**

ახლა ცოტა სწრაფად გავიაროთ ამერიკელთა შედარებით ლაითად ფურთხება, ანუ, ქალაქურ ჟარგონზე თუ ვიტყვით, „გადაწიტება“, რასაც 2008 წლის გაყალბებული საპარლამენტო არჩევნები ჰქვია. ლაითად, რადგანაც იმ დროს ქართველ კაცს სრული აპათია დაემართა პოლიტიკური პროცესების მიმართ. ოპოზიციის უნიათობის, ხშირად გამყიდველობის გამო ყველაფერზე ხელი ჩავიქნიეთ და რომ არა აგვისტოს სამარცხვინო ომი, ვინძლო მართლაც კიდევ 30 წელიწადი გაგრძელებულიყო ის კოშმარი, რომელსაც ვარდოსანი მანქურთების ხელისუფლება ერქვა!

2009 წლის 9 აპრილის იმედიან დასაწყისში და კატასტროფულად უიმედო დასასრულშიც, რა თქმა უნდა, ლომის წილი ამერიკელ დუჟმორეულ პოლიტიკურ აქლემებს უდევთ, მაგრამ **ჩვენი გამყიდველი ოპოზიციის წვლილიც ნუ დაგვავიწყდება, რომელიც თურმე, დღისით რომ პარლამენტის წინ ტრიბუნაზე „ვენებს იხსნიდა“, საღამოს „ნაცების“ მაღალჩინოსნებთან ერთად აწყობდა გეგმებს, თუ როგორ ჩაექრო აზვირთებული ხალხის ენერგია — ემანდ მართლა არ გადადგეს სააკაშვილი, მერე ჩვენ ვინღა აგვირჩევს და სარფიან ოპოზიციონერობასაც დავკარგავთო!**

ჰოდა, აკი ჩააქრეს კიდეც არნახული მასშტაბის პროტესტი, როდესაც ერთი სტადიონი ხალხი მოხუც უწმინდესს მიაყენეს და ბოლოს ყველაფერი რვიან-ექვსიანის ადგილობრივი არჩევნების ფორმატში პოლიტიკურ ონანიზმში გადაიყვანეს!

2011 წლის 26 მაისის სასაკლაო რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა 2012 წლის 1 ოქტომბერი!!! მაგრამ გავიხსენოთ შარშანდელი 17 მაისი, ანუ თბილისში პირველი გეიაღლუმის მცდელობა. პედერასტების პარადი, რომლის ჩაშლის მოთავე ვინ იქნებოდა, თუ არა მაშინ ჯერ კიდევ წინააღმდეგობის მოძრაობა და დღეს პოლიტიკური პარტია საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (სპა), რომელთა შორის თქვენი მონამორჩილიც გახლდით!..

**ქართველთა ამ „ვანდალიზმს“ ოპერატიულად გამოეხმაურა და იგი დაგმო მაშინდელმა დესპანმა ამერიკისამ, ჯონ ბასმა, ხოლო მეორე დღეს მთელი დასავლეთის საქართველოში აკრედიტებული დიპკორპუსი დადგა პარლამენტის წინ „დაჩაგრული“ ქართველი პედერასტების გვერდით!..**

განსხვავებით სისხლიანი 26 მაისისგან, როდესაც არა თუ მართლაც დარბეული და დახოცილ-ნაწამები ხალხის გვერდით დადგა ამერიკა, არამედ **მწვანე შუქი სწორედ ამერიკის დესპანმა, ბლანჟეცანცარა ჯონ ბასმა აუნთო სისხლიან კალოს! რის შემდეგაც მსუბუქი აღშფოთება-შეშფოთების მეტი (რასაც სულში ფურთხებისა არ იყოს, აგრეთვე, მიჩვეულები ვართ) სიტყვა არ დასცდენიათ ზოგადად სწორი დემოკრატიული მიმართულებით მავალი საქართველოს ხელისუფლების მიმართ არც ბასს და არც სხვა ვინმეს დასავლეთიდან...**

**რატომ გავიხსენე ერთად ის 17 და 26 მაისი? პირველი იმის ხაზგასასმელად, რომ მართალია, ამერიკელთაგან მიჩვეულნი ვართ სულში ფურთხებას, მაგრამ შარშანდელი 17 მაისის ფურთხება მაინც მტკივნეულად აღიქვა ქართველმა საზოგადოებამ, სწორედაც რომ სამწუხარო პარალელის გამო სისხლიან 26 მაისთან!**

მეორე და უმთავრესი: დღესაც დაახლოებით იგივე ხდება — სამეგრელოში აღმოჩენილი ახალი, შემზარავი კადრების შემდეგ ყველა ლოგიკით მხოლოდ ეს უნდა იყოს ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ განსჯის მთავარი საგანი და თანაც ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე, რომ ეს სისტემური დანაშაულია!

**მაგრამ, არა. თქვენ წარმოიდგინეთ იმ დიპკორპუსის, რომლის მინიმუმ ნახევარს, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა შოკისმომგვრელი კადრები, ეჭვი ეპარება კადრების ავთენტურობაში და იმათ, ვისაც ეს არ აეჭვებთ, არ უნდათ დაიჯერონ დანაშაულის სისტემურობა?!**

სამაგიეროდ ერთსულ და ერთხორც ბრძანდებიან ა. წ. 17 მაისის შეფასებაში და ყველანი დამნაშავეთა დასჯას მოითხოვენ ყოველგვარი ეჭვის გარეშე და ეს თემა არა თუ გააფერმკრთალა მართლაც კაცობრიობის წინაშე ჩადენილმა დანაშაულმა, არამედ ამერიკელებისთვის გაცილებით პრიორიტეტულად მაინც პედერასტების თემა რჩება და ეს არის კიდევ ერთი მტკივნეული სულში ჩაფურთხება!..

**ამას წინათ ალექსანდრე ლუკაშენკოს, რომელსაც ევროპის უკანასკნელ დიქტატორსაც ეძახიან დასავლეთში, გერმანიის საგარეო მინისტრმა, ცნობილმა პედერასტმა, გვიდო ვესტერველემ, ბელარუსში ადამიანის უფლებების დარღვევების გამო, პრესაში უსაყვედურა და დიქტატორიც უწოდა!**

ჰოდა, ბატკამ არც აცია, არც აცხელა და — პედერასტობას ისევ დიქტატორობა მირჩევნიაო, მიახალა!

ჯერ ერთი, რატომ მხოლოდ ლუკაშენკო? ვითომ სააკაშვილმა რა დააშავა, როო? სააკაშვილი დემოკრატიის შუქურაა და ლუკაშენკო ტირანი? ბოლოს და ბოლოს ბატკა მიშასავით საკუთარი ხალხის ხორცს მაინც არ ჭამას! არა, არც ბელარუსის ციხეა სანატორიუმი, მაგრამ ის, რაც ჩვენთან ხდებოდა, არა მგონია, ბელარუსში კი არა, ოსვენციმში მომხდარიყოს!

ეგეც იქეთ იყოს და ევროპის „უკანასკნელ დიქტატორს“ სანტიმეტრი მიწა არ გაუსხვისებია და გრამი ეკონომიკისა არ მიუცია ვინმესთვის; მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც კმაყოფილი ჰყავს პირველადი მოხმარების საქონელსა თუ საჭმელ-სასმელზე, კომუნალურ მომსახურებაზე საბჭოური, სიმ- ▶

## ქართველმა სამხედროებმა ავღანეთში ოპერაცია «ჩრდილოეთის ლომი» წარმატებით ჩაატარეს

**თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამხედრო ოპერაცია ჰელმანდის პროვინციაში ტაქტიკური დაჯგუფება „ბელავუდის“ დაქვემდებარებაში მყოფმა 33-ე ბატალიონმა თავის სამოქმედო არეალში ჩაატარა.**

კოდური სახელით „ჩრდილოეთის ლომი“ ოპერაციის მთავარი მიზანი ბაზა „ლეზერნიკის“ უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. ქართველი ჯარისკაცები უშუალოდ ახორციელებდნენ სამხედრო ოპერაციას, გარე უსაფრთხოებას კი ამერიკელი საზღვაო ქვეითები იცავდნენ.

ქართული დანაყოფების ჰელმანდის პროვინციაში ყოფნის განმავლობაში, მნიშვნელოვანი ოპერაციების დროს, ქართველ სამხედროებს ძირითადად გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალებოდათ. ბაზა „ლეზერნიკის“ დაცვის მიზნით წარმოებული ოპერაციის დროს, ქართველი სამხედროების მთავარი ამოცანა ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის მოპოვება, ამბოხებულების აღმოჩენა და ზონაში არსებული სოფლების აღწერა იყო. ოპერაცია 15 საათის განმავლობაში გრძელდებოდა და წარმატებით ჩაიარა.

**„ჩრდილოეთის ლომი“ კომბინირებული ოპერაცია იყო და მასში 87 ქართველ სამხედროსთან ერთად ამერიკელი საზღვაო ქვეითები, აშშ-ის არმიის გამნაღმველთა ჯგუფი და საბრძოლო ვერტმფრენთა დანაყოფი მონაწილეობდა.**

# მარტო ევროპარლამენტში კი არა, ეგ ფირები კონგრესშიც უნდა აჩვენონ, თეთრ სახლშიც (იმ თხისწვერა ჯონ ბასს სპეცპაკაზი უნდა მოვუწყოთ), ემანდ წამების მსხვერპლნი წირვაზე არ იცნონ!

ავი მესაიფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბოლური ფასების გამო, ბელორუსი ინდუსტრიული, ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანაა, რომელსაც საკუთარი პროდუქციის 80 პროცენტი ექსპორტზე გააქვს!

**ამას წინათ, გიგა ბოკერიას კნეინას ჩემს მეგობარზე დაუპოსტია — გიორგი კორკოტაშვილი შავრაზმელიაო! ეგ არაფერი კორკოტ, მეც მანდა ვარ „იუზგარ“, ჩვენნაირებს მაგათგან ლანძღვა ლოცვასავით შეგვეწევა. ეგენი რომ ქებას დაგვიწყებენ, ეგ არის „აპასნი“, რადგან ბატკასი არ იყოს, ცისფერ რაზმელობას ისევ შავ რაზმელობა გვირჩევნია...**

თუმცა, დროებით ეგეც იქეთ იყოს და ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებისას ყველანი ერთად და ცალ-ცალკე, როგორც იტყვიან, ფურუნკულებივით გასკდნენ! ანუ თავიანთი ნამდვილი სახეები, სხვა მიმართულებებითაც აჩვენეს...

ე.წ. საია, ახალგაზრდა იურისტები; ღია საზოგადოება საქართველო; სამართლიანი არჩევნები; იდენტობა, ავად სახსენებელ „თავისუფლების ინსტიტუტთან“ ერთად, კლასიკური V კოლონის როლს ასრულებენ — დემოკრატიის კომუფლაჟით, შეფარვითა თუ აშკარად ებრძვიან ქართულ, ტრადიციულ ღირებულებებს!

იგივე ითქმის მედიაზონდერებზე, გნებავთ, მედიამეძავებზე, რომლებიც 9 წლის განმავლობაში აპრავებდნენ სააკაშვილის კაცთმოძულე რეჟიმს!

მოკლედ, ეს ის დასავლეთის გრანტიჭამია ორგანიზაციები და პიროვნებები ბრძანდებიან, რომლებმაც ამას წინათ შსს დაგეგმილი საშინელი კადრების ჩვენების ჩაშლა სცადეს და რა მიზნით?

**რა და, როგორც იტყვიან, „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დაგლეჯსო“, ხოლო ჩემის მხრივ დავუმატებ — ყველანი ერთად კი, ანუ „ნაცები“, ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები და პიროვნებები საკუთარი მამამარჩენალის, ლიბერასტული დასავლეთის ტყავს არ დაგლეჯენ!**

ამ ხალხს არ უნდა, რომ სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, როგორც დამნაშავე რეჟიმი, ისე გასამართლდეს და, როგორც ფაშისტურ პარტიას, ისე აეკრძალოს პოლიტიკური საქმიანობა!

ამიტომ იყო, რომ ზემოხსენებულმა ორგანიზაციებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს დარბაზი და ახლა ყველაზე მეტს საუბრობენ იმაზე, რაც არ უნახავთ (თუმცა ვინ იცის, იქნებ ნანახიც აქვთ სხვა დროსა და ვითარებაში?)!

ალბათ, ამიტომ აეშალათ კითხვების საღერღელი ღარიბაშვილის მიმართ ეკა კვესიტაძესა და დავით პაიჭაძეს. ჯერ ვინ მიგდია ეკა კვესიტაძე, რომ ულტიმატუმის ფორმით ეძახის საკუთარ „აქცენტებში“ შს მინისტრს, მართლა საზოგადოებრივი მაუწყებელი ჰგონია ის ტელევიზია, რომელსაც ბოლო მომენტამდე ყური არ გაუბერტყავს თვით 26 მაისის გამო!

**ან დავით პაიჭაძე ვინა მყავს, რომ გაიძახის — ღარიბაშვილმა არ იცის, რა მაგარი უფლებების დამცველი ვარო? (ირაკლი მინისტრმა იქნებ არ იცის, მაგრამ ჩვენ გვახსოვს, რაზე გადიოდა ამ ნაძირალას უფლებადამცველობა — ერეკლე დეისაძის მსგავს „ჟერტვა აბორტებზე“), სად იყვნენ ან ერთი და ან მეორე? საქართველოს სხვა შს მინისტრიც ჰყავდა და ასე დაჟინებით რატომ ივანე მერაბიშვილს არ აწვებოდნენ? ვინმეს ახსოვს ვანო მერაბიშვილის ინტერვიუ? ინტერვიუ კი არა, პარლამენტში მისვლას არ კადრულობდა ქვეყნის ხერხემალი, ყოვლისშემძლე მინისტრი და ერთხელ, როდესაც იკადრა მისვლა, მქუხარე აპლოდისმენტებით მიიღეს და გააცილეს სადისტური სისტემის დამფუძნებელი მინისტრი...**

მთავარი პარადოქსი, იცით, რა არის? გამოკითხვა რომ ჩაატარო, 99% იტყვის, რომ არ სურს **ეკა კვესიტაძისა** და **დავით პაიჭაძის** ეთერში ხილვა და, მიუხედავად ამისა, ამ ბუდარა-ბუდარიხას ასტრონომიულ ხელფასებს ჩვენ გვახდევინებენ!..

აქედან გამომდინარე, მივმართავ ნათია კობერიძეს, ავადსახსენებელი „მოდელირებული ქრონიკის“ ერთ-ერთ მთავარ აქტიორს, დიახ, **სწორედ 9-წლიანი „მოღვაწეობის“ გამო არ ჰქონდა მოცემულ კონტექსტში დავით პაიჭაძეს ირაკლი ღარიბაშვილისთვის კითხვის დასმის მორალური უფლება და არც თქვენ გაქვთ ზედმეტი ტლიკინის უფლება, ქალბატონო ნათია, რადგან ჯერაც საკითხავია, რა უფრო დანაშაულია: თავად დანაშაულის ჩადენა თუ ამ დანაშაულზე დუმილი თქვენნაირი მედიამეძავების მხრიდან?!**

არ შემიძლია, განსაკუთრებით არ შევჩერდე სულ ახლახან სახალხო დამცველის პოსტზე დასახელებულ ერთ-ერთ მთავარ კანდიდატ თამარ გურჩიანზე. რამდენიმე ეთერს ვუყურე მისი მონაწილეობით და ყველგან თავიდან იმ საშინელი კადრებით იწყებდა და ბოლოს, როგორც წესი, ოსტატურად მიადგებოდა ხოლმე 17 მაისის გეიაღლუმის „დარბევას“, რომლის მოკლე რეზიუმე ასე ჟღერს: **თუ ამ ხელისუფლებამ (ბიძინა ივანიშვილმა) არ დასაჯა „მოძალადეები“, მათ შორის სასულიერო პირები, ეს ხელისუფლებაც ბოლოს იმასვე გააკეთებს, რასაც სადისტი „ნაცები“ სჩადიოდნენ!**




**გამოკითხვა რომ ჩაატარო, 99% იტყვის, რომ არ სურს ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის ეთერში ხილვა და, მიუხედავად ამისა, ამ ბუდარა-ბუდარიხას ასტრონომიულ ხელფასებს ჩვენ გვახდევინებენ!..**

აი, ასე, არც მეტი, არც ნაკლები. რა უნდა თქვა ამ აბსურდზე? — მხოლოდ ის, რომ სხვაგან ქრის ამ დედაკაცის გონება, ანუ მისი და მისნაირების (ზემოთ ნახსენები ორგანიზაციებისაც) მთავარი ამოცანაა, რომ დასავლეთიდან გრანტის მიმცემთ უპატაკონ — **თქვენი ფულები სწორი მიმართულებით ავითვისეთ, გეიპარადის მოწინააღმდეგენი დავსაჯეთ, კიდევ გაგვიკეთეთ ფინანსური ოყნები და გპირდებით, მალე საქართველოში ერთსქესიან ქორწინებებსაც დავაკანონებთ და გიპატაკებთ — თბილისის თავზე ლგბტ ცისარტყელას დროშა ფრიალებს!**

ამისთვის კი, V კოლონამ და კონკრეტულად თამარ გურჩიანმა სწორი დრო შეარჩიეს — ერთის მხრივ, აშკარაა უპრეცედენტო ზეწოლა ამერიკიდან ბიძინა ივანიშვილზე და მეორე მხრივ, გურჩიანის მსგავსი ხლისტები აწვებიან იმავე ბიძინას ნეოლიბერალური „ჰუმანიზმით“...

**მაშინ, როდესაც გურჩიანის კოლეგები შსს-ში აპროტესტებდნენ სადისტური კადრების ჩვენებას, იმ დროს არ შემდგარი სახალხო დამცველი (აუ, რა გადარჩენილები ვართ? თუმცა არც მოქმედის ხელში ვართ დალხინებულები, ამბობენ, ბაპტისტიაო...) „რადისონთან“ აპროტესტებდა ბესელიას ადამიანის უფლებების კომიტეტის დასკვნის პროექტს!**

შეკრებილთაგან ერთმა ტაბურეტკიანმა — კანონპროექტში მორალზე, პროპაგანდაზეა საუბარი და ასეთ რამეებს კონსტიტუცია არ იცნობსო!

აბა, ამისთანა რამე გაგონილა? ადამიანმა მას შემდეგ, რაც ხიდან მიწაზე ჩამოვიდა, მორალით, ეთიკით, ზნეობით დაიწყო ცხოვრება, ანუ რაღაცაზე თქვა, რომ შეიძლება, რაღაცაზე — პირიქით და სწორედ ამ კატეგორიებზე დაყრდნობით შეიქმნა საზოგადოებაში ქცევის ელემენტალური ნორმები და შემდეგ უკვე კონსტიტუციები, სისხლის სამართალი და ა.შ.

**ის პირველი „რაღაც“, რაც მკაცრად განსაზღვრულია, სწორედ ის არის, რომ ქალი ქალია და მამაკაცი მამაკაცი, საკუთარ ხატად შექმნილი უზენაესის მიერ და ამიტომ ყველა ფუნდამენტური რელიგია გმობს სოდომის ცოდვას. ახლა რა გინდათ, თქვე შობელძაღლებო, ერთადერთ ნეტარებად სოდომისადმი ტოლერანტობა მივიჩნიოთ?**

არ გამოვა ეგ. ყოველ შემთხვევაში, — საქართველოში, იმედი მაქვს, რომ არ გამოვა!

თუმცა, რა იცი? ისეთი კმაყოფილი გამობრძანდა თამარ გურჩიანი ეკა ბესელიასგან, რომ, როგორც იმერეთში იტყვიან, დოლქეშა სახე მთვარესავით გაბადროდა — ყველა რუსული მიდგომა, მათ შორის ტერმინი „ერთსქესიანი ქორწინებები“, ამოღებულია კანონიდან, რადგან ეს დღეს არ არის სენსიტიურად აქტუალური და გადავრჩით ევროპაში თავსლაფდასხმასო. ჰოდა, არ გაინტერესებს, მკითხველო, რა არის დანარჩენი რუსული მიდგომა?

რა და, რაც წინა წერილში აღვნიშნეთ და რასაც ახლა სიამოვნებით გავიმეორებ — რუსეთში, დუმის დადგენილებით, 2112 წლამდე, ანუ 100 წლით აიკრძალა გეიპროპაგანდა და მისი უმთავრესი შემადგენელი — გეიაღლუმები! ასევე, სულ ახლახან, დუმის დადგენილებით, აიკრძალა მავან ქვეყნებში არამხოლოდ ერთსქესიან „ოჯახებში“ რუსი ბავშვების გაშვილება, არამედ ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც ერთსქესიანი ქორწინებები დაკანონებულია, მარტოხელა კაცის ან ქალისთვისაც შეუძლებელი იქნება რუსი ბავშვების შვილად აყვანა — ჩვენ (რუსებს) გვირჩევნია, რომ „პრიუტებში“, ხელმოკლეობაში „მუჟიკებად“ გაიზარდონ რუსი ბავშვები, ვიდრე დასავლეთის კომფორტში პედერასტებად ჩამოყალიბდნენო — აი, შინაარსობრივად ასე გაამაგრა რუსეთის დუმამ საკუთარი „გოიმური“ დადგენილება!

კიდევ ერთხელ, ბრავო რუსებო!

და ბოლოს, ისევ მთავარზე: ზემოხსენებული „კინოჩვენების“ მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ დაცული უნდა იყოს დაზარალებულთა უფლებები, მათ ოჯახებს მორალური ტრამვა უნდა ავაცილოთ, დაუშვებელია ამ კადრების ფართო საზოგადოებისთვის ჩვენება, რადგან ეს დათრგუნავს მოსახლეობას და ა. შ. „ჰუმანიზმით“ შეჯერებული „არგუმენტები“, რომელთა ავტორები, როგორც წესი, ის პიროვნებები არიან, რომლებსაც არანაირი დისკომფორტი არ ჰქონიათ სააკაშვილის მმართველობისას. პირიქით, სწორედ მაშინ ჰქონდათ მაქსიმალური კომფორტი, მაღალანაზღაურებადი სამსახურები იქნებოდა თუ მუქთა „პაეზდკები“ მსოფლიოს გარშემო!

**ასე რომ, ჩვენო კეთილო ფერია-რაინდებო, მოეშვით ჩვენზე ფარისევლურ ზრუნვას. თქვენგან განსხვავებით, ჩვენ ის ხალხი ვართ, რომლებსაც პირდაპირ ან ირიბად შეგვეხო ამ დამპალი „ნაცების“ ყველა „სიკეთე“; ჩვენ თქვენსავით დითირამბებს კი არ ვუგალობდით ამ ჯალათებს, არამედ 9 წელიწადი ვიბრძოდით რეჟიმის წინააღმდეგ, რეჟიმის, რომლის გადარჩენა-რეანიმაციას დღესაც ცდილობთ!**

ამიტომ გვაცალეთ, თავად გადავწყვიტოთ, რა ვნახოთ და რა არა. 9-წლიან კოშმარს თუ გავუძელით, როგორმე მაგ კადრებსაც გავუძლებთ! თქვენი ლოგიკით, გამოდის, რომ არც 18 სექტემბერს უნდა გაეშვათ ციხის ცოცხების კადრები, რამაც პრაქტიკულად განაპირობა კიდეც 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგი!

გავრცელდა ინფორმაცია, რომ 26 მაისის ამსახველი სისხლიანი ფირები და ის შოკისმომგვრელი სადისტური კადრები, პარლამენტის დედოფალ თინა ხიდაშელს წაუღია ევროპაში საჩვენებლად.

**ჰოდა, მარტო ევროპარლამენტში კი არა, ეგ ფირები კონგრესშიც უნდა აჩვენონ, თეთრ სახლშიც (იმ თხისწვერა ჯონ ბასს სპეცპაკაზი უნდა მოვუწყოთ), ემანდ წამების მსხვერპლნი წირვაზე არ იცნონ!**

**გაგვცენ პასუხი მაკკეინმა, ლუგარმა, სახალხო პარტიამ და ზოგადად დემოკრატიის ციტადელმა ამერიკამ თუ ევროპამ: რატომ უჭერენ მხარს „ნაცებს“? გაპრავების მასტერკლასები ჩაგვიტარონ, დაგვჭირდება, რადგან ამ ბოლო დროს ნამეტანი უჭირთ „ნაცებს“ უმაგათოდ გაპრავების ამბავში.**

მივმართავ ხელისუფლებას — **ვენეციის კომისიის დასკვნებს თუ სხვა ნებართვებს ნუ დაელოდებით დასავლეთიდან და რაღაც ნაწილი მაინც გვაჩვენეთ იმ ვიდეოებისა, რათა დიახაც, კიდევ ერთხელ მაგრად გავბრაზდეთ, რათა არ დავუშვათ არანაირი კოაბიტაცია სადისტ მკვლელებთან და „ნაციონალური მოძრაობაც“ ისე გავასამართლოთ, როგორც ფაშისტები გაასამართლეს ნიურნბერგში...**

**დავით მხეიძე**

## პროკურატურამ სანდრო გირგვლიანის საქმეზე კუდის ყოფილი თანამშრომელი დააკავა

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებიდან აცნობეს, აყვანილია დანაშაულში მონაწილე მე-5 პირი — დავით ქოქიაშვილი, რომელიც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელია.**

„აღნიშნული პირის მონაწილეობა ჩადენილ დანაშაულში უკანასკნელ პერიოდამდე დაფარული იყო საზოგადოებისთვის. დაკავებული დანაშაულის ჩადენის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მე-2 სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. 2006 წლის 30 სექტემბრიდან იგი მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსად დაინიშნა, შემდეგ შს სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად. ამ თანამდებობაზე დავით ქოქიაშვილმა 2011 წლის სექტემბრამდე დაჰყო. 2011 წლის სექტემბრიდან კუდის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ დაინიშნა, ხოლო 2012 წლის 18 ოქტომბრამდე ისანი-სამგორის შს სამმართველოს უფროსად, საიდანაც დაითხოვეს“, — აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„წარმოუდგენელი რამ არის, როდესაც შეგაქვს საჩივარი და წერ, რომ ამა და ამ მოსამართლემ ამ საქმესთან დაკავშირებით უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო და შემდეგ ამავე საქმეს ისევ იმ მოსამართლეს დააწერენ ისევ იმავე შემადგენლობით. ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს იურიდიულ ნონსესთან“.**

# შალვა ხაჭაპურიძე: სანამ კუბლაშვილია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, სასამართლო სწორედ მასზეა დამოკიდებული

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიოს“ ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრება.**

**— ბატონო შალვა, რას მოუტანს ქვეყანას ახალი შემადგენლობით არჩეული, უმეტესად ძველი კადრებით დაკომპლექტებული იუსტიციის უმაღლესი საბჭო?**

— იმედია, პარლამენტიდან მაინც შევა ამ საბჭოში ნორმალური კადრები. არის დასახელებული რამდენიმე ადამიანი. ჩვენ ვიცნობთ მათ და ვიცით მათი პრაქტიკა, მაგრამ დღეს სასამართლო მეტწილად დაკომპლექტებულია ისევ იმ მოსამართლეებით, რომლებიც სააკაშვილის დროს იყვნენ, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობა“ მართავდა და რომელთაც გამაოგნებელი გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ. უფრო მეტიც, ჩვენ ვიცით, რომ უნდა შეიქმნას მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისია. კანონპროექტის მიხედვით, მისი რეკომენდაციით, ესა თუ ის საქმე შემდგომში ქუთაისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებმა უნდა განიხილონ. ამ ორივე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეები იუსტიციის საბჭოში შედიან. **წარმოუდგენელი რამ არის, როდესაც შეგაქვს საჩივარი და წერ, რომ ამა და ამ მოსამართლემ ამ საქმესთან დაკავშირებით უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო და შემდეგ ამავე საქმეს ისევ იმ მოსამართლეს დააწერენ ისევ იმავე შემადგენლობით.** ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს იურიდიულ ნონსესთან.

**— სასამართლო ჯერ ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენის ქვეშ რჩება. როდემდე შეიძლება ეს გაგრძელდეს და რა შედეგებამდე მიგვიყვანს ამგვარი მიდგომა?**

— სასამართლოზე და მოსამართლეებზე საუბარს ყოველთვის ძალიან ფრთხილად ვეკიდები. მე თავად მოსამართლედ ვმუშაობდი და ვიცი, რა ზეწოლას შეიძლება განიცდიდეს იგი. რა თქმა უნდა, სასამართლო „ნაციონალებისგან“ დამოუკიდებელი ვერ იქნება, სანამ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი წევრი და ლიდერი მეთაურობს (კოტე კუბლაშვილს ვგულისხმობ). რა ქნას მოსამართლემ მაშინ, როცა ასეთი მდგომარეობაა? მოსამართლეზე საჩივარი რომ დაიწეროს, ისევ კუბლაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ხელთ არის მისი ბედი. არც ერთ სხვა ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება ასეთი რამ. ამგვარად, ის აზრი, რომ სასამართლო დამოუკიდებელი და აპოლიტიკურია დღეს, ახალი ცვლილებების გატარების შემდეგ, იდეაშივე მოკვდა. **სანამ კუბლაშვილია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, სასამართლო სწორედ მასზეა დამოკიდებული. გახსოვთ, ალბათ, „ნაციონალების“ დროს საქართველოს ხერხემალი შს მინისტრი მერაბიშვილი იყო, რასაც მე კატეგორიულად ვემიჯნები. სახელმწიფოს ხერხემალი სწორედ დამოუკიდებელი სასამართლო უნდა იყოს.** სად არჩიოს ადამიანმა ესა თუ ის მოსამართლე რომელი პარტიის წევრია — „ქართული ოცნების“ თუ „ნაციონალური მოძრაობის“? სანამ სასამართლო დამოუკიდებელი არ გახადეს, ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.



**— რამდენადაც მახსოვს, ამ ცვლილებების მოთავე იუსტიციის სამინისტრო და თავად მინისტრი გახლავთ. რატომ მოხდა ასე, ხომ არ მოტყუვდა წულუკიანი და რა გამოსავალი არსებობს შექმნილი ვითარებიდან?**

— ფაქტობრივად, თეა წულუკიანს მარტოს მოუწია ამ საკითხებისთვის ბრძოლა. ამგვარ საკითხებში უფრო ფართო მიდგომა იყო საჭირო. მთლიანი საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის უფრო მეტად გააქტიურება. ხოლო იმ ვითარებაში, რაშიც თეა წულუკიანი და „ქართული ოცნება“ აღმოჩნდა, მათ ითამაშეს წმინდა დემოკრატიულ პრინციპზე დაყრდნობით, ანუ მათ არ დაარღვიეს მოსამართლის ხელშეუხებლობა, ხოლო „ნაციონალებმა“ თავიანთი ძველი, ძალადობის მეთოდი არჩიეს. ისევ ზეწოლა, დაშინება და საოცარი დაპირებები. თქვენ გახსოვთ, იქ იყო დაპირებები, რომ არავინ დაისჯებოდა იმ უკანონო გადაწყვეტილებების გამო, რომლებსაც სასამართლო ბოლო ცხრა წლის მანძილზე იღებდა. ამ ყოველივემ კი, რა თქმა უნდა, თავისი შედეგი გამოიღო. იმედი მაქვს, რომ ეს ასე არ დამთავრდება და, რაც ახლა კუბლაშვილმა გააკეთა, ასე არ უნდა დარჩეს. **აუცილებლად ისევ უნდა დაიწყოს ამ თემაზე მსჯელობა და ხელახლა უნდა აირჩიონ იუსტიციის უაღლესი საბჭო. თუ არა და ამ შემადგენლობით ეს საბჭო დამოუკიდებელი არ არის და მიუკერძოებელი ვერ იქნება.**

**— მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში აღარ არის, მაინც განაგრძობს საზოგადოებისა თუ საკუთარი გავლენის ქვეშ დარჩენილი სახელისუფლო ბერკეტების კონტროლს. თქვენი აზრით, სამი ძირითადი სახელისუფლო განშტოებიდან რომელს აკონტროლებს ჩვენი პრემიერი სრულად?**

— მე მესმის თქვენი კითხვის პათოსი. ჩვენ, ქართველები მაქსიმალისტები ვართ და ყველაფერი გვინდა, რომ მაქსიმალურად სწრაფად მოგვარდეს, პროცესები კი ისე სწრაფად ვერ ვითარდება. ამის შესახებ მე არაერთხელ გამოვთქვი აზრი, რომ, **თუ სამართლიანობის აღდგენა ასე და ამ ტემპით გაგრძელდა, ხალხი შეიძლება ქუჩაში გამოვიდეს და იმ მარტივი ანგარიშსწორების ფორმაზე გადავიდეს, რომელსაც თვალი თვალის წილ და სისხლი სისხლის წილ ჰქვია. სამართლიანობის აღდგენის ამ ფორმას უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი ხალხი ხშირად მიმართავს და ჩვენ გვაქვს ამის პრეცედენტი.** რაც შეეხება იმას, აკონტროლებს თუ არა ივანიშვილი ხელისუფლებას, იგი აკონტროლებს სწორედ იმდენად, რამდენადაც ნორმალურ ქვეყანაშია მიღებული. ივანიშვილს კანონით ეკუთვნის აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი და მერწმუნეთ, რომ ის ამას სრულფასოვნად ახორციელებს.

**— აქვს თუ არა „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც პოლიტიკურ გაერთიანებას, არსებობის უფლება და რამდენად შეიძლება მისი წევრები სამომავლოდ თუნდაც სხვა სახელწოდების პარტიაში ან პოლიტიკურ თანამდებობებზე მოგვევლინონ?**

— რა თქმა უნდა, არა. ამაში აუცილებლად საზოგადოება უნდა იყოს ჩართული და, თუ ასეთი საფრთხე გაჩნდება, ეს უნდა გახდეს მკაცრი მსჯელობის საგანი. სამართლებრივად კი პარტია, რომელიც ეწევა ომისა და ძალადობის პროპაგანდას, უნდა აიკრძალოს. „ნაციონალები“ ატარებდნენ აღნიშნულ პოლიტიკას. ამის მაგალითები ჩვენ გვაქვს და ამასვე ადასტურებს ტალიავინის დასკვნაც.

ესაუბრა **ეკა კახიანი**

# თუ ჩვენს კუთხეებს გადარჩენა უწერია, განგება ინებებს ამ პროგრამის შესრულებას

## მიმართვა

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს
საქართველოს სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს**

**თქვენო უწმინდესობავ, ძვირფასო პატრიარქო!**

**პატივცემულო ბატონო პრემიერო!**

ამ წერილით მოგმართავთ ჩვენი ქვეყნისთვის მეტად რთულ ვითარებაში, სრული გლობალიზაციის პერიოდში, მაშინ, როდესაც თითქმის მთლიანად დარღვეულია ერის ისტორიული საარსებო სივრცე, განსაკუთრებით კი ქართული სოფლის ტრადიციული სტრუქტურა, მისი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო წესრიგი... მოსახლეობის 90 პროცენტი აყრილია ძირძველი საცხოვრისიდან და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება....

**ეს ისტორიული კუთხეები ქმნიდნენ ერის სულიერ და მატერიალურ საგანძურს, აქ გროვდებოდა ის სასიცოცხლო ენერგია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ასაზრდოებდა ქვეყანას....ქრისტეს უადრესი ტაძრებიც ამ მწვერვალებზე აღმართულა** (გერგეტზე, ლომისზე, სანეზე, ცროლზე, ლაშარზე...), **აქედან მოემართებოდა „უხორცო“ მეომართა ლაშქარი მამულის დასაცავად...**

**წინა საუკუნის ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გადაჭრა მთიანეთის პრობლემა; სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით ნათელი პოზიცია არც დღეს ჩანს გამოკვეთილი.**

ჩვენ გთავაზობთ ამ ისტორიულ კუთხეთა „კულტურულ-ეკონომიკური ხსნის სათემო-სამონასტრო პროექტს“, როგორც იდეას დიდი კრიზისის დასაძლევად.

სრული შეგნებით ვაცხადებთ: **თუ ჩვენ ისტორიულ კუთხეებს** (მონაპირე სასაზღვრო თემებს) **ვერ აღვადგენთ და ვერ შევაბრუნებთ იქ მატერიალურ და სულიერ რესურსებს შესაბამისი კულტურულ-ეკონომიკური პროგრამების მეოხებით, ერთობლივი გადაწყვეტილებებით სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ ყოველი ცდა ქვეყნის აღორძინებისა ამაო იქნება!**

„კულტურულ-ეკონომიკური ხსნის სათემო-სამონასტრო პროექტის“ განხორციელება, ჩვენი წარმოდგენით, ხევსურეთიდან უნდა დავიწყოთ, ვინაიდან აქ უკიდურესად საგანგაშო ვითარებაა — სრული დემოგრაფიული და სოციალური კოლაფსი....

ისევე, როგორც ხალხური დასტაქრები აკეთებდნენ „თავის ტრეპანაციას“ სწრაფად და ეფექტურად და შველოდნენ განწირულ ავადმყოფს, ასეთივე სწრაფი და ეფექტური უნდა იყოს „შოკური თერაპია“ სახელმწიფოს მხრიდან ხევსურეთისთვის (და საბედისწერო ზღვარზე მდგარი საქართველოს ყოველი კუთხისთვის).

პროგრამა თავისი არსით (ერთობლივი სათემო-სამონასტრო-სამეურნეო სისტემებით, „ტრადიციათა ცოდნის სახლებით“, ლიცეუმით, საზაფხულო სამრევლო სკოლებით, ტურისტული ბლოკითა და კუთხეთა რეაბილიტაციის ფონდით..) მოიცავს როგორც სახელმწიფოს, ასევე ყოველი თემის ინტერესს...

**მოდელის „სათემო-სამონასტრო“ არსი გულისხმობს ქრისტიანული ენერგეტიკის „გადანაწილებას“ პერიფერიებში და ისტორიული სივრცის ზნეობრივ გაჯანსაღებას, რაც, ჩვენი აზრით, პროექტის არსებითი ღირსებაა.**

**გლობალური „ექსპანსიების“ მოგერიება „აპოკალიფსურ დროში“ მხოლოდ ტაძართა, ტრადიციათა და ისტორიულ თემთა ერთობლივი სინერგიით შეიძლება. ეს არის ჩვენი პროექტის ამოცანაც.**

ყოველი საქმე მაინც ფინანსური „ჩარევით“ იწყება; ამიტომაც ჩვენი მოდელის მთავარი ღერძი „სათემო აღორძინების ფონდის“ დაფუძნებაა...

ჩვენ მიერ ნავარაუდევი თანხა არ აღემატება „ერთი ხიდის საფასურს“, მაგრამ ამ ფინანსური მხარდაჭერით ჩვენ შევძლებთ იმ უნიკალურ კუთხეთა აღდგენას, რომლებშიც დიდებულ ტაძართა, ნამოსახლართა, ციხე-კოშკთა პანთეონი და ერის საკრალურ ცოდნათა საგანძურია დაფარული.

დასასრულ, კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ **ამ პროექტს ვქმნით საგანგებო ვითარებისთვის — მხოლოდ უწმიდესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორეს კურთხევისა და პრემიერ-მინისტრის, ბატონ ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერის იმედით.**

ძვირფასო პატრიარქო!

დიდად პატივცემულო პრემიერ-მინისტრო!

**ამ პროექტის აღსრულება მხოლოდ თქვენს მტკიცე ნებას და ერთობლივ გადაწყვეტილებებს შეუძლია! თუ ჩვენს კუთხეებს გადარჩენა უწერია, განგება ინებებს ამ პროგრამის შესრულებას.**

**უღრმესი პატივისცემითა და იმედით,**

**არაგვის ხეობის მთიანეთის თემთა კავშირის, საგვარეულო კავშირის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის კომისიის სახელით:**

**კობა არაბული,
ლევან ფრუიძე,
ვალერიან
ითონიშვილი,
გიორგი წიკლაური,
ნოდარ არდოტელი.**

**სისტემა, რომელიც ემყარებოდა ადამიანების დასჯას და სასჯელის აღსრულება წარმოადგენდა სახელმწიფო პოლიტიკის ცენტრალურ რგოლს და სადაც სახელმწიფო ინსტიტუტებს ადამიანთა პირად ცხოვრებაში შეღწევის შესაძლებლობა ექლეოდა, რომელიც აღწერილია ლიტერატურაში, როგორც დისციპლინარული საზოგადოება, საქართველოში გამოვლინდა, როგორც ანტიხალხური, მოსახლეობისთვის გაუგებარი და ეროვნული განვითარებისთვის ტრაგიკული პოლიტიკური რეჟიმი.**

## პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილი და მის მიერ შექმნილი რეჟიმი პოლიტიკური სარბიელიდან უნდა გავაძევოთ!

**მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები მოწმობს, რომ ყველაფერი თანმიმდევრულად და მიზანშეწონილად არ მიმდინაერეობს გლობალურ გარემოში. ფეთქებადსაშიში დაძაბულობა მაქსიმალურ დონეს აღწევს. არ ცხრება წინააღმდეგობა ისრაელსა და ირანს შორის, რასაც სირიაში სამოქალაქო ომში გადაზრდილი პოლიტიკური კრიზისიც ემატება. პოლიტიკური კრიზისისკენ მიდის საქმე ჩვენს მეზობელ თურქეთშიც. დიდი რვიანის შვიდ წევრსა და რუსეთს შორის აშკარაა კონფრონტაცია. ყოველივე ეს საქართველოს სამეზობლოში ხდება. სამწუხაროა, რომ დიალოგში, რომელიც მიმართულია შექმნილი სიტუაციების დასარეგულირებლად, საქართველო არ მონაწილეობს. იგი გაიხლართა საშინაო ყოველდღიურობაში და გეოპოლიტიკური პრობლემების გარკვევისგან რამდენადმე დისტანცირებულია.**



ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური დაპირისპირების აღმოსაფხვრელად არსებობს ორი გზა: **1. თანმიმდევრული დისკუსიებითა და პოლიტიკური პრესინგით ჩამოვაშოროთ ხელისუფლებას ხალხისთვის მიუღებელი ძალა „ნაციონალური მოძრაობა“ და, მიმდინარე პროცესის ლოგიკიდან გამომდინარე, მოხდეს მისი ლიდერების იზოლაცია** (რა გზასაც ახლა ვადგავართ) და **2. იგივე პროცესი განვითარდეს სწრაფად, დამნაშავეთა დანაშაულში დარწმუნების ფსევდოდემოკრატიულობის გარეშე.** ორივე მეთოდს ერთი საერთო საფუძველი აქვს, **უნდა გამოვლინდეს „ნაციონალური მოძრაობის“ როგორც პოლიტიკური რეჟიმის დანაშაულებრივი სახე და დამტკიცდეს მისი პოლიტიკური მოქმედებების ანტიხალხური, არადემოკრატიული ხასიათი.**

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდეც, ჯერ კიდევ 2012 წლის სექტემბრიდან გაცხადდა, რომ საქართველოს ხელისუფლება წარმოადგენდა, არსებითად ანტიხალხურ, დანაშაულებრივ რეჟიმს. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა ციხის კადრების გამოქვეყნების შემდეგ, რამაც ასახა ქართულ პენიტენციურ სისიტემაში მიმდინარე ყოველდღიური საქმიანობა.

**„ციხის კადრების“, როგორც ფაქტების, ანალიზი გვიჩვენებდა,** რომ:

**ა) საქართველოს პენიტენციურ სისტემაში იყენებდნენ ადამიანების დასჯის მიუღებელ და აკრძალულ მეთოდებს, რომელთა გამართლება შეუძლებელია;**

**ბ) დასჯის ეს არაადამიანური მეთოდები გამოიყენებოდა „კარანტინის დაშლის“ დროს, რაც ნიშნავს იმას, რომ ციხის ადმინისტრაცია უკანონო, აკრძალული მეთოდებით პატიმრებს სჯიდა წინასწარ** (იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ სასჯელი კანონიერი იყო, მაშინაც მისი გამოყენების საფუძველი არ არსებობს, რადგან პატიმარი ჯერ ციხეში არ შესულა, მის შინაგანაწესს ვერ დაარღვევდა);

**გ) ამგვარად, ასეთ დასჯას არ გააჩნია პოზიტიური შინაარსი, ე. ი. არ წარმოქმნილა დასჯის საჭიროება. მაგრამ, რადგან ამგვარი დასჯის ფაქტი არსებობს, იგი შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ნორმატიულად, წინასწარ შემუშავებული წესის მიხედვით;**

**დ) დასჯის ასეთ მეთოდს იყენებენ ციხის განსაკუთრებული კონტიგენტის, ქურდების, მიმართ, მაგრამ დასჯის „ტექნოლოგიურად“ დახვეწილი ფორმები გვაფიქრებინებს, რომ ასეთ ძალადობრივ აქტებს სხვა შემთხვევებშიც შესაძლებელია მიმართონ** (რაც დამტკიცდა კიდეც ქუთაისსა და ზუგდიდში მოპოვებული ნივთმტკიცებებით 2013 ილის 19 ივნისს).

ამგვარად, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში პატიმრების მიმართ ხორციელდებოდა ნორმატიული ხასიათის (წინასწარ განსაზღვრული და დადგენილი) დანაშაულებრივი ზემოქმედება. ეს რომ ასე იყო, ამას ადასტურებს ის, რომ ხდებოდა თითოეული ასეთი დასჯის ფაქტის ტელეგადაღება და აღნუსხვა, ანუ ანგარიშგება ზემდგომი პირის ან ორგანოს წინაშე. შესაბამისად, **პატიმრების დასჯა-წამება წარმოადგენდა დამსჯელთა „შრომითი“ საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს, მათ სამსახურებრივ მოვალეობას, რის მიხედვითაც** (საქმიანობის ინტენსივობიდან და ხარისხიდან გამომდინარე) **უხდიდნენ გასამრჯელოს.**

ჩვენს სამართალდამცავ სისტემაში მოქმედებდნენ სპეციალურად გაწვრთნილი ადამიანები, რომელთათვისაც სხვა ადამიანების წამება პროფესიული უნარ-ჩვევების ნაწილს წარმოადგენდა. მაგრამ თუ არის საიდუმლო შინაგანაწესით დადგენილი წამების ნორმატივი და ადამიანი, რომელიც ამ ფუნქციას ასრულებს, მაშასადამე, **ის, რაც ხდება, სისტემის ორგანული ნაწილია, რომელსაც უნდა ჰქონოდა მიზანი. ეს მიზანი კი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერთა მრავალი გამონათქვამით ყველასთვის ცხადი იყო — პატიმართა მენტალობის ტრანსფორმაცია, გარდაქმნა.**

ხოლო ციხის შინაგანაწესის შექმნა და მისი სტანდანტირება ამ დაწესებულების ზემდგომი ინსტანციის პრეროგატივაა. შესაბამისად, სამინისტრო არამარტო ამტკიცებდა ციხის საქმიანობის შინაგანაწესს (როგორც ვიცით, ციხე უნივერსიტეტი არაა, აკადემიური ავტონომიურობა რომ მოითხოვოს), არამედ განსაზღვრავდა მას. ამ ანტიჰუმანური ნორმების დამდგენი და პრაქტიკული რეალიზატორი ზემდგომი ორგანო „სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო“ იყო, ე.ი. **დამნაშავედ მიჩნეული ადამიანების სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში ადამიანისადმი სისასტიკის გამოვლენის ფორმატით დასჯა სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების საშუალებად გვევლინება.**

აი, როგორც მათემატიკოსები იტყვიან, რისი დამტკიცება გვინდოდა.

ეს ყოველივე ცხადი იყო ჯერ კიდევ 2012 წლის სექტემბერში. მაგრამ, სამწუხაროდ, აღიარებას, რომ საქართველოში ადამიანების წამებას აქვს სისტემური, სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ სანქცირებული ხასიათი და ამიტომ იგი მმართველი ძალის პოლიტიკური დანაშაულია, ახალი ხელისუფლება ცხრა თვეს მოუნდა. **მხოლოდ დამატებითი ფაქტებისა და არგუმენტების მოძიების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის პირით გამოგვიცხადა, რომ საქმე სისტემურ დანაშაულთან გვაქვს.**

ამ სიტყვათა შეთანხმებამ **„სისტემური დანაშაული“** შოკისმომგვრელი ეფექტი იქონია. სააკაშვილი გაემიჯნა მას და ვიღაც „შემოპარულ ჩხატარაშვილსა და ქარდავას“ დააბრალა ყოველივე. თარგამაძემ მერაბიშვილისკენ გაიშვირა ხელი, ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ძებნილი ადეიშვილის განცხადება, რომელშიც იგი სახელმწიფო საიდუმლოებათა გათქმის ფაქტზე ლაპარაკობს. თვით ვანო მერაბიშვილი კი სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილი ნივთმტკიცებების იდენტიფიკაციას „ციხის კადრებთან“ აკეთებს და თავის უდანაშაულობას იფიცება.

რა არის „სისტემური დანაშაული“? როცა ეს შეკითხვა დავსვი, ამიხსნეს, რომ **„დანაშაული სისტემურია მაშინ, როცა სისტემას არ გააჩნია უნარი, აღმოაჩინოს თავის წიაღში იგი და დასაჯოს დამნაშავე“.** ხოლო ის, რაც ვიხილეთ, სულ სხვა რამეზე მეტყველებს, კერძოდ, რომ **ყველაფერი, რაც ჩვენ ვნახეთ, დანაშაულია, სამართლის ფილოსოფიის, იურისპრუდენციის თვალსაზრისით, თორემ ჩვენი სახელმწიფო სისტემის თვალსაზრისით, იგი ქვეყნის პოლიტიკური წყობის ქვაკუთხედია.** ამგვარად, **სამართალდამცველი სისტემა თვით არის ამ დანაშაულებათა შემოქმედი, რადგან იგი (დანაშაული) არსებული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების მეთოდია.**

ტერმინს „სისტემური დანაშაული“ იმიტომ ვანიჭებ მნიშვნელობას, რომ ამ ახალმა, ჩემი აზრით, ბოლომდე გაუაზრებელმა კატეგორიამ გაუგებრობა არ გამოიწვიოს ჩვენს მეგობრებში, საერთაშორისო სამართლებრივ და პოლიტიკურ სივრცეში არ მოხდეს ის, რაც ხშირად მოგვსვლია, ცნებითი აპარატის არათანაზომადი გამოყენებით არ გადავაყოლოთ ბავშვიც და მშობელიც ნაბან წყალს.

თუ ეს ასეა, უკვე 2012 სექტემბერში ვიცოდით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივ პოლიტიკურ რეჟიმს განახორციელებდა ჩვენს ქვეყანაში. 9 თვით რატომ დავაგვიანეთ და არ ავხსენით თავის დროზე? რა თქმა უნდა, ქართულ პრესაში დაიწერა, რომ **ჩვენს ქვეყანაში ელიტური კორუფცია, ადამიანების დასჯა და სასჯელის აღსრულების დროს სასტიკი მეთოდების გამოყენება იყო სახელმწიფოს მართვის ცენტრალური რგოლი,** რომ **ასეთი დანაშაული ხორციელდებოდა ხელისუფლების ყველა შტოს მონაწილეობით და მათი კონსესუსით მსოფლიო საერთაშორისო ბიუროკრატიის ზოგიერთ წარმომადგენელთან.**

**აბა, შემთხვევითი ხომ არ არის ავტორიტეტული უცხოური გამოცემებისა და ცალკეული პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ ჩვენთვის გაუგებარი და პროცესების ლოგიკის საწინააღმდეგო განცხადებების გაკეთება სააკაშვილის ხელისუფლების მხარდასაჭერად? ამ საქმის ჩაფარცხვა მათ ინტერესებშიც შედის, რადგან ამ დანაშაულობათა ფილოსოფია, როგორც სამოქმედო პროგრამა, მათ მიერაც არის მხარდაჭერილი.** აი, რეალური მიზეზი სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ნარჩენების დღემდე შენარჩუნებისა და მასთან კოაბიტაციის, ანუ თანამშრომლობის მცდელობისა.

ჩვენ ვერ შევძელით დაგვერწმუნებინა მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომ **დისციპლინარული საზოგადოების იდეოლოგიის საფუძველზე საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სისტემა შინაარსობრივად იყო დანაშაულებრივი და ამორალური.** იგი, ლიბერალურ ფასეულობასა და რიტორიკაში შეფუთული, მთლიანად ემყარებოდა მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს უხეშ ჩარევასა და მათი დასჯის ფილოსოფიას. იმის გამო, რომ ეკონომიკა განიხილებოდა როგორც მეთოდი, რომელიც მუდმივად დაკავშირებულია ადამიანების ნებისმიერ საქმიანობასთან და არა როგორც დამოუკიდებელ ურთიერთობათა სისტემა, რომელშიც სრულიად იგნორირებული იყო ადამიანის საკუთრების უფლება. მატერიალური დოვლათის მოძრაობა ხორციელდებოდა ძირითადად დაბალ, ვოლუნტარისტულად განსაზღვრულ ტრანსაქციული დანახარჯების საფუძველზე. ამ პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით შექმნილი სამოქალაქო რეესტრი, სადაც ადამიანები რანჟირებული იყვნენ უძრავ-მოძრავი ქონებრივი ცენზის მიხედვით, ქმნიდა ადამიანებისა და მათი ქონებისადმი ასეთი დანაშაულებრივი მიდგომის საფუძველს. ამგვარად, **სისტემა, რომელიც ემყარებოდა ადამიანების დასჯას და სასჯელის აღსრულება წარმოადგენდა სახელმწიფო პოლიტიკის ცენტრალურ რგოლს, და სადაც სახელმწიფო ინსტიტუტებს ადამიანთა პირად ცხოვრებაში შეღწევის შესაძლებლობა ექლეოდა, რომელიც აღწერილია ლიტერატურაში, როგორც დისციპლინარული საზოგადოება, საქართველოში გამოვლინდა, როგორც ანტიხალხური, მოსახლეობისათვის გაუგებარი და ეროვნული განვითარებისთვის ტრაგიკული პოლიტიკური რეჟიმი.** სამწუხაროა, რომ ჩვენ ვერ შევძელით მისი დროული ნეიტრალიზაცია და ახლაც გვიჭირს დავარწმუნოთ მსოფლიო ცივილიზებული საზოგადოება, ამ პოლიტიკური კურსის ანტიხალხურ, დანაშაულებრივ ხასიათში.

**იარაღისა და ადამიანთა პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის, ახალი სამალავების აღმოჩენა მეხივით დაატყდა თავს საქართველოს ორხელისუფლებიან დემოკრატიას. ამან ძირი გამოუთხარა სააკაშვილის რეჟიმის დამცველებს საქართველოშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც.**

ისმის კითხვა: რა დამალეს და ვისგან? როგორც ამბობენ, ეს საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის სამალავები შექმნილი იყო ქვეყნის უსაფრთხოების, სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელების მიზნით, კერძოდ, საიდუმლო მასალის დაცულობისა და არასასურველ პირთათვის მისი ხელმიუწვდომლობის მისაღწევად. თუ ასე იყო, ამ სამალავებს რა აღმოჩენა სჭირდებოდა? რატომ არ შეიყვანეს საქმის კურსში ახალი, დემოკრატიული არჩევნებით მოსული ხელისუფლება? გამოდის, რომ **„ნაციონალური მოძრაობა“ კოაბიტაციის, თანამშრომლობის ნაცვლად „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მტრულ საქმიანობას ეწევა! მალავს მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროს და ახდენს ქვეყნის სპეციალური სამსახურების პარალიზებას.** შესაბამისად, ამ დანაშაულის წაყრუება და ჩვეულებრივ უწყებრივ შეცდომად გამოცხადება აღარ შეიძლება. ამიტომაც **ახლა უკვე „ქართული ოცნება“ ვალდებულია, მას მიანიჭოს სათანადო კვალიფიკაცია.**

მივესალმები პარლამენტის წევრის — გია ჟორჟოლიანის ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ ინციატივას, სათავეში ჩაუდგეს პრეზიდენტ სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურას. **ამჟერად იმპიჩმენტი უმოკლესი გზაა იმისთვის, რომ ბოლომდე იქნას მხილებული დანაშაულებრივი სახელმწიფო რეჟიმი, რომელიც წლების მანძილზე ეწეოდა საქართველოს მოქალაქეთა შანტაჟს, დამცირებას, ძარცვასა და შეურაცხყოფდა მის ეროვნულ ღირებულებათა სისტემას.** კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ მხოლოდ დისკრედიტებული პოლიტიკური ძალის, „ნაციონალური მოძრაობის“, პოლიტიკური სარბიელიდან გაძევების შემდეგ გახდება შესაძლებელი, რომ საქართველო კვლავ ჩაერთოს დიდ საერთაშორისო დიალოგში, კვლავ თვითონ გახდეს საკუთარი გეოპოლიტიკური რესურსების განმკარგავი და პატრონი. მაგრამ მანამდე გვესაჭიროება ეროვნული თვითგანწმენდა, რაც დამნაშავეთა გამოვლენისა და გასამართლების შედეგად მიიღწევა.

**დავით იაკობიძე,**
**პროფესორი**

თეთრი ბაირაღები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც ვიფიქრე, რომ უხინჯოდ განვლე სავალი, სწორედ მაშინ მომივლინა განგებამ 70 წლის კაცს განსაცდელი, რომელსაც უნდა შევრკინებოდი. მეყოფა კი დარჩენილი დრო ან ენერგია ბრძოლისთვის?! მეორე მხარეს ხომ ქვეყნის ახალგაზრდა, ენერგიული პრეზიდენტია, თავისი სადამსჯელო სტრუქტურებით, თუ დამჯაბნა მაშინ?! არა, არ უნდა დავმარცხდე, ეს ბოროტებასთან ბრძოლაა და ამ ბრძოლაში სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს. ვერ გავიმარჯვე! დამამარცხა, დამამცირა და დამცინა კიდეც...**

# ფარდობითურობის თეორია, ანუ აკადემიკოსი გისოსებს მიღმა



**ნაპოლეონ ქარქაშაძეს ჩვენი მკითხველი იცნობს, როგორც წარმატებულ მეცნიერს, ნიჭიერ პუბლიცისტსა და მწერალს. წლების მანძილზე იყო საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ამჟამად ამავე აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა. აი, ასეთი ადამიანი ყოფილმა ხელისუფლებამ გისოსებს მიღმა მოათავსა. პუბლიკაციების ეს ციკლი ამ უკულმართობაზეა.**



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22 (209)

**საakაშვილის ვარაუდი, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას საზოგადოების მხრიდან ჩემი გაქილიკება მოჰყვებოდა, არ გამართლდა. მიუხედავად ზეწოლისა, ცნობადი „სახეები“ ვერ დაითანხმეს ხელისუფლებისთვის სასურველ კომენტარზე. მოხდა პირიქით... საზოგადოებამ მე დამიჭირა მხარი და ასეთმა განწყობამ პროკურატურა შეაშფოთა კიდეც.**

**მორიგი შეხვედრისას სააკაშვილმა მკაცრად მოითხოვა ჩემი დაპატიმრება. ენა დაებათ ადეიშვილსა და მერაბიშვილს: ვერ გაუბედეს შეფს იმის თქმა, რომ დანაშაული არ მქონდა ჩადენილი.**

„რამდენიმე დღე კიდევ დაგვჭირდებაო“, — უთხრეს. ერთობლივ თათბირზე კი, რომელიც მათ იმავე საღამოს ჩაატარეს, „გამოსავალი“ პროკურატურის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვინმე ჯანყარაშვილმა იპოვა:

— **ექვმიტანილის სტატუსით დავაპატიმროთ, შემდეგ ქონება დავუყადაღოთ და, თუ სხვა რამ ხელჩასაჭიდი ვერ მოვიძიეთ, ქონების წარმომავლობის დასაბუთება მოვითხოვოთ... ამით დავაბნევთ და შევაშინებთ.**

— **რამდენადაც ვიცით, იგი დიდი ქონების პატრონი არ უნდა იყოს, ამიტომ შეძლებს ქონების წარმომავლობის დასაბუთებას**, — უპასუხეს გამომძიებლებმა.

— **ამის საშუალება სასამართლოზე არ უნდა მივცეთ.**

ეშველათ. ჯანყარაშვილი, რომელიც ქონების წარმომავლობის დასაბუთების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, ამ საქმის პროფესიონალი იყო.

ივლისი იწურებოდა, როდესაც ჩემს კაბინეტში სამთავრობო ტელეფონმა დარეკა.

— **ბატონო ნაპოლეონ, გენერალური პროკურატურიდან გამომძიებელი წერეთელი გაწუხებთ, ხომ ვერ შეძლებთ შაბათს, დღის 12 საათზე ჩვენთან მოსვლას?** — ხაზგასმული პატივისცემით მითხრა მან და მისამართიც ჩამაწერინა.

დარჩენილი დრო ფიქრისა და განსჯისთვის გამოვიყენე. ჩემს მეგობრებთან ერთად, რომელთა შორის, რამდენიმე ძალიან მაღალი რანგის იურისტიც იყო, სიტუაცია რამდენიმეჯერ გავაანალიზეთ.

— **სააკაშვილის დავალების გარეშე, პროკურატურა შენ წინააღმდეგ საქმეს ვერ აღძრავდა, რაც იმას ნიშნავს, რომ შენი დასჯა მის ინტერესებშია,** — ასეთი იყო მათი დასკვნა.

დანიშნულ დღეს ადვოკატთან ერთად გამოვცხადდი პროკურატურაში.

— **გამომძიებელი კახა წერეთელი,** — ფეხზე ადგომით გამეცნო სიმპათიური ახალგაზრდა კაცი და ხელი ჩამომართვა.

— **კარგია, რომ დამიძახეთ. ჩემთვის შეურაცხმყოფელია ის, რაც გაზეთ „ქრონიკაში“ დაიბეჭდა. იმედია, სიმართლის დადგენა არ გაგიჭირდებათ,** — ვთქვი მე.

— **ზოგიერთი რამ დასაზუსტებელი იყო და დრო ამან წაიღო. ჩვენ გვაინტერესებს დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის, ღვინის მინიქარხნის რეალიზაციის საკითხები, კერძოდ, თუ რატომ გაიყიდა იგი აუქციონის გვერდის ავლით?**

— **მას ქარხანა არც ეთქმის. როგორც მარანი, ისე იყო რეგისტრირებული. დროთა განმავლობაში, თავისი ფუნქცია, როგორც სასწავლო-სამეცნიერო ობიექტმა, დაკარგა. გარდა ამისა, იგი საჭიროებდა კაპიტალურ რემონტს. მიუხედავად ჩვენი მრავალჯერადი თხოვნისა, სახელმწიფომ ვერ გამოყო სახსრები რემონტისთვის. ამიტომ ჩვენი თხოვნით ქარხანა სახელმწიფომ დაიბრუნა და იგი ქონების დაცვის სამინისტროს ბალანსზე აიყვანა.**

— **რატომ მიეცით სახელმწიფოს?**

— **კი არ მივეცით, დავუბრუნეთ, უნივერსიტეტიც და მასზე დამაგრებული ქონებაც, სახელმწიფო საკუთრებაა და ჩვენ გადმოცემული გვქონდა დროებითი სარგებლობისთვის. მარანმა დაკარგა თავისი ფუნქცია და დაუბრუნდა სახელმწიფოს.**

— **თქვენ იცოდით, რომ ქარხანა იყიდებოდა?**

— **სახელმწიფო მარანს, ალბათ, გაყიდდა, თუმცა მე ამ საკითხით არ დავინტერესებულვარ.**

— **მაშინ რატომ მისწერეთ წერილი პრეზიდენტ შევარდნაძეს?**

— **მოგვიანებით უნივერსიტეტს თხოვნით მოგვმართა მოსკოვში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა, თ. ქარჩავამ და გვთხოვა, აღგვეძრა შუამდგომლობა პრეზიდენტთან, რათა მას გამოეყენებინა თავისი უფლება და აუქციონის გარეშე, პირდაპირი მიყიდვის წესით მიეყიდა იგი ქარჩავასთვის.**

— **ე.ი. თქვენ დაინტერესებული იყავით ქარხნის ასეთი წესით რეალიზაციით?..**

— **რასაკვირველია, ქარჩავამ ჩვენ თანამშრომლობისა და სპონსორობის წინადადება შემოგვთავაზა, ამიტომ, ცხადია, დაინტერესებული ვიყავით.**

— **რა თანამშრომლობაზეა საუბარი?**

— **იმ შემთხვევაში, თუ ქარხანას პირდაპირი მიყიდვის წესით შეიძენდა, იგი უნივერსიტეტთან დადებდა გრძელვადიან ხელშეკრულებას, შეგვიძენდა კომპიუტერებს და სხვა ტექნიკურ საშუალებებს, დანიშნავდა სახელობით სტიპენდიებს, დააფინანსებდა საერთაშორისო ხასიათის ღონისძიებებს, გამოცემდა სახელმძღვანელოებს, რემონტის შემდეგ ქარხანას დაუბრუნებდა საუნივერსიტეტო ფუნქციებს და ა.შ.**

— **როგორი იყო თქვენი რეაგირება მის წინადადებებზე?**

— **ჩვენთვის, რასაკვირველია, წინადადება მისაღები იყო. ამასთან დაკავშირებით კონსულტაციები გავიარეთ განათლების სამინისტროს იურისტებთან და შემდეგ საკითხი გავიტანეთ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზეც.**

— **საბჭომ მოგცათ თანხმობა?**

— **დიახ, საბჭომ მოგვცა თანხმობა, რომ წერილით მიგვემართა შევარდნაძისთვის.**

— **ქარჩავამ შეასრულა დანაპირები?**

— **ჩემი რექტორობის დროს მან უნივერსიტეტს შეუძინა 26 კომპიუტერი, მინისტამბა, დანიშნა სახელობითი სტიპენდიები და დააფინანსა რამდენიმე მივლინება საზღვარგარეთ... იყო კიდევ სხვა სახის დახმარებაც, თქვენ შესაბამისი მონაცემები უნდა გქონდეთ.**

— **იცით თუ არა, რომ ქარხნის პირდაპირი მიყიდვით სახელმწიფო ბიუჯეტმა 30 ათასი ლარი იზარალა?**

— **მე ისიც კი არ ვიცი, თუ რამდენად შეაფასა იგი აუდიტმა, არ დავინტერესებულვარ.**

— **პროკურატურა თვლის, რომ თქვენი წერილით შეცდომაში შეიყვანეთ ქვეყნის პრეზიდენტი და აზარალეთ სახელმწიფო.**

— **ჰკითხეთ შევარდნაძეს, მე მგონი, ის არ თვლის, რომ შეცდომაშია შეყვანილი. მე უნივერსიტეტის რექტორი ვიყავი და, ცხადია, უნივერსიტეტის ინტერესებს ვიცავდი. ქვეყანაზე პრეზიდენტი უნდა ფიქრობდეს და არა მე!..**

— **პროკურატურა მაინც თვლის, რომ თქვენმა წერილმა პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანა.**

— **სასაცილოა, რასაც ამბობთ. ჩემი წერილი განკარგულება კი არ იყო, არამედ პრეზიდენტისადმი თხოვნა, რომელსაც იგი ან გაითვალისწინებდა ან — არა... მადლობა მას, რომ გაითვალისწინა. რაც შეეხება ბიუჯეტის ზარალს, ასეთი შეკითხვა მაქვს: თუ იცით, რა ღირს 26 კომპიუტერი, რომელიც ხელშეკრულებით მიიღო სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფმა უნივერსიტეტმა? როგორც ვხედავ, არ იცით... თუ თქვენი ლოგიკით ვიმსჯელებთ, სახელმწიფომ კი არ იზარალა, არამედ მოიგო 12 ათასი ლარი, ვინაიდან 26 კომპიუტერის ღირებულება 42 ათასი ლარია, რომ არაფერი ვთქვათ მინისტამბაზე და ა.შ.**

გამომძიებელი დაიბნა...

— **კარგით, დროს ტყუილად ვკარგავთ. გთხოვთ, რაც იცით ქარხნის შესახებ ჩვენების სახით გააფორმოთ,** — თქვა და მაგიდის უჯრიდან დანომრილი ფურცლები მომაწოდა.

— **ამის გაკეთება არაა ძნელი, თუმცა აუცილებლობას ვერ ვხედავ,** — ხმადაბლა ჩავილაპარაკე და წერას შევუდექი. 40-ოდე წუთში ფურცლები გადავეცი.

— **გმადლობთ, ბატონო ნაპოლეონ, დღეს მეტი შეკითხვა არ მაქვს,** — ცხვირსახოცით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და რაღაც ქაღალდი გადმომაწოდა. — **გთხოვთ, გაეცნოთ და ხელი მოაწეროთ.**

— **რა არის ეს?!** — ვიკითხე მე.

— **მაპატიეთ, ეს თქვენი დაკავების ორდერია,** — ჩაილაპარაკა მან.

— **თქვენ მაპატიმრებთ?!**

— **დიახ, ასეა,** — თქვა და ხელები გაასავსავა.

— **ყმაწვილო, თუ აცნობიერებთ, რაც ახლა თქვით?**

— **ეს ჩემი გადაწყვეტილება არაა. წუხელ გვიან მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, რომელზეც დღეს ნებართვა მოსამართლემაც გასცა.**

— **იქნებ ჯერ ბრალი წამიყენოთ და შემდეგ მოითხოვოთ ჩემი დაპატიმრება?!**

— **აქ წერია, რომ თქვენ ბრალი სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობის გადამეტებაში გედებათ...**

— **ჩემი საქმიანობიდან რომელი გეჩვენებათ უფლება-მოვალეობის გადამეტებად? იქნებ ფაქტები დაასახელოთ?**

წერეთელმა თავი დახარა და ხელები გაასავსავა, იგი დაბნეული იყო.

— **ეს გადაწყვეტილება „მათ“ მიიღეს,** — თქვა ხმადაბლა და თავი ზევითკენ აიქნია.

— **კონკრეტულად ვინ მიიღო ასეთი უგუნური გადაწყვეტილება, იქნებ მათი გვარები მითხრათ?** — უკვე ვყვიროდი მე.

— **გვარების დასახელება ჩემს კომპეტენციას სცილდება...**

— **თქვენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აპატიმრებთ და იმ პიგმეების გვარების დასახელების გეშინიათ, რომლებმაც ასეთი უკანონობა დაგავალათ?! თქვენ რა, დოქსოპულოსაც გადააჭარბეთ?**

— **ისინი პიგმეები არ არიან... ვწუხვარ, მაგრამ ვერაფერს შევცვლი, მაპატიეთ, ახლა ასეა საჭირო...**

— **რას ნიშნავს „ასეა საჭირო“?! მე ნივთი ხომ არა ვარ? ვისაც როგორ მოესურვება, ისე მომექცეს?**

— **ბატონო ნაპოლეონ, ბატონო ნაპოლეონ, ყველაფერი გაირკვევა, მე ამჯერად ვერაფერს შევცვლი,** — მუდარით თქვა მან.

— **ჯერ გაგერკვიათ და გადაწყვეტილება შემდეგ მიგეღოთ!** — თუმცა მივხვდი, რომ უძლური ვიყავი. **მე გამომძიებელი კი არა, პრეზიდენტი მაპატიმრებდა,** მოწოდებული ფურცელი გამომძიებელს მაგიდაზე დავუგდე, — **ღმერთი განგსჯით, თუ მე არ დავასწარი უფალს...** — ვთქვი და ადვოკატს გადავხედე, რომელმაც ძლივს ამოღერღა რამდენიმე ულიმღამო ფრაზა.

კაბინეტში ოთხი ბრგე ახალგაზრდა შემოვიდა.

— **წამობრძანდით, ბატონო ნაპოლეონ,** — მითხრა ბადრაგის უფროსმა და ჩვენ ოთახიდან გავედით.

დანგრეულ „ჟიგულს“, რომელშიც ჩამსვეს, უკან აკადემიის პრეზიდენტის „მერსედესი“ მოჰყვებოდა, რომელსაც ჩემი თვალც-

▶

თეთრი ბაირაღები

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## — თქვენნაირი კაცების ციხეში ჩასმა. ვიღაცების ინტერესებშია. დაფიქრდით, ვის აწყენინეთ ან ვის შურს თქვენი. ზოგი შეიძლება თანამდებობას დახარბდა! ერთი სიტყვით, თქვენი ციხეში ყოფნა ვიღაცების ინტერესებშია. აქ ბევრი დრო გექნებათ ფიქრისთვის, და მიხვდებით, თუ ვის აძლევს ხელს თქვენი აქ ყოფნა.

◀რემლიანი მძღოლი მართავდა.

საღამოს „მოდულში“, წინასწარი დაკავების საკანში, ტელეჟურნალისტები მოვიდნენ. „თავს როგორ გრძნობთო“ — მორიდებით მკითხეს. **საღამოს ეთერით კი მთელმა საქართველომ გაიგო, რომ დააპატიმრეს აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რუსეთისა და სხვა საერთაშორისო აკადემიების ნამდვილი წევრი — ნაპოლეონ ქარქაშაძე.**

საქართველო უკვე მიჩვეული იყო ასეთი ხასიათის სატელევიზიო სპექტაკლებს და არც ჩემი დაპატიმრება გაჰკვირვებია ვინმეს. ერთ ხანს, მასმედია ვრცლად აშუქებდა ჩემს „საქმეს“, ბოლოს ესეც მინავლდა იმიტომ, რომ სხვა უფრო დიდმა სენსაციებმა გადაფარა იგი.

**მეორე დღეს, „მოდულში“ გამომძიებელმა წერეთელმა „მომინახულა“. დაკითხვას ორი ადვოკატი ესწრებოდა. ძალიან გაუჭირდა ახალგაზრდა კაცს, თვითონვე გრძნობდა დასმული კითხვების უაზრობას, აკვარიუმში უწყლოდ დარჩენილი თევზივით ეხეთქებოდა აქეთ-იქით. ხვდებოდა, რომ ჩემთან და ადვოკატებთან დიალოგში მარცხდებოდა. ბოლოს ისე საცოდავად გვითხრა: „ჩემთან რა გინდათო“, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს მართლა შეეცოდებოდა — „ამ პატიოსან კაცს რას ერჩითო“... არადა, გამოზრძმედილი და დახვეწილი შემსრულებელი იყო.**

მისმა არტისტობამ ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაციც კი ხუმრობის ხასიათზე დააყენა:

**— კახა, შვილო, სიმღერა იცი?**

**— სიმღერა რა შუაშია, ბატონო, ნაპოლეონ?**

**— ფილმ „მონანიებაში“ დოქსოპულოებმა, სიმღერა მაინც იცოდნენ, გახსოვს, ალბათ, ბარათელის სახლში რა ხმაშეწყობილად იმღერეს არავიძესთან, შენ კი დაკითხვის ოქმის შედგენა გიჭირს.**

იმ მომენტში შურისძიების სხვა იარაღი, გარდა იუმორისა, მე არ მქონდა, თუმცა იუმორიც ხომ იარაღია...

ეტყობოდა, რომ გამომძიებელი ხვდებოდა საკუთარ უსუსურობას, როგორც შემდეგ გავიგე, ჩემი საქმის შემდეგ იგი დაუწინაურებიათ... „გაუმართლა“.

გამომძიებლის წასვლის შემდეგ ჩემთან ადვოკატები დარჩნენ:

**— ბატონო ნაპოლეონ, რამდენიმე დღეში თქვენსა და თქვენი ქალიშვილის ქონებას დააყადაღებენ. მოგთხოვენ მათი წარმომავლობის დასაბუთებას,** — მითხრეს მათ.

**— არც მე და არც ჩემს ქალიშვილს დიდი ქონება არა გვაქვს, იქნებ, საერთოდ ყველა ქარქაშაძის ქონება დააყადაღონ, ეს ხომ სისულელეა! ჩემი ქალიშვილი მედიცინის დოქტორია და მას სამი შვილი ჰყავს. ალბათ, გაუკვირდებათ, რომ მე, რომელსაც 1964 წლიდან უმაღლესი ხელფასი მაქვს და ეს ხელფასი დინამიკაში იზრდებოდა, ასეთი მწირი ქონება გამაჩნია.**

**— ბატონო ნაპოლეონ, მათ კარგად იციან, რომ თქვენ მდიდარი კაცი არა ხართ, ქონების ჩამორთმევა კი თქვენი დასჯის მეთოდია, ვინაიდან ძირითად ბრალდებაში ვერაფერს იპოვიან. ქონების ჩამორთმევით კი საზოგადოებასაც აჩვენებენ, რომ თქვენ დამნაშავე ხართ... საზოგადოების ნაწილი ამას დაიჯერებს.**

ვუსმენდი ადვოკატებს და ვფიქრობდი: ნუთუ ადამიანი იმდენად უძლურია, რომ მასზე ბოროტება ყოველთვის იმარჯვებს? ყველა ჩვენგანს მთელი ცხოვრების მანძილზე აჩრდილივით თან დაჰყვება და თავის დროს ელოდება. ცხოვრებასთან ჭიდილში ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდი და ჩემი გზაც მხოლოდ აღმასვლით მიდიოდა. **როდესაც ვიფიქრე, რომ უხინჯოდ განვლე სავალი, სწორედ მაშინ მომივლინა განგებამ 70 წლის კაცს განსაცდელი, რომელსაც უნდა შევრკინებოდი. მეყოფა კი დარჩენილი დრო ან ენერგია ბრძოლისთვის?! მეორე მხარეს ხომ, ქვეყნის ახალგაზრდა, ენერგიული პრეზიდენტია, თავისი სადამსჯელო სტრუქტურებით, თუ დამჯაბნა მაშინ?! არა, არ უნდა დავმარცხდე, ეს ბოროტებასთან ბრძოლაა და ამ ბრძოლაში სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს.**

**ვერ გავიმარჯვე! დამამარცხა, დამამცირა და დამცინა კიდეც... 8 წელიწადი მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ მოვესწრებოდი იმ დროს, როდესაც ჩემს სიმართლეს დავამტკიცებდი, 2012 წლის 1 ოქტომბერს, მგონი, დადგა ასეთი დრო... ვნახოთ, აღდგება თუ არა სიმართლე.**

### საპყრობილეში

სამი დღე მამყოფეს მოდულის შენობის წინასწარი დაკავების საკანში, შემდეგ მოსამართლე გ. სონღულაშვილმა დაუსწრებლად სამთვიანი პატიმრობა მომისაჯა იმ მოტივით, რომ 70 წლის კაცი არ გავქცეულიყავი (!!!) და საგამოძიებო პროცესი არ შემეფერხებინა. ბარემ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ციხეში 108-დღიანი ყოფნის დროს გამომძიებლები „ძირითად“ საქმეზე ორჯერ თუ სამჯერ იყვნენ მოსულები უფრო იმისთვის, რომ ეთქვათ „ჩვენ არაფერ შუაში ვართო“ (!).

სამი დღის შემდეგ, სპეცმანქანით და ბადრაგის თანხლებით, როგორც „საზოგადოებისთვის საშიში ელემენტი“, გადამიყვანეს სომხების მიერ აშენებულ ორთაჭალის საპყრობილეში.

**— პატიმარი მოგიყვანეთ,** — უთხრა ბადრაგის უფროსმა ციხის თანამშრომლებს და საბუთებთან ერთად, ჯართივით ჩააბარეს ჩემი თავი.

ოთახში, რომელშიც შემიყვანეს, ძველებურ მაგიდას სათვალეებიანი კაცი უჯდა. ექიმი აღმოჩნდა.

**— პატიმარო, უჩივით რამეს? დაზიანებები ან სისხლჩაქცევები ხომ არა გაქვთ? აბა, გაიხადეთ,** — თქვა მან და ჩემს დოკუმენტებში ჩაიხედა, **— ო..., ბატონო ნაპოლეონ! მაპატიეთ, უხერხულად გამომივიდა. სამწუხაროდ, აქ ასეა მიღებული,** — შემდეგ დოკუმენტებში რაღაც ჩანაწერი გააკეთა და ვიღაცას გასძახა — **ჟორა, შეგიძლია პატიმარი წაიყვანო.**

მაშ, ასე... მხოლოდ ერთი წოდება მაკლდა და ისიც „მომანიჭეს“. სიტყვა „პატიმარმა“, ჩემი ყველა ხარისხი და წოდება გაანეიტრალა, დღეიდან მე პატიმარი ქარქაშაძე ვარ.

**— პატიმარო, შემოდით!** — ბრძანების კილოთი დაიძახეს მეორე ოთახიდან.

**— ჟორა, ეს ქარქაშაძეა,** — მიანიშნა ექიმმა.

კარში წვერგაუპარსავი, შავი კაცი გამოჩნდა.

**— მაპატიეთ, ბატონო ნაპოლეონ, პატარა პროცედურა გვაქვს ჩასატარებელი, თუ შეიძლება, აქეთ მობრძანდით,** — თქვა მან და ოთახში შემიძღვა, სადაც თითების ანაბეჭდები ამიღო, პროფილსა და ანფასში სურათები გადამიღო და მთავრობასაც შეუკურთხა, შემდეგ ექიმს გასძახა: „პატიმარი წაიყვანეთო“ და მე კვლავ ექიმის ოთახში აღმოვჩნდი.



## სამი დღის შემდეგ, სპეცმანქანით და ბადრაგის თანხლებით, როგორც «საზოგადოებისთვის საშიში ელემენტი», გადამიყვანეს სომხების მიერ აშენებულ ორთაჭალის საპყრობილეში

**— გატყობთ, რომ ციხეში პირველად ხართ, არაუშავს, შეეჩვევით,** — დამამიმედა ექიმმა.

ორიოდე საათის შემდეგ ოთახში ციხის უფროსის მოადგილე რამდენიმე თანამშრომელთან ერთად შემოვიდა, ერთ-ერთ მათგანს ხელში გასალებების აცმა ეჭირა.

**— პატიმარო, გამომყევით,** — ისე თქვა დირექტორის მოადგილემ, რომ ჩემთვის არც კი შემოუხედავს.

ბნელ, ჭუჭყიან დერეფანში ჩავედით, სინესტისა და სიმყრალის მძაფრმა სუნმა მაგრძნობინა, რომ იმ სამყაროში მხოლოდ ღირსებააყრილი ადამიანების ადგილია და მეც მათნაირი უნდა გავმხდარიყავი.

საკმაო მანძილის გავლის შემდეგ, ერთ-ერთ საკანთან შევჩერდით, რომლის რკინის კარზე ეწერა — „მკაცრი“. მეციხოვნემ საკანი გააღო, ოდნავ მიბიძგა და მითხრა: „ეს თქვენი საკანიაო“ და ჩემს უკან ჟღრიალით მიხურა კარები. ბნელ, ნესტიან ოთახში აღმოვჩნდი, რომელსაც ფანჯრები არ ჰქონდა. კუთხეში ერთი ნათურა ბჟუტავდა. როდესაც თვალი სიბნელეს შეეჩვია, მხოლოდ მაშინ დავინახე, ჩემს წინ მდგარი, წელსზევით შიშველი ადამიანები, რომლებიც ცნობისმოყვარედ მომჩერებოდნენ.

**— ჩვენთან ნამდვილად არ გელოდით, ბატონო ნაპოლეონ. აქ თქვენნაირ კაცს რა უნდა? ეს მკვლელებისა და ბანდიტების საკანია,** — მითხრა ძალიან გამხდარმა პატიმარმა და თავის ლოგინთან მიმიწვია, **— საკანში მხოლოდ სამი საწოლია, ეს ჩემია, მე მაინც არ მძინავს, სულ დავდივარ, შეგიძლიათ მოისვენოთ,** — თქვა და ლოგინი დაალაგა. გამხდარს მთელი სხეული სვირინგით ჰქონდა დაფარული და, როგორც მოგვიანებით გავიგე, „სვირინგას“ ეძახდნენ.

**— ციხემ უკვე იცის თქვენი შემოსვლის ამბავი, მე ახლავე ჩაის მოგიმზადებთ,** — მითხრა და ლოგინთან ფუსფუსი დაიწყო. პატიმრების ნაწილი ჩემ წინ, ბეტონის იატაკზე, რკალად დაჯდა.

**— აქ ჩაი მქონდა, დააჩიფირეთ?.. უუ თქვენი,** — შეუტია მან პატიმრებს და ვიღაცას თავშიც წაუთაქა.

**— მე რა? ჩემთან რა გინდა?** — ჩაიბუზღუნა მან და სხვაგან გადაჯდა.

**— ესენი, არც ადამიანები და არც ცხოველები არ არიან... აი ამან, ამ იდიოტმა,** — თქვა და დიდთავა პატიმარს, რომელიც დროდადრო ზმუოდა და თანაც თავში მუშტებს ირტყამდა, მუჯლუგუნი უთავაზა, — **ამ დეგენერატმა ერთ ღამეში სიდედრი და ცოლი ნაჯახით აკუწა. ახლა მთელი ღამე ღმუის, ცოლის მოკვლა არ მინდოდა, შემომაკვდაო... მთელი ცხოვრება ციხეში გავატარე და ასეთი რამე არ გამიგია... ამ იდიოტმა შუაღამეს სახლში ვიღაც გალეშილი ბომჟი მიიყვანა, „ღვინო სახლში არ გვაქვსო“, უთხრეს, ამან კი... უ, შენი... ახლა აქ გდია და არავინ იცის, კიდევ რა სისულელეს ჩაიდენს! საშიში კაცია, ყველა ერიდება,** — ჩურჩულით დაასრულა გამხდარმა.

არაფერი მითქვამს, ლოგინზე ჩამომჯდარი იმ ადამიანებს ვათვალიერებდი, რომლებთანაც, ვინ იცის, რამდენ ხანს მომიწევდა ყოფნა!..

**— კაცი, პირველად შემოვიდა ციხეში, თქვენსავით მათხოვარი კი არაა... და ჩაი ვერ უნდა დავალევინო?** — ბობოქრობდა „სვირინგა“ და ბოლთას სცემდა.

**— მე არ მინდა, ჩაი მგონი ჩემს ჩანთაშია, თქვენ თუ გინდათ, აიღეთ,** — ვთქვი ხმადაბლა.

სვირინამ ჩანთა მომაწოდა.

**— თქვენს ნივთებს აქ ვერავინ შეეხება. თქვენ თვითონ... ცხელი ჩაი აქ დიდად ფასობს.**

ჩაისთან ერთად სიგარეტიც ამოვიღე და ლოგინზე დავდე.

**— თუ გინდათ, აიღეთ, ნუ გერიდებათ,** — ვუთხარი პატიმრებს, რომლებიც „სვირინგას“ მიაჩერდნენ. მან კოლოფი შეათვალიერა და პატიმრებს ორი ღერი სიგარეტი მიაწოდა, „რიგ-რიგობით მოწევთო“, — უთხრა, თვითონ ერთი პირში გაირჭო, ხოლო მეორე ყურზე ჩამოიდო და კოლოფი ფრთხილად დადო ლოგინზე, შემდეგ ახალგაზრდა პატიმარს წყლის მოტანა დაავალა.

**— ამ ლაწირაკმა,** — დაიწყო მან და ახალგაზრდა პატიმრისკენ გაიხედა, — **ქურდობა ყაჩაღობით დაიწყო. ბანდაში მოხვდა, თურქეთის ავტობუსი ტრასიდან გადაიყვანეს და „გაასუფთავეს“. ჩამოსვლისას, ერთმა მოხუცმა ქალმა ხელი სტაცა, ამან კი იარაღიდან ცეცხლი გახსნა და სამი ადამიანი საიქიოში გაისტუმრა, ახლა მთელ ცხოვრებას ციხეში გაატარებს და მიხვდება, რომ ქურდობა ცოდვიანი საქმე არაა.**

**— ცუდად მოქცეულა, ძალიან ცუდად,** — ვთქვი მე.

**— შემთხვევით მომივიდა, ძია, პირველად ვიყავი „საქმეზე“, შემეშინდა, ხელი რომ მომკიდა,** — თქვა ბიჭმა, რომელსაც ხელში, წყლით სავსე შავი ჩაიდანი ეჭირა, — **ვაი, ეს რა ცოდვა ჩავიდინე! ეს რა ვქენი! რატომ არ მოვკვდი! ყველაფერს ვიტყვი სასამართლოზე, ნეტავი დამხვრიტონ... აქვითინდა და ოთახის ბნელი კუთხისკენ წავიდა.**

**— ოცი წლისაა, ბებიამ გაზარდა,** — მითხრა გამხდარმა.

**— ძია, შენნაირ კაცს ჩვენთან დიდხანს არ გააჩერებენ. გთხოვთ, გარეთ რომ გახვალთ, ამ ტელეფონზე დარეკოთ და ჩემებს უთხრათ, რომ აქა ვარ!** — ზლუქუნით თქვა თმებაბურძგნულმა პატიმარმა და ხელში ქაღალდის ნაგლეჯი შემომაჩეჩა.

**— ნუ აწუხებ ამ ადამიანს!** — შეუღრინა გამხდარმა, — ამ ტუტუცმა „პრასტიტუტკას“ ფული არ გადაუხადა, იმან კი უჩივლა — **გამაუპატიურაო, ახლა კი წუწუნებს. შეგრთავენ იმ ბოზს და ამით დამთავრდება შენი საქმე, წესიერი ქალი შენ მაინც არ წამოგყვება.**

შემდეგ საწოლზე ჩამოჯდა და თითქმის ჩურჩულით მკითხა:

**— თქვენ, ალბათ, ფული და ტელეფონი აქ შემოყვანის დროს ჩამოგართვეს. ასე იციან, არ ინერვიულოთ, ხვალ დილით შემოგიტანთ. ისე, რომ იცოდეთ, აქ ფული საჭიროა, თუ საიდუმლო არაა, რამდენი გქონდათ?**

**— ზუსტად არ მახსოვს, ალბათ, 10 ლარამდე,** — მივუგე მე.

**— ასე ცოტა? — თუმცა თქვენისთანა კაცებს ფული ნაკლებად გეხარჯებათ. საღამოს ჩემს მობილურს შემომიტანენ და თქვენებს უთხარით, რაც შეიძლება წვრილი ფული გამოგიგზავნონ.**

— ჩაი გამზადებულია, — დაიძახა ვიღაცამ. — მერე დავლევთ, — უთხრა „სვირინგამ“ და საუბარი გააგრძელა.

**— ბატონო ნაპოლეონ! თქვენ წესიერი კაცი ბრძანდებით და, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენთ, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც ნებისმიერ სიგლახის ჩადენა შეუძლიათ...**

**— რას გულისხმობ?** — შევეკითხე.

**— თქვენნაირი კაცების ციხეში ჩასმა. ვიღაცების ინტერესებშია. დაფიქრდით, ვის აწყენინეთ ან ვის შურს თქვენი. ზოგი შეიძლება თანამდებობას დახარბდა! ერთი სიტყვით, თქვენი ციხეში ყოფნა ვიღაცების ინტერესებშია. აქ ბევრი დრო გექნებათ ფიქრისთვის და მიხვდებით, თუ ვის აძლევს ხელს თქვენი აქ ყოფნა.**

„სვირინგა“, ძალიან მონდომებული მარიგებდა. შეიძლება, დავალებაც ჰქონდა ასეთი?

**— მე გეტყვით, როგორ წავა თქვენი საქმე,** — გააგრძელა მან. — **თქვენნაირები აქ ბევრი მინახავს... მთლად თქვენნაირები, ალბათ, არა, მაგრამ მაინც. ციხეში 3-4 თვეს გაყურყუტებენ, საქმეს გაბერავენ, ქონებასა და ფულს წაგართმევენ და მერე გაგიშვებენ. ამით, სხვებს დააშინებენ და გაატყავებენ. თქვენ ამათი კოზირი ხართ!** — კიდევ რაღაც წაილაპარაკა, მაგრამ ყურადღება აღარ მომიქცევია.

მისი ნათქვამი ძალიან წააგავდა ჩემს ვარაუდებს...

**— ძია, ძია! იმ ქალს ფული მივეცი და იცოტავა, „მათხოვარი ხარო“, — მითხრა, მეც ამიტომ დავარტყი, ყვირილზე პოლიცია მოვიდა და დამიჭირეს, ის ქალი კი იცინოდა. დარეკეთ რა ამ ნომერზე, ჩემი ბიძაშვილი პარლამენტის დეპუტატია, მიშველის. მე აქ ვერ გავძლებ,** — მეხვეწებოდა „პროსტიტუტკისგან“ ჩაშვებული ახალგაზრდა.

**— ხომ გითხარი, ნუ აწუხებ-მეთქი, წადი ახლა და ტუალეტი გაწმინდე, იქნებ, ამ ადამიანს შესვლა უნდა...** — შეუბღვირა „სვირინგამ“.

**— ფრთხილად იყავით გამომძიებლებთან და განსაკუთრებით ადვოკატებთან, ესენი შეკრულები არიან, ერთ საქმეს აკეთებენ. კამერაშიც არავინ წამოგიკიდოს სალაპარაკოდ, ამათი ნახევარი „ნასედკაა“, ეგრევე ჩაგიშვებენ,** — აგრძელებდა ჩემს დამოძღვრას „სვირინგა“, — **ახლა დაისვენეთ, ხვალ ყველაფერში გაგარკვევთ,** — დამაიმედა და ბანქოს მოთამაშე პატიმრებისკენ წავიდა.

**გაგრძელება იქნება**

## ფოსტა

**საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამჭვირვალედ და სამართლიანად მიჩნეული არჩევნების ჩატარებამდე პარტიას (ბლოკს), რომელიც მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ჩატარებულ 3 ან მეტ არჩევნებში (საპარლამენტო, ადგილობრივი), თუ ერთხელ მაინც აქვს მიღებული შედეგი, ამომრჩეველთა 1-3%-იანი მხარდაჭერა (ციფრები განისაზღვრება პარტიების ოპტიმალური რაოდენობის შესაბამისად) და დღესაც ფუნქციონირებს, უნდა მიეცეს საინფორმაციო სივრცისა და სახელმწიფო დაფინანსების მიღების შესაძლებლობა.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უპირველეს ყოვლისა, ხელშეწყობა სჭირდებათ არასაპარლამენტო პარტიებს

## ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

**საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ძლიერი, გამართული სტრუქტურისა და ჩამოყალიბებული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციების არსებობა და ფუნქციონირება ნიშნავს ქვეყნის სტაბილურობას, სახელმწიფო სტრუქტურების ქმედუნარიანობას, რეალისტურ საგარეო ორიენტაციას, ეკონომიკის განვითარებას, ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. ამას ცხადად ნათელყოფს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება.**



სააკაშვილის მახინჯი რეჟიმის ერთი არსებითი მახასიათებელი იყო ის, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებს შექმნილი ჰქონდათ არათანაბარი სასტარტო პირობები, რომლებიც ყოველ არჩევნებზე იცვლებოდა ხელისუფლებისა და მისი სატელიტების ინტერესების შესაბამისად.

ტირანიის შეზღუდვის შემდეგ საქართველოს გაუჩნდა შანსი, რომ დაიწყოს ნორმალური სახელმწიფოებრივი ცხოვრება, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმას გულისხმობს, რომ საქართველოში დადგეს პერიოდი საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პრინციპული შეთანხმებისა და მიღწეულ იქნას საერთოეროვნული კონსენსუსის მინიმუმი მაინც.

**შეუძლებელი გახდება ძველი სისტემის ნანგრევებზე ახალი ცივილიზებული და ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესის დაწყება, თუ არ მიეცემა შესაძლებლობა პოლიტიკურ ძალებს ნორმალური ფუნქციონირებისთვის, არ ითქმება უარი სატელიტ პარტიებზე, არ დაინერგება პოლიტიკურ ძალთა შორის თავისუფალი კონკურენცია და არ ჩამოყალიბდება ჯანსაღი პოლიტიკური და საარჩევნო გარემო.**

იქიდან გამომდინარე, რომ, რადგანაც წლების მანძილზე ხელისუფლება ყალიბდებოდა არაორდინარულ ვითარებაში, საჭიროა, მიღებულ იქნას ერთჯერადი არაორდინარული გადაწყვეტილება, რომელიც, სანამ ჩამოყალიბდება მუდმივი გამართული მდგრადი სისტემა, შესაძლებელს გახდის რეალური და ამავე დროს სამართლიანი პოლიტიკური სივრცის შექმნას, ამ სისტემის მთავარი პოლიტიკური კომპონენტის, პოლიტიკური პარტიების გამართული ფუნქციონერების ხელისშეწყობის ჩათვლით.

ჯანსაღი და მდგრადი პოლიტიკური სივრცის შესაქმნელად, უპირველეს ყოვლისა, ხელშეწყობა სჭირდებათ არასაპარლამენტო პარტიებს, იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო პარტიები ისედაც უზრუნველყოფილნი არიან, როგორც ძალაუფლების ბერკეტების მფლობელები, ფუნქციონირებისთვის საჭირო პირობებითა და მექანიზმებით (მედიის ყურადღება, ოფისები, კომუნიკაციისა და გადაადგილების საშუალებები, ხელფასები, საგარეო ვიზიტები, სახელმწიფო ღონისძიებები, დაცვა და სხვ.).

**სააკაშვილის რეჟიმის მიერ შემოღებული „კვალიფიციური სუბიექტის“ სტატუსი და მისგან გამომდინარე პრივილეგიების პრაქტიკა, რომელიც ემყარება გაყალბებული არჩევნების შედეგებს** (რასაც პრივილეგიების მიმღებებიც ადასტურებენ), **შორსაა როგორც დემოკრატიის, ასევე სამართლიანობის პრინციპებისგან, მანკიერია ლოგიკურად და ზნეობრივად.**

**რეალური დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფები უნდა იყოს უზრუნველყოფილი ელემენტარული ფუნქციონირებისთვის საჭირო, ხოლო არჩევნების დროს ყველა მონაწილე სუბიექტისთვის თანაბარი საწყისი პირობებით.**

პარტიების სტატუსთან და მათ რეგისტრაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა საჭიროებს შემდგომ რეალისტურ ოპტიმიზაციას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიების დაფინანსებისა და მედიაზე წვდომის შესაძლებლობებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს პარტიების გავლილი გზა, ავტორიტეტი და საზოგადოებრივი მხარდაჭერა. ყველაზე ობიექტური და სამართლიანი იქნება, თუ შეფასებათა სისტემა გაითვალისწინებს საქართველოში ჩატარებული ყველა არჩევნების შედეგებს ჯამურად.

ამიტომ „სახალხო პარტიის“ წინადადებაა: **საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამჭვირვალედ და სამართლიანად მიჩნეული არჩევნების ჩატარებამდე პარტიას (ბლოკს), რომელიც მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ჩატარებულ 3 ან მეტ არჩევნებში (საპარლამენტო, ადგილობრივი), ერთხელ მაინც აქვს მიღებული** ▶

# იმედი მაქვს, კვლავ დაირეკება შპს «საბას» სკოლის ზარი

## ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს

**2003 წელს ქ. ზუგდიდში, შპს „საბას“ ბაზაზე გავხსენი ცოტნე დადიანის სახელობის საშუალო სკოლა, რომელიც გამორჩეული იყო თავისი სასწავლო პროგრამებითა და მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობით, აღზრდის მეთოდებით. სკოლის მოსწავლეები არ ეწეოდნენ, არ დაჰქონდათ ცივი იარაღი, არ აყენებდნენ ერთმანეთს ფიზიკურ ან მორალურ შეურაცხყოფას. სკოლაში სწავლება იყო ორსემესტრიანი, ყოველი სემესტრის ბოლოს მაპროფილებელ საგნებში ტარდებოდა გამოცდები, რომელთაც ესწრებოდნენ საგამოცდო კომისიის წევრები, მოსწავლეთა მშობლები და სკოლის დირექტორი.**

სკოლაში გაძლიერებით ისწავლებოდა: მათემატიკა და უცხო ენები. ასევე ისწავლებოდა ეთიკა და საოჯახო ცხოვრების კულტურა, რელიგიის ისტორია. კლასში სწავლობდა მაქსიმუმ 15 მოსწავლე. ქალაქის ფარგლებში ხდებოდა მოსწავლეთა უფასო ტრანსპორტირება, გვქონდა ერთჯერადი უფასო კვება და გახანგრძლივებული დღის რეჟიმი. დაწესებული იყო სწავლის ქირა 50 ლარი. **შეღავათები ჰქონდათ ეკონომიურად გაჭირვებული ოჯახების შვილებსა და დევნილებს, რომელთა რაოდენობა სკოლის კონტიგენტის 60% შეადგენდა. სკოლა პრაქტიკულად იყო საქველმოქმედო.**

სკოლის დაარსების დღიდან მასწავლებლები სამუშაოდ მიიღებოდნენ სტაჟირების შემდეგ. სისტემატიურად ტარდებოდა ღია გაკვეთილები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, გარკვეული ცოდნის მიღების შემდეგ მასწავლებელი ინიშნებოდა სამუშაოზე უანგაროდ. მას შემდეგ, რაც სკოლა გაიხსნა, ჩვენ ვიბრძოდით, სახელმწიფო ფასებში შეგვეძინა ქალაქში დახურული რომელიმე სკოლის შენობა, თითქოს განათლების მინისტრებიც ხელს გვიწყობნენ ამ საქმეში, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოთავისუფლებული სკოლის შენობები სხვა მიზნებისთვის სჭირდებოდათ.

ბოლოს დაქირავებული გვქონდა ერთმანეთის მეზობლად მდებარე ორი ორსართულიანი კერძო სახლი, შევქმენით ყველა პირობა იმისათვის, რომ მოსწავლეებს შეძლებოდათ როგორც ცოდნის მიღება, ასევე გართობა და დასვენება. სკოლას ჰქონდა ყოველივე ის, რაც საჭირო იყო ავტორიზაციის გავლისთვის, გარდა ლაბორატორიისა, რომელიც არ იყო სრულყოფილი.

მოსწავლეთა კონტიგენტის უმეტესობა გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური მოსწრებით, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თბილი, მეგობრული ურთიერთობა იყო. მოსწავლეები საპატიო მიზეზის გარეშე არ აცდენდნენ გაკვეთილებს. **მოსწავლეებსა და მშობლებს უყვარდათ ჩვენი სკოლა და, როცა დაგვხურეს, ისინი აპირებდნენ განათლების სამინისტროში ამის გაპროტესტებას, მაგრამ, ჩვენი თხოვნით, გადაიფიქრეს. რადგან ჩვენ ვიცოდით, ამას რაც მოჰყვებოდა.**

ჩვენ ყოველთვის გაგვაჩნდა საკუთარი აზრი და შეხედულებები, რაც არ გვაპატიეს. მავანნი ყოველთვის ცდილობდნენ ჩვენი სკოლის ბლოკირებას — არ გვაწვდიდნენ საჭირო ინფორმაციას, ცდილობდნენ, სხვა სკოლები აემხედრებინათ ჩვენ წინააღმდეგ. ყოველწლიურად გვივრცელებდნენ ჭორებს, რომ სკოლა იხურებოდა.

სკოლას 2011 წლის 21-22 დეკემბერს გვეწვია საავტორიზაციო კომისია სამი კაცის შემადგენლობით. მათ ვერ მოიძიეს რაიმე ხელჩასაჭიდი მიზეზი, რომ სკოლა დაეხურათ, მოგვცეს უსუსური შენიშვნები, რომელთა უმეტესობა კომისიის წევრების წასვლამდე გამოვასწორეთ:

1. **ბიბლიოთეკაში არსებულ I და XII კლასების ჩათვლით სახელმძღვანელოებს აკლია სამი წიგნი**. ჩვენ ეს ხარვეზი სკოლიდან კომისიის წასვლამდე გამოვასწორეთ, მაგრამ შენიშვნაში მაინც ჩაგვიწერეს;

2. **სკოლაში 15 კლასია და 12 სასწავლო ოთახი.** ჩვენ ავუხსენით, რომ უცხო ენებში სადაც გაკვეთილები ტარდებოდა დონეების მიხედვით, აგრეთვე, სპორტის გაკვეთილებზე გამოთავისუფლებულ ოთახებში ტარდებოდა გაკვეთილები ისე, რომ არც ერთი კლასი არ რჩებოდა ოთახის გარეშე. მიუხედავად ამისა შენიშვნის მოცემიდან ერთ საათში ზუგდიდის იუსტიციის სახლიდან მოვიტანეთ საბუთი ჩვენ მიერ დაქირავებული მეორე სასწავლო კორპუსის დამატებით მეორე სართულის დაქირავების შესახებ ფართით 200მ2. ეს ფართი სამი კლასისთვის სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ შენიშვნაში მაინც ჩაგვიწერეს;

3. **სპორტის მასწავლებელს IV კლასის თემატურ გეგმაში გაწერილი ჰქონდა სირბილი 1000 მ-ზე 100-ის ნაცვლად.** ცხადია, აქ მას შეცდომით ერთი ნული გაეპარა. ესეც შენიშვნაში ჩაგვიწერეს;

4. **დაწყებითი კლასის მასწავლებელი თავის სამუშაო გეგმაში წერდა მოსწავლეთა ჯგუფური მუშაობის დროს გამარჯვებულ ჯგუფს ვარსკვლავებით ვაჯილდოებო.** შენიშვნაში ჩაგვიწერეს, — ეს ხომ შეფასება არისო, დაწყებითი კლასის მოსწავლეებს კი არ ვაფასებთო;

5. **შენიშვნაში ასევე ეწერა, რომ სკოლას ჰქონდა არასრული ლაბორატორია.** ჩვენ მართლა ვერ ვიყიდეთ უსახსრობის გამო მათ მიერ ფულის საკეთებლად გაყიდვაზე გატანილი ლაბორატორია, ამიტომ დრო ვითხოვეთ მის შესაძენად.

**ჩვენი სკოლის უკანონოდ დახურვაზე ლაპარაკობს მთელი ზუგდიდის საზოგადოება. 33 ადამიანი დარჩა უმუშევარი, დავკარგეთ იმის რწმენაც, რომ ჩვენს ქვეყანაში სამართალი არსებობს. ნეტავ, გენახათ, როგორ ტიროდნენ ბავშვები, როცა სკოლის დახურვის შესახებ შეიტყვეს. ამის გადატანა ჩვენთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა.**

**თბილისში 2012 წლის 18 იანვარს ჩვენი სკოლის ავტორიზაციის საკითხის საჯაროდ განხილვისას კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად საკითხებზე, რომლებზეც შენიშვნები მოგვცეს, სათანადო საბუთების წარდგენა მოგვთხოვა. ჩვენ ყველაფერი წესრიგში გვქონდა, რის შემდეგაც გამოაცხადეს: ჩაეთვალოსო და ბოლოს მოგვცეს დროც, რომ ლაბორატორია შეგვეძინა და ეს შენიშვნაში არ ჩაგვიწერეს.**

დადგა კენჭისყრაზე ავტორიზაციის მოცემის საკითხიც. ამ დროს კომისიის თავმჯდომარის მობილურზე გაისმა ზარის ხმა, კაცი სრულიად შეიცვალა ვიღაცას ტელეფონში ჰპირდებოდა, 10 წუთი დამაცადეთ და ყველაფერს გავაკეთებო.

შემდეგ კომისიამ მუშაობა შეწყვიტა, დარბაზიც დატოვა და დაახლოებით ნა- ▶

„ჩვენ 2009 წელს მივმართეთ სასამართლოს, „იბერია სითის“ ქონება დაეყადაღებინა, მოსამართლემ სარჩელი დააკმაყოფილა, მაგრამ პროკურატურის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, კახა მაჭავარიანმა, მოგვახსნევინა ყადაღა. ჩემს მეუღლეს ჩაწერილიც აქვს მათი საუბარი, როცა მაჭავარიანი ეუბნება, — ყადაღა მოხსენი, მთავრობას ასე სჭირდებაო.“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **შედეგი, ამომრჩეველთა 1-3%-იანი მხარდაჭერა (ციფრები განისაზღვრება პარტიების ოპტიმალური რაოდენობის შესაბამისად) და დღესაც ფუნქციონირებს, უნდა მიეცეს საინფორმაციო სივრცისა და სახელმწიფო დაფინანსების მიღების შესაძლებლობა.**

სრული კონსენსუსის მისაღებად დასაშვებია გამონაკლისიც.

**მზად ვართ, განვიხილოთ ჩვენს წინადადებაზე უფრო სამართლიანი და არგუმენტირებული წინადადებები** (პრინციპები) **საერთო ამოცანის უკეთ გადაჭრის მიზნისკენ მიმავალი.**

იმედს გამოვთქვამთ, რომ „ქართული ოცნება“ გამოიჩენს სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმწიფეს და ერთხელ და სამუდამოდ დაამკვიდრებს ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო რეალისტურ პრინციპებს, რათა ქართველ ხალხს შეეძლოს კონკურენტულ გარემოში განავითაროს თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება და მისთვის სასურველი ხელისუფლება აირჩიოს.

ასევე **ვიმედოვნებთ, რომ გადაწყვეტილების მიღება მოხდება ღია საჯარო განხილვით და უკუგდებული იქნება არსებული პრაქტიკა — ვიწრო ჯგუფის მიერ პოლიტიკური ვითარების საკუთარ თავზე მორგება.**

პატივისცემით

**მამუკა გიორგაძე,**
სახალხო პარტია

◀ ხევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. ამის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა — საკითხების განხილვა თავიდან დაიწყეს, ამბობდნენ შპს „საბას“ ესა და ეს ნომერი არ ჩაეთვალოსო. მიუხედავად ჩემი თხოვნისა, კომისიის თავმჯდომარე საკითხების რაობას ვერ ასახელებდა (ან რა უნდა დაესახელებინა, როცა ნახევარი საათის წინ ყველაფერი ჩაგვითვალა).

**მე ბატონ კახი ყურაშვილს ვუთხარი, თქვენ ცდილობთ საქართველოს ერთ-ერთი წარმატებული სკოლის დახურვას-მეთქი. მან კი ბრძანა, მეამაყება თქვენს სკოლას რომ ვხურავო. ყველაფერი რომ ასე იყო, ამის მომსწრეა იმ კოლეჯებისა და საშუალო სკოლების წარმომადგენლები, რომლებიც იმ ღამეს გადიოდნენ ავტორიზაციაზე.**

ჩვენი სკოლის უკანონოდ დახურვაზე ლაპარაკობს მთელი ზუგდიდის საზოგადოება. 33 ადამიანი დარჩა უმუშევარი, დავკარგეთ იმის რწმენაც, რომ ჩვენს ქვეყანაში სამართალი არსებობს. ნეტავ, გენახათ, როგორ ტიროდნენ ბავშვები, როცა სკოლის დახურვის შესახებ შეიტყვეს. ამის გადატანა ჩვენთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ამის შემდეგ ზუგდიდის ქუჩებში ვერ გავსულვარ, სკოლის ყოფილი მშობლები და მასწავლებლები მეკითხებიან, ახალ მთავრობას თუ გააგებინეთ, რა სკოლა დაგვიხურესო.

**იმედი მაქვს, რომ არ ჩაკლავენ ამდენ ხალხში იმის რწმენას, რომ, ჩვენს ქვეყანაში სიმართლის დრო მოვიდა და კვლავ დაირეკება შპს „საბას“ სკოლის ზარი.**

**ვალერი ბეჟუაია,**
შპს „საბას“ დირექტორი

# კახიძეების ოჯახი სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნებს თაღლითების მფარველობაში ადანაშაულებს

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ №205-ში დაიბეჭდა ინტერვიუ ადვოკატ დიმიტრი ალექსიძესთან, რომელიც თავის დაპატიმრებას ხელისუფლების მაღალჩინოსნების ინტერესებთან დაპირისპირებას უკავშირებდა. ერთ-ერთი საქმე, რომელშიც საქართველოს ყოფილ ხელისუფლებასთან მისი ინტერესები გადაიკვეთა, კახიძეების ისტორიაა. ალექსიძე კახიძეების უფლებებს იცავდა, როცა დააპატიმრეს. ლალი კახიძის კუთვნილი ქონების თაღლითურად მითვისების ფაქტზე გამოძიება უკვე მიმდინარეობს. საქმე ეხება თბილისის პრესტიჟულ უბანში, ჭავჭავაძის №5 ა-ში მდებარე 3124 კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთს, სადაც მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი უნდა აშენებულიყო. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა შპს „ლიბერთი სითი“, მაგრამ დღემდე არც აღნიშნული პროექტი განხორციელებულა და კახიძეების ოჯახიც ვალებში და საკუთარი საცხოვრებელი ბინის გარეშე აღმოჩნდა. დაზარალებულები თაღლითობაში თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის ყოფილ მოადგილეს — ლაშა ჩხენკელსა და გიორგი გოგიბერიძეს ადანაშაულებენ, რომელთაც ნათესაური და მეგობრული კავშირები ჰქონდათ ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან — გიორგი ბარამიძესთან, დავით კეზერაშვილთან, გივი თარგამაძესთან, მურთაზ ზოდელავასა და ზურაბ ადეიშვილთან. კახიძეების განცხადებით, სწორედ მათი მფარველობით, თაღლითები საკუთარი სურვილისამებრ მოქმედებდნენ და არავისი ეშინოდათ. „საქართველო და მსოფლიოს“ ჯუმბერ კახიძე დაუკავშირდა.**

— ჩვენი ნდობით ბოროტად ისარგებლეს და უსინდისოდ მოგვექცნენ. იმ პერიოდში მე უმძიმეს მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, ინსულტის გამო საავადმყოფოში ვმკურნალობდი, ამიტომ **ჩემმა მეუღლემ, ლალი კახიძემ, საქმის წარმოება ჩვენს შვილს — მალხაზ კახიძეს და მის მეგობარს — ლაშა ჩხენკელს მიანდო, რომელიც თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე და ასევე მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის, გიორგი ბარამიძის, ნათესავი გახლდათ, ხოლო მისი ძმა — რომან ჩხენკელი რესპუბლიკის აუდიტის უფროსი იყო და დღეს იგი „ქართუ ბანკის“ გაკოტრების მცდელობაშია ბრალდებული.**

ლაშა ჩხენკელმა მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო. ჩემს მეუღლეს ჰქონდა მიწის ნაკვეთი ჭავჭავაძის 5/ა-ში, მშენებლობის ნებართვით. შეიქმნა შპს „ლიბერთი სითი“, რომლის დირექტორადაც დანიშნეს შპს „იბერია სითის“ იურისტი ზურაბ დანელია. მშენებლობის პროცესის დასაწყებად 2007 წელს გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება შპს „ლიბერთი სითისა“ და „იბერია სითის“ შორის, რომელსაც ფლობდა გიორგი გოგიბერიძე. მიღწეული შეთანხმების თანახმად, ლალი კახიძე მიიღებდა ასაშენებელი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების 40%-ს. შპს „იბერია სითი“ იღებდა ვალდებულებას, თავის ფულადი რესურსით განეხორციელებინა მშენებლობა.

2007 წლის 1 დეკემბერს ნოტარიუს ზოიძესთან გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მიწის ნაკვეთი რჩებოდა ლალი კახიძის საკუთრებაში. „საქართველოს ბანკთან“ გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიტვირთა ლალი კახიძის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი. მეუღლე ენდობოდა ჩხენკელს და საკუთარ შვილს, რომელმაც ასევე მოგვატყუა, ამიტომ ხელშეკრულებას ისე მოაწერა ხელი, არც წაუკითხავს. მან იცოდა, რომ გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, ხელის მოწერამდე მას აჩვენეს დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უბრუნდებოდა მიწის ნაკვეთი. ბანკიდან გამოიტანეს მილიონ ასი ათასი აშშ დოლარი. **2008 წლის 2 აპრილს ჩემი მეუღლე მოტყუებით წაიყვანეს ნოტარიუს სოსო მუმლაძესთან, რომელიც ლაშა ჩხენკელის მეგობარი აღმოჩნდა და აჩვენეს ნასყიდობის ხელშეკრულება. მას ეგონა, აღნაგობის ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი, სინამდვილეში კი ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმებინეს.**

**როგორც შემდეგში გავიგეთ, გოგიბერიძესა და ჩხენკელს ჯერ კიდევ 2008 წლის დასაწყისში დაუგეგმავთ ჩვენი ქონების თაღლითურად მითვისება. სწორედ ამ მიზნით შექმნეს შპს „ლიბერთი სითი“, თითქოსდა საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებლად. სინამდვილეში კი, დიდი ოდენობით თანხები სჭირდებოდათ შპს „ვაკე პალასის“ კუთვნილი ქონების შპს „ვიპ პალასის“ სახელზე შესაძენად. ჩხენკელმა და გოგობერიძემ ზაურ დანელიას იძულებით გადმოარიცხვინეს ფული „იბერია სითის“ ანგარიშზე, მაგრამ სად მიდიოდა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბანკიდან გამოტანილი თანხა, არავინ იცის.**

მოგვიანებით „ლიბერთი სითის“ ხელმძღვანელმა დანელიამ განაცხადა, რომ მასზე ზეწოლას ახორციელებდნენ გოგიბერიძე და ჩხენკელი. მათ არაერთხელ უხსენებიათ მისი თანდასწრებით თავიანთი ახლო ურთიერთობები გია ბარამიძესთან, დავით კეზერაშვილთან, გივი თარგამაძესთან.

«გოგიბერიძეს და ჩხენკელს დანელიას თანდასწრებით არაერთხელ უხსენებიათ თავიანთი ახლო ურთიერთობები გია ბარამიძესთან, დავით კეზერაშვილთან, გივი თარგამაძესთან. თაღლითებს ფინანსურ პოლიციაში მფარველობდნენ. როგორც ამბობენ, «იბერია სითი» გივი თარგამაძის მამის იყო და ვფიქრობ, ფინანსური პოლიციაც ეხმარებოდათ და პროკურატურაც»

**თაღლითებს, ფინანსურ პოლიციაში მფარველობდნენ. როგორც ამბობენ, „იბერია სითი“ გივი თარგამაძის მამის იყო და ვფიქრობ, ფინანსური პოლიციაც ეხმარებოდათ და პროკურატურაც.** ერთი კაცი — ჩხენკელი, ამდენს ვერ მოახერხებდა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მე და დანელია შევთანხმდით, რომ სასწრაფოდ იყო საჭირო კომპანიის ქონების გადარჩენა და დირექტორად დავინიშნე მე, ვინაიდან შეიძლებოდა ძველ დირექტორზე ზეწოლა ისევ გაგრძელებულიყო. **ყველანი მატყუებდნენ. მათ შორის ჩემი ადვოკატი გიორგი ყავლაშვილიც, რომელიც ჩვენი ადვოკატის დიმიტრი ალექსიძის დაპატიმრების შემდეგ გამოჩნდა და, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ნაციონალების მოგზაურილი ყოფილა.** ამჟამად სოციალურად დაუცველები ვართ. ბინა, რომელშიც ვცხოვრობთ, ბანკს ეკუთვნის და გამოსახლებით გვემუქრებიან.

**— ამჟამად რა ხდება საქმის ირგვლივ?**

— ლალი კახიძის ქონების თაღლითურად მითვისების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. 2012 წლის 5 ნოემბერს შევიტანეთ საჩივარი და იმედი გვქონდა, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, საქმეს სათანადოდ გამოიძიებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქმე ვაკის პროკურატურიდან ფინანსურ პოლიციაში გადააგზავნეს, არაფერი შეცვლილა. საქმე გაჩერებულია. იგივე ხალხი იძიებს. უკვე წლებია, მიმდინარეობს პროცესი და ერთხელაც არავის დავუკითხივართ.

აღსანიშნავია, რომ გოგიბერიძის წინააღმდეგ, დიდი ხანია, მიმდინარეობს გამოძიება სხვა საქმეების გამო. მესაკუთრეები და იპოთეკარები მას ადრეც უჩიოდნენ. ერთი ბინა რამდენიმეჯერ აქვს გაყიდული.

**ჩვენ 2009 წელს მივმართეთ სასამართლოს, რათა „იბერია სითის“ ქონება დაეყადაღებინა, მოსამართლემ სარჩელი დააკმაყოფილა, მაგრამ პროკურატურის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, კახა მაჭავარიანმა, მოგვახსნევინა ყადაღა. ჩემს მეუღლეს ჩაწერილიც აქვს მათი საუბარი, როცა მაჭავარიანი ეუბნება, — ყადაღა მოხსენი, მთავრობას ასე სჭირდებაო.**

**— დღეს რას ითხოვთ?**

— ვითხოვ თაღლითური გზით მითვისებული თანხის დაბრუნებას. ლაშა ჩხენკელმა პასუხი უნდა აგოს. მისი ბრალია ყველაფერი, მას ვენდობოდით. ჩხენკელმა და გოგიბერიძემ ბანკს ფული დაუბრუნონ და მიწა გაგვითავისუფლონ. ვითხოვთ შპს „ლიბერთი სითის“, „იბერია სითის“, „ვიპ პალასის“ მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებასა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

**„საქართველო და მსოფლიო“ კომპანია „ლიბერთი სითის“ ყოფილ დირექტორს — ზურაბ დანელიას დაუკავშირდა.**

**— მიმდინარეობს გამოძიება ლალი კახიძის კუთვნილი ქონების თაღლითურად მითვისების ფაქტზე. როგორც თქვენ მოგვიანებით განაცხადეთ, გოგიბერიძე და ჩხენკელი გაიძულებდნენ გარკვეული ქმედებების შესრულებას. კონკრეტულად რას ითხოვდნენ თქვენგან?**

— მთხოვდნენ, იპოთეკით დატვირთულიყო გარკვეული ქონება. უნდა აშენებულიყო საცხოვრებელი კორპუსი ჭავჭავაძეზე, თუმცა თანხა შემდგომში აბსოლუტურად სხვა ობიექტის შეძენას მოხმარდა. ბინები კერძო იპოთეკით დაიტვირთა. ეს გადაწყვეტილება ვითომ მშენებლობის გაფართოების მიზნით მიიღეს, მაგრამ რეალურად ასე არ მოხდა. მოულოდნელად შპს „ვიპ პალასი“ შეიძინეს. **ამ საქმეში მე მხოლოდ გოგიბერიძის დავალებებს ვასრულებდი. ვიცოდი, რომ მათ ჰყავდათ მფარველები ხელისუფლებაში და, რაც სურდათ, იმას აკეთებდნენ.**

**— თავად თუ უხსენებიათ ეს მფარველები, კონკრეტული მაღალჩინოსნების გვარები?**

— მიმდინარეობდა საუბრები გარკვეულ მაღალჩინოსნებზე. **ნახსენები იყო დავით კეზერაშვილის, გია ბარამიძის, გივი თარგამაძის გვარები, რომლებთანაც ჰქონდათ ნათესაური კავშირები და მათ მფარველობდნენ.**

**— როდესაც თქვენ ითხოვდით თანხის დაბრუნებას და „იბერია სითის“ მიერ მშენებლობის დასრულებას, რა პასუხს იღებდით გოგიბერიძისგან და ჩხენკელისგან?**

— თავიდან ამბობდნენ, ყველაფერს გავაკეთებთო და შემდეგ უკვე არანაირ პასუხს აღარ მცემდნენ. როცა შევატყვე, რომ უკვე კატასტროფული მდგომარეობა იყო, მივმართე კახიძეებს და ავუხსენი სიტუაცია.

**კახიძეების ადვოკატი დიმიტრი ღონღაძე ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ აღნიშნულ საქმის ირგვლივ არაფერი კეთდება.**

— ოქტომბრიდან მიმდინარეობს საქმის გამოძიება ფინანსური პოლიციის მეოთხე სამმართველოში და, მიუხედავად იმისა, რომ თაღლითობა სახეზეა, 7 თვე გავიდა და საქმის მთავარი მოწმე ლაშა ჩხენკელი დღემდე დაკითხულიც არ არის.

**— ჩხენკელს მოწმის სტატუსი აქვს?**

— კი, ჯერჯერობით მოწმის სტატუსი აქვს, ხოლო კახიძეები დაზარალებულებადაც არ არიან ცნობილნი. ფაქტობრივად, საქმე გაჩერებულია, არაფერი კეთდება.

**— როდესაც გამომძიებელს მიმართავთ, რას გეუბნებათ?**

— გამომძიებელი დავით უნგიაძე ჩვენს ზარებს იშვიათად პასუხობს. სამ კვირაში ერთხელ თუ გვიპასუხებს, მაშინაც იმას გვეუბნება, რომ დაგვაცადეთ, ვმუშაობთო. არადა, კახიძეები ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან, დღედღეზე ბანკი სახლიდან გამოასახლებთ და ქუჩაში დარჩებიან.

**გამომძიებელ დავით უნგიაძესთან დაკავშირება ჩვენც ვცადეთ. მას შემდეგ, რაც მან ჩვენს ზარებსაც არ უპასუხა, ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინება გავუგზავნეთ, მაგრამ უშედეგოდ. ალბათ, გამომძიებელი აღნიშნულ საკითხზე საუბარს თავს არიდებს.**

**შორენა ციცქარაშვილი**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ავღანეთი ყოველწლიურად დაახლოებით 800 ტონა ჰეროინს აწარმოებს. ამასთან, ავღანეთის საზღვრებს გარეთ, ჩვენი მონაცემებით, ამ მარაგის დაახლოებით მესამედი გადის. ჰეროინის არარეალიზებული მარაგები ავღანეთსა და მის ახლომდებარე ქვეყნებში სპეციალურ საწყობებში ინახება. ეს მარაგი შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც მომავალი თაობების ფონდი.“

# ჰეროინის ქარი ავღანეთიდან



**ოპიუმის ყაყაჩო. ყვავილი, რომელსაც ძალზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი სახელწოდება ლათინური წარმოშობისაა და თარგმანში „ძილის მომტანს“ ნიშნავს. როდესაც ყაყაჩო აყვავდება, გამოჩნდება მისი ნაყოფი — პატარა კოლოფები, რომლიდანაც ოპიუმს იღებენ. ოპიუმი არის გასქელებული რძიანი წვენი, რომელიც სამედიცინო პრეპარატებისა და ყველაზე საშინელი ნარკოტიკული საშუალების — ჰეროინის დასამზადებლად გამოიყენება.**



ჰეროინის სამჯერ გაკეთების შემდეგ ნარკომანები მასზე დამოკიდებულნი ხდებიან. მათ ვერ შეხვდებით დისკოთეკებზე, ბარებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. ისინი სამუდამოდ მიდიან ოჯახისა და საზოგადოებისგან. ჯერ წყვეტენ სამსახურებრივ და საქმიან კავშირებს, შემდეგ შორდებიან მეგობრებს, ბოლოს კი მშობლებზე, მეუღლეებსა და შვილებზეც კი უარს ამბობენ. ჰეროინზე დამოკიდებული ნარკომანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 5-დან 7-წლამდე მერყეობს.

მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანა აკრძალულია, მაგრამ ის მაინც მოჰყავთ — ძირითადად, ახლო აღმოსავლეთში და ყველაზე დიდი რაოდენობით კი — ავღანეთში. აღმოსავლეთის ამ მომცრო ქვეყანაში იწარმოება მთელი მსოფლიო ჰეროინის 95 პროცენტი.



**ვიქტორ ივანოვი, ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის რუსეთის ფედერალური სამსახურის უფროსი:**

— ავღანეთში ოპიუმის ყოველწლიური წარმოება საკმარისია 150 მილიარდი ერთჯერადი დოზისთვის. ეს 25-ჯერ მეტია, ვიდრე მთელი დედამიწის მოსახლეობა.

ავღანური ჰეროინი მიდის ინდოეთში, ჩინეთში, კოსოვოდან კი — ევროპის ყველა ქვეყანაში. მაგრამ ავღანელი ნარკომოვაჭრეების მთავარ მსხვერპლად რუსეთი იქცა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში ავღანური ჰეროინისგან დაახლოებით 100 000 ადამიანი იღუპება. მათგან ყოველი მესამე რუსეთის მოქალაქეა. დღეღამეში რუსეთში ავღანური ჰეროინით 82 ადამიანი კვდება.



**მაჰმუდ გარეევი, სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, არმიის გენერალი:**

**— ყოველწლიურად რუსეთში 30 000 ადამიანი, ძირითადად ახალგაზრდები, ნარკოტიკებისაგან იხოცებიან. ავღანეთში ომის ათი წლის განმავლობაში რუსეთის ჯარებმა სულ 15 000 ადამიანი დაკარგა. აქ კი ერთ წელიწადში კვდება 30 000 ადამიანი. ეს უკვე რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ მასობრივი განადგურების იარაღად იქცა.**

ძნელი წარმოსადგენია, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, სულ რაღაც ათიოდე წლით ადრე, ავღანეთში ჰეროინი პრაქტიკულად არ იწარმოებოდა. ყველაფერი შიცვალა 2001 წელს, 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ.

ამერიკის სპეცსამსახურების მტკიცებით, 11 სექტემბრის ტერაქტი ალ-ქაიდას — მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი ისლამური ტერორისტული ორგანიზაციის განხორციელებულია. იგულისხმებოდა, რომ მისმა მეთაურმა უსამა ბენ ლადენმა ოპერაციას უხელმძღვანელა ავღანეთიდან, ქვეყნიდან, სადაც ხელისუფლება კიდევ ერთ ექსტრემისტულ ორგანიზაციას — „თალიბანს“ ეკუთვნოდა.

**ვიქტორ ივანოვი:**

— მსოფლიო საზოგადოებამ, რომელიც 2001 წლის შემოდგომაზე ბონის კონფერენციაზე შეიკრიბა, გადაწყვიტა, რომ მართლაც საჭიროა სამხედრო ძალების გამოყენება იმისათვის, რომ განადგურებულიყო ალ-ქაიდას ბაზირების ადგილები ავღანეთში. ეს გადაწყვეტილება ყველამ მოიწონა, მათ შორის რუსეთის ფედერაციამაც. და ავღანეთში შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ.

**ბენ ლადენის და ალ-ქაედას მფარველი თალიბანის დამარცხება არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. მისი ბოევიკები მშვიდობიან მოსახლეობას შორის იმალებოდნენ და მოხერხებულად აწარმოებდნენ პარტიზანულ ომს. ამერიკელებს გამარჯვებისთვის ადგილობრივი ავღანური ძალების მხრიდან დახმარება ესაჭიროებოდათ.**



**იური კრუპნოვი, მწერალი და პუბლიცისტი, რუსეთის სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე:**

**— იმისათვის, რომ თალიბების რეჟიმი დაემარცხებინათ, ამერიკელები თალიბების მტრებს — ჩრდილო ალიანსს დაეყრდნენ. ძირითადი ნარკოლაბორატორიები, ძირითადი საწყობები და ოპიუმისა და ჰეროინის გავრცელების ძირითადი ბაზები კი სწორედ ჩრდილოეთ პროვინციებში მდებარეობს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ამერიკელები ავღანეთში ნარკომაფიას დაეყრდნენ, რათა მოეხერხებინათ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა.**

შედეგად თალიბების ხელისუფლება დაემხო, მაგრამ კონტრტერორისტული ოპერაციის „დაუმარცხებელი თავისუფლების“ მთავარი მიზნებს ვერ მიაღწიეს — უსამა ბენ ლადენი ვერ დაიჭირეს, „ალ ქაიდა“ კი ვერ გაანადგურეს. ამასთან, ხსენებული ოპერაციის მთავარ შედეგად ავღანური ნარკოწარმოების მკვეთრი ზრდა იქცა.

**ვიქტორ ივანოვი:**

**— ავღანეთი ყოველწლიურად დაახლოებით 800 ტონა ჰეროინს აწარმოებს.** ამასთან, ავღანეთის საზღვრებს გარეთ, ჩვენი მონაცემებით, ამ მარაგის დაახლოებით მესამედი გადის. ჰეროინის არარეალიზებული მარაგები ავღანეთსა და მის ახლომდებარე ქვეყნებში სპეციალურ საწყობებში ინახება. ეს მარაგი შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც მომავალი თაობების ფონდი.

**ნარკოტიკებთან ბრძოლის საქმეში, მსოფლიოს წამყვანი ექსპერტების აზრით, ავღანეთმა დღესვე სრულად რომ შეწყვიტოს ჰეროინის წარმოება, ავღანური ნარკოტიკების სტრატეგიული მარაგი მთელ მსოფლიოში, მისი გამოყენების ამჟამინდელი მასშტაბების მიხედვით, სულ მცირე, კიდევ 100 წლის მანძილზე ყველა ნარკომანს ეყოფა.**

**იური კრუპნოვი:**

**— 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად დაახლოებით 3 000 ადამიანი დაიღუპა. ამასთან, ყოველწლიურად ავღანური ჰეროინისგან, რაც თავისთავად ოპერაცია „დაუმარცხებელი თავისუფლების“ შედეგია, დაახლოებით 100 000 ადამიანი იღუპება. ვინაიდან ოპერაცია 2001 წლის ოქტომბერში დაიწყო, ამ დრომდე ავღანეთის ჰეროინს უკვე შეეწირა მილიონი ადამიანი.**

მსოფლიო საზოგადოებამ ამერიკელებს, რომელთაც საკუთარ თავზე აიღეს ავღანეთში მიმდინარე მოვლენებზე მთელი პასუხისმგებლობა, მიმართა წინადადებით, გაენადგურებინათ ავღანური ნარკოწარმოება. ამასთან, მიუთითეს, რომ კონტრტერორისტული ოპერაციის ▶



**«2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად დაახლოებით 3 000 ადამიანი დაიღუპა. ამასთან, ყოველწლიურად ავღანური ჰეროინისგან, რაც თავისთავად ოპერაცია «დაუმარცხებელი თავისუფლების» შედეგია, დაახლოებით 100 000 ადამიანი იღუპება»**

## „ეს ნარკობარონები უხილავი, კონსპირაციული ადამიანები არიან, ისინი ხანდახან იცვამენ თეთრ პერანგებს და ზოგჯერ რესპექტაბელური ცხოვრების წესსაც მისდევენ, მაგრამ ისინი ფლობენ კოლოსალურ ფინანსურ ძალაუფლებას, მათ ექვემდებარება ადამიანთა უდიდესი რაოდენობა, არალეგალური ქსელები. მათ შეუძლიათ, იქონიონ იარაღი, შეუძლიათ, ხელში ჩაიგდონ პოლიტიკური ძალაუფლება. ამ ადამიანებს შეუძლიათ, თავად მიაღწიონ საკუთარი ინტერესების შემდგომ გაფართოებას ტერორისტულ-ექსტრემისტული მეთოდების გამოყენებით.“

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ შედეგები ძალზე მძიმე აღმოჩნდა, მაგრამ ამერიკელებმა ეს წინადადება უკუაგდეს.



**რიჩარდ ჰოლბრუკი, ამერიკელი დიპლომატი, აშშ-ის სპეციალური წარმომადგენელი ავღანეთსა და პაკისტანში:**

— ავღანურ ნარკოტიკებთან ბრძოლა ხელს უშლის ამერიკის შეერთებულ შტატებს ავღანეთში ტერორიზმთან ბრძოლაში. ჩვენი მტრები არიან „ალ ქაიდა“ და „თალიბანის“ რეჟიმი, რომელმაც ავღანეთი ამ ტერორისტული ორგანიზაციის თავშესაფრად აქცია. ნარკოტიკებთან ომი სახიფათო გადახვევაა ავღანეთში ტერორისტული ძალების განადგურების კამპანიისგან.

**საინტერესოა, რომ 2001 წელს, ავღანეთში ამერიკელების შეჭრამდე იმ პერიოდში ხელისუფლებაში მყოფი თალიბანი სიკვდილით დასჯის მუქარით უკრძალავდა ავღანელ გლეხებს ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანას.**

**იური კრუპნოვი:**

— 1999-დან 2001 წლამდე პერიოდში, ანუ ამერიკული ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებამდე საერთაშორისო საზოგადოებამ, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენა თალიბანის ხელისუფლებას, რომ საერთაშორისო აღიარება პირდაპირ იყო დამოკიდებული მათ წარმატებებზე ავღანური ნარკოწარმოების განადგურების საქმეში. ამის შემდეგ **1999-დან 2001 წლამდე ავღანეთში ნარკოწარმოების მკვეთრი შემცირება შეინიშნებოდა. სინამდვილეში თალიბებმა მიაღწიეს იმას, რაც დღეს შეუძლებლად გვეჩვენება — ავღანურმა ჰეროინმა თითქმის შეწყვიტა არსებობა.** საჭირო იყო ამ სიტუაციის რამენაირად შენარჩუნება. პრობლემა ისაა, რომ მთელი შემდგომი ცხრა წლის მანძილზე ანტიტერორისტულ და ანტინარკოტიკულ ოპერაციებს აცალკევებდნენ, ამბობდნენ, რომ საერთოდ არაა საჭირო ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ეს ხელს შეუშლის მთავარ საქმეს — ანტიტერორისტულ ოპერაციას.



**აბდულ ალი სერაჯი, ავღანეთის პრინცი:**

— 11 სექტემბრის შემდეგ, 2001 წლის ოქტომბერში, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავღანეთში შეჭრა და იქ „ალ ქაიდასა“ და „თალიბანის“ რეჟიმის დევნა გადაწყვიტა, ავღანელებმა ეს ძალიან კარგად მიიღეს. „თალიბანი“, რომელიც ავღანეთში ხელისუფლებაში იყო, ქვეყანას შოკში აგდებდა. მათ ხალხი მოწყვიტეს კომუნიკაციას, გამორთული იყო ტელევიზია, მუსიკა, ყველაფერი... ისეთი უბრალო რამეებიც კი, როგორიც ფრანის გაშვებაა, „თალიბანმა“, უბრალოდ, აკრძალა. ამერიკელების მოსვლის შემდეგ ფრანების გაშვება კვლავ ნებადართული გახდა.

მაგრამ ეს ყველაფერი დიდხანს არ გაგრძელებულა. **როდესაც 2002 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ავღანეთში დავბრუნდი, რაც იქ დამხვდა, სულისშემძვრელი სანახაობა იყო. როდესაც ავღანეთს ვტოვებდი, იქ დარჩა სრულფასოვანი ნაცია, ლამაზი შენობები, ლამაზი ქუჩები... როდესაც უკან დავბრუნდი, განსაკუთრებით ქაბულმა შემძრა — ის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის დრეზდენს ჰგავდა.**

**ჩვენი კულტურა განადგურდა, მუზეუმები, სკოლები დაანგრიეს... ჩვენი შეიარაღებული ძალები, ტექნიკა, აეროპორტები... ყველაფერი სრულად მიწასთან იქნა გასწორებული. თითქოს სადღაციდან გაჩენილმა გიგანტურმა ქარიშხალმა გადაუარა ჩვენს ქვეყანას. მან თითქოს ხაზი გადაუსვა ჩვენი ისტორიის 300 წელს...**

ახლა ავღანეთში სიღატაკის ძალიან მაღალი მაჩვენებელია. ჩვენ გვყავს დედები, რომლებიც შვილების გაყიდვას ცდილობენ, რადგან მათთვის საჭმელი არაფერი აქვთ...

**მაჰმუდ გარეევი:**

**— ომის ყველაზე სწორი მეთოდი ისაა, რომელსაც ნატო იუგოსლავიაში იყენებდა. უნდა დაინგრეს ხიდები, სკოლები, საავადმყოფოები, ინფრასტრუქტურა, ეკონომიკა და ამის შემდეგ სახელმწიფომ კაპიტულაცია უნდა გამოაცხადოს. ავღანეთი უკვე საძირკვლამდეა დანგრეული, იქ დასანგრევი აღარაფერი დარჩა, ომი კი კვლავ გრძელდება...**

რიგითი ავღანელები ამბობენ, რომ ამერიკელები ბომბავენ და ანადგურებენ ყველაფერს, მოსავალი მთლიანად განადგურებულია და არავინ იცის, როგორ უნდა იცხოვროს ავღანელმა ხალხმა; არავინ იცის, როდემდე გაგრძელდება ეს ოპერაცია, მაგრამ ავღანელებმა იციან, რომ ვიდრე ოპერაცია გრძელდება, მინდვრებში გასვლას და საკუთარი მოსავლის მოვლას ვერავინ შეძლებს.

**გლეხები, რომლებიც ავღანეთის სამხრეთით ოპიუმის ყაყაჩოს ახარებენ, ძალიან მცირე ანაზღაურებას იღებენ. მათი შემოსავალი წელიწადში დაახლოებით 200 დოლარია.** სინამდვილეში ისინი მონურ მდგომარეობაში არიან.

**იური კრუპნოვი:**

**— როდესაც ვინმე სამართლიანად აღშფოთდება ავღანურ ნარკოწარმოებასთან დაკავშირებული სიტუაციის გამო, მას უნდა ესმოდეს, რომ თავად ავღანელების მსხვერპლნი არიან შექმნილ სიტუაციაში.** გლეხები, რომლებსაც ოპიუმის ყაყაჩო მოჰყავთ, არიან ადამიანები, რომლებსაც



## ავღანეთმა დღესვე რომ შეწყვიტოს ჰეროინის წარმოება, ავღანური ნარკოტიკების სტრატეგიული მარაგი მთელ მსოფლიოში კიდევ 100 წლის მანძილზე ყველა ნარკომანს ეყოფა









## ავღანური ჰეროინისგან მხოლოდ 2001 წლის შემდგომ პერიოდში მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა

იძულებულნი არიან, დაკავდნენ არა ტრადიციული სოფლის მეურნეობით, არამედ ნარკოწარმოებით, რადგან სერიოზული სოფლის მეურნეობის წამოწყებისთვის საჭიროა რამდენიმეწლიანი უწყვეტი შრომა. ეს წლები კი ავღანეთში არავის აქვს. ხალხმა არ იცის, სად იქნება ხვალ საომარი მოქმედებები, დარჩებიან ძველ საცხოვრებელ ადგილას თუ დევნილებად იქცევიან და შედარებით წყნარ რაიონს შეაფარებენ თავს. მათ არ შეუძლიათ, რაიმე გათვალონ წინასწარ.

**ავღანეთში მუდმივი დაძაბულობაა, მუდმივი არასტაბილურობაა, ყოველ წუთსაა მოსალოდნელი საბრძოლო შეტაკებები და ეს გეოსტრატეგიული დაძაბულობა ბადებს გიგანტური რაოდენობით ოპიატების მონოპოლიური წარმოების საშუალებას.** და, როგორც ვხედავთ, ერთის მხრივ, აშშ-ისა და კოალიციის ჯარების თავმოყრა, მეორეს მხრივ კი, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა უცხოური ოკუპაციის წინააღმდეგ განაპირობებს იმას, რომ ადგილობრივი გლეხებისთვის ერთადერთ შესაძლო საქმიანობად იქცევა ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანა. თავად ავღანეთი კი ჰეროინის ფერმად იქცა.

**ვიქტორ ივანოვი:**

— გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ, ბატონმა **მარიო ანტონიო კოსტამ განაცხადა, რომ ავღანური ოპიუმი იძლევა 65 მილიარდ დოლარს.** ეს გიგანტური თანხაა.

**იური კრუპნოვი:**

— ამ ფულის გარკვეული რაოდენობა ელექტრონული ფულის სახით სულ რამდენიმე წუთში შეიძლება გაგზავნილ იქნეს იქ, სადაც პოლიტიკური მიზნებისთვის რაიმე ტერაქტის მოწყობაა საჭირო ან იქ, სადაც მორიგი რეჟიმია დასამხობი და ასე შემდეგ.

**ვიქტორ ივანოვი:**

— ეს ნარკობარონები უხილავი, კონსპირაციული ადამიანები არიან, ისინი ხანდახან იცვამენ თეთრ პერანგებს და ზოგჯერ რესპექტაბელური ცხოვრების წესსაც მისდევენ, მაგრამ ისინი ფლობენ კოლოსალურ ფინანსურ ძალაუფლებას, მათ ექვემდებარება ადამიანთა უდიდესი რაოდენობა, არალეგალური ქსელები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მათზე. **მათ შეუძლიათ, იქონიონ იარაღი, შეუძლიათ, ხელში ჩაიგდონ პოლიტიკური ძალაუფლება, შეუძლიათ დაამყარონ კონტაქტები ხელისუფლების სამართალდამცავ ორგანოებთან და მათზე ზემოქმედება მოახდინონ. ამ ადამიანებს შეუძლიათ, თავად მიაღწიონ საკუთარი ინტერესების შემდგომ გაფართოებას ტერორისტულ-ექსტრემისტული მეთოდების გამოყენებით. თუ ისინი საკუთარ გზაზე გადააწყდებიან მათ, ვისაც არ ესმის მათი ან არ სურს, ხელი შეუწყოს, შეუძლიათ და იყენებენ კიდეც იარაღის ძალას.** ამიტომ რა არის პირველ ადგილზე — ტერორიზმი თუ ნარკოტიკები? ამაზე დავა შეიძლება.



**პინო არლაკი, გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის სამმართველოს აღმასრულებელი დირექტორი:**

— ავღანეთში ამერიკელების ყოფნის მთელი დროის განმავლობაში არ განხორციელებულა არც ერთი სერიოზული მცდელობა, რომ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა აშშ-ის საოკუპაციო ძალების ერთ-ერთი ამოცანა გამხდარიყო. არადა, ეს მთავარი ამოცანა უნდა იყოს, იმიტომ, რომ **ნარკობიზნესი აფინანსებს ტერორიზმს არამხოლოდ ავღანეთში, არამედ ევროპასა და რუსეთშიც.**

**იური კრუპნოვი:**

— ავღანური ჰეროინი, პრაქტიკულად, არ მიდის ამერიკაში. ამიტომ ევროპის, რუსეთის მოქალაქეებიც, ევრაზიის სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც მუდამ ფიქრობენ, რომ ამერიკელებს ეს ჰეროინი არ ეხებათ.

უკვე რამდენიმე წელია, რუსეთი ავღანურ ნარკოტიკებთან ბრძოლის საკუთარ გეგმას წარმოადგენს. გეგმა ვიქტორ ივანოვის შემუშავებულია. მის მიხედვით, პირველ რიგში, აუცილებელია, ავღანური ნარკოწარმოება გაეროს უშიშროების საბჭოს დონეზე აღიარებულ იქნეს საფრთხედ თანამედროვე მსოფლიოსთვის.

**ვიქტორ ივანოვი:**

— ნარკოწარმოების მასშტაბებისა და შედეგების გათვალისწინებით, ეს მოვლენა დიდი ხნის წინ უნდა კვალიფიცირებულიყო საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების საფრთხედ. ზუსტად ისევე, როგორც არის კვალიფიცირებული ტერორიზმი და მეკობრეობა, რომელსაც უკვე რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. **ავღანური ჰეროინისგან კი მხოლოდ 2001 წლის შემდგომ პერიოდში მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა. 16 მილიონმა ადამიანმა მიიღო მორალური, ფიზიკური, ფსიქიური ან ფსიქოლოგიური ზიანი.** ამიტომ, უკვე დიდი ხანია, დადგა დრო, როდესაც ავღანურმა ნარკოწარმოებამ ზემოხსენებული კვალიფიკაცია უნდა მიიღოს. ამგვარი კვალიფიკაცია საშუალებას იძლევა, გამოყენებულ იქნეს შესაბამისი სანქციები იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ნარკოწარმოებასთან.

**მეორე,** რისი გაკეთებაც აუცილებელია, არის ეფექტური ბრძოლის ორგანიზება როგორც ადგილობრივი ეროვნული ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო ძალების მხრიდან, რათა ამოიძირკვოს ყველანაირი ნარკოშემცველი მცენარეულობა. დღეისათვის იქ ნადგურდება მთელი პლანტაციების სამ პროცენტზე ნაკლები. ეს აბსოლუტურად წარუმატებელი პოლიტიკაა, იმიტომ, რომ, წმიდა ეკონომიკური ანალიზის მონაცემების თანახმად, უნდა განადგურდეს მთელი პლანტაციების სულ მცირე მეოთხედი მაინც.

**მესამე** მიმართულება არის ავღანეთის ხელისუფლებისთვის დახმარების გაწევა ქვეყანაში ეკონომიკის გაცოცხლების, ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. საჭიროა უმუშევრობის ლიკვიდირება, სამუშაო ადგილების შექმნა, რათა ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანაზე გადართული გლეხობა სხვა საქმით დაკავდეს.

**ივანოვის მიერ შეთავაზებულ გეგმაზე და ავღანეთში ოპიუმის ყაყაჩოს მთელი პლანტაციების სრულ განადგურებაზე ამერიკელი პოლიტიკოსები პასუხობენ, რომ ეს ძალზე მასშტაბური ოპერაციაა, რომელიც უზარმაზარ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომლების განცხადებით, TAO-ს მარტივი ამოცანები აქვს: ის ინფორმაციას აგროვებს უცხოური ობიექტების შესახებ, მალულად აღწევს მათ კომპიუტერებში და სატელეკომუნიკაციო სისტემებში — ტეხავს პაროლებს, ატყუებს უსაფრთხოების სისტემებს, იპარავს ინფორმაციას ობიექტების მყარი დისკებიდან, აკოპირებს ინფორმაციას ფოსტიდან და მათი ტექსტური შეტყობინებების გაცვლის სისტემებიდან ამოწმებს მონაცემთა ტრაფიკს. ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ამას „კომპიუტერული ქსელების ექსპლოატაციას“ უწოდებს.**

## კუდის ყოფილი თანამშრომლის მტკიცებით, შსს-ს ოპერატიული არქივის ასლები გატანილია

**კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი თემურ კენკებაშვილი ამტკიცებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული არქივის ასლები დეპარტამენტიდან კუდის დირექტორმა ვაჟა ლელუაშვილმა, თავდაცვის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა გიორგი დგებუაძემ და მოდულის შენობის IT სამსახურის ყოფილმა უფროსმა ზურაბ თუთბერიძემ გაიტანეს.**

ამასთან დაკავშირებით თემურ კენკებაშვილმა 25 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი ინფორმაციით, არქივის ასლები საპარლამენტო არჩევნების გამართვიდან რამდენიმე დღეში გაიტანეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული არქივი არის კონკრეტული პირების პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების შემცველიც. ის უნდა განადგურდეს მას შემდეგ, რაც გამოძიება მოხდება. არჩევნების შემდეგ მე მივედი დეპარტამენტში, სადაც სრული ქაოსი იყო. ყველა აკეთებდა ამ არქივის ასლებს. თანამშრომლებმა იციან, ზუსტად ვინ და როგორ გაიტანა ასლები. ეს იყო დაახლოებით 3-4 ოქტომბერი. ასლები გაიტანეს კუდის დირექტორმა ვაჟა ლელუაშვილმა, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა გიორგი დგებუაძემ, ე. წ. მასტერამ და მოდულის შენობის IT სამსახურის უფროსმა ზურაბ თუთბერიძემ. ზუსტად ვიცი, ამის მომსწრე მე თვითონ ვარ. სხვებმა გაიტანეს თუ არა ამაზე ვერაფერს ვიტყვი. განადგურების შემთხვევაში, პირობა იმისა, რომ ეს კომპრომატები აღარ გამოიყენება, არ არსებობს“, — აცხადებს კენკებაშვილი.

მისივე თქმით, გიორგი დგებუაძემ დათა ახალაიას მოთხოვნით გაიტანა ასლები. კენკებაშვილი ამბობს, რომ ამის შესახებ ინფორმაცია მან შს მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, დანიშვნიდან ორ კვირაში მიაწოდა. კენკებაშვილის თქმით, ჩანაწერების გაკეთება და კომპრომატების არქივის შექმნა კონკრეტულად ვაჟა ლელუაშვილის იდეა იყო.

იგი სამალავების თემასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ სამალავები 2012 წლის აპრილ-მაისში გაკეთდა. მისივე თქმით, ერთ-ერთი სამალავი, სავარაუდოდ, ქვემო ქართლშიც არის.



# ჩინეთს ამერიკის ჰაკერების ზესაიდუმლო რაზმი უთვალთვალებს




**რამდენიმე დღის წინ აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ჩინეთის ახალ ლიდერს — სი ცზინპინს შეხვდა. ცნობილია, რომ ლიდერებმა ბევრი ისაუბრეს ამჟამად პოპულარულ კიბერჯაშუშობის თემაზე, რომელიც დიდი ხანია, მოსვენებას არ აძლევს ამერიკელ ჩინოვნიკებს, ახლა კი, ამერიკელების მიერ მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებული სკანდალის წყალობით, კვლავ წინა პლანზე დადგა. მასმედია მიჩვეულია ჩინეთის იმ აგრესიულ მცდელობებზე მსჯელობას, რომელთა დროსაც ქვეყანა ცდილობს აშშ-ის სამხედრო და კომერციული საიდუმლოებების მოპარვას ჰაკერების დახმარებით, მაგრამ „პიჯაკების გარეშე“ შეხვედრაზე სიმ გააპროტესტა ეს მიდგომა და დაიჩივლა, რომ მისი ქვეყანაც განიცდის კიბერჯაშუშების შეტევებს. რაც შეეხება ობამას, საეჭვოა, ამ საუბრისას მას თუნდაც ერთი სიტყვა დასცდენოდა იმის შესახებ, რომ ჰყავს ჰაკერების საკუთარი არმია, რომელიც ჩინეთის ქსელში უკვე ძალიან ღრმადაა შეჭრილი.**



როდესაც რამდენიმე თვის წინ იგეგმებოდა დღის წესრიგი კალიფორნიის ქალაქ პალმსპრინგსთან მდებარე „სანილენდში“ შეხვედრისთვის, ორივე მხარე თვლიდა, რომ ეს სამიტი სისთვის, რომელმაც თანამდებობა მარტში დაიკავა, მოსახერხებელი შესაძლებლობა იქნებოდა ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროებში პრობლემათა ფართო სპექტრის განსახილველად. ეს პრობლემები ჩინეთსაც და ამერიკასაც ერთნაირად აწუხებთ. **დიპლომატიური წყაროების მონაცემების თანახმად, კიბერუსაფრთხოების საკითხები სამიტის ერთ-ერთ მთავარ თემად არ უნდა ქცეულიყო. ცენტრალური პოზიციები უნდა დაეჭირა ამერიკისა და ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობების თემებს, კლიმატის ცვლილებას და ჩრდილოეთ კორეის მხრიდან საფრთხის ზრდას.**

**შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე თეთრი სახლიდან პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ ობამა აპირებდა, სამიტზე წამოეჭრა მტკივნეული თემა ჩინეთის მიერ ჰაკერების გამოყენების შესახებ ამერიკის სახელისუფლო, სამხედრო და კომერციული საიდუმლოებების მოსაპარად.** ვაშინგტონში ერთ-ერთი ჩინელი დიპლომატის განცხადებით, რომელიც პრესას კონფიდენციალობის პირობით გაესაუბრა, პეკინი აღშფოთებული იყო დღის წესრიგში მოულოდნელად ამ საკითხის გაჩენით. ვაშინგტონელი დიპლომატიური წყაროს მონაცემებით, **ჩინეთის ხელისუფლება ყველაზე მეტად აღაშფოთა იმან, რომ პრესაში ინფორმაციამ ჯერ კიდევ იმაზე ადრე გაჟონა, ვიდრე თეთრი სახლი ინებებდა და მათ საკუთარი გეგმების შესახებ ამცნობდა.**

ამ ყველაფრის გამო ჩინეთმა გადაწყვიტა, საპასუხო დარტყმა მიეყენებინა. ჩინეთის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებმა აშშ ორპირობაში დაადანაშაულეს და განაცხადეს, რომ ვაშინგტონი ფართომასშტაბიანი კიბერჯაშუშობით არის დაკავებული. მაისის დასასრულს Washington Post-მა პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში ჩინეთი კიბერჯაშუშობაში დაადანაშაულა და ივარაუდა, რომ **ჩინეთის არმიაზე მომუშავე ჰაკერებმა ამერიკული შეიარაღების, სულ მცირე, ოცდაათი სისტემის ნახაზები მოიპარეს.**

ამის საპასუხოდ ჩინეთის ერთ-ერთმა მაღალი რანგის ჩინოვნიკმა, ინტერნეტზე პასუხისმგებელმა ხუან ჩენცინმა განაცხადა, რომ პეკინს აქვს აუარებელი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ **ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად იყენებს ჰაკერებს ჩინეთის სახელისუფლო საიდუმლოებების მოსაპარად.** როდესაც ცსს-ს ყოფილმა ოპერმუშაკმა, ედვარდ სნოუდენმა, პროგრამა PRISM-ის და მოქალაქეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების შესახებ ხმამაღლა განაცხადა, პეკინის პოზიციები გამყარდა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ვაშინგტონს ხუანის მხრიდან გაჟღერებულ ბრალდებებზე სახალხოდ არ გაუცია პასუხი და ამერიკელი ჟურნალისტებისგან არავის უცდია, თეთრ სახლში გაერკვია, არის თუ არა ჩინელების განცხადებებში სიმართლის მარცვალი.

არადა, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ეს ბრალდებები ძირითადად სიმართლეს შეესაბამება. მთელი რიგი კონფიდენციალური წყაროების ცნობით, **ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოში — ამერიკის გიგანტურ სახელმწიფო უწყებაში, რომელიც ელექტრონული დაზვერვითაა დაკავებული, — არსებობს ღრმად გასაიდუმლოებული ქვეგანყოფილება სახელწოდებით სპეციალიზებული წვდომის განყოფილება (OFFICE OF TAILORED ACCESS OPERATIONS (TAO)), რომელიც დიდი წარმატებით ახერხებს ჩინურ კომპიუტერულ და სატელეკომუნიკაციო სისტემებში ძრომიალს, უკვე 15 წელია. სწორედ მისგან მოედინება ყველაზე ღირებული და ყველაზე საიმედო სადაზვერვო მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ხდება და რა კეთდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.**

## ჩინეთის არმიაზე მომუშავე ჰაკერებმა ამერიკული შეიარაღების, სულ მცირე, ოცდაათი სისტემის ნახაზები მოიპარეს, ამერიკის შეერთებული შტატები კი აქტიურად იყენებს ჰაკერებს ჩინეთის სახელისუფლო საიდუმლოებების მოსაპარად

TAO გამოცანად რჩება სააგენტოს მრავალი თანამშრომლისთვის. ის იმალება მერილენდის შტატში, ფორთ-მიდში მდებარე ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს შტაბბინის კომპლექსში, ოფისების განცალკევებულ ბლოკში. ამ განყოფილების შესახებ სრული ინფორმაცია თვით სააგენტოშიც კი მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის თანამშრომლებს აქვთ, რადგან განყოფილების ოპერაციები განსაკუთრებული დელიკატურობით ხასიათდება. იმისათვის, რომ მის შენობაში შეაღწიოს ვინმემ, საჭიროა სპეციალური საშვი. მის ზეთანამედროვე საოპერაციო ცენტრში შესასვლელში შეიარაღებული დაცვა დგას, გარდა ამისა, მძლავრი ფოლადის კარის გასავლელად საჭიროა კლავიატურაზე ექვსნიშნა კოდის ზუსტად აკრეფა და სკანირების გავლა. ეს ზომები იძლევა გარანტიას, რომ განყოფილებაში შემსვლელს შესაბამისი საშვი აქვს და იქ შემთხვევით ვერავინ მოხვდება.

**ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომლების განცხადებით, TAO-ს მარტივი ამოცანები აქვს: ის ინფორმაციას აგროვებს უცხოური ობიექტების შესახებ, მალულად აღწევს მათ კომპიუტერებში და სატელეკომუნიკაციო სისტემებში — ტეხავს პაროლებს, ატყუებს უსაფრთხოების სისტემებს, იპარავს ინფორმაციას ობიექტების მყარი დისკებიდან, აკოპირებს ინფორმაციას ფოსტიდან და მათი ტექსტური შეტყობინებების გაცვლის სისტემებიდან ამოწმებს მონაცემთა ტრაფიკს. ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ამას „კომპიუტერული ქსელების ექსპლოატაციას“ უწოდებს.**

TAO ასევე პასუხისმგებელია იმ ინფორმაციის მოპოვებაზე, რომელმაც აშშ-ს საშუალება უნდა მისცეს, გაანადგუროს ან დააზარალოს უცხოური კომპიუტერული და საკომუნიკაციო სისტემები იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი კიბერშეტევის დაწყების ბრძანებას გასცემს. ამგვარი დარტყმის ორგანიზებას განახორციელებს აშშ-ის კიბერნეტიკული სარდლობა, რომლის შტაბ-ბინა იგივე ფორტ-მიდში მდებარეობს და რომელსაც სათავეში ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორი გენერალი კიტ ალექსანდერი უდგას.

მიმდინარე წლის აპრილიდან TAO-ს ხელმძღვანელობს ამერიკის სამთავრობო კომპიუტერებისა და კავშირგაბმულობის სისტემების საინფორმაციო უსაფრთხოების დირექტორატის დირექტორის ყოფილი მოადგილე რობერტ ჯოისი. წყაროების ცნობით, **ახლა განყოფილება უდიდეს და, სავარაუდოდ, უმნიშვნელოვანეს ნაწილად ითვლება ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს რადიოელექტრონული დაზვერვის დირექტორატში. ამჟამად იქ ათასზე მეტი სამხედრო და სამოქალაქო ჰაკერი, ანალიტიკოსი, ინფორმაციის შეგროვების სპეციალისტი, აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფების შემქმნელი და ინჟინერ-ელექტრიკოსი მუშაობს.**

**TAO ზესაიდუმლო საოპერაციო ცენტრში, რომელსაც დისტანციური ოპერაციების ცენტრს უწოდებენ, მუდმივად — კვირაში შვიდი დღის და დღეღამეში 24 საათის განმავლობაში მუშაობს დაახლოებით 600 სამხედრო თუ სამოქალაქო ჰაკერი.**

ისინი მთელი დღეები- ▶

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**TAO-ს აგენტურული დაზვერვის მომცრო ქვეგანყოფილებაც კი აქვს სახელწოდებით წვდომის ტექნოლოგიის უზრუნველყოფის ოპერაციების სექტორი, რომელშიც გამოძიების ფედერალური ბიუროდან და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან მივლენილი თანამშრომლები მუშაობენ. ისინი აკეთებენ იმას, რასაც დელიკატურად „არაქსელური ოპერაციები" დაარქვეს. სინამდვილეში საუბარია საზღვარგარეთ არსებულ კომპიუტერულ და სატელეკომუნიკაციო ქსელებზე იმ საჯაშუშო მოწყობილობების განთავსებაზე, რომლებსაც შემდეგ დაშორებულად უკავშირდებიან ფორტ-მიდის ჰაკერები.**

◀ სა და ღამეების განმავლობაში ეძებენ იმ კომპიუტერულ სისტემებსა და სატელეკომუნიკაციო ქსელებს, რომლებსაც, ვთქვათ, უცხოელი ტერორისტები იყენებენ მოკავშირეებისთვის ინფორმაციის გადასაცემად. განსაზღვრავენ რა ამ კომპიუტერებს, ჰაკერები ტეხავენ მას იმ სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელიც TAO-ს გუნდმა კონკრეტულად ამ მიზნისთვის შექმნა და აკოპირებს მყარი დისკების შემადგენლობას. ისინი ასევე ტოვებენ ოპერაციულ სისტემებში სპეციალურ პროგრამებს, რომელთა საშუალებით შემდგომ მუდმივად აკონტროლებენ ელექტრონულ ფოსტას და ტექსტურ შეტყობინებებს, რომლებიც კი გაიგზავნება ან მოვა ამ კომპიუტერსა თუ პორტატულ მოწყობილობაზე.

TAO ვერ შეძლებდა მუშაობას ნიჭიერი პროგრამისტებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინრების გარეშე. სწორედ ისინი ქმნიან რთულ პროგრამებს, რომელთა საშუალებითაც შემდეგ ოპერატორები სადაზვერვო მონაცემებს აგროვებენ. განყოფილებაში ასევე არის სპეციალური ქვეგანყოფილება სახელწოდებით კომპიუტერულ სისტემებთან და სატელეკომუნიკაციო ქსელებთან შეუმჩნეველი წვდომის მეთოდების დამუშავების ტელეკომუნიკაციის სისტემასთან მუშაობის ტექნოლოგიის სექტორი. თავის მხრივ, ინფრასტრუქტურული ტექნოლოგიების სექტორი შეიმუშავებს საიდუმლო აღჭურვილობებს კომპიუტერებსა და ტელეკომუნიკაციებზე თვალთვალისთვის, ასევე მათი მხარდამჭერის ინფრასტრუქტურას, რაც განყოფილებას მუშაობის გაგრძელების საშუალებას აძლევს.

**TAO-ს აგენტურული დაზვერვის მომცრო ქვეგანყოფილებაც კი აქვს სახელწოდებით წვდომის ტექნოლოგიის უზრუნველყოფის ოპერაციების სექტორი, რომელშიც გამოძიების ფედერალური ბიუროდან და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან მივლენილი თანამშრომლები მუშაობენ. ისინი აკეთებენ იმას, რასაც დელიკატურად „არაქსელური ოპერაციები" დაარქვეს. სინამდვილეში საუბარია საზღვარგარეთ არსებულ კომპიუტერულ და სატელეკომუნიკაციო ქსელებზე იმ საჯაშუშო მოწყობილობების განთავსებაზე, რომლებსაც შემდეგ დაშორებულად უკავშირდებიან ფორტ-მიდის ჰაკერები.**

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ TAO ოფიციალურად არ უნდა მუშაობდეს ამერიკასა და დამოკიდებულ ტერიტორიებზე მდებარე ობიექტების წინააღმდეგ. ამით დაკავებულია გამოძიების ფედერალური ბიურო — ამერიკის ერთადერთი სპეცსამსახური, რომელსაც ქვეყნის შიგნით ტელეკომუნიკაციებზე თვალთვალის უფლება აქვს. მაგრამ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მოღვაწეობის შესახებ გახმაურებული უკანასკნელი ცნობების შემდეგ, საეჭვოა, რომ TAO საგარეო ინფორმაციას აშშ-ის შიდა ინფორმაციის ხელშეუხებლად აგროვებდეს.



**უკანასკნელ წლებში TAO მუშაობს არა მხოლოდ ფორტ-მიდიდან, არამედ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ზოგიერთი საკვანძო პუნქტიდან, რომლებიც აშშ-ის ტერიტორიაზეა განლაგებული**

**TAO 1997 წელს შეიქმნა. მთელი ამ დროის განმავლობაში მან მოასწრო, ამერიკის სადაზვერვო სფეროში ერთ-ერთი წამყვანი სტრუქტურის სახელი მოეხვეჭა, მოპოვებული მონაცემების ხარისხის მიხედვით. ის მოიპოვებს და აშშ-ის ხელისუფლებას ამარაგებს არამხოლოდ ჩინეთის, არამედ უცხოური ტერორისტული ორგანიზაციების, ამერიკის წინააღმდეგ უცხოეთის ხელისუფლებების მიერ განხორციელებული საჯაშუშო ოპერაციების, ბალისტიკური რაკეტებისა და მასობრივი განადგურების იარაღების შექმნის, ასევე უკანასკნელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მოვლენების შესახებ სადაზვერვო მონაცემებით.**

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის განცხადებით, 2007 წლისთვის TAO-ს 600 ოპერატორმა შეძლო, მთელ მსოფლიოში ათას კომპიუტერულ სისტემაში შეეღწია. ისინი ტეხავდნენ დაცულ პაროლებს და წვდომას მოიპოვებდნენ როგორც კომპიუტერების მყარ დისკებთან, ასევე მომხმარებელთა ელექტრონულ ფოსტებთან. 2009 წელს გამოსულ წიგნში სახელწოდებით „საიდუმლო მცველი", რომელიც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ისტორიას ასახავს, დაწვრილებითაა აღწერილი, თუ როგორ შესრულა უმნიშვნელოვანესი როლი 2007 წელს ამ ზეგასაიდუმლოებულმა მონაცემთა მოპარვის პროგრამამ, რომელიც მაშინ ცნობილი იყო Stumpcursor-ის სახელწოდებით. მაშინ ამერიკა „აძლიერებდა სამხედრო დასწრებას" ერაყში. მაშინ პროგრამამ შესაძლებელი გახადა „ალ ქაიდას" და ბაღდადსა თუ მის შემოგარენში ერაყელი მეამბოხეების ასზე მეტი უჯრედის გათვლა და ლოკალიზება. იმავე წელს, ზოგიერთი მონაცემის თანახმად, TAO დააჯილდოვეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების გამო — აპირებდა თუ არა ირანი ატომური ბომბის შექმნას.

**2009 წლის იანვრისთვის, როდესაც ობამა აშშ-ის პრეზიდენტი გახდა, ამერიკის სადაზვერვო სფეროში TAO-ს ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევდნენ. როგორც ნაციონალური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელი იხსენებს, მაშინ TAO თავად იქცა მთელ დარგად. ეს ადამიანები აღწევდნენ იქ, სადაც მანამდე ვერავინ შეძლო შეღწევა და მოიპოვებდნენ ინფორმაციას, რომლის მოპოვება სხვას არავის შეეძლო.**

ვინაიდან TAO-ს მოღვაწეობა უკიდურესად დელიკატური პროცესია, არაა გასაკვირი, რომ განყოფილება გაურბოდა და გაურბის სახალხოობას. ყველაფერი, რაც მას ეხება, მკაცრადაა გასაიდუმლოებული თვით ისედაც საიდუმლო ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოში. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ის სულ რამდენიმეჯერ ახსენეს ბეჭდვით მედიაში, იმ რამდენიმე ჟურნალისტს კი, რომლებიც ამ თემით დაინტერესდნენ, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მაღალი რანგის მოხელეებმა თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ განუმარტეს, რომ განყოფილების მუშაობა არ უნდა გაშუქებულიყო, რადგან ეს საფრთხის წინაშე დააყენებდა მის მიმდინარე ოპერაციებს. **თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის მოხელემ, რომელიც TAO-ს მუშაობას კარგად იცნობს, აღნიშნა: „სააგენტოში თვლიან, რომ, რაც ნაკლებმა ადამიანმა იცის მისი არსებობის შესახებ, მით უკეთესი".**

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოში ამბობენ, რომ, თუ გსურს ოდესმე დაწინაურება და რაიმე ჯილდოს მიღება, TAO-ში გადასვლა უნდა მოახერხო. ამჟამად რადიოელექტრონული დაზვერვის დირექტორატის ხელმძღვანელი 54 წლის ტერეზა ში ამ პოსტზე მოხვედრას 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდგომ პერიოდში TAO-ს ხელმძღვანელის თანამდებობაზე მიღწეულ წარმატებებს უნდა უმადლოდეს. ჯორჯ-ბუშ უმცროსის პერიოდში ამ განყოფილებას დიდად აფასებდნენ ძალზე ძნელად მისაღები ინფორმაციის მოპოვების უნარის გამო. ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რა ინფორმაციაზეა საუბარი, მაგრამ ამბობენ, რომ ის მნიშვნელოვნად დაეხმარა შის კარიერას. თუმცა ნაციონალური უსაფრთხოების დეპარტამენტის ახლახან გადამდგარი თანამშრომლის განცხადებით, TAO არის ადგილი, სადაც სწორედ ახლაა მუშაობა საჭირო.

ცხადია, ობამას პერიოდში TAO-ს მოცულობაც და პრესტიჟიც ზრდას განაგრძობდა, რაც მიანიშნებს უზომოდ მნიშვნელოვან როლზე, რომელსაც განყოფილება ასრულებს. უკანასკნელ წლებში TAO მუშაობს არა მხოლოდ ფორტ-მიდიდან, არამედ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ზოგიერთი საკვანძო პუნქტიდან, რომლებიც აშშ-ის ტერიტორიაზეა განლაგებული. მაგალითად, ახლა TAO მუშაობს ჰავაის კუნძულ ოახუზე, ვახაიავაში მდებარე რადიოელექტრონული დაზვერვის დირექტორატის ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების უზარმაზარ ცენტრში, სააგენტოს ცენტრებში: ფორტ-გორდონში, ჯორჯიის შტატში, სან-ანტონიოსთან მდებარე „მედინა-ენეკსის" ბაზაზე და დენვერთან მდებარე სამხედრო საჰაერო ძალების ბაზაზე „ბაკლიში" არსებულ რადიოდაზვერვის გიგანტურ პოსტზე.

პრობლემა ისაა, რომ განყოფილება იმდენად გაიზარდა და იმდენად მნიშვნელოვანი ინფორმაციით ამარაგებს ხელისუფლება, რომ მისი დამალვა უკვე შეუძლებელია. **ჩინეთის ხელისუფლება, ცხადია, საქმის კურსშია TAO-ს მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ხუან ჩენცინის მიერ გაკეთებული განცხადება აუარებელი ინფორმაციის თაობაზე, ცხადია, ამ მონაცემების გამოქვეყნების ფარული მუქარა იყო. ამრიგად, ობამა სიზე სერიოზულ ზეწოლას ვერ განახორციელებდა კიბერდაზვერვის საკითხებთან დაკავშირებით.** როგორც ყველამ იცის, ვისაც კი ოდესმე პოკერი უთამაშია, ბედს ვერ მიენდობი, როდესაც მოწინააღმდეგემ შენი კარტები იცის.

**Foreign Policy**

**TAO თავად იქცა მთელ დარგად. ეს ადამიანები აღწევდნენ იქ, სადაც მანამდე ვერავინ შეძლო შეღწევა და მოიპოვებდნენ ინფორმაციას, რომლის მოპოვება სხვას არავის შეეძლო**



# ბრიტანელები გვითვალთვალებენ

**ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის — ედუარდ სნოუდენის წყალობით, ამერიკელებმა და დანარჩენმა მსოფლიომაც გაიგეს, რომ აშშ-ში საკუთარი მოქალაქეების შესახებ ხელისუფლება ინფორმაციას აგროვებს. მოგვიანებით კი ისიც გაცხადდა, რომ ამერიკელებს ბრიტანელებიც უთვალთვალებენ — ისინი ისმენენ სატელეფონო საუბრებს, კითხულობენ ელექტრონულ ფოსტებს და შემდეგ მონაცემებს აშშ-ს უზიარებენ.**

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ბრიტანული ვარიანტი — მართვადი სამთავრობო კავშირგაბმულობა ახერხებს, მიუერთდეს ბრიტანეთში გამავალ 200-ზე მეტ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელს, რითაც წვდომა აქვს მონაცემთა უზარმაზარ მოცულობასთან. **ბრიტანული სპეცსამსახურები ინფორმაციას აგროვებენ ბრიტანეთის მოქალაქეთა სატელეფონო საუბრებიდან, ელექტრონული ფოსტებიდან, მათი მიმოწერიდან ინტერნეტში.** ეს კი უკვე ვერ ჩაითვლება ანონიმურ მეტაინფორმაციად, როგორც ატლანტიკის ოკეანის ამერიკულ სანაპიროზე უწოდებენ ხოლმე მას.

არავის გაჰკვირვებია, რომ **ბრიტანელები მოპოვებულ ინფორმაციას ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს გადასცემენ. ამ ორ ნაციას ხომ განსაკუთრებული ურთიერთობის 70-წლიანი ისტორია აქვს სადაზვერვო მონაცემების გაცვლის მიმართულებით.** ეს ურთიერთობა ოფიციალურად ცნობილია UKUSA-ს შეთანხმების სახელით, რომლის მონაწილე ქვეყნები არიან ბრიტანეთის ყოფილი კოლონიების განსაკუთრებული კლუბის წევრები და ერთმანეთს ზესაიდუმლო სადაზვერვო ინფორმაციას უცვლიან. ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია ამ მომცრო ზომის კლუბის შემადგენლობაში შედიან.

ბრიტანეთის შესაძლებლობა, მიუერთდეს ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებს, მას ზემოხსენებული შეთანხმების ხუთ ქვეყანას შორის მონაცემთა მოპოვების ლიდერად აქცევს.

ცხადია, ბრიტანელი დიპლომატები ირწმუნებიან, რომ ინფორმაციას მხოლოდ კანონიერი გზებით მოიპოვებენ და რომ სპეციალური აგენტები დაიშვებიან მხოლოდ მეტამონაცემებთან, ანუ ინფორმაციასთან იმის შესახებ, თუ ვინ ვის ეკონტაქტება და არა ამ კონტაქტების კონკრეტულ შეტყობინებებთან.

**ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს 850 თანამშრომელს წვდომა აქვს მართვადი სამთავრობო კავშირგაბმულობის მიერ მოპოვებულ მონაცემებთან. ბოლო დღეებში გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ერთ-ერთი შეიცავს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორის მიმართვას ბრიტანელებისადმი, შეაგროვონ მთელი ინფორმაცია, რაზეც კი ხელი მიუწვდებათ.**

მართვადი სამთავრობო კავშირგაბმულობის აგენტები, უკვე ხუთი წელია, აგროვებენ ინფორმაციას იმ კაბელებთან მიერთებით, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკიდან ინფორმაციას დასავლეთ ევროპას გადასცემენ. ეს ყველაფერი გაკეთდა საკომუნიკაციო კომპანიების თანხმობით და დოკუმენტებში ისინი პარტნიორებად მოიხსენიებიან.

სავარაუდოდ, ბრიტანეთის ხელისუფლებამ აიძულა ეს კომპანიები, ასე მოქცეულიყვნენ.

ასე რომ, **ახლა გაერთიანებული სამეფო უთვალთვალებს აშშ-ს, აშშ კი უთვალთვალებს ბრიტანეთს და ერთმანეთს სადაზვერვო მონაცემებს უზიარებენ ან შეუძლიათ გაუზიარონ. მაგრამ რა მოხდება, თუ ამ ქვეყნებს სასამართლო ორდერის გარეშე საკუთარი მოქალაქეების ელექტრონული ფოსტების კითხვას აუკრძალავენ?**

**Foreign Policy**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უკვე არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ სააკაშვილი და მისი დამნაშავე „ნაცები“ გონს მოეგებიან, აღიარებენ ჩადენილ დანაშაულებს და მოითხოვენ საზოგადოებისგან პატიებას. ამაზე მეტყველებს პრეზიდენტის უკანასკნელი გამოსვლა და მისი „გოშიების“ ჩახლეჩილი ხმით ყეფა. ამიტომ საჭიროა, შეუჩერდეს პრეზიდენტს უაზრო და ქვეყნისთვის არაფრისმიმცემი ძვირადღირებული საზღვარგარეთული მოგზაურობები. გამოეცხადოს პრეზიდენტს შინაპატიმრობა და დაიწყოს მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება.

## «ნაცმოძრაობის» ყოფილი წევრები წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულის სისტემურობაზე საუბრობენ

**შესაბამისი განცხადებები თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალების“ ყოფილმა წევრებმა ნიკო ხაჩირაშვილმა და ზურა გაჩეჩილაძემ შსს-ში გამართული შეხვედრის შემდეგ გააკეთეს. საკრებულოს წევრები, სამეგრელოში აღმოჩენილი წამების ამსახველი ვიდეომასალებს გაეცნენ.**

„მე დავუშვებდი, რომ სისტემას შეიძლება გაეპაროს ერთი და ორი ფაქტი, მაგრამ, როდესაც ათასობით ფაქტზეა საუბარი, ეს უკვე სისტემის დანაშაულია“, — განაცხადა ნიკო ხაჩირაშვილმა. მისივე განმარტებით, ის როგორც ყოფილი „ნაციონალი“, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობას იღებს.

რაც შეეხება ზურაბ გაჩეჩილაძეს, მისი განმარტებით, მან კადრების ყურება მხოლოდ 15 წუთი შეძლო.

**„ზოგიერთმა დეპუტატმა კადრებს მხოლოდ 10 წუთი უყურა, მეც მხოლოდ 15 წუთი შევძელი, რომ მეყურებინა. ვფიქრობ, რომ ესაა ყოვლად ამაზრზენი ფაქტი. ქართულ ენაში არ არსებობს შესაბამისი ეპითეტი ამ კადრების ზუსტად შესაფასებლად. რა თქმა უნდა, ეს არის სისტემის დანაშაული და ყველა საფუძველი არსებობს, ვივარაუდოთ, რომ ამის შესახებ მაღალი თანამდებობის პირები ინფორმირებულები იყვნენ“,** — განაცხადა ზურაბ გაჩეჩილაძემ.

## პრეზიდენტმა ვეტო კიდევ რამდენიმე კანონპროექტს დაადო

**„საქართველოს პრეზიდენტმა გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება და ვეტო დაადო პარლამენტის მიერ მიღებული კანონის პროექტს, რომლითაც ცვლილებები შედის „მაუწყებლის შესახებ“ კანონში, ასევე საკანონმდებლო ცვლილებებს „საარჩევნო კოდექსსა“ და „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში“,** — განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 25 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე ქვეყნის პირველი პირის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ.

მისივე განმარტებით, მოტივირებული შენიშვნები, რომლითაც ქვეყნის პირველმა პირმა უკან დაუბრუნა კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს, ითვალისწინებს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობისა და მის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიების შენარჩუნებას და კიდევ უფრო განმტკიცებას.

# სააკაშვილს უნდა აეკრძალოს ქვეყნიდან გასვლა და შინაპატიმრობა გამოეცხადოს

**სამეგრელოს სამალავში ნაპოვნი ვიდეო და აუდიოფაილების, დოკუმენტებისა და გადამალული იარაღის ამოღების შემდეგ მოწყობილ არქივის პრეზენტაციაზე ცხადი გახდა (იმათთვისაც, ვისაც ჯერ კიდევ არ სჯეროდა თუ შეგნებულად თვალს ხუჭავდა, როგორიც ჟურნალისტი ე. კვესიტაძეა), რომ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სისტემურ დანაშაულს. არა ჩვეულებრივს, არამედ ამაზრზენი ფორმებით განხორციელებულ მკვლელობებს, „შეკერილ საქმეებს“, შანტაჟს, უკანონო მოსმენებს, ადამიანებზე ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ზეწოლას, მოქალაქეთა უფლებების ტოტალურ დარღვევებს... ეროვნული ტრადიციების მოშლასა და ყოველგვარი ღირებულის განადგურების მცდელობას...**



არ მინდა, ვიყო შურისმაძიებელი და ბოროტების ბოროტებითვე გადამხდელი, მაგრამ არ გამომდის. **ის, რაც სააკაშვილის რეჟიმმა მოიმოქმედა ქართველი მოსახლეობისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს.** რასაკვირველია, იყო ცალკეული ღალატის ფაქტები, მაგრამ არა სისტემური და გეგმაზომიერი, ამგვარი, ერის დამაქცევარი ქმედებები. **სააკაშვილის რეჟიმმა შექმნა დამღუპველი დემოგრაფიული პრობლემები, დააქცია განათლება, მოსპო ეროვნული ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, ალბათ, დიდხანს სულს ვერ მოითქვამს და ფეხზე ვერ დადგება ეროვნული მრეწველობა, მიითვისა კერძო საკუთრება... რომელი ერთი დავასახელო!**

რამ აიძულა სააკაშვილის რეჟიმი, ეკეთებინა ის ამაზრზენი ქმედებები, თავის დროზე ფაშიზმი რომ ახორციელებდა? აქ არის ერთადერთი პასუხი: **მხოლოდ ფსიქიურად ავადმყოფ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს შეეძლო ამგვარი რამ მოეფიქრებინა და განეხორციელებინა. მსოფლიოში ტოტალიტარული და ავტორიტარული მმართველობის ფორმები იყო და ამ სფეროს ჰყავდა გამოკვეთილი „ლიდერები“, რომლებიც გასამართლდნენ და საგანგებოდ დაისაჯნენ.** ცხადია, სააკაშვილი და მისი რეჟიმი ხალხის განაჩენს ვერ გადაურჩება. ამის მოთხოვნა უკვე იყო სპორტის სასახლეში შეკრებილი მოსახლეობისგან.

რატომ დაიმარხა „საიდუმლო“ არქივი მაინცდამაინც სამეგრელოში? იმიტომ ხომ არა, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლევან ქარდავა სამეგრელოდან იყო? განა უფრო უსაფრთხოდ არ გადაინახავდნენ უკანონოდ მოპოვებულ მასალებს მაღალმთიან მხარეში? სამეგრელოს მზაობა და მხარდაჭერა შეუძლია კეთილ საქმეში, როგორც ზვიად გამსახურდიას დროს დასდო თავი და არ დაიცავს დამნაშავეებს.

**ახლა, საკუთარი ბინძური ხელებით ამოთხრილ ორმოში ჩავარდნილი სააკაშვილი მიკიბულ-მოკიბული ბოდვებით იმართლებს თავს. საზღვარგარეთიდან ისეთ რამეებს როშავს, მგონი, უკვე ამნეზია სჭირს.**

ყოველმხრივ გაძარცული და უფლებადაკარგული პრეზიდენტი კი არა, ვაიპრეზიდენტი ცდილობს, რაიმე ხერხით, რაიმე საშუალებით პასუხისმგებლობა აიცილოს და რამდენიმე დაბალი რანგის პოლიციელს გადააბრალოს, რაც ქვეყანაში სადისტურ-სადამსჯელო უბედურებები ხდებოდა. **მოსახლეობის ფართო ფენამ იცის, სინამდვილეში რაც ჩაიდინა ყოფილმა ხელისუფლებამ და რაც იმ 12 ათას 800 ფაილშია აღბეჭდილი. ზუგდიდის სამალავში აღმოჩენილი და დამატებით კიდევ ნაპოვნი ოთხი კასრი მეტყველებს, რომ ეს არ არის საბოლოო, ანუ ჩვენ ვართ მოლოდინში, რომ კიდევ აღმოჩნდება ამგვარი ჩანაწერების სამალავი. ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი მოვალეობა იყო ამ ტიპის აკრძალული მასალების მოგროვება და შემდეგ მისი გამოყენება დაშინებისა და შანტაჟის მიზნით...**

ისმის კითხვა: 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რატომ არ გაანადგურეს ეს არქივი? ცხადია, ელოდნენ ხელისუფლებაში მოსვლას და შემდეგ კიდევ უფრო მასშტაბური ძალით მოსახლეობაზე შეტევას, რათა ეშოვათ დამატებით მილიარდები, განეხორციელებინათ საზღვარგარეთის მიერ შემოთავაზებული ქართველი ერის გადაგვარების, სულიერი და ფიზიკური მოსპობის საშიში გეგმა.

**რას გაუძლო ბედკრულმა ხალხმა ჯერ შევარდნაძის სიბნელის პერიოდში და რა საშინელება გადაიტანა სააკაშვილის ძალადობრივი ყოფის პირობებში, ენით აუწერელია.**

9 წლის განმავლობაში რაც ჩაიდინეს, რა საშინელება დაატეხეს თავს მოსახლეობას, ამისთვის ბოდიშის მოხდასაც არ აპირებენ „ნაცები“ და მისი „გადარეული რეჟისორი“ სააკაშვილი. ისინი დღემდე ყველაფერს პოლიტიკურ დევნას აწერენ და ცდილობენ, საზღვარგარეთელი ლობისტების დახმარებით თვალში ნაცარი შემოგვაყარონ.

არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ კვდომის პროცესისკენ მავალ პარტიასა და მის ლიდერს დამოუკიდებელი მოღვაწეობის პერსპექტივა არ აქვთ და ამიტომ უნდა ველოდოთ მათი გაქრობის მოსაზღვრებელ და გაჭიანურებულ პროცესს. როგორ შეიძლება დაუსრულებლად ვუცქიროთ, როდის მოკვდებიან ეს „ჯოჯოხეთის ეშმაკები“, როდის აღესრულებიან და გავლენ პოლიტიკური სცენიდან?

არა, ბატონებო!.. ახალმა ხელისუფლებამ კიდევ რა მასალები უნდა მოიპოვოს, რათა დარწმუნდეს, რომ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სისტემურ საშინელ დანაშაულებს. **ის არგუმენტი, რომ პრეზიდენტს იცავს იმუნიტეტი, არ ნიშნავს, რომ ის კანონზე მაღლა უნდა იდგეს და პროკურატურასა და საგამოძიებო ორგანოებს მისი დაკითხვა არ შეუძლიათ. პრეზიდენტი, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეა, დამნაშავე მოქალაქე. იგი დამნაშავე ჯგუფთან ერთად სჩადიოდა ერის ღალატის შემცველ ქმედებებს. ის იყო დამკვეთი და „დირიჟორი“, წლების განმავლობაში ხალისობდა, ერთობოდა, სისხლიან ხელებს თვალზე გვაფარებდა და კმაყოფილი იყო, რომ გვაბრიყვებდა. ამიტომ უნდა დაიკითხოს და მიეცეს პასუხისგებაში. ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებში უამრავი ფაქტია, როცა პირველი პირები დაიბარეს და არამხოლოდ დაკითხეს, არამედ დააპატიმრეს კიდეც. გავიხსენოთ თუნდაც საფრანგეთისა და იტალიის მაგალითები.**

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც სასწრაფოდ მოსაგვარებელია: სახელგატეხილი და აზროვნებადაბინდული, გაბოროტებული ადამიანის უსასრულო ვოიაჟებისთვის ზღვარის დადება. იგი უსირცხვილოდ კვლავაც ცდილობს ახალი ხელისუფლების დისკრედიტებას და ავრცელებს ქვეყნისთვის მავნებლურ განცხადებებს.

ორიოდე თვის წინ ივანიშვილმა განაცხადა, რომ **„საქართველოს პრეზიდენტი 2013 წლის ოქტომბერში მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობით, მისი ვიზიტები არ არის კოორდინირებული საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, მისი განცხადებები არ გამოხატავს საქართველოს მთავრობის პოზიციას“.** თავად სააკაშვილი არ მალავს, რომ ძალიან უხერხულ მდგომარეობაშია: **„უმოქმედობა ჩემთვის მძიმე ტვირთია, ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს დღევანდელ ვითარებაში, ეს იქნებოდა სიცრუე და ამას ნამდვილად არ ვიკადრებ, ამიტომ ვრჩები პრეზიდენტის თანამდებობაზე. ეს არის ის, რომ დემოკრატიული სივრცე შევინარჩუნოთ ქვეყანაში და შევქმნათ საკონსტიტუციო სტაბილურობის რაღაც შესაძლებლობა მაინც“.**

ახლა, როცა ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან დაძაბულია და ზედაპირზე დევს ყოფილ ხელისუფალთა ნამოქმედარი, **პრეზიდენტის გაუთავებელი გადაფრენა-გადმოფრენები მსოფლოს სხვადასხვა ქვეყანაში შესაწყვეტია. პრაქტიკულად და პოლიტიკურად გაძარცული ადამიანის უაზრო ვიზიტები შესაჩერებელია. მითუფრო, რომ პრეზიდენტი არ წარმოადგენს ხელისუფლებას, მეტიც, მასთან ოპოზიციაშია.** როცა მისმა განხორციელებულმა რეფორმებმა განადგურებამდე მიიყვანა ქვეყანა, როცა მისი ყოფილი ხელქვეითები პასუხისგებაში არიან მიცემულნი და ბევრიც გაპარულია ქვეყნიდან, არავინაა დაზღვეული, რომ საიდუმლოდ არ ხვდებოდეს დამნაშავეებს, ხელს არ აფარებდეს მათ და ერთად არ გეგმავდნენ სამომავლო დანაშაულებს.

უკვე არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ სააკაშვილი და მისი დამნაშავე „ნაცები“ გონს მოეგებიან, აღიარებენ ჩადენილ დანაშაულებს და მოითხოვენ საზოგადოებისგან პატიებას. ამაზე მეტყველებს პრეზიდენტის უკანასკნელი გამოსვლა და მისი „გოშიების“ ჩახლეჩილი ხმით ყეფა. ამიტომ **საჭიროა, შეუჩერდეს პრეზიდენტს უაზრო და ქვეყნისთვის არაფრისმიმცემი ძვირადღირებული საზღვარგარეთული მოგზაურობები. გამოეცხადოს პრეზიდენტს შინაპატიმრობა და დაიწყოს მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება.**

**ბორის დავითაია**

**ძალიან ბევრ არამუსლიმ გოგონას იტაცებდნენ ამ სამარცხვინო ქმედებაში დახელოვნებული ყაჩაღები და მონათა ბაზარზე მიჰყავდათ გასაყიდად. მაგრამ იმის გამო, რომ იმ პერიოდში ჰარამხანაში მოხვედრა ქალისთვის ასოცირდებოდა უზრუნველ და ბედნიერ ცხოვრებასთან, ისტორიულ ანალებში შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ კავკასიელი ოჯახები თავიანთი ნაშიერებისთვის ბედნიერი ცხოვრების უზრუნველსაყოფად — ეგებ სულთნის ცოლები გამხდარიყვნენ — მათ ჰარამხანაში აგზავნიდნენ.**

ჰაჰ, დროni...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

„საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს ოლგა დმიტრიევას წიგნის „ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება“ ადაპტირებული თარგმანის პუბლიკაციას. წიგნში მოთხრობილია პოლიგამიის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ხალხს შორის და ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში: ველურ ტომებში, ამერიკელ მორმონებში, იმპერატორის დროინდელ ჩინეთში, ინდოელ რაინდ-რაჯპუტთა შორის და, რა თქმა უნდა, სულთნის დიად სერალში. პოლიგამია ქრისტიან ადამიანებს შორის, უწინარეს ყოვლისა, ასოცირდება ჰარამხანებთან, რომლებშიც სულთნები, აღმოსავლეთის ქვეყნების მმართველები თავს უყრიდნენ ულამაზეს ქალებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან.



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-21 (204-208)

**ცნობისმოყვარე ევროპელები არამარტო აკვირდებოდნენ მონათა ყიდვა-გაყიდვის პროცესს, არამედ ზოგჯერ თავადაც გამოდიოდნენ მუშტრის როლში, ყიდულობდნენ მცირეწლოვან არაბებს და ქრისტიან გოგონებს, ურჯულოებისგან მათი დახსნის მიზნით.** დიუმას რომანში მონტე-კრისტოს მიერ მშვენიერი მონაქალის — ჰაიდეს შეძენის რომანტიკული ისტორია არ არის მაინც და მაინც ავტორის ფანტაზიის ნაყოფი. ასეთი პრეცედენტები რეალურად ხდებოდა — მდიდარი მოგზაურნი ზოგჯერ თავს უფლებას აძლევდნენ, შეეძინათ ასეთი ეგზოტიკური „სუვენირები“. მაგალითად, გრაფმა დარჟანტალმა 1698 წელს სტამბოლის მონათა ბაზარში იყიდა ოთხი წლის ჩერქეზი გოგონა აისე და ჩაიყვანა საფრანგეთში, სადაც ოჯახის წევრივით ზრდიდა. გოგონა დაქალდა, მისი სილამაზე, სიამაყე და იმ დროისთვის არნახული მიუკარებლობა საყოველთაო ყურადღებას იქცევდა. აისე არაჩვეულებრივი ნიჭიერებით დაჯილდოებული აღმოჩნდა. მისი წერილები ქალბატონ კალანდრინისადმი, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, ფრანგული ლიტერატურის „პატარა შედევრებად“ აღიარეს. ამ ჩერქეზი ქალის ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა: მისი ცხოვრება გრაფის სახლში დიდად არ განსხვავდებოდა სხვა ხარჭების ყოფისგან, რომლებიც მონათა ბაზარზე იყვნენ გაყიდულები.

**ჰარამხანაში განსაკუთრებით ფასობდნენ კავკასიელი ქალები, რომელთაც ამორძალების შთამომავლებად მიიჩნევდნენ. მოსწონდათ ჩერქეზი, აფხაზი და ქართველი ქალიშვილების არა მარტო ბრდღვიალა თვალები, მოქნილი სხეული, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ამაყი ხასიათი და სიამაყე, რაც, საერთო აზრით, ძველ მემართაგან ჰქონდათ მემკვიდრეობით მიღებული. სწორედ ასეთი ქალი მიაჩნდათ ოსმანებს შესაფერის ცოლად, რომელიც არამარტო სარეცელზე გააბედნიერებდა სულთანს, არამედ ტახტის ღირსეულ მემკვიდრესაც შობდა.**

მთიელ ქალიშვილებზე, შეიძლება ითქვას, ნადირობდნენ. მაინც და მაინც კავკასიელი ქალიშვილი ინდომა სულთან სულეიმან ბრწყინვალეს ცოლად დედამისმა, ყირიმის ყაენის მენგლი-გირეის შვილმა ვალიდე ჰამსმა. ტრადიცია საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა: რამდენიმე ასწლეულის შემდეგ ყაჩაღები ჩაუსაფრდნენ და შორეული გურჯისტანიდან (საქართველოდან) მოიტაცეს ქართველი მღვდლის ქალიშვილი და მუსტაფა III-ს (1757-1773) მიჰგვარეს საყვარელ ცოლად.

**ძალიან ბევრ არამუსლიმ გოგონას იტაცებდნენ ამ სამარცხვინო ქმედებაში დახელოვნებული ყაჩაღები და მონათა ბაზარზე მიჰყავდათ გასაყიდად. მაგრამ იმის გამო, რომ იმ პერიოდში ჰარამხანაში მოხვედრა ქალისთვის ასოცირდებოდა უზრუნველ და ბედნიერ ცხოვრებასთან, ისტორიულ ანალებში შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ კავკასიელი ოჯახები თავიანთი ნაშიერებისთვის ბედნიერი ცხოვრების უზრუნველსაყოფად — ეგებ სულთნის ცოლები გამხდარიყვნენ — მათ ჰარამხანაში აგზავნიდნენ.**

**„ჩერქეზებს თავად მიჰყავთ თავიანთი ქალიშვილები მონათა ბაზარზე, რათა ამ გზით უზრუნველეყოთ მათი კეთილდღეობა... ხოლო ზანგები და აბისინიელები თავგანწირვით იბრძვიან თავისუფლებისთვის“,** — ჩაწერა 1864 წელს თავის მოგზაურის დღიურში ლუსი დაფ გორდონმა.

ჰარამხანას ბევრი ციხედ არ აღიქვამდა, იყვნენ ისეთი ქალებიც, რომლებიც აქ თავისი ნებით მიდიოდნენ. XVI-XVIII საუკუნეებში იტალიელ და სიცილიელ ქალებს ჰარამხანისთვის ჰყიდდნენ მათივე თანხმობით. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ ასეთები, როგორც წესი, ავანტიურისტული მიდრეკილების მქონე ლამაზმანები იყვნენ, რომლებსაც სერალი ზღაპრულ, იდუმალ სამყაროდ წარმოედგინათ, სადაც თავიანთი ამბიციების და ინტრიგების რეალიზაციას შეძლებდნენ.

**ჰარამხანაში შეყვანამდე საჭურისები მონაქალს თავიდან ბოლომდე დაათვალიერებდნენ, შეამოწმებდნენ და, თუ არ აღმოაჩენდნენ ფიზიკურ ან რამ სხვა ნაკლს, მთავარი საჭურისი — ყიზლიარალასი „სიხარულის სახლის“ მომავალ კანდიდატს სულთნის დედას თანხმობის მისაღებად წარუდგენდა.**

**ახალგაზრდა მონები ისლამს იღებდნენ და ახალი სახელებით ინათლებოდნენ. ამ სახელებს არქმევდნენ მათი ხასიათიდან, ქცევიდან და გარეგნობიდან გამომდინარე.** ვარდისფერლოყება გოგოს გიულბახარს არქმევდნენ (გაზაფხულის ვარდს) ან გიულბეაზს (თეთრ-ვარდისფერს), მხიარული ხასიათისას — ჰურემს (მომცინარეს).

ზოგჯერ სახელს ხელმეორედ არქმევდნენ და გიულბაჰარი, სულთანს მემკვიდრეს თუ გაუჩენდა, მაჰიდევრანად გადაიქცეოდა — საუკუნის ქალბატონად.

სახელის გადარქმევის შემდეგ იწყებოდა სწავლება: ასწავლიდნენ სულთნის კარის ურთულეს ეტიკეტს, მუსლიმური კულტურის საფუძვლებს, სპეციალურად განსწავლული საჭურისები ამოიცნობდნენ მათ შორის უნიჭიერესებს, და იწყებოდა სწავლების მომდევნო ეტაპი — მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის, ცეკვის და უმაღლესი ეროტიკული სიამოვნების მინიჭების ხელოვნების დაუფლების ეტაპი. თუ ქალიშვილი ვერავითარ ნიჭიერებას ვერ ამჟღავნებდა, მას უკანვე, მონათა ბაზარში აგზავნიდნენ.

**აღმოსავლეთის მპყრობელთა ჰარამხანებს შორის შესანიშნავად იყო დაყენებული ინფორმაციის გაცვლის საქმე და ვალიდები ოპერატიულად იგებდნენ ყველა სიახლეს საინტერესო და პერსპექტიული „შევსების“ თაობაზე.**

მუსტაფა III-ს ცოლმა, რომელიც საქართველოდან გატაცებული ქალიშვილი იყო (მღვდლის შვილი, ზემოთ უკვე ნახსენები), მიჰრი-შაჰმა თავისი საუკეთესო მეგობრისგან, ალჟირის დეის ცოლისგან, დიდგვაროვანი ესპანელი ფატიმა-ხათუნისგან შეიტყო, რომ მისი ქმრის სასახლეში ალჟირელმა მეკობრეებმა მიიყვანეს ლამაზმანი ფრანკთა ქვეყნიდან, დიდგვაროვანი ოჯახის შვილი. მიჰრი-შაჰმა გადაწყვიტა, რომ სწორედ ეს ქალიშვილი უნდა გამხდარიყო იმპერიის მმართველის დედა. ეს „უძვირფასესი საჩუქარი“ სასწრაფოდ ჩამოიყვანეს ალჟირიდან სერალში, სადაც შეუდგნენ ფრანგ ემე დე რივერის, რომელსაც სამართლიანად ნახში-დილი (უმშვენიერესი) დაარქვეს, მომავალი ვალიდეს როლისთვის მომზადებას.

**ნახში-დილი ნიჭიერი გოგო იყო და იოლად აითვისა ჰარამხანის რთული მეცნიერება, გადალახა სხვა ცოლების ინტრიგები და იმპერიას ტახტის მემკვიდრე აჩუქა — მომავალი სულთანი-გარდამქმნელი მაჰმუდ II.**

**სერალის მონაქალები არასოდეს ყოფილან 300-ზე ნაკლები, XIX საუკუნეში კი მათმა რაოდენობამ ცხრაასს მიაღწია, მაგრამ ფავორიტების რაოდენობა მხოლოდ და მხოლოდ სულთნის ტემპერამენტზე იყო დამოკიდებული.**

ჰარამხანაში მცხოვრები მონაქალების ჩამონათვალი მუჰამედ I-ის (1730-1754) დროს ასეთი იყო: 17 ღვინის სარდაფში მუშაობდა, 72 — უფლისწულებს ემსახურებოდა, 15 სულთნის ფავორიტი იყო, სხვა დანარჩენი — 230, ამ ჩამონათვალიდან ჩანს, რომ სულთანი სექსუალურ ურთიერთობას ყველა ქალთან არ ამყარებდა. იყვნენ ისეთი გამონაკლისები, რომლებიც მხოლოდ ერთი ცოლით კმაყოფილდებოდნენ.

**ზოგჯერ სულთანი თავის ხარჭებს ფაშებს ჩუქნიდა, ყველაზე დიდ წყალობად ითვლებოდა, თუ სულთანი ფაშას უძღვნიდა ქალიშვილს, რომელიც ჯერ ხარჭა არ გამხდარიყო. მუსლიმთა ეტიკეტით, ფაშას ეს ქალიშვილი ჯერ უნდა გაეთავისუფლებინა მონობიდან და შემდეგ ცოლად მოეყვანა. დახვეწილი ქცევა, რაც სერალში ჰქონდა ათვისებული, მის ბინადრებთან პირადი კავშირები და სულთნის კარის ცხოვრებაში გარკვევის უნარი ამ საჩუქარს უაღრესად სასურველს ხდიდა.**

მონაქალები ყოველდღიურ საფასურს იღებდნენ, რომლის რაოდენობა ყოველი ახალი სულთნის მოსვლით იცვლებოდა. იღებდნენ საჩუქრებსაც (მათ შორის, ფულადსაც) სადღესასწაულო დღეებში. ჰარამხანის მკვიდრის მთავარი მიზანი, ნებისმიერი საშუალებით მბრძანებლის ყურადღების მოპოვება იყო.

კარიერის კიბის პირველი საფეხური სულთნის სარეცელში მოხვედრა იყო. სულთანი განმკარგველ ქალს მასთან მისაყვანი მონების სახელებს ყურში ჩასჩურჩულებდა და ისიც უმალ ასრულებდა მბრძანებლის სურვილს — რიგში ჩაუმწკრივებდა ყველას. თრთოდნენ და კანკალებდნენ სულთნის თვალთა წინაშე მდგარი სერალელები — აქ უნდა გადაწყვეტილიყო მათი ბედი და მომავალი.

**სულთანი რამდენჯერმე ჩაუვლიდა ამ მწკრივს, შემდეგ კი ცხვირსახოცს გადაუგდებდა იმას, ვინც მოეწონებოდა და ისიც მოწიწებით მკერდთან ჩაიდებდა ფასდაუდებელ „საშვს“, ღამით კი უბრუნებდა პატრონს.**

ასე აღწერდა ამ რიტუალს სულთნის კარზე ვენეციის რესპუბლიკის წარმომადგენელი ოტავიო ბონა, რომელმაც 3 წელიწადი სტამბოლში გაატარა.

სინამდვილეში კი ყველაფერი გაცილებით მარტივად კეთდებოდა. სულთნის ინტერესს მყისიერად იგებდა გამოცდილი მსახური, რომელიც მბრძანებელს უკან მიჰყვებოდა და მთავარ საჭურის აცნობებდა ვისზე შეაჩერა თავისი მზერა სულთანმა.

**ბედნიერი რჩეული თურქულ აბანოში მიჰყავდათ, სადაც იმ ღამით სულთანთან შესახვედრად ამზადებდნენ: სხეული გატკეცილი და მარმალილოსავით კრიალა რომ გამხდარიყო, ცვილით ყველა ბუსუსს აცლიდნენ, თმასა და კანს არომატული სითხეებით უზელდნენ, შემდეგ კი სიმღერითა და მუსიკის თანხლებით სულთნის საწოლში მიაცილებდნენ. ზოგჯერ ქალიშვილი შავკანიან საჭურისს ფარულად მიჰყავდა სულთანთან.**

შევიდოდა ეს რჩეული სულთანთან, უფრო ზუსტად, მიცოცდებოდა და საწოლზე მხოლოდ იქიდან ავიდოდა, სადაც სულთნის ფეხები იყო.

თუ სულთანს ქალიშვილი მოეწონებოდა, დილით საჩუქრებს გაუგზავნიდა.

**სერალის მონაქალები არასოდეს ყოფილან 300-ზე ნაკლები, XIX საუკუნეში კი მათმა რაოდენობამ ცხრაასს მიაღწია, მაგრამ ფავორიტების რაოდენობა მხოლოდ და მხოლოდ სულთნის ტემპერამენტზე იყო დამოკიდებული**

გაგრძელება იქნება

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ მოზრდილი პატიმრების საერთო რაოდენობა ათჯერ გაიზარდა, 16 წლამდე ასაკის პატიმართა რაოდენობა რევოლუციამდელ დროსა და 1930-იან წლებში დაახლოებით ერთნაირი იყო.**




იგორ პიხალოვი

# ყველაზე ბილწი მითები სტალინზე

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-21 (204-208)**

## ხრუშჩოვის ნაყალბევი

„სტალინის სისხლიანი რეჟიმის“ მიერ ბავშვების დახვრეტის ვერსიის მომხრენი სსრკ გენერალური პროკურორის — ანდრეი ვიშინსკის მიერ ხელმოწერილ შემდეგ ცირკულარს იმოწმებენ:

**„სრულიად საიდუმლოდ ინახება შიფრის დონეზე**

**მოკავშირე რესპუბლიკების ყველა პროკურორს, სამხარეო, საოლქო, სამხედრო, ტრანსპორტის, საწყლოსნო აუზების პროკურორებს; სპეცკოლეგიების პროკურორებს, ქ. მოსკოვის პროკურორს.**

**უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო, საოლქო სასამართლოების, სამხედრო ტრიბუნალების; საწყლოსნო აუზების სასამართლოების ყველა თავმჯდომარეს; სამხარეო, საოლქო და უმაღლესი სასამართლოების სპეცკოლეგიების თავმჯდომარეებს; მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს.**

**სსრკ ცაკ-ის და სახკომსაბჭოს მ.წ. 7/IV დადგენილების „არასრულწლოვანებს შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ შემოსული შეკითხვებთან დაკავშირებით, განგიმარტავთ:**

**1. სისხლის სამართლის სამართლებრივი დანაშაულის სასჯელის ღონისძიებებს, რომლებიც გათვალისწინებულია მითითებული დადგენილების პირველ მუხლში, მიეკუთვნება აგრეთვე სისხლისსამართლებრივი სასჯელის უმაღლესი ზომა (დახვრეტა).**

**2. ამის შესაბამისად გაუქმებულად ითვლება „სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების“ მე-13 მუხლის შენიშვნა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები, რომელთა მიხედვით 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირების მიმართ დახვრეტა არ გამოიყენება.**

**3. იმის გამო, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა (დახვრეტა) შეიძლება მოხდეს განაკლის შემთხვევებში და რომ ამ ზომის გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ უნდა დაექვემდებაროს განსაკუთრებულ კონტროლს, საპროკურორო და სასამართლო ყველა ორგანოს გთავაზობთ წინასწარ აცნობოთ საკავშირო პროკურორს და სსრკ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს არასრულწლოვან დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივ სამართალში მიცემის შესახებ, რომელთა მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასჯელის უმაღლესი ზომა.**

**4. არასრულწლოვანების სამართალში მიცემა კანონის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას (დახვრეტა), მათი საქმეები სამხარეო (საოლქო) სასამართლოებში განიხილონ საერთო წესით.**

**სსრკ პროკურორი ვიშინსკი**
**სსრკ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ვინიკუროვი**
**20/IV.1935 წ.“**

ამ დოკუმენტის ტექსტი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური ჩანს.

ჯერ ერთი, საიდან უნდა გაჩენილიყო „შეკითხვები ადგილებიდან“ არასრულწლოვანების შესახებ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების შესახებ? ზემოთ უკვე ვთქვით, რომ **1935 წლის 7 აპრილის დადგენილებაში ჩამოთვლილია დანაშაულის ფრიად მცირე რაოდენობა, ხოლო იმ დროისთვის მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას არცერთი მათგანის გამო.** მაშასადამე, 7 აპრილის დადგენილებასა და რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლს შორის, რომელიც კრძალავდა უმაღლესი ზომის გამოყენებას არასრულწლოვანთა მიმართ, არავითარი კოლიზია არ უნდა წარმოქმნილიყო. ვიშინსკიმაც და ვინოკუროვმაც ეს შესანიშნავად იცოდნენ.

მეორე, სისხლის სამართლის კოდექსი პროპაგანდისტული ქაღალდი კი არ არის, არამედ სახელმძღვანელო დოკუმენტია მოსამართლეებისთვის, პროკურორებისა და სხვა ოფიციალური პირებისთვის. ზემოდან დაშვებულ მითითებებსა და დირექტივებს შეუძლია განმარტოს: მაგალითად, თუ მოქალაქემ საკოლმეურნეო წისქვილიდან მოიპარა 16 ფუთი ქერი, იგი უნდა გასამართლდეს 1932 წლის 7 აგვისტოს კანონით, თუ რსფსრ სსკ 162-ე მუხლით ქურდობისთვის? მაგრამ ასეთი ინსტრუქციები სისხლის სამართლის კოდექსის ტექსტს ვერ დაუპირისპირდება. ამგვარ შემთხვევაში იცვლება თვით კოდექსი.

**დავუშვათ, რომ „სტალინის სისხლიანმა რეჟიმმა“, მართლაც გადაწყვიტა შემოეღო არასრულწლოვანების სიკვდილით დასჯა. გასაგებია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მთელი ახალი ტირაჟი ერთ დღეში ვერ დაიბეჭდებოდა, და ვიშინსკისა და ვინოკუროვის განმარტება, რომ რსფსრ სსკ 22-ე მუხლის მოქმედება შეწყვეტილია, სავსებით დროული იქნებოდა.**

**მაგრამ მალევე ქვეყნდება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსი 1935 წლის 1 ივლისის ცვლილებებით. მე-12 მუხლი აქ ძველი ვარიანტითაა დაბეჭდილი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „16 წლამდე ასაკის მოზარდების მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ სამედიცინო-პედაგოგიური ხასიათის ღონისძიებანი“.**

მაგრამ მას თან ერთვის შენიშვნა:

„1. არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის უსწრაფესად ლიკვიდაციის მიზნით სსრკ ცაკ-ი და სახკომსაბჭო ადგენს:

1. არასრულწლოვანები, 12 წლის ასაკიდან დაწყებული, რომლებიც მხილებული არიან ქურდობაში, ძალადობაში, სხეულის დაზიანებაში, დასახიჩრებაში, მკვლელობასა ან მკვლელობის მცდელობაში, მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში სისხლის სამართლის სასჯელის ყველა ზომის გამოყენებით.

2. პირები, რომლებიც მხილებული არიან არასრულწლოვანთა წაქეზებასა ან მონაწილეობის მიღებაში სხვადასხვა დანაშაულში, ან არასრულწლოვანთა სპეკულაციის, მეძავეობის, მათხოვრობის და მისთ. დაძალებაში, დაისაჯონ დაპატიმრებით არა უმცირეს ხუთი წლით“.

22-ე მუხლი გადმოცემულია არა მხოლოდ უწინდელი რედაქციით — **„22. დახვრეტა არ შეიძლება მიესაჯოთ პირებს, რომლებსაც არ შესრულებიათ თვრამეტი წელი დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის, და ქალებს, რომლებიც ორსულად არიან“,** არამედ ყოველგვარი შენიშვნის გარეშე.

გადავშალოთ რსფსრ სსკ მომდევნო გამოცემა, რომელშიც შეტანილია 1935 წლის 15 ოქტომბრის ცვლილებები. აქაც იგივეა: მე-12 მუხლის ძველი ტექსტი, 22-ე მუხლი, ცვლილება მე-12 მუხლისთვის.

შემდეგი გამოცემა: რსფსრ სსკ 1936 წლის 15 ოქტომბრის ცვლილებებით. მე-12 მუხლი აქ ახალი რედაქციითაა მოცემული:

„12. არასრულწლოვანები, რომლებსაც შეუსრულდათ 12 წლის ასაკი და რომლებიც მხილებული არიან ქურდობაში, ძალადობაში, სხეულის დაზიანებაში, დასახიჩრებაში, მკვლელობასა ან მკვლელობის მცდელობაში, მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში სასჯელის ყველა ზომის გამოყენებით“.

მაგრამ 22-ე მუხლი უცვლელი რჩება.

„22. დახვრეტა არ შეიძლება მიესაჯოს პირებს, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებიათ 18 წელი, და ქალებს, რომლებიც ორსულად არიან“.

ე.ი. ეს მუხლი კვლავ ძალაში რჩება.

დაბოლოს, 1939 წელს იმავე ვიშინსკის რედაქტორობით გამოდის წიგნი. „რაიონული პროკურორის ბიბლიოთეკა. III გამოშვება“, რომელშიც ნათქვამია შემდეგი:

**„არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა. არასრულწლოვანები 12 წლის ასაკიდან დაწყებული 1935 წლის 7 აპრილის კანონის ძალით (სსკ მე-12 მუხლი) შეიძლება მიცემულ იქნან სისხლის სამართლის პასუხისგებაში სისხლის სამართლის სასჯელის ყველა ზომის გამოყენებით ქურდობისთვის, ძალადობისთვის, სხეულის დაზიანებისთვის, დასახიჩრებისთვის, მკვლელობისთვის ან მკვლელობის მცდელობისთვის.**

**1935 წლის 7 აპრილის კანონი სხვაგვარ განმარტებას არ ექვემდებარება, ამიტომ დანაშაულის სხვა სახეობის ჩადენისთვის არასრულწლოვანები, რომლებსაც 16 წელი არ შესრულებიათ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემიან“.**

**„დახვრეტა არ შეიძლება მიესაჯოთ პირებს, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის 18 წელი არ შესრულებიათ, და ქალებს, რომლებიც ორსულად არიან“.**

ანუ, „გაუქმებული 22-ე მუხლი“ უწინდებურად რჩება სისხლის სამართლის კოდექსის ტექსტში. არადა, სისხლის სამართლის კოდექსი არის ის ოფიციალური დოკუმენტი, რომლის საფუძველზე გამოაქვთ სასამართლო გადაწყვეტილებანი, და არავითარი „სრულიად საიდუმლო ცირკულარები“ აღნიშნულ შემთხვევებში არაფერს ცვლის.

დავუშვათ, რომ იკრიბება სტალინური პოლიტბიურო და იღებს საიდუმლო დადგენილებას, რომელიც ყველა სასამართლო ორგანოს ავალდებულებს: თუ დამნაშავე ცისფერთვალება ქერა ქალია, გამოუტანონ მას აღნიშნული სასჯელისთვის გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი.

რადგან ყველა მოსამართლე და პროკურორი საკ.კპ (ბ) წევრია, ან თანამგრძნობი, დადგენილება განუხრელად სრულდება. მაგრამ ამასთან:

1. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ირღვევა, რადგან კონკრეტულ მუხლში ჩაწერილი სასჯელის სხვადასხვა ზომიდან სასურველის არჩევა მოსამართლის შეხედულებაზეა დამოკიდებული.

2. საიდუმლო დადგენილება საჯაროდ არ გამოაქვთ, რადგან განსასჯელისთვის ნებისმიერი მსუბუქი სასჯელის გამოტანა ყოველთვის შეიძლება აიხსნას მოსამართლის პირადი სიმპათიით სამართალში მიცემული ქალის მიმართ.

ახლა კი წარმოვადგინოთ ჰიპოთეტური პროცესი არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ:

**საოლქო პროკურორი:** სასამართლოს ვთხოვ მიუსაჯოს სამართალში მიცემულს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა.

**ადვოკატი** (წამოხტება და დაიწყებს სისხლის სამართლის პატარა ტომის გაცრებით ფურცვლას): ბოდიშს ვიხდი, მაგრამ 22-ე მუხლს რა ვუყოთ?

რა რეაგირება უნდა მოახდინონ ამაზე მოსამართლემ და პროკურორმა? გაასაჯარონ „სრულიად საიდუმლო დადგენილება“? თუ როგორ მოიქცნენ?

**ჩნდება საფუძვლიანი შეკითხვა — რატომ დასჭირდათ ვიშინსკისა და ვინოკუროვს დაეგზავნათ 1935 წლის 20 აპრილის დირექტივა, თუ მას არავითარი შე-** ▶

**მათ შორის, ვინც საპატიმრო ადგილებში აღმოჩნდა, ტიპური განაჩენი ერთი-ორი წელიწადი იყო. მოსამართლეები არასრულწლოვანებს ზოგჯერ ერთ წელიწადზე ნაკლებს უსჯიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი მართლმსაჯულება ამას არ ითვალისწინებდა**

## თავდაცვის კომიტეტი დახურულ სხდომას გამართავს

**საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი 1 ივლისს ჯიჰადის სახელით გავრცელებულ ვიდეოებსა და სამეგრელოში აღმოჩენილ წამების ამსახველ ვიდეომასალებთან დაკავშირებით დახურულ სხდომას გამართავს.**

ამის შესახებ 25 ივნისს ბიუროს სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა. კომიტეტის სხდომას დაესწრებიან შს სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე პარლამენტის დეპუტატები. შეხვედრა მედიის წარმომადგენლებისთვის დახურული იქნება.

წამების ამსახველი ვიდეომასალების გამოძიებასთან დაკავშირებით პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბეჟაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის — მანანა კობახიძის განცხადებით კი ამ კომისიის შექმნის აუცილებლობა ჯერ არ დგას. მისი თქმით, გამოძიებასთან დაკავშირებით დეპუტატებს კითხვების დასმა 1 ივლისს შს სამინისტროს წარმომადგენლებთან შეეძლებათ. მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ 9 წლის განმავლობაში იყო ხელისუფლებაში და მას შეეძლო ეს ფაქტები თავის დროზე გამოეძიებინა.



**1939 წელს მსჯავრი დაედო 24467 არასრულწლოვანს 16 წლის ასაკამდე, ეს იყო 1930-იანი წლების მაქსიმალური რაოდენობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავისუფლებააღკვეთილთა პროცენტი რჩებოდა იგივე, რაც 1935 წელს, გამოვა, რომ საპატიმრო ადგილებში გაიგზავნა 13 ათასი მოზარდი. რადგან მათ დიდ უმრავლესობას მისჯილი ჰქონდა 2 წელიწადზე ნაკლები ვადა, დაპატიმრებულ მოზარდთა საერთო რაოდენობა ამ რიცხვს დიდად არ აღემატებოდა. 1945 წლის 30 დეკემბრისთვის არასრულწლოვანთა კოლონიებში 21 ათასამდე ადამიანი იმყოფებოდა.**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## შრომითი კოლონიები გაიარა 155506-მა მოზარდმა 12-დან 18 წლის ასაკამდე, რომელთა შორის იყო 68927 ნასამართლევი და 86579 ნასამართლეობის არმქონე

◀დეგის მოტანა არ შეეძლო? ძალაუნებურად დაასკვნი, რომ მისი დაწერის ერთადერთი მიზანი იყო მამხილებლებისთვის შესაძლებლობა მიეცათ სტალინის დანაშაულობათა თემაზე ყმუილით ეჯერებინათ გული.

მაშასადამე, მოცემული „დოკუმენტი" ნაყალბევია, რომელიც ფალსიფიცირებულია ხრუშჩოვის დროს.

### განსასჯელთა სკამზე

მოდით, ვუპასუხოთ შეკითხვას: **სინამდვილეში რა სასჯელები გამოჰქონდათ არასრულწლოვანებისთვის, რომლებიც სტალინური მართლმსაჯულების „კლანჭებში" ხვდებოდნენ?**

იმდროინდელი მოსამართლეები არ ცდილობდნენ მაინც და მაინც გისოსებს მიღმა გამოემწყვდიათ ახალგაზრდა სამართალდამრღვევნი.

რსფსრ მონაცემებისთვის სახელდახელოდ გადახედვითაც აშკარად გამოჩნდება, რომ **1935 წლის 8 თვის განმავლობაში სასამართლოს წინაშე წარმდგარი 12-დან 15 წლამდე სამართალში მიცემულთაგან, თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენი მიესაჯა მხოლოდ 53,5 პროცენტს. 16-17 წლის ბრალდებულთაგან ასეთები 59,4 პროცენტს შეადგენდეს.**

**მათ შორის, ვინც საპატიმრო ადგილებში აღმოჩნდა, ტიპური განაჩენი ერთი-ორი წელიწადი იყო. მოსამართლეები არასრულწლოვანებს ზოგჯერ ერთ წელიწადზე ნაკლებს უსჯიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი მართლმსაჯულება ამას არ ითვალისწინებდა.**

**ხანგრძლივი ვადა მიესაჯათ ნორჩ სამართალდამრღვევთა შედარებით მცირე რიცხვს. მაგალითად, 1936 წელს 18 წლამდე ასაკის 793 მოზარდს მიუსაჯეს ხუთიდან ათ წლამდე პატიმრობა, 14-ს ათი წელიწადი, 1937 წელს — შესაბამისად — 965 და 11. მაგრამ ამ განაჩენის დიდი ნაწილი შემცირებული იყო საკასაციო ან საზედამხედველო ინსტანციების მიერ, თანაც, ხშირად ორ წელიწადზე ნაკლებ ვადამდე.**

საინტერესო სურათს იძლევა სტალინის პერიოდის შედარება მეფის რუსეთის რეალიებთან. რევოლუციამდელი კანონმდებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 10 წლის ასაკიდან იწყებოდა. 1914 წელს საპატიმრო დაწესებულებებში, რომლებიც ცენტრალური საპატიმრო ადმინისტრაციის ეგიდის ქვეშ იმყოფებოდა, სასჯელს 14800 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი იხდიდა. ამას გარდა, მოზარდთა გარკვეული რაოდენობა სასჯელს იხდიდა ადგილობრივ ციხეებში, სადაც ათავსებდნენ მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ სასჯელმისჯილ პირებს.

**შედარებისთვის: 1939 წელს მსჯავრი დაედო 24467 არასრულწლოვანს 16 წლის ასაკამდე, ეს იყო 1930-იანი წლების მაქსიმალური რაოდენობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავისუფლება აღკვეთილთა პროცენტი რჩებოდა იგივე, რაც 1935 წელს, გამოვა, რომ საპატიმრო ადგილებში გაიგზავნა 13 ათასი მოზარდი. რადგან მათ დიდ უმრავლესობას მისჯილი ჰქონდა 2 წელიწადზე ნაკლები ვადა, დაპატიმრებულ მოზარდთა საერთო რაოდენობა ამ რიცხვს დიდად არ აღემატებოდა. 1945 წლის 30 დეკემბრისთვის არასრულწლოვანთა კოლონიებში 21 ათასამდე ადამიანი იმყოფებოდა.**

ამგვარად, შეიძლება დავეთანხმოთ პიტერ სოლომონის დასკვნას.

„ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ჩემეული ანალიზი გვიჩვენებს, რომ 16 წლამდე ასაკის სამართალდამრღვევების თითქმის ნახევარს თავისუფლება აღეკვეთა 1940 და 1914 წლებში. განსხვავება ვადებში იყო. მაშინ, როცა 1914 წელს მოზარდების უმეტესობა ციხეში სამ თვეზე მეტ ხანს არ რჩებოდა (სასამართლოს, ან განაჩენის მოლოდინში), მათი ტოლები 30-იან წლებში ისჯებოდნენ ერთიდან ორ წლამდე ვადით. სტალინის დროს ზოგიერთი მოზარდი უფრო მეტი ვადითაც ისჯება, მაგრამ უმაღლესი ინსტანციები ჩვეულებრივ ამცირებდნენ განაჩენს ერთი-ორი წლის დიაპაზონამდე. ყველაზე ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა მიმართ (14 წლამდე) დამოკიდებულების მონაცემები მოწმობს ვითარების მსგავსებას. თორმეტ და ცამეწლიანთა რაოდენობა, რომლებიც 1940 წელს გაიგზავნა გამოსასწორებელ დაწესებულებებში, დაახლოებით ემთხვეოდა 1914 წლის რაოდენობას, მაგრამ ყველა მათგანს უფრო ხანგრძლივი ვადა ჰქონდა მისჯილი".

რაც შეეხება ყველაზე ნორჩ სამართალდამრღვევებს, **მეფის ციხეებში 1914 წელს მოთავსებული იყო 10-დან 13 წლამდე ასაკის 2521 ბავშვი. 1939 წელს მისჯილ მოზარდთა შორის 14 წლამდე ასაკის 2936 ბავშვი იყო. თავისუფლების აღკვეთის იგივე პროცენტი რომ ავიღოთ, რაც ზემოთ იყო მითითებული, გამოვა, რომ მათ შორის 1500-ს მიესაჯა სხვადასხვა ვადით პატიმრობა.**

ახლა შევადაროთ მოზრდილთა რაოდენობა საპატიმრო ადგილებში. 1912 წელს პატიმართა საერთო რაოდენობა 184 ათასს უდრიდა. 1940 წლის 1 მარტისთვის ბანაკებსა და კოლონიებში 1668200 ადამიანი იმყოფებოდა. ამას გარდა შინსახკომის საერთო და შიდა ციხეებში 194137 ადამიანი იყო მოთავსებული, სხვა სახის საპყრობილეებში — 1326 პატიმარი.

ამგვარად, **თუ მოზრდილი პატიმრების საერთო რაოდენობა ათჯერ გაიზარდა, 16 წლამდე ასაკის პატიმართა რაოდენობა რევოლუციამდელ დროსა და 1930-იან წლებში დაახლოებით ერთნაირი იყო.** მოზარდთა დანაშაულობანი დაუსჯელი არ რჩებოდა, მაგრამ მასობრივ რეპრესიებზე ლაპარაკი, რომლებიც მოზარდთა წინააღმდეგ იყო მიმართული, საფუძველსაა მოკლებული.

### ბავშვები გულაგში

რა ელოდა მოზარდ დამნაშავეებს „სტალინურ საპყრობილეებში"? 1940 წელს დაწერილ საიდუმლო მონოგრაფიაში **„სსრკ შინსახკომის შრომაგასწორების ბანაკებისა და კოლონიების მთავარი სამმართველო"** არის ცალკე თავი **„არასრულწლოვანებთან და უმეთვალყურეობებთან მუშაობა".** ამ თავში აღნიშნულია, რომ საკ.კპ (ბ) და სსრკ სახკომსაბჭოს 1935 წლის დადგენილებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შექმნილია შრომითი კოლონიების განყოფილება, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს მიმღები-გამანაწილებლები, იზოლატორები და შრომითი კოლონიები არასრულწლოვან და უმეთვალყურეოდ დარჩენილი დამნაშავეებისთვის. ამასთან **ხაზგასმულია, რომ აღნიშნული სამსახურების ამოცანაა ამ კატეგორიის კონტიგენტის აღზრდა კულტურულ-საგანმანათლებლო და შრომითი აღზრდის გზით, მათი შემდგომი დასაქმებით მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.**

წვრილადაა აღწერილი მათი მუშაობის სპეციფიკური პირობები, მაგალითად, მითითებულია, რომ უპატრონო და უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბავშვები უნდა გაარიდონ ქუჩას, ერთი თვე უნდა გააჩერონ ამ დაწესებულებებში, ხოლო მას შემდეგ, რაც დაადგენენ აუცილებელ მონაცემებს მათზე და მათ მშობლებზე, შესაბამისი მიმართულება მისცენ მათ.

**გულაგის სისტემაში მოქმედმა 162-მა მიმღებ-გამანაწილებელმა ოთხ წელიწადსა და 6 თვეში გაატარა 952834 მოზარდი, რომლებიც შემდეგ გაანაწილეს განათლების სახალხო კომისარიატის ბავშვთა დაწესებულებებში, ასევე, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომისარიატების შესაბამის დაწესებულებებში, აუცილებელ შემთხვევებში — გულაგისა და შინსახკომის შრომით კოლონიებში.**

მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ მოცემული მომენტისთვის გულაგის სისტემაში ფუნქციონირებდა ღია და დახურული ტიპის 50 შრომითი კოლონია.

ღია ტიპის შრომით კოლონიებში მოთავსებული იყო არასრულწლოვანი დამნაშავეები ერთი ნასამართლეობით; დახურული ტიპის კოლონიებში, განსაკუთრებული რეჟიმის პირობებში კი — არასრულწლოვანი დამნაშავეები 12-დან 18 წლამდე, რომლებიც რამდენჯერმე წარდგენილი იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების განყოფილებებში და რამდენჯერმე იყვნენ ნასამართლები.

საკ.კპ (ბ) და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან **შრომითი კოლონიები გაიარა 155506-მა მოზარდმა 12-დან 18 წლის ასაკამდე, რომელთა შორის იყო 68927 ნასამართლევი და 86579 ნასამართლეობის არმქონე.**

აღნიშნულია, რომ გულაგის ყველა შრომით კოლონიაში ორგანიზებულია შრომითი საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულია ყველა არასრულწლოვანი დამნაშავე. მითითებულია, რომ კოლონიებში, როგორც წესი, 4 ძირითადი წარმოება ფუნქციონირებს: ლითონის დამუშავების, ხის დამუშავების, ფეხსაცმლის წარმოების და ტრიტოკატის წარმოების (გოგონების კოლონიებში).

**ყველა კოლონიაში გახსნილია სკოლები, რომლებიც სწავლების საერთო შვიდწლიანი პროგრამით მუშაობენ. ჩამოყალიბებულია კლუბები, თვითშემოქმედების შესაბამისი წრეებით: მუსიკალური, დრამატული, საგუნდო, ტექნიკური, სახვითი ხელოვნების, ფიზკულტურისა და ა.შ.**

აღნიშნულ კოლონიებში იმ პერიოდში 1200 აღმზრდელი მუშაობდა — უმეტესად კომკავშირლები და პარტიის წევრები, 800 პედაგოგი და 255 მხატვრული თვითშემოქმედების ხელმძღვანელი.

ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ **კოლონიებში საზოგადოებრივად აქტიური ადამიანების აღზრდას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.** თითქმის ყველა კოლონიაში შექმნილი იყო პიონერთა რაზმები და კომკავშირული ორგანიზაციები იმ აღსაზრდელებით დაკომპლექტებული, რომლებიც არ იყვნენ ნასამართლევი.

1940 წლის 1 მარტისთვის გულაგის კოლონიებში 4126 პიონერი და კომკავშირის 1075 წევრი ითვლებოდა.

ამასთან, ეს კოლონიები, როგორც ვთქვით და როგორც დასახელებიდანაც ჩანს, შრომითი იყო.

შრომითი პროცესი შემდეგნაირად იყო ორგანიზებული: **16 წლამდე არასრულწლოვანები ყოველდღიურად მუშაობდნენ საწარმოებში 4 საათის განმავლობაში და სწავლობდნენ სკოლებში ზუსტად ამდენსავე საათს, დანარჩენ დროს დაკავებულები იყვნენ თვითშემოქმედებით წრეებში და საზოგადოებრივი საქმიანობით პიონერულ ორგანიზაციებში.**

**არასრულწლოვანები 16-დან 18 წლამდე მუშაობდნენ წარმოებაში 6 საათს, და ნორმალური შვიდწლედის ნაცვლად სწავლობდნენ მოზრდილთა სკოლების ტიპის თვითგანათლების წრეებში.**

საინტერესოა, რომ 1939 წელს გულაგის არასრულწლოვანთა შრომითმა კოლონიებმა შეასრულეს 169778 ათასი მანეთის საწარმოო პროგრამა, ძირითადად ფართო მოხმარების ნაწარმის დამზადების სახით.

**გულაგის სისტემის არასრულწლოვან დამნაშავეთა შესანახად 1939 წელს დახარჯული იყო 60501 ათასი მანეთი, ამასთან ამ დანახარჯის დაფარვის სახელმწიფო დოტაციამ დაახლოებით 15-20 პროცენტი შეადგინა, დანარჩენი ნაწილი კი დაიფარა შრომითი კოლონიების საწარმოო და სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლებით.**

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი მუშაობის გვირგვინი მათი შრომითი მოწყობა იყო. როგორ სრულდებოდა ეს უმთავრესი მიზანი?

**ოთხი წლის განმავლობაში გულაგის შრომითი კოლონიების სისტემის ხაზით სამუშაოზე მოეწყო 28280 არასრულწლოვანი ყოფილი დამნაშავე, მათ შორის 83,7 პროცენტი სამრეწველობო ობიექტებსა და ტრანსპორტზე, 7,8 პროცენტი სოფლის მეურნეობაში, 8,5 პროცენტი სხვადასხვა სასწავლებელსა და დაწესებულებაში.**

**განსაკუთრებით „ცინიკურია" შემდეგი რამ. ეს-ესაა განხილული დოკუმენტის შედგენის მომენტისთვის საბჭოთა კავშირში შემოიღეს საყოველთაო სავალდებულო ოთხწლიანი განათლება. მკითხველმა უთუოდ მიაქცია ყურადღება, რომ „შინსახკომის ჯალათები" აიძულებდნენ თავიანთ არასრულწლოვან პატიმრებს შვიდწლედის დამთავრებას.**

**თავისთავად იბადება შეკითხვა მნიშვნელოვანი ქვეტექსტით: სად და როდის დაიწყო განათლების სისტემის რეფორმა?**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

## კობა დავითაშვილი სერიალების შეზღუდვას ითხოვს

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კობა დავითაშვილი ინიციატივით გამოდის, რომ სერიოზულად შეიზღუდოს ისეთი ტიპის პროდუქციის დემონსტრირება, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობას, ჰომოსექსუალურ, ბისექსუალურ და პოლიგამიურ კავშირებს.**

კობა დავითაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა მას უკვე მომზადებული აქვს. დეპუტატის თქმით, მსგავსი ტიპის პროდუქციის ერთ-ერთი წარმოჩინების გზა არის სატელევიზიო სერიალები.

„საქართველოში არსებობს მოზარდთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ კანონი, რომელიც ფორმალურად არსებობდა წლების განმავლობაში. ვინაიდან რეალურად არ არსებობდა ამოქმედების მექანიზმები, ჩემი აზრით, აუცილებელია ამ კანონის ამოქმედება. მე მოვამზადე ცვლილებათა პაკეტი, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების დაცვას მავნე ზეგავლენისგან, კერძოდ, ეს ეხება სერიოზულ შეზღუდვებს იმ ტიპის პროდუქციის დემონსტრირებისა, რომლებიც ახდენენ წახალისებას და პროპაგანდირებას ძალადობის, ჰომოსექსუალური, ბისექსუალური და პოლიგამიური კავშირების. გარკვეულწილად, მე ავიღე ლიტვის კანონმდებლობა, რომელიც ლიდერია ამ სფეროში. ბევრმა ქვეყანამ გადაიღო ლიტვის კანონმდებლობა და ჩვენ არ უნდა ვიყოთ გამონაკლისი, სერიოზულად უნდა შეიზღუდოს ასეთი პროდუქციის გავრცელება როგორც ტელეეთერით, ასევე სხვა საშუალებებით", — განაცხადა კობა დავითაშვილმა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მზის როზეტი

Window Socket ახალი თაობის როზეტია, რომელიც მზის ენერგიით იმუხტება და ნებისმიერი ელექტრონული ხელსაწყოს დატენვა შეუძლია. ეს უნიკალური როზეტი წებოვანი ნაწილის მეშვეობით ნებისმიერ ფანჯარაზე მაგრდება. „ფანჯრის როზეტი“ დიზაინერებმა კიუო სონომ და ბოა ომ შექმნეს. მოწყობილობას მზის ენერგიით დამუხტვის შემდეგ შეუძლია მომენტალურად დატენოს ტელეფონი, ან 10 საათის განმავლობაში შეინახოს დაგროვილი ენერგია. თავად Windows Socket-ის დასატენად 8 საათია საჭირო.

# მწერების მენიუ გაეროსგან

**გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) მიიჩნევს, რომ მწერებს მნიშვნელოვანი საკვები ღირებულება გააჩნიათ და მათი საკვებად გამოყენება შეიძლება.**



ორგანიზაციის მოხსენებაში ნათქვამია, რომ მთელ მსოფლიოში დაახლოებით 2 მილიარდი ადამიანი სხვადასხვა პერიოდულობით ხოჭოებს, კალიებსა და ჭიანჭველებს ჭამს.

„ეძებეთ მწერები, ისინი პროტეინებისა და მინერალების მდიდარი წყაროა“, — განაცხადა რომში FAO-ს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ევა ურსულა მიულერმა საკუთარი მოხსენების პრეზენტაციისას. მისი თქმით, მწერები ნოყიერი საჭმელია, რომელსაც დედამიწის მოსახლეობის შიმშილისგან ხსნა შეუძლია.

**„მწერების მოგროვება და მათი გაშენება სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს და შემოსავალს მოიტანს, მას წარმოების გაზრდის პოტენციალიც აქვს“,** — დარწმუნებულნი არიან კვლევის ავტორები.

მათი ინფორმაციით, ადამიანები მილიონობით სახეობის მწერიდან საკვებად 1900-ზე მეტს იყენებენ.

მწერებიდან ყველაზე პოპულარული ხოჭოა (მათ მწერების მოყვარულთა 31% იყენებს), მას მოსდევენ ჭიაყელები (18%), ფუტკრები, კრაზანები, ჭიანჭველები (14%), კალიები და ციცინათელები (13%).

**„ბევრი მწერი მდიდარია ცილებითა და ცხიმებით, ასევე კალციუმის, რკინისა და თუთიის შემცველობით“,** — ნათქვამია მოხსენებაში.

მაგალითად, საქონლის ხორცში შემავალი რკინა 100 გრამ მშრალ წონაზე 6 მილიგრამს შეადგენს, მაშინ როცა კალიაში იგი 100 გრამ მშრალ წონზე 8-დან 20 მილიგრამამდე შეიძლება იყოს.



## ყველაზე მდიდრული საზოგადოებრივი ტუალეტი

**ჰონსიუზე, ტიბის პრეფექტურის ქალაქ იჩიხარში, რკინიგზის სადგურის მახლობლად უნიკალური საზოგადოებრივი ტუალეტი მდებარეობს. მის ასაშენებლად არქიტექტორ სუ ფუჯიმოტოს 123 000 დოლარი დასჭირდა.**

საპირფარეშო მხოლოდ ქალებისთვისაა განკუთვნილი. ტუალეტის კედლები მინისაა და ის 192 კვმ ფართობის ბაღის ცენტრშია განთავსებული, რომელიც ორმეტრიანი კედლებით არის შემოსაზღვრული. ცნობისმოყვარე თვალისგან საპირფარეშოში შესულ ქალებს ბაღში გაშენებული მაღალი ხეები და ყვავილები იცავს. ამ საზოგადოებრივ ტუალეტში ესთეტიკა და კომფორტი ერთმანეთს ერწყმის.

# მცურავი სკოლები ნიგერიაში

**ნიგერიის ქალაქ ლაგოსის მაკოკოს საზოგადოებისთვის წყალდიდობები ყოველდღიურად ხდება. წელიწადში წვიმიანი დღეები უფრო მეტია ვიდრე მზიანი, სწორედ ამიტომ ადამიანები ცდილობენ, მოერგონ არსებულ გარემო პირობებს.**





ნიგერიაში დაბადებული არქიტექტორი კუდლე ადეიამი კარგად იცნობს ლაგოსის ყოფას. სწორედ ამიტომ დაებადა იდეა, დაეპროექტებინა სკოლა, სადაც მოსწავლები წყალდიდობების პერიოდშიც შეძლებენ სიარულს. როცა არქიტექტორი მაკოკოს დასახლებას ეწვია, აღმოაჩინა, რომ 250 000-იან მოსახლეობას მხოლოდ ერთი სკოლა ემსახურება.

ადეიამის დაპროექტებული მცურავი სკოლა სამი სართულისგან შედგება. ეს სკოლები ბევრად უფრო ფუნქციონალური იქნება, ვიდრე სხვები. აქ მოწესრიგებული იქნება სასმელი წყლის მიწოდება და სანიტარული კვანძი. ერთი სკოლა 100 მოსწავლეზეა გათვლილი. სკოლის კარკასი ადგილობრივი ხისგან დამზადდება, ხოლო ძირი — პლასტმასის პანელებისგან, რაც სკოლას წყალზე ტივტივის საშუალებას მისცემს.

სკოლის სახურავზე მზის ბატარეები დამონტაჟდება, რაც სკოლას ელექტროენერგიით მოამარაგებს. პროექტის მთლიანი ღირებულება 6250 დოლარია, რაც საკმაოდ იაფია. ნიგერიის გარდა წყალდიდობები აფრიკის ბევრი სხვა ქვეყნის პრობლემაა, მსგავსი პროექტები კი ამ ქვეყნების განვითარებას შეუწყობს ხელს.







## დღეში 5 000 კალორია

**როცა ქალების დიდი ნაწილი დიეტებით თავს იტანჯავს, 23 წლის ტამი ჯანგი, რომელიც 101 კილოა, გასუქებას ცდილობს.**

გოგონა დღეში 5 000 კალორიას იღებს. მისი სასადილო მაგიდა ტკბილეულით, ძეხვეულითა და სწრაფი კვების პროდუქტებითაა სავსე. ტამის მიზანია, ჭარბწონიან მოდელად იქცეს.

ადრე ჯანგი გამხდარი გოგონა იყო, ცეკვავდა და სპორტს მისდევდა, თუმცა, როგორც ამბობს, თავს სექსუალურად ვერ გრძნობდა. ჯანგის შეყვარებულს მისი ამჟამინდელი წონა დისკომფორტს არ უქმნის.

**„ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ. თავს სრულყოფილ ქალად ვგრძნობ“,** — ამბობს ტამი.



# რას იყეფება ძაღლი

**„ეტვაშ ლორანდის“ სახელობის უნივერსიტეტის (უნგრეთი) სწავლულთა ჯგუფი ამტკიცებს, რომ მათ შეძლეს ძაღლის ყეფის სათარგმნი კომპიუტერული პროგრამის დამუშავება. მათ თავიანთი შექმნილი პროგრამის საშუალებით შეისწავლეს და გაანალიზეს 14 უნგრული ნაგაზის ყეფის 6 ათასზე მეტი ჩანაწერი.**

ექსპერიმენტების სერიების დახმარებით მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ კომპიუტერს შეუძლია განასხვავოს ძაღლის სხვადასხვა რეაქცია. ის განსხვავებულად რეაგირებს უცნობზე, გასეირნებაზე, ჩხუბზე, მარტოობაზე, ბურთზე ან თამაშზე. გამღიზიანებლებით გამოწვეულ ყეფას აფიქსირებდნენ ფირზე, ხოლო შემდეგ გადაჰყავდათ რიცხვით ფორმაში.

შემთხვევათა 43 პროცენტში კომპიუტერმა შეძლო, სწორად ამოეცნო სიტუაცია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს შედეგი სულაც არ არის მაღალი. მკვლევარები ამბობენ, რომ ის გაცილებით ზუსტია, ვიდრე ადამიანის ლაპარაკის ამოცნობისას.

განსაკუთრებით კარგად გაართვა თავი კომპიუტერმა სიტუაციას „ჩხუბზე“ და „უცნობზე“. სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ ძაღლის ემოციური მდგომარეობის მიხედვით სხვადასხვანაირად გაისმის მისი ყეფა. ამის გარდა, სწავლულებმა ჩაატარეს მეორე გამოცდა, რომლის დროსაც კომპიუტერს უნდა ამოეცნო კონკრეტული ძაღლი ყეფის მიხედვით. პროგრამამ ზუსტად ამოიცნო ექსპერიმენტის მონაწილე ძაღლების 52 პროცენტი, რაც აგრეთვე, გაცილებით კარგია, ვიდრე ადამიანებთან მუშაობის დროს. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს ინდივიდუალური განსხვავება სხვადასხვა ძაღლის ყეფას შორის, თუმცა ადამიანებს არ შეუძლიათ, გაარჩიონ ეს განსხვავება. ახლა მკვლევართა ჯგუფი მუშაობს სხვადასხვა ჯიშის ძაღლების ყეფის ნიუანსების შესწავლაზე, რათა დაადგინოს მათი საერთო თავისებურებანი.



## მცურავი ტყე

**ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში უამრავი ღირშესანიშნაობაა, მაგრამ ტურისტებისთვის გამორჩეული სანახაობაა გემი, რომელსაც „მცურავ ტყესაც“ უწოდებენ.** გემი SS Ayrfield ინგლისში 1911 წელს ააგეს. ავსტრალიის მთავრობა მეორე მსოფლიო ომში გემს ტყვია-წამლისა და ჯარისკაცების ტრანსპორტირებისთვის იყენებდა. მოგვიანებით ხომალდი ყურეში შეიყვანეს და მას შემდეგ იქ დგას. SS Ayrfield-ს გემბანი მანგროს ხეებითაა სავსე. „მცურავ ტყესთან“ ყოველთვის ხალხმრავლობაა, ის ტურისტების ობიექტივშიც ხშირად ხვდება.

ქრონოგრაფი
ქართველი და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# ტყუილების მუზეუმი

**მსოფლიოში თითქმის ყველა მუზეუმი ამაყობს იმით, რომ თავის კოლექციაში გამოფენილი აქვს ორიგინალები, მაგრამ ამ დაწესებულების დამფუძნებლები პირიქით — სიამაყის გარეშე ამტკიცებენ, რომ მუზეუმის დარბაზებში ყველა ექსპონატი მხოლოდ და მხოლოდ ყალბია.**



ძველი ციხესიმაგრის იერის შენობა, რომელშიც განლაგებულია მუზეუმი, აგრეთვე, გაყალბებულია. ფაქტობრივად, ის ცოტა ხნის წინ ააგეს. მუზეუმში მხოლოდ ათი ოთახია და ყველა მათგანი სავსეა ექსპონატებით. თაღლითობა იწყება ზღურბლიდანვე — სტუმრებს სთავაზობენ პლასტიკური ნამცხვრის გასინჯვას და ჯადოსნურ წამალს, რომელიც შემოწმებისას დგინდება, რომ ჩვეულებრივი ჩაია.

მუზეუმის დირექტორი რეინჰარდ ცაბკა აცხადებს, რომ კოლექციის ნაწილი მან მიიღო ცნობილი ბარონ მიუნჰაუზენის შვილიშვილის ემა გოგენბუსისგან, მაგრამ, ალბათ, არაა ძნელი მისახვედრი, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს ისტორია.

**„არ დაუჯეროთ საკუთარ თვალებს“,** — ასეთია მუზეუმის დევიზი, რომელსაც სტუმრები ისმენენ შემოსვლისთანავე და მთელი ექსკურსიის განმავლობაში, მუზეუმის დათვალიერებისას არაერთხელ უხდებათ ამ დევიზის გახსენება.

ექსპონატებს შორის არის მოქმედი ჯადოსნური ხალიჩა-თვითმფრინავი, ვან გოგის მოჭრილი ყური, რადიომიმღები „ტიტანიკიდან“, ჰიტლერის ულვაშები, ჯადოქრის ცოცხი, პატარა თვითმფრინავი, რომლითაც თამაშობდა ბავშვობაში გერმანიის კანცლერი, ეპისკოპოსის მუმია კატის იმიჯით, ცნობილი გერმანელი მწერლისა და მოგზაურის ყელიანი ფეხსაცმელი და კიდევ ბევრი სხვა.

დამფუძნებელის ფანტაზია მართლაც, ამოუწურავია!

მუზეუმის დირექტორი და დამფუძნებელი რეინჰარდ ცაბკა, წარსულში ცნობილი მხატვარი და დისიდენტი, თვლის, რომ ზღვარი სიმართლესა და ტყუილს შორის ხშირად ბუნდოვანია, ძირითადად კი — ხელოვნებაში, რადგან თვით ხელოვნება ყოველთვის ილუზიაა...

მნახველთა აზრები არაერთგვაროვანია — ზოგიერთი აღტაცებაში მოდის, ხოლო სხვები კი მუზეუმის დირექტორს გიჟად თვლიან, ხოლო სამუზეუმო ექსპონატებს კი — ნაგვად.





## ბრიტანელი მათხოვარი მდიდრულ სახლში ცხოვრობს



**ბრიტანეთის ზღვისპირა ქალაქ ბლეკპულში 45 წლის კაცი მოწყალებას ითხოვს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ენდრიუ დევიკი არც უსახლკაროა და არც მშიერი — მას მდიდრული სახლი აქვს და ოჯახის წევრებთან ერთად ბედნიერად ცხოვრობს.**

ენდრიუს კისერზე სპეციალური აბრაც კი ჰქონდა ჩამოკიდებული, სადაც ეწერა, რომ უსახლკარო და მშიერია. პოლიციამ ენდრიუ შემთხვევით დააკავა, რადგან სამართალდამცავებს მათხოვრის საქციელში ეჭვი შეეპარათ. მან აღიარა, რომ ტყუოდა და საქციელი ასე ახსნა — ბავშვები ხომ უნდა გამოვკვებო, სამსახური არ მაქვს და ქურდობას მათხოვრობა სჯობსო.

ენდრიუს არა მხოლოდ სახლი აქვს, ის ყოველთვიურად იღებს სხვადასხვა ტიპის ფულად დახმარებას, მათ შორის უმუშევრობის შემწეობას. სასამართლომ ენდრიუს 1-წლიანი პირობითი სასჯელი და ჯარიმის სახით 115 გირვანქა სტერლინგის გადახდა დააკისრა.



## მამაკაცმა 66 წლის ასაკში გაიგო, რომ ქალია

**შოკისმომგვრელი სიახლე აღმოაჩინა საკუთარ თავზე 66 წლის მამაკაცმა, როცა ის ექიმთან მუცლის არეში ტკივილის გამო მივიდა. გამოკვლევების დროს ექიმებმა დაადგინეს, რომ ტკივილების მიზეზი საკვერცხის კისტა იყო და რომ მამაკაცი სინამდვილეში ქალია.**

ტკივილი გამოწვეული იყო ორი გენეტიკური დარღვევის იშვიათი თანხვედრით. ერთ-ერთი მათგანი ტერნერის სინდრომია, რომელიც ქალის ზოგიერთი ფუნქციის მოშლას იწვევს, მაგალითად, ამ დროს შეუძლებელია დაორსულება და შვილის გაჩენა.

თუმცა გარეგნობა ამ დაავადების მქონეთ არ ეცვლებათ, ანუ გარეგნულად ჩვეულებრივი ქალები არიან. ამ შემთხვევაში კი პაციენტს ჰქონდა თირკმელზედა ჯირკვლის თანდაყოლილი ჰიპერპლაზიაც, რამაც გამოიწვია მამაკაცის ჰორმონების მოჭარბება და პაციენტი მამაკაცს დაამსგავსა.

„პაციენტი ქალია, რომელსაც, უბრალოდ, არ შეუძლია დაფეხმძიმება. მას ასევე აქვს თირკმელზედა ჯირკვლის თანდაყოლილი ჰიპერპლაზია, რის შედეგადაც მამაკაცს დაემსგავსა. ეს საინტერესო და ძალიან იშვიათი შემთხვევაა. ერთად ეს ორი დაავადება ძალიან იშვიათად გვხვდება. საეჭვოა, ახლო მომავალში აღმოვაჩინოთ კიდევ მსგავსი შემთხვევა“, – წერს ჩინეთის პედიატრიის უნივერსიტეტის პროფესორი ელისონ ხონ კამ-ლუნი.

ვიეტნამის 66 წლის მცხოვრები ჩინეთში დაიბადა და მშობლების გარეშე გაიზარდა. მას აქვს წვერი, სასქესო ორგანოც კი და მისი სიმაღლე 1,37 მეტრია. მამაკაცი ამ აღმოჩენის შემდეგაც თავს მამაკაცად აღიქვამს და მკურნალობის პერიოდში მამაკაცის ჰორმონებს მიიღებს, – ნათქვამია ოქმში.

მედიკოსების შეფასებით, ტერნერის სინდრომით 2500-3000-დან ერთი ქალი არის ავად. ჩვეულებრივ, ქალს ორი X ქრომოსომა აქვს, ხოლო მამაკაცს – X და Y.

ამ პაციენტს კი აქვს მხოლოდ X ქრომოსომა. წესით, მას გარეგნობაც ქალის უნდა ჰქონოდა, ხოლო დაავადება სქესობრივი მომწიფების დროს გამოვლინდებოდა.

გინეკოლოგი კუნ კა-იანის თქმით, ტერნერის სინდრომი ახლა ძალიან იშვიათად გვხვდება, რადგან შემთხვევების უმეტესობა პრენატალური ტესტების დროს ვლინდება. ქალები კი, როგორც წესი, ამ შემთხვევაში აბორტს ამჯობინებენ, რადგან დაავადება, შესაძლოა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფრო სერიოზული პრობლემების მიზეზიც გახდეს.

# მამაკაცის ცხვირიდან ტვინმა «გამოჟონა»



**ამერიკელმა ჯო ნეგმა, რომელსაც 1.5 წლის განმავლობაში სურდო სტანჯავდა, ექიმს მიმართა და ანალიზების შედეგით გაოცებული დარჩა. როგორც აღმოჩნდა, მისი სურდო სულაც არ იყო ალერგიის ბრალი — მისი ცხვირიდან ტვინმა გამოჟონა. ამასთან, მედიკოსების თქმით, ეს დაავადება საკმაოდ გავრცელებულია.**

ანალიზებმა აჩვენა, რომ მამაკაცის ტვინის გარშემო არსებულ მემბრანაზე ხვრელი გაჩნდა, საიდანაც ტვინის სითხემ ჟონვა დაიწყო. მამაკაცს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. **„ტვინი ცხვირზე ოდნავ მაღლაა. ტვინის სითხის გაჟონვა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა, რომელსაც უამრავი სპეციალისტი ყურადღებას არ აქცევს“,** — განაცხადა ნეიროქირურგმა პიტერ ნაკაჯიმ.

ადამიანის ორგანიზმი ყოველდღე გამოიმუშავებს 340 გრამ ტვინის სითხეს, რომელიც ტვინს გამოშრობის საშუალებას არ აძლევს. სწორედ ამიტომ არ წყდებოდა ჯოს ქრონიკული სურდო — მისი ორგანიზმი დაუღალავად გამოიმუშავებდა სითხეს.

# სიმართლე დომენტი გაგნიძის შესახებ

**„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მესამე თავის მიხედვით 2009 წლიდან პარასამკურნალო საშუალებათა რეგისტრაცია გახდა ნებაყოფლობითი. წამლები „დომენტოლი“ და „გაგენოლი“ კი ძალიან ცნობილი ათეული წლების განმავლობაში, კანონში ამ ცვლილების შეტანამდე, გახდა.**

სწორედ ამ განუკითხაობის პირობებში, **ცნობილმა სახალხო მკურნალმა სრულიად ცივილიზებული და კანონიერი გზა აირჩია — სახელმწიფო რეგისტრაციით მოეხდინა თავისი წამლის ეფექტურობისა და ხარისხის წარმოჩენა.** ეს იყო თხოვნა მადლიერი პაციენტებისა, რომელთა შორის უამრავი ცნობილი ადამიანი და განსაკუთრებით საპატრიარქოს მოძღვრები გახდნენ. ბევრი მათგანი პროფესიით თვითონ გახლავთ ექიმი და ბიოლოგიც.

**სახელმწიფო რეგისტრაციაზე სურვილის გამოთქმით მკურნალს უამრავი დაინტერესებული პირი დაეხვია და ამ ბიოროკრატიულ საქმეებში გამოუცდელ ადამიანს დახმარება შესთავაზა სარეგისტრაციო დოსიეს მოსამზადებლად. რამდენიმე მათგანს, რა თქმა უნდა, კეთილი სურვილი ამოძრავებდა, მაგრამ ბოროტად დაინტერესებულ რამდენიმე ადამიანს გაუჩნდა მზაკვრული აზრი, რეგისტრაციისა და აღიარების შემდეგ** (მათ ხომ წამლის ეფექტურობაში ეჭვი არ ეპარებოდათ) **გაგნიძე, როგორც ფულის შოვნის გზა, ხელიდან არ დასხლტომოდათ.**

სწორედ ამ მიზნით, ბატონ დომენტის წარუდგინეს ვინმე მეტრეველი, რომელიც დაჰპირდა მკურნალს მისი წამლის მორფოლოგიის ინსტიტუტში კვლევის ორგანიზებას, როგორც სიმსივნური დაავადებების სამკურნალო საშუალებისას. **შესაბამისი ანაზღაურების აღებისა და გარკვეული კვლევებისთვის საჭირო დროის გავლის შემდეგ მკურნალს ჩააბარეს ინსტიტუტის დირექტორის ხელმოწერითა და ცოცხალი ბეჭდით დადასტურებული დადებითი დასკვნა. მეტრეველმა თავისი ფუნქცია შეასრულა და ავანტიურის დამკვეთ მაფიოზებთან ერთად სეირის საყურებლად გაინაბა, ისე, რომ ოდნავადაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ საბოლოოდ პასუხს აგებდა** (ამ დანაშაულზე და მის სენსაციურობაზე ქვემოთ მოგახსენებთ).

**მკურნალს სარეგისტრაციო დოკუმენტების მომზადებაში გვერდით დაუდგა ერთი ექიმი, საკმაოდ ცნობილი ადამიანი თავისი პატიოსნებით და პრაქტიკულადაც დარწმუნებული წამლის ეფექტურობაში.**

**სამინისტროში სარეგისტრაციო დოკუმენტების ჩამონათვალის აღების შემდეგ მკურნალის ოფისი, როგორც იურიდიული პირი, შეუდგა იმ გზის გავლას, რაც დოსიეში იყო წარმოდგენილი.**

**მკურნალმა ოფიციალურად გაშიფრა თავისი რეცეპტი.**

ჩატარდა წინაკლინიკური კვლევები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე და მიღებული იქნა დასკვნა, რომ **ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევებით წამალს არ გააჩნდა არავითარი გვერდითი ეფექტი.**

შემუშავდა წამლის ფორმა ამპულების სახით, რომელმაც გაიარა დამატებითი ექსპერიმენტი ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის იმ განყოფილებაში, რომელიც სპეციალიზირებულია მცენარეული საინექციო ამპულების ექსპერტიზის მეთოდებზე.

**წამლის ფორმამ აიღო ხარისხის სერთიფიკატი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ლიცენზირებულ წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრში.**

მკურნალის მრჩეველმა რეგისტრაციის საკითხებში მიმართა ასევე იუსტიციის სამინისტროს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მათაც წარუდგინა წამალი შესამოწმებლად, იცოდა რა ოპონენტთა ბოროტი ჩასაფრების შესახებ. **სამხარაულის ცენტრმა დაადასტურა პრეპარატის აბსოლუტური უსაფრთხოება და ხარისხი, იმაზე მეტი მახასიათებლით, ვიდრე რეგისტრაციის მოთხოვნებს სჭირდებოდა.**



გაგნიძის ოფისმა წამლის ამპულირებული ფორმის ჩამოსასხმელად ხელშეკრულება გაუფორმა სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებულ საწარმოს „ბიოფარმი-L“ — სპეციალიზირებულს ასევე ამპულების ჩამოსხმისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საწარმოს აქვს ISO — საერთაშორისო სერთიფიკატი, ხოლო მის ხელმძღვანელს დიდი საერთაშორისო გამოცდილება.

ამის შემდეგ **კანონის რეგულაციების სრული დაცვით, სამინისტროდან აღებული სპეციალური ლიცენზიით ომის ვეტერანთა ჰოსპიტალში ჩატარდა კლინიკური კვლევები, რომლის მასალაც დაერთო სარეგისტრაციო დოკუმენტებს.**

**2010 წელს წამლები „დომენტოლი“ და „გაგენოლი“ დარეგისტრირდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, როგორც იმუნიტეტის გამაძლიერებელი პარასამკურნალო საშუალებანი.**

## 2010 წელს წამლები «დომენტოლი» და «გაგენოლი» დარეგისტრირდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, როგორც იმუნიტეტის გამაძლიერებელი პარასამკურნალო საშუალებანი




გახარებულმა და სამინისტროს მიერ აღიარებულმა მკურნალმა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ლიცენზირებულ ოფისში გაგრძელა საქმიანობა.

**პაციენტთა სიმრავლემ გააგიჟა კონკურენტები, როგორც იატაქვეშიდან, ისე ოფიციალური წარმომადგენლებიდან. ზოგმა გაგნიძის ხარჯზე გამდიდრება მოინდომა, ზოგმა ოპონენტის ჩაძირვა, საქმეში ჩაერთო მასმედიაც, მათი ისეთი წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა კორუმპირებულობაში, ხელისუფლების დაკვეთით ყოველგვარი სიბინძურის ჩადენაში და სხვა მაქინაციების განხორციელებაში ეჭვი ქართველ ხალხს არასოდეს შეჰპარვია და ეს გონივრული ეჭვი სრულიად დადასტურდა 2012 წლის 1 ოქტომბერს, როდესაც ქართული ჟურნალისტიკის ეს ნაგავი პირველი დღიდანვე მოშორდა ეკრანს.** მარტო იმის გახსენება რად ღირს, როდესაც ე. წ. ჟურნალისტმა ნოდარ მელაძემ თავის სამარცხვინო შოუში, სადაც აფერისტული მეთოდებით შეიტყუა გაგნიძე და ვითომდა დასაცავად, დაახვედრა სრულიად უსინდისოდ მატყუარა, ვითომ დომენტის წამლით დაზარალებული ადამიანები. როდესაც მკურნალი თავის მხარდამჭერებთან და ადვოკატთან ერთად შეეცადა სიმართლის გარკვევას, უზრდელმა წამყვანმა სიტყვის თქმის საშუალებაც არ მისცა — არც საპატრიარქოს მოძღვარს და არც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ გია გვაზავას, რომელიც თავისი პროფესიიდან გამომდინარე აპირებდა წამლის, როგორც ეფექტური ფიტოპრეპარატის, შესახებ მსჯელობას. მელაძეს და მის ამფსონებს ხომ უკვე კარგად შემუშავებული გეგმა ჰქონდათ ფინანსურ პოლიციასთან და სხვა სტრუქტურებთან შეთანხმების საფუძველზე.

**სახალხო მკურნალი, თავისი ჭკუით, გამოჭერილი ჰყავდათ, კოზირი კი ის მეტრეველი გახლდათ, რომელიც ზემოთ ვახსენეთ და რომელიც მორფოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებულ კვლევებს ხელმძღვანელობდა.**

**შემდეგ ნომერში ვიხილავთ სრულიად სენსაციურ გაგრძელებას და იმ დოკუმენტებს, რომლებიც პროფესიული ჟურნალისტური გამოძიებით მოვიპოვეთ.**

**ეკა ამაშუკელი**

## სამხარაულის ცენტრმა დაადასტურა პრეპარატის აბსოლუტური უსაფრთხოება და ხარისხი, იმაზე მეტი მახასიათებლით, ვიდრე რეგისტრაციის მოთხოვნებს სჭირდებოდა

## მკურნალობა

ძვლის პრობლემების ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტების, ართროზის, კოქსართროზის და ძვლის შეცვლილი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ძვლის აქტიური კვება-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით საუკეთესო შედეგის მიღებით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი); 555-62-09-01 ექიმი მეგი**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100% შედეგებით.

**ტელ. 558-15-63-87; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

საქართველო და მსოფლიო — ყოველკვირეული გამოცემა
ეწვიეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894